

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
АРХАНЫТЭИ АВТОНОМТЭ АРЕСПУБЛИКА АИХАБЫРА
Government Of The Autonomous Republic Of Abkhazia


შურნალისტთა კონფერენცია

21 სექტემბერი, 2018

სიტყვა კირველია

ომისა და მშვიდობის შურნალისტიკა

အမြတ် - EPUBနှင့် MOBI ဖော်လုပ်ချက်



შურნალისტთა კონფერენცია

სიტყვა პირველია

ომისა და მშვიდობის შურნალისტიკა

21 სექტემბერი, 2018

თბილისი

გამომცემელი

აფხაზეთის მთავრობა

შემდგენელ-რედაქტორი ვენერა რურუა

სარედაქციო ჯგუფი:

ოთარ გარმელია
ავთანდილ დავითაია
ირმა ირემაძე
ნინო კვარაცხელია
დავით ქვარცხავა
ნანა ჭანტურია
ელისო ხუტკუბია

მხატვარი დალი მუხაძე

ყდის დიზაინი ვახტანგ ზაქარაია

ფოტო მიხეილ როსტიაშვილისა და
ნიკა შონიასი

წარმოდგენილ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით
ავტორებს და შესაძლებელია, განსხვავდებოდეს სარედაქციო ჯგუფის
შეხედულებებისგან.

კრებულში დაბეჭდილი მასალების გამოყენება და გავრცელება დასაშვე-
ბია მხოლოდ წყაროს მითითებით.

აფხაზეთის მთავრობა

მისამართი: ობილისი, ალ. ყაზბეგის №42

ტელ.: (995 32) 2 37 61 44

www.abkhazia.gov.ge

სსიპ „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“

გამომცემლობა „მერიდიანი“ 2019

ISBN 978-9941-25-606-6

„სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს
– როგორც დადებითი, ისე –
უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის
უნარი გააჩნია.
არის სიტყვა სიცოცხლის
მომნიჭებელი და სიტყვა –
სიკვდილის ტოლფასი.
ამასთან, არცერთი ჩვენი ნათქვამი
არ ქრება და იგი ჩვენი მამხილებელი
იქნება ღვთის წინაშე“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უნინდესისა და
უნეტარეს ილია II-ის 2019 წლის საშობაო ეპისტოლედან

რედაქტორისგან

კონფერენციისთვის მზადება დიდი ხნით ადრე დავიწყეთ.

იდეა ჯერ თანამოაზრე უურნალისტებს გავანდეთ, შემდეგ სამუშაო შეხვედრა გავმართეთ, თემებზე შევთანხმდით, კონფერენციის სახელწოდებაზე ჩამოყალიბდით, ბევრი ვისაუბრეთ, ვიკამათეთ. ძირითადად აფხაზებთან დაკარგული ურთიერთობის აღდგენის, შერიგების საქმეში უურნალისტების როლზე ვმსჯელობდით. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველამ ვაღიარეთ, რომ აფხაზეთის თემა დღითიდლე უკან იჩევს, სიმძაფრეს და აქტუალობას კარგავს, რომ, ახალ პოლიტიკურ და სოციალურ გამოწვევათა ფონზე, მინელებული გვაქვს ჩამოჭრილი მინების დაბრუნების, დაკარგული ერთიანობის, ფიზიკური და სულიერი მთლიანობის აღდგენის განცდა, რომ დღითიდლე გვიუცხოვდება ჩვენი ძირძველი რეგიონები და თითქოს უკვე არც ის გვალიზიანებს, ქვეყნის დასავლეთის და ჩრდილოეთის საზღვრებთან გამაგრებული რუსეთის საოკუპაციო ჯარი ფეხის მოცვლას რომ არ აპირებს ერთ ლხინჭირნანახი და ხელოვნურად გათიმული ადამიანების შერიგებისა თუ მორიგების შიშით.

ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, უურნალისტები იმაზეც შევთანხმდით, რომ გვქონდა, ნამდვილად გვქონდა დაშვებული პროფესიული ხასიათის შეცდომები საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების გაშუქებისას და, მათ შორის – უკვე მომხდარი თუ პოტენციური დანაშაულის ტოლფასიც... შევთანხმდით იმაზე, რომ კონფერენციაზე ამ საკითხებზეც აუცილებლად უნდა გვემსჯელა.

მომავალში ღმერთმა გვაშოროს ომი და უბედურება, მაგრამ

რაკი მრავალგანსაცდელგამოვლილი საქართველოს ისტორია გარე და შიდა ომების, ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ სხვა ტიპის ექს-ტრემალური მოვლენების ისტორიაა, მოვალენი ვართ, ამგვარ სიტუაციებში პროფესიული ქცევის წესები მანამდე გვქონდეს შესწავლილი, სანამ მორიგ ხიფათს არ შევუზანზარებივართო – ესეც ვთქვით და ისიც: ამას ჩვენზე, ურნალისტებზე მეტად ისინი უნდა ფიქრობდნენ, ვისაც ქვეყნის მიდა და გარე უსაფრთხოების, სახელმწიფო, სამხედრო და სამოქალაქო თავდაცვის საკითხები აბარიაო. ვილაპარაკეთ იმაზეც, რომ ამ მიმართულებით თუ რამეს ვაკეთებთ, იმასაც ძალიან ცოტას და რომ ეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც გამოჩნდა, როცა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაშვებული ყველა შეცდომა უურნალისტებმა ერთი ერთზე გავიმეორეთ!

ერთი სიტყვით, სამუშაო შეხვედრამ დაგვარწმუნა სალაპარაკო რომ ძალან ბევრი დაგროვილა და კონფერენციის ჩატარების აუცილებლობაზე საბოლოოდ შევთანხმდით. აფხაზეთის მთავრობა ფინანსურ მხარდაჭერას და ყველანაირ დახმარებას შეგვპირდა და დღეც დავიშნეთ – 2018 წლის 21 სექტემბერი – საქართველოს მფარველის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაული, მშვიდობის მსოფლიო, საერთაშორისო დღე და ყველაზე ახლო თარიღი აფხაზეთის დაკარგვის 25 წლისთავთან.

კონფერენცია შედგა!

აფხაზეთის მთავრობას ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებაში ფინანსური პარტნიორობა საქველმოქმედო ფონდ „აფხაზეთმა“ გაუწია!

სასტუმრო „ბეტსიმ“ მთელი დღის განმავლობაში არაჩვეულებრივად გვიმასპინძლა!

ტელერადიოსივრცეში გამოხმაურება იყო, თუმცა, არც იმდენი, რამდენსაც მოველოდით.

რამდენიმე მოწვეული ტელეკომპანია საერთოდ არ გამოგვხმაურებია, არც საინფორმაციო სააგენტოებიც, რომლებსაც საგანგებო მოსაწვევები გაუუგზავნეთ!

ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აფხაზეთის და, საერთოდ, ოკუპირებული ტერიტორიების თემა დღითიდლე კარგავს

აქტუალობას ბევრი ჩვენი კოლეგა-უურნალისტისა და პროდიუსერების მხრიდანაც.

მეტი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. ხმაურიანი მოვლენების გაშუქებას და, „ხმაურსა და ხმაურს“ შუა – გასართობ, სახალისო პროგრამებს.

არადა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე მეტი სახმაურო რა უნდა გვქონდეს?

„...ჩემი ნება რომ იყოს, ყველა გამახალისებელ, დასასვენებელ ლონისძებაზე შესასვლელ ბილეთს, მოსაწვევს, ქვითარს დავტეჭდავდი წარნერით, რომ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია და სახელმწიფო ბრიობა – დასაცავი“ – ეს კონფერენციის ერთ-ერთი საპატიო სტუმრის აზრია, რომელსაც ვრცლად აქვე, ამავე კრებულში გაეცნობით.

რა გვიჭირს, მართლა ასე რომ იყოს.

„რა შეუძლია კონფერენციას?“

ეს კითხვა სოციალურ ქსელში კონფერენციის კიდევ ერთმა სტუმარმა დასვა და საკუთარ თავს თვითონვე უპასუხა – „ბევრი არაფერი!“

ცხადია, უურნალისტთა კონფერენციასაც, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად საინტერესოდ – შინაარსიანი მოხსენებებით, ღია და გულწრფელი დებატებით, მათ შორის, გაცხარებული კითხვა-პასუხებითაც, ჩაიარა, ბევრი არაფერი შეუძლია, მაგრამ, ვფიქრობთ, განგაშის ზარები მაინც ჩამოირეკა, თითქმის მივიწყებას მიცემული თემა, სულ ცოტა, ერთი დღით მაინც გაააქტიურდა, დაგროვილ სათქმელს გზა გაეხსნა, კრიტიკული განწყობები და პოზიციებიც გამოიკვეთა და ყველაზე მთავარი – კონფერენციამ დაგვანახა, რომ უურნალისტებს, რომლებმაც ადრე ძალიან ბევრი წერეს ომზე, დღეს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის ამოუწურავი ბერკეტები გააჩნიათ. კონფერენციამ ისიც შეგვასენა, რომ საქართველოს უკანასკნეული ათწლეულების ყველა შეიარაღებული კონფლიქტის უტყუარი მემატიანე სხორცედ უურნალისტია, რომელმაც იმაზე ბევრად უფრო მეტი იცის და უნახავს, ვიდრე უთქვამს თუ უნერია.

კიდევ ერთი: კონფერენციამ ცხადყო, რომ შესვედრა უურნალ-ისტებს დაგვიგვანდა, რომ საუბარი და, ასე ვთქვათ, „ორთქელის გამოშვებაც“, აფხაზეთის ტრაგედიის 25 წლისთავზე კი არ უნდა დაგვეწყო, არამედ – უნდა დაგვემთავრებინა და საქმეს დიდი ხნის წინ შევდგომოდით...

და ბოლოს: აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით, კონფერენციის კრებულიც გამოიცა.

ვფიქრობთ, იგი უურნალისტების, კონფლიქტოლოგების, სოცი-ოლოგების გარდა, პოლიტიკოსებსაც დააინტერესებთ, რადგანაც კრებული მათთვის საგულისხმო მრავალ საკითხს და თემას მოიცავს.

კრებული განსაკუთრებით საინტერესო იქნება უურნალისტი-კის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რომელთათვისაც აფხაზეთი დღემდე უნახავი სამშობლოა – მისსავე წიაღში დასაბრუნებელი.

ვენერა რურუა

მისასალმებელი სიტყვა

განაცხად ყოლბაია

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



მივესალმები კონფერენციის მონაწილეებს, ყველა აქ დამსწრე უურნალისტს, მწერალს, პარლამენტის წევრს, კონფლიქტოლოგს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, თითოეულ სტუმარს, ყველას, ვინც ამ მეტად მნიშვნელოვანი კონფერენციის მუშაობაში ღებულობს მონაწილეობას.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოს უახლეს ისტორიაში არაერთხელ დამდგარა ისეთი პერიოდი, როდესაც აუცილებელი იყო ერის მობილიზება ქვეყნის მთლიანობისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მის მრავალეროვან მოსახლეობაში ერთიანობის სულისკვეთების გაღრმავებისათვის.

უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ჯერ ჩრდილოეთის, ხოლო შემდეგ დასავლეთის საზღვართან შექმნილმა ხელოვნურმა კონფლიქტებმა, მართალია, ჩვენი ძირძველი ადგილ-მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი დროებით ჩამოგვაშორა, მაგრამ ვერა და ვერ ჩაგვიხშო ერთიანობის სულისკვეთება, არა მარტო

ტერიტორიის, არამედ ხელოვნურად გადამტერებული მოძმე ერების მიმართაც.

ამის ნათელი დადასტურებაა ჟურნალისტების მხრიდან ინიცი-რებული და აფხაზეთის მთავრობის მიერ ორგანიზებული ეს კონ-ფერენციაც. თუ გულდასმით გადავხედავთ მის დღის წესრიგს, დავრჩნმუნდებით, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის გაჩენილი უფსკრულის ამოვსებაა, მავთულხლართებით გაყოფილი საზოგადოების გამ-თლიანებაა, რომელშიც თქვენ, ჟურნალისტებს განსაკუთრებული მისია გაკისრიათ.

დიდია მედიის როლი, არა მარტო კონფლიქტის გაშუქების, ფარ-თო მასებისათვის სწორი, ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორ-მაციის მიწოდების, არამედ მისი დარეგულირების, დაპირისპირე-ბულ მხარეთა შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესში, რამეთუ დიდი ძალა აქვს ზოგადად სიტყვას, რომლის მსახურნიც თქვენ ბრძანდებით, განსაკუთრებით კი სწორად შერჩეულ, მოზო-მილ, საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვისკენ, მშვიდობის დამ-კვიდრებისკენ მიმართულ სიტყვას. ამიტომაცაა სიტყვა უზენაესი, უპირველესი, ამაზე მიგვანიშნებს კონფერენციის მთავარი სათაუ-რიც – „სიტყვა პირველია“.

ქართველმა ჟურნალისტებმა კონფლიქტებში მუშაობის დიდი გამოცდილება დააგროვეს. ყოველდღიურად ასი ათასობით ადამი-ანი ელოდა თქვენს სიტყვას, თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმა-ციას ამა თუ იმ ცხელი წერტილიდან, ამიტომაც ფასდაუდებელია თქვენი გმირობა. მადლობა ომის მონაწილე თითოეულ ჟურნალისტს, როგორც ქართველს, ასევე, აფხაზს ამ თავგანწირვისთვის. იყო, რა თქმა უნდა, შეცდომებიც, რომლებიც თქვენ უკეთ იცით, ვიდრე სხ-ვამ და დღეს, ალბათ, ამ შეცდომებზეც გექნებათ საუბარი. ვინც სისტემატურად მუშაობს პროფესიული სრულყოფისათვის, მისთვის შეცდომა გამოცდილებაა, ის შეცდომებზე სწავლობს, იზრდება და ამ გამოცდილებას სხვასაც უზიარებს, რათა შემდეგში იგივე არ გან-მეორდეს.

თქვენ, ომის მონაწილე, უფროსი თაობის ჟურნალისტებმა,

დარნმუნებული ვარ, წლების შემდეგ ბევრ მოვლენას ახლებურად შეხედეთ, მათ შორის, საკუთარ შეხედულებებსა და მიდგომებსაც. ამიტომაც იქნება საინტერესო თითოეული თქვენგანის მოსმენა კონფერენციის მონაწილე ახალგაზრდა უურნალისტებისა და მომავალი კონფლიქტოლოგებისთვისაც.

კონფერენციის მოწყობა-ჩატარებაში აქტიურად ამოგვიდგა მხარში საქველმოქმედო ჰუმანიტარული ფონდი „აფხაზეთი“ – დღევანდელი ჩვენი თავყრილობის პარტნიორი და ერთ-ერთი ფინანსური მხარდამჭერი. აფხაზეთის მთავრობის და თქვენი სახელითაც მინდა ფონდის ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო ამ თანადგომისათვის.

ყველაზე დიდი მხარდაჭერა კი მივიღეთ თქვენგან, ძვირფასო უურნალისტებო, ვისთვისაც უცხო არ არის ქვეყნის არცერთი ცხელი კონფლიქტი – იქნება ეს სამაჩაბლოს, აფხაზეთის თუ 2008 წლის ომები, რომელსაც არაერთი უურნალისტის სიცოცხლე შეეწირა.

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა გთხოვოთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ საქართველოს და, ზოგადად, ცხელ წერტილებში დაღუპული უურნალისტების ნათელ ხსოვნას.

მისასალმებელი სიტყვა

ელგუჯა (გია) გვაზავა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



ჩემთვის დიდი პატივია დღეს თქვენთან ყოფნა და მონაწილეობის მიღება ამ მართლაც საჭირო კონფერენციაში, რომლის მთავარი თემა სიტყვაა.

„დასაბამიდან იყო სიტყვა, სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ – ვკითხულობთ იოანეს სახარებაში.

დიახ, სიტყვა ღმერთია და აქედან ვხვდებით, რამხელა ძალა და მნიშვნელობა აქვს მას.

მე, როგორც გენეტიკოსი და ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანი, საგანგებო ლიტერატურაში ერთ საოცარ ფაქტს წავაწყდი – თანამედროვე გენეტიკამ დაამტკიცა, რომ სიტყვა ცვლის გენს, წარმოგიდგენიათ რა ხდება? სიტყვას შეუძლია გენის შეცვლა. ამას ეწოდება ტალღოვანი გენეტიკა.

სიტყვას შეუძლია ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინოს და პირიქით – შეუძლია ყველაფერი არივ-დარიოს, გაანადგუროს. ამ შემთხვევაში იგი შეიძლება ატომურ იარაღსაც შევადაროთ.

ამიტომაც სიტყვის მნიშვნელობა დღეს, ამ კიბერსამყაროში, რომელიც არსებობს ფიზიკურ სამყაროსთან ერთად, არის საოცარი და ძალიან მძლავრი.

აი, რამხელა ძალაუფლების მფლობელები ხართ თქვენ, უურნალისტები, ანუ – სიტყვის ძალაუფლების.

ბევრი ფიქრობს, რომ უურნალისტიკა მეოთხე ძალაუფლებაა. ეს ასე არ არის. დღევანდელი მსოფლიო თვლის, რომ მეოთხე ძალაუფლება არის საზოგადოებრივი აზრის ძალაუფლება, აზრისა, რომელსაც აყალიბებს და ფორმას აძლევს უურნალისტიკა.

სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, ჩვენი სიტყვა არ ქმნის იმ სიტუაციას, რომელიც ქვეყნის სიჯანსაღეს და მის წინსვლას ემსახურება. სიტყვა, როგორც აცოცხლებს, ასევე, კლავს. გაიხსენეთ ნოდარ დუმბაძის „ხაზარულა“... ეს არ არის მისტიკა, ეს რეალობაა და ეს დაამტკიცა მეცნიერებამ, რომელიც ეკლესის წიაღში დაიბადა.

ულრმესი მადლობა ამ კონფერენციის ორგანიზატორებს, აფხაზეთის მთავრობას, რომ შეგვკრიბა იმაზე სასაუბროდ და გასაანალიზებლად, საით მიდის დღეს ქართული აზრი, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს იგი ქართული უურნალისტიკის, მედიის მეშვეობით, რათა ჩვენი, ენგურს იქეთა და ენგურს აქეთა გახლეჩილი საზოგადოება გააერთიანოს, შეკრას.

გაერთიანება და ერთად ყოფნა კი აუცილებელია, რათა გადავრჩეთ პატარა ეთნოსები, არ ჩავიკარგოთ იმ დიდ გლობალიზაციის პროცესში, როდესაც ყოველ 10-15 დღეში, დედამინაზე არსებული 6000 ენიდან, იკარგება ერთი ენა – წარმოიდგინეთ რა სისწრაფით ხდება ეს. თუ ეს პროცესი კვლავაც ამ ტემპით გაგრძელდა, მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლებისთვის პატარა ერების წახევარზე მეტი, პრაქტიკულად, გაქრება.

ამიტომ მხოლოდ ერთიანობა და გადარჩენისათვის ერთად დგომაა ჩვენი მომავლის საწინდარი.

ამ ერთიანობისთვის კი უურნალისტებმა, პოლიტიკოსებმა, კონფლიქტოლოგებმა, ყველამ, ვისთვისაც ჩვენი მომავალი ძვირფასია, ერთად უნდა ვიპრძოლოთ. ჩვენ უნდა გადავარჩინოთ აფხაზი ეთნოსი და, მათთან ერთად, გადავრჩეთ ჩვენც.

მისასალმებელი სიტყვა

ნუკრი მილორავა

საქელმოქმედო პუმანიტარული ცენტრ
„აფხაზეთის“ აღმასრულებელი დირექტორი



25 წელი ველოდი ამ ტიპის ლონისძიებას. აფხაზეთის ომის თემაზე საუბარი, მთელი ამ ხნის განმავლობაში, თითქოს ტაბუდადებული იყო არა მხოლოდ პოლიტიკოსების, არამედ საზოგადოების წარმომადგენელთა და უურნალისტების მხრიდანაც.

25 წლის წინ ეს დღე, 1993 წლის 21 სექტემბერი, ძალიან მძიმე იყო აფხაზეთის თითოეული მკვიდრისთვის. მაშინ 21 წლის ვიყავი, ახალგაზრდული, ლალი, ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრებით ვცხოვრობდი, როდესაც თავს დაგვატყდა ეს უბედურება, ათი ათასობით ადამიანმა დატოვა მშობლიური კუთხე, სახლ-კარი.

კარგად მახსოვს ჩემი ცხოვრების ეს ყველაზე მძიმე პერიოდი და იქედან მოყოლებული დიდხანს ვეძებდი ადამიანს, რომლისთვისაც უნდა მეკითხა – ვინ „გაგვაბედნიერა“ ასე? ვინ მოგვისპო ახალგაზრდობა? ვინ შეინირა ამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე? ვინ უნდა აგოს პასუხი ათი ათასობით უსახლეკაროდ დარჩენილი ოჯახის

უბედურებაზე? ვეძებდი, მაგრამ ბოლოს აღმოვაჩინე, რომ არ არ-სებობდა ამ კითხვებზე პასუხის გამცემი ადამიანი და მივხვდი, რომ ჩვენ თვითონ, საკუთარ თავში უნდა გვეძებნა პასუხები ყველა კითხ-ვაზე. ეს გვეხება, როგორც ქართველებს, ასევე, აფხაზებსაც.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ 25 წლის წინ ძალიან ჭკვიანმა და ჩვენს გაუბედურებულ ხალხზე მზრუნველმა ადამიანებმა დააფუძნეს. ჩვენი ცენტრი დღეს, თავისი ფილიალებით, საქართველოს 6 რეგიონში მრავალ საქველმოქმედო პროექტს ახ-ორციელებს. მშვიდობის მშენებლობა და ნდობის აღდგენა – ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა, რომელშიც საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა. საქველმოქმედო ფონდის მიმდინარე პროექტებში დღეს 200-მდე ჩვენი თანამემამულეა ჩართული ენ-გურის იმ მხარეს.

მშვიდობის მშენებლობა ძალიან რთული საქმეა და თუ ამ გზას ვადგავართ, კარგად უნდა გვქონდეს გააზრებული ის „ვორდინგი“, რომელიც ხშირად ისმის ჩვენი ტელეეკრანებიდან, რომელიც, სამ-ნუსაროდ, არანაირად არ უწყობს ხელს შერიგების პროცესს.

ჩვენი მთავარი საყრდენი ამ სამშვიდობო პროცესში უნდა იყოს ადამიანი თავისი ტკივილით, პრობლემით და არა აქვს მნიშვნელობა, სად იმყოფება იგი – ენგურს იქეთ, თუ ენგურს აქეთ. შეიძლება ბევრს თამამ განცხადებად მოეჩვენოს, მაგრამ ამ სამშვიდობო გზაზე ჩვენ არ გვეშინია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის, რომელიც გვეუბნება, რომ ნებისმიერი, მცირე პროექტიც კი, განხ-ორციელებული ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არის კანონის დარ-ღვევა და სისხლის სამართალს ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია და არგუმენტი მტკიცე და ურყოვია – როდესაც ჩემს თანამოქალაქეს უჭირს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მე ვაკეთებ შესაძლებლობის მაქსიმუმს მისი საარსებო წყაროებით უზრუნვე-ლყოფისთვის, მისი განათლებისთვის, ჯანმრთელობის დაცვისთ-ვის.... მე ამას ვაკეთებ, თქვენ კი სცადეთ და დამიჭირეთ ამისთვის. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუკი გზას მშვიდობის მშენებლობისკენ მივყავართ, არანაირმა შემხვედრმა დაბრკოლებამ არ უნდა შეგვა-შინოს, მით უფრო, როცა საქველმოქმედო ფონდის საქმიანობა

ეფუძნება გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს.

ვფიქრობ, სამშვიდობო თემაზე მომუშავე უურნალისტებისათვის უინტერესო არ იქნება იმის გაგებაც, რომ ჩვენს ორგანიზაციას ყოველწლიურად 3000 -დან 5000-ამდე ბენეფიციარი ჰყავს და სხვადასხვა საქველმოქმედო და სამშვიდობო პროექტს 15 დონორი ორგანიზაციის ხელშეწყობით ახორციელებს.

ბოლოს კი კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემს მადლიერებას კონფერენციის ორგანიზატორთა მიმართ და მოხარული ვარ ამ შესანიშნავი ინიციატივისა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სამშვიდობო პროცესებს.

აღვნიშნავ, რომ კონფერენციის დღის წესრიგი არის ძალაში საინტერესო და შთამბეჭდავი. გულახდილად ვამბობ, ბოლო პერიოდში ისეთი შინაარსიანი თემები, როგორც დღეს არის წარმოდგენილი, არ შემხვედრია. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი დღე ყველას დაგვამახსოვრდება.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ მომავალშიც მზად არის ამ ტიპის აქტივობებს მხარი დაუჭიროს.

„მშვიდობა უპრალოდ პორეული მიზანი არაა, რომელისკენაც მივისწრობით, არამედ თავად მშვიდობაა ამ მიზნის მისაღევი საშუალება“

მარტინ ლუთერ კინგი

შესავალი სიტყვა

გენერა რურუა

უკრანალისტი, კონფერენციის კორდინატორი



სამყაროში შემთხვევითი არაფერია და, ბუნებრივია, არც ის, რომ მშვიდობის საერთაშორისო დღე, რომელსაც მთელი მსოფლიო 21 სექტემბერს აღნიშნავს, ბრწყინვალე დღესასწაულს – ღვთისმშობლობას და ემთხვა. გილოცავთ სამყაროს ყველაზე დიდი მშვიდობის მყოფელის, ჩვენი ქვეყნის უდიდესი მფარველის შობის დღესასწაულს. შევთხოვთ დედა ღვთისმშობელს, შეენიოს დღევანდელ ჩვენს თავყრილობას, მოგვცეს საღი აზრი, ზომიერება, დაგვიფაროს ერთმანეთის წყენინებისგან, მოგვმადლოს კეთილი, მშვიდობიანი, მართალი და უბოროტო სიტყვა, ისეთი, როგორც სამყაროს შემოქმედს, ანუ ღმერთს ეკადრება, რამეთუ ღმერთია სიტყვა.

თითქოს უკვე რაღა დროისაა, მაგრამ სწორედ ამ კონფერენციის სათაურზე მუშაობისას დავფიქრდი, რაოდენ საპატიო, საპასუხისმგებლო და საშიში პროფესია ამირჩევია. იყო უკრანალისტი, ეს ნიშნავს ემსახურო ცოცხალ სიტყვას, ანუ ყველაზე უზენაესს, რაც

კი არსებობს ამ სამყაროში. თავს არ შეგაწყენთ და არ დავიწყებ „კეკლუცობას“ იმის მოყოლით, თუ რამდენჯერ მიღალატნია ჩემს მწირ, პროფესიულ საქმიანობაში მისი უდიდებულესობა სიტყვისთვის, რამდენჯერ ვყოფილვარ მისი ულირსი მსახური. სხვა დროს, სხვა სიტუაციაში ყოველივე ამას, ალბათ, ასე საჯაროდ არც გავამხელდი, მაგრამ დღეს ჩემთვის, ერთი რიგითი უურნალისტის, საჯარო მოხელისა და დედა-ეკლესიის წევრისთვის სწორედ ის დღეა, როდე-საც პროფესია, სიყვარული და რწმენა – ანუ სიტყვა, სამშობლო და უფალი – ერთში მოაზრებული ეს სამი განზომილება, ჩვენს მთავარ სათქმელში ერთიანდება და ეს მაძლევს ძალას, ვიყო გულწრფელი და, ამავე დროს, ჩემდა გასაოცრად, თამამიც...

სამშობლო, როგორც უფალი ერთიაო, ბრძანა პოეტმა და ის ერთი ჩემთვის გაგრიდან იწყება, მისი იმ ერთადერთი, მუდამ მოკირნულული ქუჩიდან, ყოველ ჯერზე ქალაქური სისუფთავის განცდას რომ მიტოვებდა და, რატომძაც, ყველაზე მძაფრად შემორჩა მეხსიერებას. მძაფრად ალბათ იმიტომ, რომ 26 წლის წინ, სწორედ ამ ქუჩით ვეთხოვებოდი უკვე აღებულ და გაუცხოებულ ქალაქს და ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტად ჩამბეჭდოდა მეხსიერებაში მასთან დაკავშირებული თითოეული დეტალი – თითოეული ხე, ბუჩქი, გამომწვარი სახლი და ძაღლების ყეფაც... ბოლო კადრი კი, რომელიც თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით შემოინახა გონებამ, საზღვართან ახლოს, რუსულ აბრევიატურა „რსფსრ“ -დან ორასიოდე მეტრში, საჩვენებლად გამომზეურებული რუსული ტანკი იყო, ამავე ენაზე შესრულებული წარწერით „მადლობა საქართველოს საბრძოლო ტექნიკისათვის“.

„არაფრის. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ“ – გავიფიქრე და ამ მზა სათაურს სათქმელი დღემდე ვერა და ვერ მივაბი, არადა, რამდენი დაგროვდა...

დღეს, ძირითადად, აფხაზეთის ომის მონაწილე უურნალისტები შევიკრიბეთ იმაზე სასაუბროდ, თუ როგორი იყო ჩვენი უურნალისტური სიტყვა გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად მონათლული თუ, საერთოდ, ჩვენი უახლესი ისტორიის ომების დროს და როგორია ახლა, მშვიდობიან წლებში, რომლისთ-

ვისაც, დიდი ილიასი არ იყოს, „ლხენა მაინც ვერ დაგვირქმევია“. ვისაუბრებთ საკუთარ გამოცდილებებზე, შეცდომებზე, წარსულში თუ ამჟამადაც არსებულ ხელისშემსრულ თუ, პირიქით, ხელისშემნუობ ფაქტორებზე, ვიტყვით, რომ მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობაა გადამრჩენი ჩვენი ქვეყნისთვის და ცველა იმ ხალხისთვის, ვისთვისაც ეს ღვთივეურთხეული მინა მშობლიურია. არა აქვს სხვა სამშობლო ქართველს და აფხაზს, გარდა საქართველოსი და ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ვერსად გავექცევით საერთო საფლავებით გადასერილ მინას. თუ არ შევრიგდებით, კიდევ დიდხანს ვიტრიალებთ ერთ წრეში ასე ჯიუტად, ასე ურჩად, უზენაესის ნების საწინააღმდეგოდ და სულ უფრო და უფრო მეტად შემოგვიტევს ბოროტება უკვე არა მარტო ტანკებითა და ტყვიებით, არამედ, სხვა სახის ომითაც – იქნება ეს კაზანტიპური აღვირახსნილობა, ნარკოტიკი, თუ დღეს უკვე დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი აფხაზეთის უსერიობული პრობლემა – ფაროსანა.

სიტყვამ მოიტანა და ჩვენ, უურნალისტებიც სერიოზულად ხომ არ დავფიქრებულიყავით, რატომ შემოვიდა ეს მცოცავი „შავი ჭირ“ მაინცდამაინც აფხაზეთიდან, საქართველოს ამ ერთ-ერთი ცველაზე წმინდა, სამი მოციქულის ნატერფალი მიწიდან, სადაც უბედურება, სახელად ომი, ჯვრის დღეს დაწყო, 14 აგვისტოს – ჯვრის ძელთა შემოყვანების დღეს და ჯვრის დღეს დამთავრდა, 27 სექტემბერს – ჯვართამაღლებას...

...ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი ფაქტი არ არის, ისევე, როგორც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II-ის მიერ აფხაზეთის ხელისუფლებისათვის ჯვრის გადმოცემა... „ამ ჯვარს გადავცემ აფხაზეთის ხელისუფლებას, რომელიც შეინახავს ჩვენს შესვლამდე“ – სიტყვა-სიტყვით ასე ბრძანა მაშინ მისმა უწმინდესობამ, როდესაც იერუსალიმიდან ჩამოტანილი, სადაფის ქვისგან თლილი, ულამაზესი თეთრი ჯვარი გმირთა მოედანზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დალუპულთა მემორიალთან, 2014 წლის 27 სექტემბერს ხელიდან ხელში გადმოგვ-

ცა ყველანაირ ბოროტებაზე გამარჯვების ნიშნად... თთქოს ქვეყნის ყოვლად ბრძენმა სულიერმა წინამძღოლმა მიგვანიშნა – „ამით ძლიე!“, როგორც ეს თავის დროზე ენიშნა მტრებით გარემოცულ კონსტანტინე დიდს...

ვინახავთ ამ ჯვარს და გვეიძედება, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ნართმეულს!

მანამდე კი ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთისკენ სავალი, ჯერაც ჩახერგილი გზები უნდა გავასუფთავოთ. ეს გზა ჩვენი გოლგოთის – ჭუბერის გზაზე არანაკლებ ძნელია, მაგრამ ბევრად უფრო იოლად დასაძლევი, თუკი ერთმანეთში სიყვარულს მოვძებნით.

სიყვარული კი ყველან არის, ოლონდ ესაა, ენგურის იმ მხარეს იგი უფრო რთულად მოსაძებნია, უფრო შენილბულია, უფრო დაფარულია ოკუპანტი „პატრონისადმი“ ცრუ ერთგულების, ხარჯის გადახდის, შიშის, თუ სხვა უამრავი მიზეზის გამო. ჩვენც სწორედ ეს შენილბული და დაფარული უნდა დავინახოთ – ჩვენი პროფესია ხომ დანახვის პროფესია. ვეძებოთ ასეთი ფაქტები ზღვაში მიმობნეული ოქროს მარცვლების დარად და მედიის ყველა საშუალების გამოყენებით დავატირაჟოთ, გავაგებინოთ ყველას, მთელ მსოფლიოს, რომ ქართველსა და აფხაზში არის, ნამდვილად არის შერიგების პოტენციალი, თუ „კეთილისმოსურნები“ ხელს არ შეგვიშლიან და ერთმანეთისკენ სავალ გზას წებელდის ეკლესიასავით არ აგვიფეთქებენ.

კონფერენციისათვის მზადების წინა პერიოდში, როდესაც საკონფერენციო თემა და სათაური უკვე შერჩეული იყო, ინტერნეტში აფხაზ ჟურნალისტ ალინა აჩბას ერთ საინტერესო წერილს წავაწყდი სათაურით: „სიტყვამ შეიძლება მოგვლას და შეიძლება განგკუროს“. როგორ ეხმანება იგი ჩვენს დღევანდელ სათემელს და როგორ გვაკლია დღეს ალინა... რაღაცა გზებით დავაპირე კიდეც მასთან დაკავშირება, მაგრამ არ გამომივიდა. „ომის დროს, წერდა ალინა, ჩვენი რედაქცია გუდაუთაში გაიხიზნა. თავიდან დაბნეულები ვიყავით, მაგრამ შემდეგ, ნელ-ნელა აზრზე მოვედით და გადავწყვიტეთ, კეთილი საქმე გვეკეთებინა – ჩვენი რადიოს მეშვეობით მებრძოლთა ოჯახებს ინფორმაციას ვაწვდიდით მათი შეიღების, ქმრების, ძმების შესახებ, ვამხნევებდით და დაბადების დღეებსაც ვულოცავდით“.

რა საოცარი მსგავსებაა – იგივეს ვაკეთებდი მეც, ოლონდ გაგრის სამხედრო კომენდატურის შტაბიდან. მიუხედავად იმისა, რომ მე და ალინა, ასე ვთქვათ, ორ სხვადასხვა მხარეს წარმოვადგენდით, რაც, ურნალისტური ეთიკის თვალსაზრისით, გამართლებული არ არის, მაინც მენიშნა პროფესიული ერთსულოვნება – აკეთო ომში სიკეთე.

ახლა კი ბევრისთვის ნაკლებად ცნობილ, ან შესაძლოა, საერთოდ უცნობ ფაქტზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება: აფხაზეთის ომის პირველ დღებში გუდაუთის საავადმყოფოში წამლების სინაკლებე იყო. გაგრაში კი დიდი რაოდენობით შემოდიოდა მედიკა-მენტები და გადასახვევი მასალები ქართველი მეომრებისთვის. შეიძლება დაუჯერებლადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ჭეშმარიტებას გეუბნებით და ამის შესახებ სიუჟეტიც მაქვს მომზადებული – წამლების გარკვეული რაოდენობა გაგრიდან გუდაუთაში იგზავნებოდა აფხაზი დაჭრილებისთვისაც.

განა შეიძლება ამის შემდეგ ამ ომს ქართულ-აფხაზური უწოდო?

ერთსაც გეტყვით: კოლხიდელი ქართველი და ბზიფელი აფხაზი მეომარი ბიჭქები, რომლებიც ჯერ კიდევ ომამდე, საფეხბურთო ტურნირებიდან იცნობდნენ ერთმანეთს, ტყეში პირისპირ შეხვედრილან, მოულოდნელობისგან დაბნეულან და სანამ თავთავიანთი გზებით წავიდოდნენ, პირობა დაუდვიათ, ამის შესახებ არსად არაფერი ეთქვათ. ამ ამბის თვითხილველმა, ჩემმა აფხაზმა მეგობარმა და კოლეგა ბესომ კი პირობა დაარღვია და ეს ამბავი გამიმხილა. ვიცი რატომაც – უკან დასაპრუნებული იმედი გამომაყოლა, როცა ფსოუს ხიდს შიშისგან აკანკალებული ვტოვებდი.

განა ბევრია ომების ისტორიაში ასეთი მაგალითები?

ამიტომაც მეიმედება აფხაზეთი და მინდა ეს იმედი ყველაზე უიმედოებსაც გადავცე.

სიტყვა გამიგრძელდა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი დღევანდელი თავყრილობა, მიუხედავად მონაწილეთა აზრთა სხვადასხვაობისა, ბოლომდე მაინც მშვიდობიანად ჩაივლის.

მადლობა დღევანდელი დღის ორგანიზებისათვის აფხაზეთის მთავრობას, მის აპარატს, თითოეულ თანამშრომელს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ამ ღონისძიების მომზადებაში, მადლობა

საქველმოქმედო ფონდ „აფხაზეთს“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებას“, აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელობას, უზრნალისტებს, მემონტაჟეებს, იმ შეს-ანიშნავი სიუჟეტების მომზადებისთვის, რომლებიც დღეს კონფერენციის მთავარი თემის, ჩვენი ძირითადი სათქმელის გასაძლიერებლად დაგვეხმარება.. მადლობა ყველა ტელერადიოკომპანიას, პრესის წარმომადგენლებს, რომლებიც საინფორმაციო მხარდაჭერას გვიცხადებენ, მადლობა ლიეტუვის, საფრანგეთის, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მოღვაწე უზრნალისტებს, რომლებმაც ჩამოსვლა ვერ შეძლეს, მაგრამ თავიანთი ვიდეოჩანაწერები გამოგვიგზავნეს. მადლობა აფხაზეთის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრს, უზრნალ „იალქნის“ მთელ შემოქმედებით კოლექტივს, რომელმაც უდიდესი ძალისხმევის, თითქმის დღელამური მუშაობის ფასად, საგანგებოდ ამ კონფერენციისთვის დაასრულა და წარმოგვიდგინა ქართულ-აფხაზური საყმანვილო პრესის ისტორიაში უპრეცედენტო სამშვიდობო პროექტი სახელწოდებით „ცა აფხაზური“. მადლობა ქალბატონ ლეილა ბახბაის, ქართული ხელრთვის დიდოსტატს, რომელმაც საგანგებოდ დღევანდელი დღისთვის კალიგრაფიულად „მოქარგა“ და კიდევ ერთხელ შეგვახსენა აფხაზი მთავრის გიორგი შარვაშიძე-ჩაჩბას აფხაზი ხალხისადმი მიმართული, დღესაც ყურადსალები სიტყვები.

და ბოლოს – განსაკუთრებული მადლობა კონფერენციის თითოეულ მონაწილეს, სტუმრებს, მომხსენებლებს, სიტყვით გამომსვლელებს, თითქმის ოთხი თვის განმავლობაში რომ ითმენდნენ ჩემს შემაწუხებელ ზარებს.

I ბლოკი

მედია და კონფლიქტი

შურდალისტის განსაკუთრებული როლი მოითხოვს კონ-
ფლიქტის ცალმოშობის, მისი განვითარებისა და დასრულების
მიზანების ღრმად გაანალიზებას. აუცილებელია, შურდალისტის
ახალი ამბების მოპოვების, დამუშავებისა და პრეზენტაციის
გამორჩეული უნარი პერძეეს, კონფლიქტისა და გადაწყვეტილე-
ბების შესახებ იცვორებაციის მიწოდების ღრმის, ის კონფლიქტის
სანიტარიუმობას უნდა ითვალისწინებოდეს.

პანდელი პანი,

„კონფლიქტური სიტუაციების გაშუქების საფუძვლები“

აკაკი სიხარულიძე

საქართველოს ურნალისტთა დამოუკიდებელი
ფედერაციის თავმჯდომარე 1993-2003 წლებში.
ურნალისტის დოქტორი



- ქართულმა მედიამ სრულიად მოულოდნელად და მოუმზადებლად გადაინაცვლა საბჭოთა რეჟიმიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს იყო მართლაც „შიშველი ხელებით შოკური თერაპიის“ ეფექტი, ანუ მრავალწლიანი საბჭოთა ცენტურიდან პირდაპირ სიტყვის თავისუფლების ტრიალ მინდორში აღმოჩენა, რასაც ჰქონდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები;
- რუსულმა მედიამ ინფორმაციული ომი კონფლიქტის დაწყებისთანავე ერთდროულად სამი მიმართულებით წამოიწყო: შიდა აუდიტორიისთვის, კონფლიქტში ჩართული მხარეებისა და დანარჩენი მსოფლიოსათვის. ქართულმა მედიამ კი მხოლოდ შიდა აუდიტორიაზე იმუშავა და ვერ შეძლო საერთაშორისო აზრის ჩამოყალიბება;
- ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიური და საინფორმაციო პროპაგანდის ძირითადი ღერძი მედიის, სამხედრო და

სახელმწიფო მართვის მექანიზმების გამართულ, სინქრონულ, შეთანხმებულ ქმედებაზე უნდა აეწყოს, რათა უურნალისტების მხრიდან არ მოხდეს სამხედრო საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციის გაუონვა, ასევე, სამხედრო შენაერთების ტიპისა და ცოცხალი ძალის, შეიარაღების, ტექნიკის რაოდენობის, ოპერაციის ჩატარების ადგილის, დროის, პაროლების მქონე ფრაზეოლოგიის გამუღავნება.

XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტები და მედია

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო აფხაზეთის მთავრობას, პირადად ბატონ ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს, ბატონ გია გვაზავას, ჩემს კოლეგას, ქალბატონ ვენერა რურუას ასეთი ერთობ საჭირო კონფერენციის ორგანიზებისთვის.

მოგეხსენებათ, დღეს მსოფლიო გამორჩეულია თანამედროვე გამოწვევებით, რომელთა სპექტრი იმდენად მრავალმხრივი და მასშტაბურია, რომ ძნელია დასახელდეს დარგი, სფერო, საზოგადოებრივი მიმართულება, სადაც არ მიმდინარეობდეს მიდგომათა და გააზრებათა ძირეული გარდაქმნა, იდეებისა და გონიერივი გაანგარიშებების სრული რესტრუქტურიზაცია. ეს ურთულესი პროცესია, რადგან სწორედ ახლა, ჩვენს ეპიქაში, ჩვენს თვალწინ ყალიბდება მსოფლიოს ახალი საზოგადოებრივი, სამეცნიერო, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული წესრიგი, საერთო-საყოველთაო თანაარსებობის წესები.

თანამედროვე მედიაექსპერტები დღემდე ვერ შეთანხმებულან სტანდარტებზე, რომელიც მედიის მიერ წარმოებული ინფოპროდუქციის ობიექტურად შეფასების ნიმუშად გამოდგებოდა.

ძნელი დასადგენია, სად გადის ზღვარი მედიაეთიკასა და საინფორმაციო პოლიტიკას, სახელმწიფო ინტერესებს შორის. კონფლიქტურ სიტუაციაში ეს ზღვარი კიდევ უფრო ბუნდოვანი და ქაოტურია. ტერმინი „ინფორმაციული კონფლიქტები“ სულ უფრო აქტუალური ხდება.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა რეუიმიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში ქართულმა მედიამ სრულიად მოულოდნელად და მოუმზადებლად გადაინაცვლა. ეს იყო მართლაც „შიმველი ხელებით შოკური თერაპიის“ ეფექტი, ანუ მრავალნლიანი საბჭოთა ცენტურიდან პირდაპირ სიტყვის თავისუფლების ტრიალ მინდორში აღმოჩენა, რასაც ჰქონდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

როგორი უარყოფითი შედეგიც არ უნდა დამდგარიყო, რა შეცდომებიც არ უნდა დაშვებულიყო, ცალსახად უნდა განვაცხადოთ და მივცეთ შეფასება – ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტების გაშუქებაში ჩართული უურნალისტთა კორპუსის თითოეული წარმომადგენლის აქტივობას სამოქალაქო გმირობის ტოლფასია, მათ ყველაზე ძვირფასი – სიცოცხლე „დადეს“ პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. განსაკუთრებულად უნდა გამოვყო საველე გაზიეთ „შანსის“ რედაქცია.

იმ პერიოდის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სოციალური სურათი რომ აღვადგინოთ, დავინახავთ, ეს ის დროა, როცა საქართველოში, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, დასრულდა კომუნისტური ეპოქა და ქვეყანას ოფიციალურად ეწოდა – საქართველოს რესპუბლიკა. კრემლისგან გამიჯვნის პროცესი საქმაოდ მძიმე და მტკიცნეული აღმოჩნდა: მიძინებულმა ნალექმა, ავტონომიური რესპუბლიკის თუ ოლქის სახით, ამოქმედება დაიწყო, რამაც პოლიტიკურად უმნიშვარ, სახელმწიფო მართვის საქმეში გამოუცდელ ქართულ ეროვნულ ძალებს პრობლემები შეუქმნა: დაიწყო სისხლიანი კონფლიქტების დაუსრულებელი, ხანგრძლივი სერია. ამ პროცესში დამოუკიდებლობის სურვილით განმსჭვალული საქართველოს მოსახლეობა კატეგორიულად არ ცნობდა ისეთ ტრადიციულ, ზოგადსაკაცობრივ გამოცდილებას, როგორიცაა, „დიპლომატია“, „კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება“, „მოლაპარაკებები“ და ა.შ. ყველა ქმედება, სახელმწიფო აპარატისა თუ საზოგადოების მხრიდან, ემყარებოდა გაუაზრებელ, არაპროგნოზირებად შეხედულებებს, რამაც ქვეყანაში საყოველთაო ქაოსი და სახელმწიფოს მართვის მექანიზმის მთლიანი მოშლა გამოიწვია. დაირღვა კავშირი მოსახლეობასა და მმართველ ისტებლიშმენტს შო-

რის. ქვეყნის შიგნით მოქმედ პოლიტიკურ ძალებს შორის არსებულ-მა შეულლმა ამ პროცესების გაღრმავებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

90-იანი წლების მედია დაემსგავსა პოლიგონს, სადაც ბრძოლა წესების გარეშე დასაშვებ ნორმად, ცხოვრების წესად იქცა. ისტორიული წიაღსვლები რუსეთთან, აფხაზეთთან ან ოსეთთან მიმართებაში საქმეში ჩაუხედავი, დილეტანტი, ხშირ შემთხვევაში, ხელმოცარული და უმეცარი სუბიექტების ურა-პატრიოტულ განწყობა-შეხედულების საფუძველზე იქმნებოდა, შემდეგ კი ასეთი სახით მიეწოდებოდა საზოგადოებას. სამწუხაროდ, იმდროინდელმა მედიამ ჯეროვნად ვერ შეძლო მოსალოდნელი კონფლიქტების წარმომავლობისა და შედეგების ობიექტურად გაანალიზება, ხოლო საზოგადოებას პატრიოტიზმისა და ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის ეიფორიულმა განცდამ იოლად გადაადგმევინა ნაბიჯი სისხლიანი დაპირისპირებისკენ. ამის თქმის საფუძველს კი იმ პერიოდის ქართული პრესის შესწავლა-ანალიზი მაძლევს. ქართულ მედია-ბაზარზე ნელ-ნელა გამოჩნდა კომპარტიისგან, ანუ სახელმწიფო ცენტურისგან თავისუფალი, საკუთარ პრინციპებზე აგებული, დაფინანსების საკუთარი წყაროსა და დამოუკიდებლობის პრეტენზიის მქონე გაზიერები: „დრონი“, „შანსი“, „7 დღე“, „მამული“, „საქართველო“, „კაბადონი“, „ქართული ფილმი“, „საქმე“, „ასავალ-დასავალი“, „რეზონანსი“, „ალია“ და ა.შ. თითოეული მათგანი თავისებურად ჩაერთო ახალი ეპოქის თანმდევი პროცესების აღქმა-გაშუქებისა და საზოგადოების ინფორმირების საქმეში. თუმცა, საგულისხმოა, ვაცლავ პაველისეული მედია-სინდრომი – „...ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ: იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც განკარგავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს...“ - ამბობს ყოფილი დისიდენტი და ძნელია, ამაში არ დაეთანხმო.

დღეს უკვე არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დროს მთავარ დაპირისპირებულ ძალას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა თავისი სამხედრო და ადამიანური რესურსით და, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. რუსულმა მედიამ ინფორმაციული ომი კონფლიქტის დაწყებისთანავე ერთ-

დღოულად სამი მიმართულებით წამოიწყო: შიდა აუდიტორიისთვის, კონფლიქტში ჩართული მხარეებისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. ქართულმა მედიამ კი მხოლოდ შიდა აუდიტორიაზე იმუშავა და ვერ შეძლო საერთაშორისო აზრის ჩამოყალიბება.

ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა: პირველი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ ქართულ მედიას, გარდა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების გაშუქებისა, „ცხელ წერტილებში“ მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა. ასევე არასდროს ჰქონია შესაძლებლობა საერთაშორისო საზოგადოებაზე მოქადინა გავლენა. მისგან განსხვავებით რუსულ მედიას, როგორც საბჭოთა მედიის მემკვიდრეს, ასეთი გამოცდილება საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში გამოუმუშავდა, რადგან ის მუდმივად ანარმოებდა ინფორმაციულ ომს აშშ-სა და ევროპის იდეოლოგიური და სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ. შესაბამისად, ზუსტად იცოდა, როგორ გამოეყენებინა მასოპრივი ინფორმაციის საშუალებების ზემოქმედების ძალა, გამოეთვალა მონინააღმდეგის სუსტი წერტილები, განეხორციელებინა ზეწოლა საერთაშორისო ცნობიერებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მრავალმა განვითარებულმა ქვეყანამ, ზოგადად, იცოდა კონფლიქტის წარმოშობის რაობა და მტყუან-მართლის ვრნაობა, მიზანმიმართულმა რუსულმა ინფორმაციულმა ომმა მაინც შეძლო, ამ პერიოდის კონფლიქტებში დასავლეთი პასიურად ჩაერია. მეტიც, იმ დროს მსოფლიოს არაფერი გაუკეთებია კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით, მხოლოდ ის მოახერხა, რომ არსებული ვითარება დააკონსერვა, გაყინა, რაც სრულად შედიოდა რუსეთის ინტერესებში.

ომამდელი და ომის პერიოდის მედიის კვლევამ დაგვანახა, რომ აუცილებელი იყო ინდიკატორთა სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მეტ-ნაკლებად მიესადაგება ჩვენს სინამდვილეს. პირობითი ინდიკატორების სისტემა ასე გამოიყურება:

- როდის დაინტერიერთობაში ბზარის გაჩენა;
- რა საკითხები იქცა დაპირისპირების მიზეზად;
- გარე ძალების ჩარევის ფაქტორი;
- პროპაგანდის ფაქტორი;

– ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევა;

– ემოციური სტიმულირება.

თუ ამ ინდიკატორებს მივუსადაგებთ 90-იან წლებში საქართველოში გამომავალ მედია-საშუალებებს და მათ საქმიანობას კონფლიქტის პირობებში, ცალსახად გამოჩნდება, რომ ისინი სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ ზემოჩამოთვლილ პარამეტრებს.

საარქივო მასალებზე მუშაობისას ძალზე საინტერესო მასალებს მივაკვლიერები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით – საქმე ეხება ზოგიერთი მედია-საშუალების მხრიდან, უნებლიერ, ქართულ ჯარში პანიკის დათესვას, რაც, ასევე, გამოცდილების უქონლობას უნდა მივანეროთ. ქართულ მედიას დრო არ ჰქონდა, გაცნობოდა საინფორმაციო ომის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს, მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. მან საპჭოთა რეჟიმიდან პირდაპირ შეაბიჯა ქაოსსა და პოლიტიკურ ორომტრიალში და გზადაგზა მოუწია მისთვის უცნობი ურნალისტური ხერხებისა და მეთოდების სწავლა.

მასალებიდან კარგად ჩანს, სად და რა ხასიათის შეცდომები იყო დაშვებული, როგორ შეიძლება ამ შეცდომებს ემოქმედა საერთო ვითარებაზე, სად იკვეთება მედიისა და სახელმწიფოს, სამხედრო ინტერესების ზღვარი და რამდენად სახიფათოა ამ საზღვრების დარღვევა.

ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მედიისა და სახელმწიფო და სახელმწიფო მართვის შტაბების ერთობლივი მუშაობის პრაქტიკა საომარი მოქმედებების დროს. ამ მექანიზმის გამართულ, სინქრონულ, შეთანხმებულ ქმედებაზე უნდა აეწყოს სახელმწიფოს იდეოლოგიური და საინფორმაციო პროპაგანდის ძირითადი ღერძი, რათა მედიის მხრიდან არ მოხდეს სამხედრო საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციის გაუზონვა, ასევე სამხედრო შენაერთოების ტიპისა და ცოცხალი ძალის, შეიარაღების, ტექნიკის რაოდენობის, ოპერაციის ჩატარების ადგილის, დროის, პაროლების მქონე ფრაზეოლოგიის გამჟღავნება. ამ მიმართულებით, ცოდვა გამხელილი სჯობს, 90-იან წლებში საქართველოში გამომავალ მედია-საშუალებებს სერიოზული პრობლემა აღმოაჩნდათ. რიგ შემთხ-

ვევაში, ინფორმაცია პრესის ფურცლებზე იძლეოდა სრულ სურათს, როდის, როგორ და რა ძალით უნდა განხორციელებულიყო სხვადასხვა რანგის სამხედრო ოპერაცია, თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი სამხედრო სპეციფიკის მქონე საკითხები სახელმწიფო სტრუქტურების პრეროგატივა უნდა ყოფილიყო. ეს საკითხი დღემდე აქტუალურია ქართული მედიისთვის და მის გამოსასწორებლად საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა სპეციალური მეთოდებით სემინარების, მიზანმიმართული ღონისძიებების დაგეგმვა საერთაშორისო სპეციალისტების მონაწილეობით.

ამასთან ერთად, 90-იან წლებში მედიას, რა თქმა უნდა, ჰქონდა პოზიტიური მხარეებიც პატრიოტული და ისტორიული ასპექტების გამუქების მხრივ, როგორც საომარი მოქმედებების წინა, ასევე, შემდგომ პერიოდებში.

ასევე პოზიტივია საველე უურნალისტიკის მიმართულება, რომელიც სწორედ ამ პერიოდში დგამდა პირველ ნაბიჯებს. საველე უურნალისტიკა ფრონტის წინა ხაზიდან ძალზე ეფექტური და მიზანმიმართული ფორმაა სწორი მედია-პოლიტიკის საწარმოებლად, რაშიც, კიდევ ერთხელ ვიტყვი , გაზეთი „შანსი“ პიონერია.

თანამედროვე მეგაპოლიტიზებულ სამყაროში, ზოგადად, კონფლიქტები და, მათ შორის, გამორჩეულად, ეთნოპოლიტიკური ხასიათის კონფლიქტები, ისე მჭიდროდ გადაეჯაჭვა მედიაინდუსტრიას, რომ ერთის განხილვა მეორის ანალიზის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

როდესაც მზადდება უურნალისტური მასალა ეთნოპრობლემებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ კონფლიქტის მეორე მხარის წარმომადგენლები – იქნებიან ესენი ეთნიკური ოსები თუ აფხაზები – ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან, დაუშვებელია მათი დაყოფა – ჩვენ და ისინი. ჩვენ, აპრიორი, სხვებად აღვიქვამთ მათ, ვინც გვინდა, რომ ჩვენი ნაწილი იყოს. ხოლო, როდესაც ვლაპარაკობთ ტერიტორიების დაბრუნებაზე, აქცენტი მიწის კვადრატული მეტრობით დაბრუნებაზე კი არ უნდა კეთდებოდეს, არამედ ამ ტერიტორიებზე დასახლებული ადამიანების დაბრუნებაზე.

თანამედროვე უურნალისტიკა ხშირად ორიენტირებულია უფრო

მეტად სენსაციაზე და სკანდალზე, ვიდრე უურნალისტური სტანდ-არტების დაცვაზე. გასათვალისწინებელია, რომ ეთნიკურ უმცირესობებს მარადიული, ექვისტენციალური ინტერესები გააჩნიათ. მედიასაშუალებებში ეთნოპრობლემების გაშუქებისას გათვალისწინებული და დაცული უნდა იყოს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები და, ამასთან, უურნალისტების ინტონაცია და რიტორიკა თავისუფალი იყოს ეთნოშოვინიზმისა და ფსევდოლიბერალური ინტერნაციონალიზმისაგან.

დებატები



მამუკა არეშიძე – უურნალისტი, კონფლიქტოლოგი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში: „სულ რაღაც ორი თუ სამი დღის წინ, საზოგადოებრივი მაუწყებლიდან დაითხოვეს გოგა ჭყონია – საქართველოს უახლესი ომების ისტორიის შემქნელი უურნალისტი, ისევე, როგორც ადრე დაითხოვეს ტელეურნალისტი გურამ გორელიშვილი,

რომელიც 1992-1993 წლების ომის ცოცხალი მემატიანეა... მე თუ მკითხავთ, ყველას, ჭყონია იქნება ეს, გორელიშვილი თუ საქართველოს იმ პერიოდის ისტორიის შემქმნელი ნებისმიერი სხვა უურნალისტი, უნდა ვუფრთხილდებოდეთ, ისინი, ლამის, ბამბაში უნდა გვყვდეს შენახული..."

ერთსაც გეტყვით: ერეკლეს მოედანზე, მაშინდელი საქართველოს უურნალისტთა ფედერაციის შენობაში, რომელიც შემდეგში გაიყიდა, განთავსებული იყო აფხაზეთში 1992-93 წლებში დაღუპულ უცხოელ და ქართველ უურნალისტთა ხსოვნის სტელა, რომელიც, სამწუხაროდ, შენობიდან მოისროლეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და სულ ახლახანს, სრულიად შემთხვევით, აღმოვჩინე მედია-კავშირ „ობიექტივის“ შენობაში – მათ უპოვაათ და წამოულიათ. ყოველივე ამით მინდა მივანიშნო, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს ომგამოვლილი უურნალისტების მიმართ – ერთი შხრივ, ასე-თი მნიშვნელოვანი და საინტერესო კონფერენცია ტარდება, ხოლო, მეორე მხრივ, ამგვარ დამოკიდებულებას ვაწყდებით... ეს მინდა იცოდეს ყველამ – ხელისუფლების წარმომადგენელმა, პარლამენტის წევრმა... ყველამ!"

უურნალისტი და მწერალი დეა ცუცქირიძე – გაზეთი „კვირის პალიტრა“ (აფხაზეთის ომისა და გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს სხვა შეიარაღებული დაპირისპირებების ამსახველ რომან „ჯარისკაცის“ ავტორი): „დღეს აქ მოხსენებით და სიტყვით გამომსვლელებმა რამდენჯერმე ახსენეს გაზეთი „შანსი“. მე ვარ მისი წარმომადგენელი და დღეს აქ ჩემთან ერთად იმყოფებიან ჩემი კოლეგები, ყოფილი შანსელები. დიდი მადლობა ბატონ კაკი სიხარულიძეს, რომელიც იმ პე-



რიოდში საქართველოს უურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე იყო და კარგად ახსოვს ჩვენი გაზეთის ერთსულოვნება და თავდადება აფხაზეთის ომში. გვეამაყება, რომ ომის დროს ვიყავით იქ, სადაც უნდა ყოფილიყო ბევრი ჩვენგანი. „შანსის“ რედაქტორი, როგორც აქ ითქვა, თითქმის სრული შემადგენლობით, თბილისიდან სოხუმში გადავიდა სამუშაოდ. ჩვენ სოხუმში ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, დაუფიქრებლად წავედით. ბუნებრივია, მაშინ დაფასებებზე და ჩინ-მედლებზე არ ვფიქრობდით და არც იმაზე, დამარცხებული სოხუმი-დან ჩვენი იქ ყოფნის დამადასტურებელი რაიმე საბუთი წამოველო, რათა მომავალში სადღაც ან რაღაცაში გამოგვეყენებინა. ბატონმა მამუკა არეშიძემ აქ აღნიშნა, როგორი პატივით ღებულობდა საქართველოს პრეზიდენტი უურნალისტებს, რომლებმაც 2008 წლის ომი გამოიარეს. ჩვენით კი სახელმწიფო არასოდეს დაინტერესებულა! ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის საბუთის მიღებაზეც უარი გვითხრეს, თქვენ არ გეკუთვნითო... ნამდვილად გულდასაწყვეტია, ასეთი დამოკიდებულება ომის მემატიანე უურნალისტებისადმი.

„ომი ცხოვრების აჩქარებული მაჯისცემის გამომჟღავნებაა“

კონსტანტინე გამსახურდია

ირაკლი ალადაშვილი

სამხედრო ექსპერტი, სამხედრო-ანალიტიკურ
ურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი



- მისასალმებელია, რომ ტარდება დღევანდელი ტიპის კონფერენცია. მე თავის დროზე, აფხაზეთის ომის შემდეგ, მქონდა ანალოგიური კონფერენციის მოწყობის იდეა, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოხერხდა;
- არცერთი რეპორტაჟი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არ ღირს უურნალისტის სიცოცხლის, ან ფიზიკური ზიანის ფასად;
- სამწესაროდ, 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს, უურნალისტებმა თითქმის ერთი ერთზე გავიმეორეთ ის შეცდომები, რაც აფხაზეთის ომის დროს გვქონდა;
- უურნალისტების მომზადება, სამხედროების მსგავსად, მშვიდობიან დროს უნდა ხდებოდეს. ჩვენი რედაქტორების, ტელევიზიისა თუ გაზეთების დამფუძნებლების პრობლემა და ბრალი იმაშია, რომ ერთი და იგივე უურნალისტი შეიძლება, დილით რომელიმე სპორტული ღონისძიების გასაშუქრებლად გააგზავნონ, შეადლეს – სამხედრო პოლიგონზე, საღამოს კი – ბალეტზე. ასეთი მიღებით ჩვენ სამხედრო უურნალისტიკას ვერ განვავითარებთ;

- შეიარაღებული კონფლიქტის დროს უურნალისტს უნდა ახსოვდეს, რომ მის მიერ გამოქვეყნებულ მასალას, რომელსაც გაფაციცებით ადვანცებს თვალ-ყურს მოწინააღმდეგე მხარე, არ მოყვეს მსხვერპლი. ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს შენი სტატიის, ან ტელესიუჟეტის გამო – მებრძოლი, ან სამოქალაქო პირი – ეს იქნება უდიდესი ტრაგედია უურნალისტისთვის.

სამხედრო-ექსტრემალური უურნალისტიკის სპეციულიკა, როგორც ომში უურნალისტთა შეცდომების შეაცირების საშუალება

დღეს ჩვენ ძალიან სერიოზულ თემებზე სასაუბროთ შევიკრიბეთ და მიხარია, რომ ეს მეტად საჭირო კონფერენცია, რომელიც ადრეც უნდა ჩაგვეტარებინა, აფხაზეთის მთავრობის ორგანიზებითა და ხელშეწყობით შედგა.

რით განსხვავდება სამხედრო უურნალისტი მისი კოლეგებისგან, ანუ იმათგან, ვინც აშუქებს კულტურის, პოლიტიკის, სპორტის მიმართულებებს? იმით, რომ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სამხედრო უურნალისტს ესვრიან და ის შეიძლება მოკვდეს. მე ყოველთვის ვამბობდი და ჩემს სტუდენტებსაც ვასწავლი, რომ ომის უურნალისტიკას გააჩინია ორი მთავარი ფუნქცია: პირველი, რაც ყველა უურნალისტმა უნდა იცოდეს – მიიტანოს სიმართლე საზოგადოებამდე და მეორე – ცოცხალი დარჩეს. არ ღირს არცერთი ინფორმაცია იმისთვის, რომ უურნალისტმა თავი განირის. რაც არ უნდა მნიშვნელოვანი და სენსაციური არ უნდა იყოს ესა თუ ის რეპორტაჟი თუ სტატია, ის შეიძლება 10 წუთში გადაფაროს სხვა, უფრო მნიშვნელოვანმა ინფორმაციამ.

რა საფრთხეები აქვს უურნალისტს ომში? აბსოლუტურად იგივე საფრთხე, რაც ემუქრება ყველა მებრძოლს და კიდევ დამატებითი საფრთხეებიც.

უურნალისტმა უნდა იცოდეს ამ ძირითადი საშიშროებების შესახებ და ყოველთვის უნდა ეცადოს, გადაირჩინოს თავი. ომის უურნალისტმა მთავარია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს

საზოგადოებას და პირიქით – არ მიაწოდოს მოწინააღმდეგე მხარეს, რომ მის ინფორმაციას არ მოჰყვეს მსხვერპლი. ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს უურნალისტის სტატიის, ან სიუჟეტის გამო – მებრძოლი, ან სამოქალაქო პირი, ეს იქნება უდიდესი ტრაგედია პირადად ავტორისთვის. აფხაზეთის ომის დროს კი ამის გამოცდილება არავის ჰქონდა და ვერც ექნებოდა – საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო და, ამდენად, მცნება „სამხედრო უურნალისტიკა“ საერთოდ არ არსებობდა. მე ვიტყოდი, ერთადერთი უურნალისტი, რომელიც სამხედრო საქმეებში, ასე თუ ისე, ჩახედული იყო, ეს იყო გივი ბაქრაძე. ბევრს გეხსომებათ, ალბათ, მისი საავტორო ტელეპროგრამა „სპა“, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეგიდით გადიოდა პირველ არხზე, ასევე, რუსულენოვანი გადაცემა „на страже южных рубежей“, რომლის ავტორი და წამყვანიც თავად იყო. ბატონ გივისთან ცხინვალში მომინია ყოფნა და მისგან დიდი გამოცდილება მივიღე, თუმცა, ამ მიმართულებით ძირითადი ცოდნის მიღება მაინც უშუალოდ ბრძოლის ველზე, ფრონტის ხაზზე ხდება. პირადად მე შვიდი შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქება მომინია... ვიყავი ჩეჩენეთში, ერაყშიც. მეხუთე წელია, ვცდილობ გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში ექსტრემალური უურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს ავუხსნა, როგორ უნდა იმუშაონ ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების, შეიარაღებული კონფლიქტების დროს... მიუხედავად ამისა, 100 პროცენტიანი გარანტია, რომ ყველაფერი სწორად და ოპიექტურად გაამუქო და ცოცხალიც გადარჩე, მაინც არავის აქვს, ვინაიდან ეს, სხვა თუ არაფერი, ყველაზე მეტად უფალზეა დამოკიდებული.

აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, გამიმართლა იმ მხრივ, რომ, როგორც უურნალისტს, ომის პატარა გამოცდილება უკვე მქონდა მიღებული. იმ პერიოდში, როდესაც მუშაობა დავინწყე გაზეთ „7 დღის“ სამხედრო კორესპონდენტად, ქართულ მედიაში ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები იბეჭდებოდა ცხინვალის ომის გარშემო. ცოტა გადაჭარბებულად თუ არ მოგეჩვენებათ, იყო შემთხვევები, როცა უურნალისტები საბრძოლო ტერიტორიას საბრძოლო იარაღისგან ვერ არჩევდნენ. სამხედრო საქმე ბავშვობიდან მაინტერესებდა და ამი-

ტომაც მქონდა შინაგანი სამართლიანი პროტესტი ყოველივე ამის გამო... ასე ჩავერთე ომში!

როდესაც ცხინვალში საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა, ზემო ნიქოზში სამშვიდობო ძალების შემადგენლობაშიც დიდხანს დავყავი. ასე რომ აფხაზეთის ომში შედარებით მომზადებული და, ასე ვთქვათ, კვალიფიკაციამიღებული სამსედრო კორესპონდენტი წავედი.

შეიარაღებული კონფლიქტების დროს მსოფლიოში უამრავი უურნალისტი იღუპება... აფხაზეთში მარტო მარტის ცნობილი შეტაკების დროს სამი უურნალისტი დაიღუპა მენაღმეებთან ერთად. მენაღმეები განაღმვით პპერაციას ატარებდნენ. ჩამოგდებული ბომბებიდან რამდენიმე არ აფეთქდა და უურნალისტებს სურდათ, ბომბზე რუსული წარწერა დაეფიქსირებინათ. სწორედ აქ დაუშვეს შეცდომა, როგორც მენაღმეებმა, ასევე, უურნალისტებმაც: არის სპეციალური ამფეთქებელი, რომელიც, სხვათა შორის, ადრე თბილისში ინარმოებოდა. იგი შეიძლება ჩამოგდებისას არ აფეთქდეს, მაგრამ აფეთქდეს მისი განძრევის შემთხვევაში. უურნალისტებმა მოინდომეს ბომბზე რუსული წარწერის გადაღება და დაფიქსირება, რაც, ვფიქრობ, არ იყო აუცილებელი, ვინაიდან ყველა ბომბი, და, მათ შორის, ის ბომბებიც, რომლებსაც ჩვენ ვაგდებდით, რუსული იყო. დაღუპული უურნალისტები და მენაღმეებიც, რომლებიც, ასევე, დაიღუპნენ, ჩემი მეგობრები იყვნენ და იმ პერიოდში იქ რომ ვყოფილიყავი, მეც ალბათ, იგივე ბედს გავიზიარებდი. ამით იმის თქმა მინდა, რომ უურნალისტმა უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს საარტელერიო დაბომბვის დროს, საავიაციო დაბომბვის დროს, სნაიპერის მოქმედების დროს, საკონტროლო გამშვებ დანერგებისათვის დაკავშირებისათვის დროს, მონინააღმდეგებსთან შეხების დროს, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში მოხდა 1992 წლის ნოემბერში, გაგრის დაკარგვის შემდეგ. იმ პერიოდში ორჯერ ვიყავი გუდაუთაში ტყვეების გაცვლასთან დაკავშირებით – ერთხელ – შვეულმფრენით, მეორედ – თვითმფრინავით... გამოვიყვანეთ ტყვეები, მაგრამ მონინააღმდეგებსთან შეხვედრამ პირადად მე საკმაოდ რთულ სიტუაციაში ჩამაგდო, ლამის დახვრეტის დონემდე. აინტერესებდათ, ვინ ვიყავი, რატომ ვიყავი... იყო დიდი გარჩევა-გამორჩევა.

უურნალისტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძალოვანი სტრუქ-

ტურების სამსახურებთან ურთიერთობას – ეს საკითხი მაშინაც პრობლემატური იყო და დღეს ხომ არის და არის. პირადად მე ხუთი წელი ვიყავი შინაგანი ჯარის პრესამსახურის უფროსი, შემდეგ 10 წელი – როგორც ოფიცერი და ამიტომაც ვიცი, რომ ეს ურთიერთობები ძალიან ძნელა დასარეგულირებლად, მით უმეტეს, ომში, ფრონტის ხაზზე. უნცების წარმომადგენლები ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები ინფორმაცია მოგცენ. შენ, უურნალისტს კი გინდა, მეტი ინფორმაცია აიღო და სწორედ აქ არის ინტერესების ერთგვარი დაპირისპირება.

უურნალისტმა და, მით უფრო, დამოუკიდებელმა უურნალისტმა, უნდა განსაზღვრო, სად გადის ზღვარი შენი ქვეყნის სპეცსამსახურებთან. მე ჩემს სტუდენტებს ვასნავლი, რა მსგავსება და რა განსხვავებაა უურნალისტსა და სპეცსამსახურის თანამშრომელს შორის. მსგავსებაა ის, რომ ორივე მოიპოვებს და ამუშავებს ინფორმაციას, განსხვავება კი იმაშია, რომ უურნალისტი აქვეყნებს ამ ინფორმაციას, სპეცსამსახურის თანამშრომელმა კი შეიძლება დააწეროს „სრულიად საიდუმლო“, ჩადოს სეიფში, ან, თუ დასჭირდა, გამოაქვეყნოს რომელიმე უურნალისტის მეშვეობით. ასეთ დროს უურნალისტს მართებს დიდი სიფრთხილე, რომ არ იყოს გამოყენებული ვინმეს მიერ. ეს რაც შეეხება პრაქტიკას და საკუთარ გამოცდილებასაც. ხოლო რაც შეეხება თეორიას, მისი ცოდნა აუცილებელია საბრძოლო მოქმედების, ომის გამუქების დროს. უურნალისტმა უნდა იცოდეს ისტორია – რატომ დაიწყო ესა თუ ის კონფლიქტური სიტუაცია, რა ომია, ვინაა დაპირისპირებული მხარეები, რა ძალებია კონცენტრირებული, როგორი შეიარაღებული ძალები ჰყავს თითოეულ მხარეს, ვინაა ლიდერი. და ა. შ. უნდა იცოდე, როგორ ჩახვიდე, თუ საჭირო გახდა, როგორ განახორციელო ევაკუაცია, როგორ მოიქცე დაბომბვის დროს, რას ამოეფარო, რა ჩაიცვა, რა აღჭურვილობა უნდა გქონდეს... ყოველივე ეს წინასწარ უნდა იცოდე, რომ მერე იქ არ იწვალო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა შევაჩერო უურნალისტის აღჭურვილობაზე, რომლის მხრივ განებივრებულები არცერთი კონფლიქტის დროს არ ვიყავით და არც დღეს გვაქვს უკეთესი სიტუ-

აცია. მახსოვს როგორი შურის თვალით შევყურებდით სოხუმში „სიენენის“, „როიტერის“ უურნალისტებს, რომლებსაც ჯავშანუი-ლეტები ეცვათ და ჩაფხუტები ეხურათ... ყოველივე ეს აუცილებელი ატრიბუტია, რომ ცოცხლად დარჩენის მეტი შანსი გქონდეს. თუმცა, უურნალისტის ჩატმულობა, მისი გარეგნული იერი, არამც და არამც არ უნდა იყოს მიახლოებული მებრძოლის აღჭურვილობასთან, რათა სამხედრო პირად არ ჩაგთვალონ და მონინააღმდეგებმ, სნაიპერმა სამიზნედ არ მოგნიშნოს. აუცილებელია, სამოსელზე დიდი ასოებით ეწეროს „TV“, ან „PRESS“

მისასალმებელია, რომ ტარდება დღევანდელი ტიპის კონფერენცია. მე თავის დროზე, იგივე აფხაზეთის ომის შემდეგ, მქონდა ანალოგიური კონფერენციის მოწყობის იდეა, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს, უურნალისტებმა თითქმის ერთი ერთზე გავიმეორეთ ის შეცდომები, რაც აფხაზეთის ომის დროს გვქონდა. ერთ ფაქტზე შევჩერდები, რომელიც დღემდე ვერ მომინელებია – 2008 წლის 8 აგვისტოა, დღის პირველი საათი, ვდგავართ ცხინვალის მოსაზღვრე სოფელ მელვრეკისთან, უურნალისტებს პირდაპირი ჩართვა აქვთ – ჩანს აბრა, სადაც სოფლის სახელწოდება წერია, იქ, შორს, ცხინვალიდან ბოლო ამოდის... ერთი შესედვით, შესანიშნავი კადრია სიტუაციის გადმოსაცემად. უურნალისტებიც იღებენ, როგორ მოძრაობები ჩვენი ტანკები ცხინვალის მიმართულებით, რამდენი ტანკია და აშ. ერთი სიტყვით, ეს „შესანიშნავი“ კადრი, სამშატელევიზიამ (თავს შევიკავებ მათი დასახელებისგან. ი.ა) გაუშვა პირდაპირ ეთერში... მონინააღმდეგე მხარე კი ამაზე უსწრაფესად ინფორმაციის მიღებას, ალბათ, ვერც ინატრებდა. მართალია, მათ თავიანთი საგუშაგოების მეშვეობით, რაციით მიეწოდებოდათ ინფორმაციები, მაგრამ ჩვენ „დავასწარით“ და პირდაპირ ეთერში ვაცნობეთ ყველაფერი. სხვათა შორის, მაშინ იქვე იდგა თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი, რომელსაც ამ ფაქტზე ყურადღება არ გაუმახვილებია. მართალია, ბევრი წარმატებული ქვეყნის უურნალისტებსაც მოსდით ხოლმე შეცდომები შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მაგრამ ასეთი სახის შეცდომა უკვე დანაშაუ-

ლის ტოლფასია. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, მანამდე აღვიტურვოთ შესაბამისი ცოდნით, ვიდრე, ღმერთმა ნუ ქნას, ომი დაიწყება.

ჟურნალისტების მომზადება, სამხედროების მსგავსად, მშვიდობიან დროს უნდა ხდებოდეს. ჩვენი რედაქტორების, ტელევიზიოსა თუ გაზეთების დამფუძნებლების პრობლემა და პრალი იმაშია, რომ ერთი და იგივე ჟურნალისტი შეიძლება დილით რომელიმე სპორტული ღონისძიების გასაშუქრებლად გააგზავნონ, შუადღეს – სამხედრო პოლიგონზე, საღამოს კი – ბალეტზე. ასეთი მიდგომით ჩვენ სამხედრო ჟურნალისტებას ვერ განვავითარებთ და ვერც სამხედრო ჟურნალისტებს აღვზრდით. კიდევ ერთხელ ვამბობ, ღმერთმა დაგვიცვას ომი და უბედურებებისგან, მაგრამ ცოდნით, რომელიც სხვადასხვა ექსტრემალურ სიტუაციებში გამოგვადგება, აუცილებლად უნდა ვიყოთ აღჭურვილნი.

მსგავს საკითხებში გაცნობიერების მიზნით თავდაცვის სამინისტრო ბოლო ორი წელია, აწყობს ჟურნალისტთა შეკრებებს. ასეთი შეკრება ჩატარდა სენაკის სამხედრო ბაზაზე, სადაც მიზვეული ვიყავი, როგორც ექსპერტი. შეკრებაში ტელევიზიოსა და პრესის დაახლოებით 20-ამდე ჟურნალისტი მონაწილეობდა. იყო საპრალო მოქმედების იმიტაცია და ვაკვირდებოდით სხვადასხვა სიტუაციაში, როგორ იქცეოდნენ და რა გამოსავალს პოულობდნენ, ან ვერ პოულობდნენ ჟურნალისტები. ერთ ფაქტს გეტყვით ამ სიმულაციური ომიდან: ჟურნალისტები მიყვებიან სამხედროებს, მონინააღმდეგე ისვრის, სამხედროები ეცემიან, ერთ-ერთი დაჭრილი მეთაურიც ეცემა და ავტომატი აწვდის ჟურნალისტს სიტყვებით: „დაგვეხმარეთ, მოგვსდევენ, გველავენ...“ ორმა ჟურნალისტმა გოგონამ – არავითარ შემთხვევაში იარაღს არ ავიღებთო. ერთმა კი, სხვათა შორის, დაჟინების შემდეგ, მაინც აიღო. ოპერატორმა კი ისე გადადო კამერა და აიღო ავტომატი, რომ არც დაფიქრებულა და მგონი შეძახილითაც გაეკიდა „მტერს“. აქედან დასკვნა – პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ჟურნალისტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აიღოს ხელში იარაღი. ასეთ დროს ის უკვე გადადის კომბატანტის რანგში, ანუ ხდება მებრძოლი. თუმცა, შეიძლება ისეთი სიტუაციაც შეიქმნას, რომ წესების დაცვის თავიც არ გქონდეს. ანალოგიურ

სიტუაციაში, ვაღიარებ, მეც მოვხვედრილვარ სოხუმის ალყის დროს, თუმცა, მაინც უნდა ვეცადოთ, არ გადავუხვიოთ სამხედრო უურნალისტისათვის აუცილებელი პროფესიული ეთიკის ნორმებს.

სხვა უურნალისტებს ნუ ეწყინებათ, მაგრამ სამხედო უურნალისტიკა ერთ-ერთი ყველაზე რთული მიმართულებაა ჩვენს პროფესიაში. აქ საუბარია შენს სიცოცხლეზე, როდესაც შენ გესვრიან და არ გაქვს უფლება, თვითონაც ესროლო. შენი მთავარი მოვალეობაა, აიღო რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალდე და, ამაზე უმთავრესი – ცოცხალი დაუბრუნდე შენს ოჯახს და ქვეყანას.

„რატომ უდია გავაშუქოთ როი? – იმიტომ, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, რას აკათაბს მისი მთავრობა, შეიარაღებული ქალები. ჩვენი, ზურნალისტების, მისიაა, ქალაუფლების მართვა ადამიანებს ვუთხრათ სიმართლე როის თანდავი საშინალებების შესახებ. ჩვენ მათ სახლში ვუგზავნით ისტორიის პირველ ესპიზებს“

მარი კოლვინი
ამერიკელი უურნალისტი, ომის რეპორტიორი.
დაილუპა სირიაში.

ზაზა ცოტნიაშვილი

ქავებასის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი



- საინფორმაციო ომში გავლენის მომხდენი სახელმწიფოს მიზანია, მოახდინოს საზოგადოების გახლეჩა. ჩვენ ისე ვიხლიჩებით, რომ ამას ვერ ვერძნობთ. სწორედ ამაშია ჰიბრიდული ომების განსხვავებული საფრთხეები – იყოს უხილავი და აქტიურად იმოქმედოს საზოგადოების ცნობიერებაზე;
- 37 მანეთიან ბილეთზე დავა არის ძალიან კარგად დამუშავებული, ძალიან კარგად მოფიქრებული თემა და ისე „შემოგდებული“ საზოგადოებაში;
- შეიძლება ერთმანეთის რაღაც არ მოგვწონდეს, განსხვავებული აზრები გვეონდეს, მაგრამ თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნება გვინდა, საინფორმაციო ომში ერთად უნდა დავდგეთ და სახელმწიფოსაც მოვთხოვთ, დახარჯოს რესურსები ამ მიმართულებით.
- მაქსიმალურად უნდა დავიცვათ თავი ამ კიბერთავდასხმების-გან, როგორც ეს თავის დროზე ესტონეთმა გააკეთა. ამისთვის

- უნდა შეიქმნას მძლავრი ინტერნეტ-რესურსი;
- ამ კონფერენციის ანალოგიური ღონისძიებების ჩატარებით საქართველოში ნაკლებად იქნება რეალიზებული ჩვენი დიდი მეზობლის ამბიციები.

მედია და საინფორმაციო ორგანიზაციები

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ არის ძალიან ნაყოფიერი კონფერენცია. აქ შეკრებილი ადამიანები კონსოლიდირებულნი არიან ერთი აზრის გარშემო, რომ მშვიდობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ყველაზე მოსაწონი, რაც დღეს აქ უკვე გამოიკვეთა, არის ის აზრი, რომ ეს კონფლიქტი არ იყო ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის, რომ ეს არის პოლიტიკური კონფლიქტი, რომელშიც ჩართულნი არიან ზესახელმწიფოები და, ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ მას დავარქმევთ თავის სახელს.

ტერმინი „საინფორმაციო ომი“ ამერიკული კონცეფციაა, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და მენეჯმენტს მოწინააღმდეგებზე უპირატესობის მოსაპოვებლად. საინფორმაციო ომის მეთოდებს მიეკუთვნება:

ტელევიზიონისა და რადიოგადაცემების ჩახშობა, დეზინფორმაციის გავრცელება, ლოგისტიკური ქსელების დაბლოკა, მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა და სხვა.

2007 წელს რუსეთის დაპირისპირება ესტონეთთან გადაიზარდა სერიოზულ კიბერ-შეტევაში, რამაც ესტონურ ინტერნეტსივრცეს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. გარკვეული დროის განმავლობაში მიუწვდომელი იყო ესტონური ინტერნეტ-რესურსები, დაზიანდა ესტონური საიტები.

2008 წელს განხორციელდა მსხვილმასშტაბიანი შეტევა ქართულ სამთავრობო ინტერნეტსივრცეზე ხელისუფლების, მოქალაქეების და საერთაშორისო საზოგადოების დეზინფორმაციის მიზნით.

2014 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის ტერიტორიების ნაწილის ოკუპაციის შემდეგ, განხილვის საგანი გახდა რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული საინფორმაციო და

ფსიქოლოგიური ოპერაციების შედეგი – უკრაინამ თავისი მოსახლეობის სოლიდარობა დაკარგა.

კაცობრიობა ახალი გამოწვევის წინაშეა – მრავალი წლის განმავლობაში გამოყენებადი საინფორმაციო ომი სულ უფრო აქტუალური ხდება.

საინფორმაციო ომი, რომელიც უხილავია, მაგრამ – ძალიან საშიში, გამუდმებით მიმდინარეობს. მას განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვს ლოკალურ კონფლიქტებზე. არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეთნიკურ კონფლიქტებად წარმოჩენილი დაპირისპირებანი დიდი იდეოლოგიებს შორის კონფლიქტის შედეგია და ისინი ნაციონალურ ნიადაგზე სწორედ საინფორმაციო ომის წარმოების საშუალებით გადაიყვანეს. ქართულ-ოსურ ურთიერთობაში ბზარის გაჩენაც სწორედ ქართულ და ოსურ მხარეებად ჩამოყალიბებით შეძლეს.

90-ინი წლები იყო ასეთი პროპაგანდისტული შემოტევის მნიშვნელოვანი ეტაპი, თუმცა, სულ უფრო იხვევება დიდი სახელმწიფოების მეთოდები, რაც ორი ხალხის ურთიერთობის დაპირისპირების რეჟიმში შენარჩუნებას ემსახურება. ლოკალურ კონფლიქტებში უშუალოდ ჩართული მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად განმუხატავს ვითარებას.

საინფორმაციო ომის ცნების გააზრებისთვის საინტერესოა ფრანკ ჰოფმანის მიერ ჰიბრიდული ომის ინტერპრეტაციის წარმოდგენა: „ეს არის ბრძოლის სხვადასხვა მეთოდების, მათ შორის კონვენციურის, არარეგულარული ტაქტიკის და ფორმირებების, ტერორისტული და კრიმინალური მოქმედებების კომბინირებული გამოყენება გამარჯვების მისაღწევად“ [1]. მისი აზრით, მომავალ ომებში გაერთიანებული იქნება ტრადიციული და არარეგულარული საბრძოლო მოქმედებები, ტრადიციული კონფლიქტის ლეტალურობა შერწყმული იქნება არარეგულარული ბრძოლის ფანატიზმსა და გრძელვადიან ბუნებასთან.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში შეიქმნა 1922 წლის 20 აპრილს – ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ, რუსეთისა და საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის წყალობით, რუსეთის კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახეომსაბჭოს დეკრეტით.

საქართველოში რუსი ელჩის – ტატისჩევის (1604-1615) ცნობით, XVII საუკუნის დასაწყისში ოსები უკვე კომპაქტურად სახლობდნენ სოფელ ზახასა და მალრან-დვალეთში. ამავე საუკუნის შუა ნლებში ისინი დასახლებულან დიდი ლიახვის სათავეებშიც. XVIII საუკუნის 70-იანი წლებისთვის კავკასიონის სამხრეთ კალთებზე 2860 კომლი ოსი სახლობდა. აქედან – 860 – სამაჩაბლოში, 200 – საერისთაოში, დანარჩენი – სხვა ადგილებში. ცხინვალში, ვიდრე XX საუკუნემდე, მხოლოდ ქართველები, სომხები და ებრაელები სახლდებოდნენ. ოსთა ერთი ნაწილი ქართლში ჩამოსახლებისთანავე „ქრისტიანად“ ინა-თლებოდა და ცდილობდა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებათა გათავისებას, რაც მათ შეგნებაზე, ზოგად კულტურაზე, ხასიათსა და ქცევაზე ერთგვარ სასიკეთო გავლენას ახდენდა. ახლადჩამოსახლებულ ოსებს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ყოველმხრივ დახმარებას უწევდა, როგორც ეზო-სახლ-კარის მოწყობა-მოწესრიგებაში, ბალვენახების გაშენებასა და სხვა სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებაში. ქართველი მეფები, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეები ყოველ ღონის ხმარობდნენ ჩვენს მოძმე თხებში წერა-კითხვისა და ცოდნა-განათლების გავრცელებისათვის.

ოსთა შვილების სწავლა-განათლების საქმეს დიდი ამაგი დასდოლრმად განათლებულმა მეფე-პოეტმა არჩილმა. მან ოსთა მოწინავე პირნი შეყარა და უქადაგა განათლების მნიშვნელობა. ოსებმა თანხმობა განუცხადეს. არჩილმა რამდენიმე ოსი რუსეთში გაიყოლა და 1700 წელს მოსკოვში გააცნო რუსული სასტამბო საქმეები და ქართული ასოების ყალიბები, რაც ოსებს, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავს, [3] დიდად მოეწონათ.

ქართველი მეფეები ოსთა ეკლესია-მონასტრებს დიდ დახმარებას უწევდნენ, როგორც მოსახლეობაში ჭეშმარიტი ცოდნა-განათლების გავრცელების ნამდვილ მისიის მქონეთ. ქართლის მეფე გიორგი XI-მ (1671-1688 და 1703-1709წწ) ოსებთან მეგობრული ურთიერთობის ნიშნად ცეისის სიონის სოფელ ძივგისის მონასტერს ნაჩუქრობის

ნარწერით ზარები შესწირა.

საბჭოთა პერიოდი სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში ქართველთა შევიწროვებისა და დისკრიმინაციის, გაოსება-გარუსების, კრემლის გეგმაზომიერი პოლიტიკითაა ნიშანდობლივი, რასაც თბილისის საბჭოთა, მაგრამ ქართულმა ხელისუფლებამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია, პირიქით, ყოველი ცკ-ს მდივანი გულმოდგინედ ასრულებდა მოსკოვის დირექტივებს, ერთგულების დასადასტურებლად კი ამ მიმართულებით მეტ ინიციატივას იჩენდნენ. რუსული იმპერიული მიზანი და ინტერესი ჩვენს ეპოქაში მთელი სისრულით, უკვე 1991 წელს გამოვლინდა იმ ფორმით, რასაც შეეწირა ჩვენი ცხოვრება - გამოხატული მძმე გუშინდელი, დღევანდელი და გაურკვეველი ხვალინდელი დღით.

ცნობილი პილიტიკური და საომარი პროცესების გამო ქართულ წიაღს მოწყვეტილი ცხინვალის რეგიონი იზოლირებულ ერთეულად ჩამოყალიბდა და რუსეთის ფედერაციის სრული გავლენის პირობებში აგრძელებს ცხოვრებას.

1992 წლის ბოლოდან ცხინვალის რეგიონში მუშაობა დაიწყო ეუთო-ს მისიამ საქართველოში. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა ათასამდე, ხოლო უგზოუკვლიოდ დაიკარგა ასამდე ადამიანი. დაახლოებით 70-80 ათასამდე ადამიანი გააძევეს საცხოვრებელი სახლებიდან. რეგიონი, ფაქტობრივად, დაცარიელდა. დღეის მდგომარეობით, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა 15-20 ათასს შეადგენს.

ბუნებრივია, რომ საინფორმაციო ომი, რომელიც დღეს მძლავრად მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში, აღნიშნული რეგიონის საქართველოსგან სრული გამიჯვნის მიზნით აქტიურად ხორციელდება.

შექმნილ ვითარებაში რუსეთმა მოახერხა თავის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტში „შუამავლისა“ და „მშვიდობისმყოფლის“ როლი ეკისრა. 1992 წლის 24 ივნისს რუსეთის შუამდგომლობით გაფორმებული (სოჭის) ხელშეკრულებით რეგიონში განლაგდა შერეული სამშვიდობო ძალები (რუსული, ქართული და ოსური შემადგენლობით) და შეიქმნა შერეული საკონტროლო კომისია.

ამ დროისთვის ცხინვალის რეგიონში განლაგებულია რუსეთის

ფედერაციის საოკუპაციო ძალები, რითაც ორდვევა ევროკავშირის ყოფილ პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შეამავლობით გაფორმებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომელიც რუსეთს ავალდებულებს სამხედრო ძალების უკან, კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე გაყვანას. რუსეთის ფედერაციის უკანონო გადაწყვეტილებას, ცხინვალის რეგიონისა/სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარებასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე მხარს უჭერს მხოლოდ ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად, ტუვალუმ და ვანუატუმ უკან წაიღო აღიარების გადაწყვეტილება.

დიდი პიპრიდული დაპირისპირება, რომელშიც რუსეთი აქტიურად მონაწილეობს, ცხინვალის რეგიონს წარმოაჩენს რუსეთის პოლიტიკის გამტარებელი ოსური მოსახლეობის ისტორიულ სამშობლოდ, რაც „წარმატებით“ ვრცელდება მთელ მსოფლიოში გაყალბებული საინფორმაციო უზრუნველყოფით.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ადგილობრივი საოუკაპაციო საინფორმაციო სივრცეზე დაკვირვება, რომელიც კრემლის პოლიტიკის მხოლოდ „ექს“ წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული მხარის აქტიურობის ხარისხი ამ მიმართულებით საკმაოდ დაბალია, ზოგიერთი ჩინოვნიკის გადაწყვეტილებით, წლების წინ დაიხურა ადგილობრივი გაზეთები: „შიდა ქართლი“, „ცხინვალი“ და „ლიტერატურული ცხინვალი“, რომელთა საქმიანობა საკმაოდ ეფექტურიანი იყო რეგიონის წარსულისა და დღევანდელობის ობიექტურად გაშუქების თვალსაზრისით.

ასეთ ფონზე რუსულ-ოსური ადგილობრივი პროპაგანდის იარაღი აქტიურ საქმიანობას ეწევა.

რუსული ტრადიციული მეთოდები უცვლელი რჩება. მედიის საშუალებები, კვლავინდებურად, კრემლის პოლიტიკის განვითარების და მოსახლეობამდე საკუთარი პოლიტიკის დაყვანის ერთ-ერთ მძლავრი იარაღია.

გასული საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებული დატვირთვა ტელევიზიაზე, რადიოსა და ბეჭდურ მედიაზე მოდიოდა, ამჟამად წინა პლანზე წამოვიდა, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონში, თანამე-

დღოვე მედიასაშუალება – ინტერნეტშურნალისტიკა. მულტიმედია სისტემები ერთობ კარგადაა განვითარებული ცხინვალის რეგიონში. ამ თვალსაზრისით საინტერესო საინფორმაციო საშუალებებია: „იუ-ჟნაია ოსეტია“ (Южная Осетия) (რესპუბლიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი); „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ვებგვერდი“; „ხურზარინ“ (Хурзэрин) (ცისკარი); „ოსინფორმი“ (Осинфором) (საინფორმაციო სააგენტო); „ირისთონ.კომ“ (iriston.com) (ოსეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ); „რეს“ (PEC)(სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო) ხელმძღვანელი მაია ხარებოვა; „ოსეტიანს.კომ“ (ossetians.com); „ირონ ავზადჯი კლუბ“ (Ирон ავваджы клуб) ალანთა ენის კლუბი და სხვა. [4]

თანამედროვე საინფორმაციო ინდივიდუალური ბლოგები ცხინვალის რეგიონის მკვიდრთა მოხმარების საგნადაც ქცეულა. ინტენსიურად აშუქებენ რეგიონის ცხოვრებას საკუთარ ბლოგებზე მარა პლიონ (პლიოვა), ზარინა სანაკოვა, თემურ ცხოვრებოვი და სხვა. საკმაოდ ოპერატორულია ვებგვერდი „Осетинское Радио и Телевидение“ („ოსეტინსკოე რადიო ი ტელევიდენი“ სანფორმაციო-ანალიტიკური გამოცემა). ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებს ყველაზე ოპერატორულად და დეტალურად აშუქებს „იუჟნაია ოსეტია“ (რესპუბლიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი), ბეჭდური გაზეთის ელექტრონული ვერსიები გვაძლევენ საშუალებას თანმიმდევრულად განვიხილოთ რეგიონისთვის ნიშანდობლივი პრობლემები და „ნაკარნახევი“ პოლიტიკის აღსრულების პროცესი.

მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ ქართული კულტურის XVI საუკუნის ძეგლის – აჩაქეთის ციხის „ალანთა ციხედ“ ნარმოჩენა, სადაც ექსკურსიაზე მიჰყავთ მოსწავლეები და სტუდენტები ე.წ. სარესტავრაციო სამუშაოებს ატარებენ. ასეთ ფაქტებს ზემოთ ჩამოთვლილი „მედიასაშუალებები“ ერთხმად აშუქებენ და ავრცელებენ მსაოფლიოს რუსულენოვან სივრცეში.

ეს არის მხოლოდ ერთი ნიმუში, როგორ მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კვალის ნაშლა მრავალპლანიანი საინფორმაციო ომის გამოყენებით.

ასეთ ვითარებაში ჩვენი საზოგადოების გაერთიანება სასიცოცხ-

ლოდ აუცილებელია. ჩვენი აზრით, სახელმწიფო სტრუქტურები და მთელი საზოგადოება აქტიურად უნდა ჩაერთონ მძლავრი ინტერნეტ – რესურსების შექმნაში, რომ მაქსიმალურად დავიცვათ ჩვენი სიმართლე, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საფუძველია.

თუ საუკუნეების წინ ხმლით მოსული მომხვდური გვიქადდა ფიზიკურ განადგურებას, დღეს, ჰიბრიდული ომის პირობებში, გაცილებით დიდი საშიშროება გვემუქრება, თუმცა, ამ ომში ბრძოლა, პატარა ქვეყნის ერთად დგომით, გამარჯვების შესაძლებობას ნამდვილად იძლევა.

თანამედროვე საინფორმაციო სივრცის ახალი გამოწვევები მედიას უახლეს მოთხოვნებს უყენებს, რომელთა დაუკმაყოფილებლობა მძიმე შედეგებს გამოიწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Hoffman Frank, Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars, Potomac institute for policy studies, 2007;
 2. „ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზე”, თბ., 1916;
 3. <http://south-ossetia.info/> 30.10.2018
-

„კომპიუტერული პროგრამული პროგრამა და მობილური ტექნიკური ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცვევაა. მისი მიზანი რეალურ პლატფორმაზე საზოგადოებრივი აზრით მართვული გადაწყვეტილების და მართველების ამაგი და ღვაწლი მათზე“. მართვული გადაწყვეტილების უნივერსიტეტის მიერ მსოფლიოს ცხრა ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკვლეულ ქვეყნები სოციალურ გადის ფუნქციების გასავრცელებლად, საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად და მათი აზრის შესაცვლელად იყენებან“.

სამუელ ვული

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი
<https://www.amerikiskhma.com/p/3971.html>

დებატები



ოთარ უორდანია – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: „ცხინვალის რე-გიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. სამ-წუხაროდ, დღეს საქართველოში გაჩინდნენ ისეთი ძალები, რომლებიც ცდილობენ, დააკანონონ ის, რაც დღეს ფაქტობრივად გვაქვს. ამის მაჩვენებელია თავის დროზე საქართველოს მთავრობის სრულიად მოულოდნელი და გაუგონარი ქმედება – ცხინვალის უნივერსიტეტის დახურვა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ თუ დაპრუნება იქნება, ცხინვალი დარჩება ქართული ინტელექტუალური ძალების გარეშე, რაც, ჩემი აზრით, ყოვლად დაუშვებელია.

მაინტერესებს, რატომ არ აშუქებენ უურნალისტები ამ უმწვავეს პრობლემას – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის დახურვას?“.



უურნალისტი მარიკა კახაძე: „როგორც აქ ითქვა, ჩვენ რთული საინფორმაციო და პიბრიდული ომის სივრცეში ვცხოვრობთ. მასთან ბრძოლას ძალიან დიდი რესურსები სჭირდება და ამიტომაც მიმართია, რომ იგი აუცილებლად უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი. საინფორმაციო ომი, მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ისეთი დონის პრობლემაა, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქვს საკმარისი ბერკეტი და რესურსი, გაუწიოს მას ეფექტიანი წინააღმდეგობა“.

„დღესდღობით ომის მთავარ შემადგენელ კომართებად ინფორმაციულ ომს მიიჩევან, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გაღიცევის გზით მასაზე ზეგავლენის მოძლენას, აგა თუ იმ იღებს მხარდაჭარის მოპოვებასა და დაგვათის აღლითიკის გატარებას გულისხმობს. ინფორმაციულ ომში ხშირად ინფორმაციულ-პროპაგანდისფულ, ფსიქოლოგიურ და კიბერ საშუალებებს ართიანებან, ასევე, „პიბრიდული ომის“ მახასიათებელია ფინანსური არხების, რესურსებისა და ფარული ხასიათის სამხედრო საშუალებების ინტეგრირებული გამოყენება.“

<http://yata.ge/ge/?p=691>

სალომე ქაპანაძე

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი



- ... შვილის მკვლელის საფლავთან მდგომი ქართველი დედა, ამ-დენი წელი მხოლოდ იმაზე რომ ოცნებობდა, თავისი შვილის ძვლები ეპოვა, ნამოელო და სადმე თავისთან ახლოს დაემარხა, უარს ამბობს შვილის საფლავის გათხრაზე და ძეირფას ძვლებს აფხაზ ქალს უტოვებს;
- დაბრუნება – ეს სიტყვა და მისი წარმოდგენა, როგორც ჩანს, ჯერ ისევ გადაულახავ შიშს ბადებს აფხაზებში – პანიკურ შიშს;
- ბრძოლა კოლექტიურ ნეგატიურ მეხსიერებასთან ადვილი არ არის, მით უფრო, როცა მას წინ უძლვის წლობით შემზადებული იდეოლოგიური განწყობა – კონფლიქტის არსებობის ქვეცნობიერი შეგნება. კოლექტიურ მეხსიერებას, პოლიტიკოსებთან და რელიგიურ წინამძღვრებთან ერთად, უურნალისტებიც აყალიბებენ;

- უნდა ვალიაროთ, რომ 90-იან წლებში მედიის მიერ შექმნილმა სცერეოტიპებმა, ვიზუალურმა ხატებმა და სიტყვიერმა მეტა-ფორმებმა კარგა ხანს განსაზღვრეს კონფლიქტის სიცოცხლისუნარიანობა;
- ქართულმა სახელმწიფომ უნდა შეძლოს და შეიმუშავოს ტერიტორიული მშვიდობიანი დაბრუნების ზუსტად განსაზღვრული, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა, სადაც მედიას, კულტურას და განათლებას განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა.

მედია, კულტურა და განათლება, როგორც სამშვიდობო კომუნიკაციის ინსტრუმენტი

საქართველოს მაგალითზე ძალიან ბევრი შეიძლება ისაუბრო ომსა და მშვიდობაზე, რადგან ისტორიის არც ერთ ეტაპზე ჩვენ არ ვყოფილვართ სიმშვიდის აზისი. ეს ჩვენი გეოპოლიტიკური ბედის-წერაა. ამდენად, დღეს ომის სოცილოგია, რომელიც იკვლევს ომს, როგორც სოციალურ ფენომენს, მისი წარმოშობის მიზეზებს, ომის მსვლელობის პროცესში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებსა და ომის მიერ გამოწვეულ შედეგებს სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და იდეოლოგიური კუთხით, ჩვენთვის უნდა იყოს სერიოზული შესწავლის და განსჯის თემა, თუნდაც იმიტომ, რომ შემდგომში თავიდან ავიცილოთ იგი, ალვიჭურვოთ ომის დაძლევისა და უარყოფის, მისადმი წინააღმდეგობის განვევის, მისგან მიყენებული ჭრილობების მოშუშების უნარებით. მასში არ მოიაზრება მხოლოდ ეკონომიკური და ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, არამედ იგულისხმება ფიქრი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მექანიზმებზე, რომელშიც კულტურას, განათლებას და მედიას განსაკუთრებული წვლილი შეუძლია შეიტანოს.

ბრძოლა კოლექტიურ ნეგატიურ მეხსიერებასთან ადვილი არ არის, მით უფრო, როცა მას წინ უძღვის წლობით შემზადებული იდეოლოგიური განწყობა – კონფლიქტის არსებობის ქვეცნობიერი შეგნება. უნდა ვალიაროთ, რომ ქართული მხარე 90-იან წლებში ამ ფსიქომოციურ ომს მოუმზადებელი შეხვდა. იმ პერიოდში მედიამ

არათუ პოზიტიური, არამედ ნეგატიური როლიც კი ითამაშა. იმ დროისათვის შეუძლებელი იყო კონფლიქტის ესკალაციის პროცესის სწორი განაზრება, რადგან ამის გამოცდილება არც ქვეყანას და, მით უფრო, მედიას არ გააჩნდა. უნდა ვაღიაროთ, რომ მედიას მიერ შექმნილმა სტერეოტიპებმა, ვიზუალურმა ხატებმა და სიტყვიერმა მეტა-ფორმებმა კარგა ხანს განსაზღვრეს კონფლიქტის სიცოცხლისუნარი-ანობა. კოლექტიურ მექსიერებას, პოლიტიკოსებთან და რელიგიურ წინამძღვრებთან ერთად, უურნალისტებიც აყალიბებენ. უდავოა, რომ თანამედროვე ეპოქაში ისტორიის პირველ ვერსიას სწორედ მე-დია ქმნის და თავადვეა გადახდენილი ამბების შემხსენებელი.

ომის გაშუქებაზე არანაკლებ დიდი გამოწვევაა მშვიდობის დროს ომის ამბების მოყოლა, ანალიზი, შეჯამება, ნამდვილი გმირების ის-ტორიებისა და სიმართლის ახალი შრეების მოძიება. რაც უფრო მეტი დრო გაშორებს ისტორიულ თარიღთან, მით უფრო რთულდება ორიგინალური თემებისა და რაკურსის მოძიება. ომის გაშუქებამ, ის-ევე, როგორც თავად ომებმა, ფორმა და შინაარსი იცვალა. ბოლო ათწლეულში კი ომები პირდაპირ ეთერში იწყება. აქვე დავაზუსტებ და ვიტყვი, რომ არის განსხვავება ომსა და ბრძოლას შორის. მედიამ ეს განსხვავება უნდა პოვოს... ბრძოლა ახლაც გრძელდება და მასში მედიის ფაქტორი, კულტურასა და განათლებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია.

მედია, კულტურა და განათლება უაღრესად სანდო ბერკეტებია დაპირისპირებულ მხარეთა შორის მანძილის შესამცირებლად. ამ ბერკეტების გამოყენებაზე ორიენტირებული პირველი პრეცენდენტი იყო 2004 წელს ტელეიმედის ეთერში გასული გივი ბერიკაშვილის საავტორო გადაცემა „არ იდარდო“. 20013 წლის 27 ნოემბერს იმავე ტელეკომპანიის ეთერში, საბრძოლო კადრებითა და იმ მიზეზების გახსენებით, რატომ დაიწყო ომი, გადის ეკა ხოფერიას თოქ-შოუ „გზავნილი აფხაზებს“. 2010 წელს სამშვიდობო გზავნილები გაუღერდა რუსთავი 2-ის ეთერში, გადაცემაში „ნანუკა შოუ“. 2014 წელს ახალგაზრდა უურნალისტები ერთვებიან სამშვიდობო პროცესში და სტუდენტური ტელევიზია „სდასუ TV“ აკეთებს გადაცემას „ხიდი“. გადაცემის ავტორი და წამყვანი გახლდათ უურნალისტიკის სკოლის

სტუდენტი თათია ზუხბაია. 2018 წელს, კვლავ „იმედის“ ეთერში გადაცემა „დღის შოუ“ იწყებს ციკლს „წერილი აფხაზ მეგობარს თბილისიდან სოხუმში“. 2017 წელს 27 სექტემბერს „პრაიმ შოუში“ ერთი გადაცემა მიუძღვნა ქართულ-აფხაზურ წარსულს. უნდა აღინიშნოს აფხაზეთის საინფორმაციო ცენტრის გადაცემები „აფხაზეთი“ და GMTV-ის გადაცემა „ჩვენი ამბები“, სადაც უკვე სკოლის მოსწავლეები ცდილობენ, მედია გამოიყენონ, როგორც სამშვიდობო ინსტრუმენტი. გადაცემის ავტორი – ქეთი მიქაძე.

კულტურული დიალოგის თვალსაზრისით, გამორჩეულ ფაქტად მინდა ვაღიარო 2011 წელს მედიასივრცეში გაჩერილი ახალი აღმანახი ..სამხრეთ კავკასია“. მისი რედაქტორები არიან გურამ ოდიშ-არია და ბათალ კობახია.

2005 წელს სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში განხორციელდა დადგმა სპექტაკლისა „ზღვა, რომელიც შორია“. პიესის სცენარი ეკუთვნის არაერთი საინტერესო კულტურული პროექტის ავტორს, სოხუმელ მწერალ გურამ ოდიშ-არიას. დადგმა კი – ცნობილ რეჟისორ თემურ ჩხეიძეს, რომელსაც თანარევისორობა გაუწია ნიჭიერმა ახალგაზრდა სოხუმელმა რეჟისორმა ბადრი წერედიანმა. თემურ ჩხეიძის გამოჩენამ რეჟისორის ამპლუაში იმთავითვე დიდი მოლოდინი წარმოშვა, რასაც, ბუნებრივია, თან ერთვოდა ნიჭიერ მსახიობთა გუნდიც. სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ აფხაზეთელი მსახიობები -საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი, მერაბ ბრეკშვილი, ლილი ხურითი, ნუგზარ ჩიქოვანი, მერაბ ყოლბაია. საგანგებო აღნიშვნა, რომ მსახიობები იყვნენ აფხაზეთიდან, იმისთვის დაგვჭირდა, რათა ხაზი გაფუსვათ გარემოებას – ამ სპექტაკლში მოხდა ნიჭიერი მსახიობებისა და რეალურად განცდილი გრძნობების გულწრფელი თანხვედრა. სცენაზე წარმოდგენილმა აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების განცდის პროცესშა მიიღო იმდენად ცოცხალი სახე, რომ ემოციურად დამუხტული მაყურებელი სპექტაკლის მსვლელობისას დიალოგშიც კი ერთვებოდა. ამ სპექტაკლმა პოსტკონფლიქტურ ქართულ საზოგადოებაში რეალურად წარმოშვა აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზების ხელახალი განაზრებისა და თვითშეფასების სურვილი, მა-

გრამ ყველაზე თვალსაჩინო პოზიტივი ამ სპექტაკლს ელოდა მაშინ, როცა კონფლიქტის ზონაში DVD ფორმატში ჩაწერილი სპექტაკლის ჩვენება განხორციელდა, თანაც – არაერთხელ. დადასტურებული ინფორმაციით, ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ კი სოხუმის უნივერსიტეტში, მოეწყო არა მარტო სპექტაკლის ვიდეო-ჩანაწერის ჩვენება, არამედ იგი გახდა სერიოზული განხილვის საგანი ახალგაზრდებს შორის – ანუ აფხაზური საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც, გასაგები გარემოებების გამო, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე მსჯელობისას, მამების თაობამ მასალად მხოლოდ 1992-1993 წლის მოვლენები განუსაზღვრა.

ძალიან შთამშეჭდავი გვეჩვენა რეჟისორ ბადრი წერედანის მონათხობი იმის თაობაზე, თუ როგორ შესთავაზა მან ქ. ერევანში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე აფხაზ ახალგაზრდებს სპექტაკლის ვიდეო-ჩანაწერის ნახვა, როგორ გაირღვა მის თვალინი უნდობლობისა და სკეფსისის ატმოსფერო სეანსის დასრულებისთანავე და როგორ შეძრა იგი აფხაზი ჭაბუკის მიერ ნათქვამმა ფრაზამ – „ეს არის ჩვენი საერთო სპექტაკლი“. სპექტაკლის ვიდეო-ჩანაწერის ნახვამ აფხაზი ახალგაზრდის აზროვნებაში გააღვიძა ზოგადადამიანური განცდა იმისა, რომ შეუძლებელია ადამიანების გამოდევნა საკუთარი წარსულიდან. სწორედ ეს წარსული კრავს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მატიანეს და სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივასაც.

2017 წელს ახმეტელის თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი გოგია) ჩაერთო კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მთელი სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლებმა. „ეს იყო სამშვიდობო პროექტი, რომელმაც გამოიწვია ქართველებისა და აფხაზების სერიოზული დაახლოება შემოქმედებითი პროცესის ირგვლივ“, – აფხაზები მეგობრულად ჩაერთვნენ ამ პროექტში. ჰენრიკ იბსენის პიესა „ხალხის მტრის“ მოტივებზე აგებული სპექტაკლი, რომელიც ბრუს ლევიტის და ანტონინ მარტოს შემოქმედებით ხედგას ეფუძნებოდა, იმდენად ინოვაციური და რევოლუციური გახდა, რომ მან, თავის მხრივ, მოიზიდა კომ-

პლიმენტები მთელი მსოფლიოს წამყვანი სოციალური მეცნიერების წარმომადგენლებისაგან. გაიღ ჰორსტ-უორპატტმა იგი შეაფასა, როგორც „ერთ-ერთი უდიდესი გარღვევა სოციალური თეატრის ისტორიაში“, ირაკლი გოგიას და მისი კოლეგების ამ წამუშვარმა ძალიან დიდ გავლენა მოახდინა ტრანსფორმაციული თეატრის განვითარებაზე. ინტერაქციული თეატრის ასეთმა განვითარებამ ახალი ეპოქა შექმნა. უცხოელი ექსპერტები განსაკუთრებით გამოყოფენ აფხაზ მსახიობ მართა ცვიუბას როლს მთელ ამ კოლაბორაციულ პროცესში ქართველ მსახიობებთან – ანდრია გველესიანთან, გიორგი ცხადაქეთან ერთად. CREATE-ის მიმდინარეობისას, რეჟისორის შემოქმედებითი მიდგომის წყალობით, მოხდა ახალი პარადიგმების აღმოჩენა სხვადასხვა ტიპის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. რამდენად უცნაურადაც არ უნდა ულერდეს, თეატრალურმა პროცესმა ბიძგი მისცა ბევრად უფრო თანამშრომლობითი პროცესის დასაწყის. როგორც თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი მეთიუ ევანჯელისტა ამბობს, ირაკლი გოგიას და CREATE Project-ის მიდგომამ მთლიანად შესცვალა საერთო ლანდშაფტი სხვადასხვა კონფლიქტთან მიმართებაში. „ეს არის ჩვენი ინსპირაცია“ – ასე შეაფასა სპექტაკლი მეთიუ ევანჯელისტამ და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სამხრეთ კავკასიაში დაიწყო კრეატიული პროცესი, რომელმაც შეიძლება გამოძახილი პოვოს მთელ ახლო აღმოსავლეთში და შემდეგ უკვე – შორეულ აღმოსავლეთშიაც. სწორედ ირაკლი გოგიას თეატრალურმა მიდგომამ შეძლო ეს ნოვატორული (groundbreaking) გარღვევა. ოსლოს მშვიდობის ინსტიტუტის დამაარსებლის იოპან გალტუნგის სიტყვებით, ეს იყო 1992 წლის მერე ყველაზე წარმატებული სამშვიდობო პროექტი, რომელმაც გამოიწვია ქართველების და აფხაზების სერიოზული დაახლოება შემოქმედებითი პროცესის ირგვლივ.

როცა თეატრის როლზე გსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ გიორგი სიხარულიძის სპექტაკლი „ბამბაზის სამოთხეც“. „ესმა კოკოსკერიამ მოახერხა და სპექტაკლის ვიდეო-ვერსია სოხუმში გადაიტანა, – წერს სცენარის ავტორი, მწერალი ნინო სადლობელაშვილი, – იგი ორი კვირით იყო წასული. ეს ორი კვირა გულისკანკალით ველო-

დით, რას იტყოდა, რა ამბავს ჩამოიტანდა. ჩამოვიდა და მოგვიყვა, – შევკრიბე დედაჩემის სახლში 30-მდე აფხაზიო, აი, ისეთები, სიტყვა რომ ეთქმით და აზრი მოეკითხებათო, ჩავურთე ეს დისკიო. თავი-დან ყველა ამრეზით იყო, მორიგი სპეკულაცია ჩამოვიდა თბილისი-დან, ისევ ცრემლები და ვაიუშველებელიო, - ამბობდნენ (უკვე ძალან აღიზიანებთ მსგავსი რაღაცები და პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს ქართველების მიმართ ნდობას უფრო აკარგვინებთო, ესმამ), დაიწყო სპექტაკლი და დაიწყეს თურმე ამათაც ყურება, ჯერ ზრდილობის გამო, მერე ინტერესის, მერე, ცოტა შუაგულისკენ, ესმამ შეამჩნია, რომ ერთმა ფრთხილად და ფარულად საჩვენებელი თითის ზურგით ცრემლი შეიკავა თვალში, მერე მეორემ და, იფიქრა ესმამ -აპა, გაჭრა გულწრფელმა სათქმელმა და გალლვა ამათი გულებიც და, ეს ზუსტად ის ენაა, რა ენაზეც ამის მერე მოგვიწევს დიალოგი, რომ... ფინალი! ფინალში, შვილის და შვილის მკვლელის საფლავთან მდგომი ქართველი დედა, ამდენი წელი მხოლოდ იმაზე რომ ოცნებობდა, თავისი შვილის ძვლები ეპოვა, წამოელო და სადმე თავისთან ახლოს დაემარხა, უარს ამბობს შვილის საფლავის გათხრაზე და ძვირფას ძვლებს აფხაზ ქალს უტოვებს – ეს რატის მინაა, ისევ შენ მოუარე, ვიდრე მე დავპრუნდებიო... ჰოდა, ეს ფინალი, სამწუხაროდ, ჯერაც მოულებელი აღმოჩნდა იმ 30 აფხაზი მაყურებლისთვის. დაპრუნება – ეს სიტყვა და მისი წარმოდგენა, როგორც ჩანს, ჯერ ისევ გადაულახ-ავ შიშს ბადებს მათში, პანიკურ შიშს და, ამ შიშს ვერაფერი ერევა...”

ცალე საუბრის თემაა სოხუმელი მწერლის გურამ ოდიშარიას მოღვაწეობა ქართულ-აფხაზური ნდობის ალდეგენის პროცესში. მისი, როგორც მწერლის სამშვიდობო მისია დასტურდება მისი შემოქმედებით. მათ შორის მინდა ალვნიშნო რომანი „პრეზიდენტის კატა”, რომელიც აფხაზეთის ბიბლიოთეკების კატალოგშია შეტანილი. მთავარი გმირი, სოხუმის კოლორიტი, აფხაზი მიხეილ ბლაუბაა, რომლის შესახებ ისტორიებს მწერალი აფხაზეთში აფხაზებისგანაც ისმენდა და თბილისში – ქართველებისგანაც. ნაწარმოები სწორედ ამ რეალურ ნარატივზე დაყრდნობით შეიქმნა. რომანი აზერბაიჯანულად, რუსულად, სომხურად და სლოვაკურად ითარგმნა. აფხაზეთში რუსული თარგმანი უკვე გავრცელდა. მალე წიგნი აფხაზურ ენაზეც

გამოვა. სამშვიდობო განწყობა გურამ ოდიშარიამ დაადასტურა მაშინაც, როცა 2011 წელს თარგმნა და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა აფხაზი მწერლის დაურ ნაჭყებიას რომანი „ლამის ნაპირი“ (დონორი - ფონდი „ლია საზოგადოება-საქართველო“).

2009 წელს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, ცნობილმა კოლექციონერმა, საქართველოს 2004 წლის მოწვევის პარლამენტის წევრმა პაატა ქურდოვანიძემ განახორციელა პროექტი - „ქართულ-აფხაზური ალბომი“, რომელშიც თავი მოუყარა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ამსახველ უნიკალურ, უძველეს ფოტო-მასალას, ისტორიულ ფაქტებსა და აფხაზ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს. ეს არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ბუნებრივი ქრონიკა და არა ისტორიის მულიაჟი. ამ ალბომის მთავარი ლაიტმოტივი სწორედ თაობათა ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთპასუხისმგებლობის საკითხია. პრეზენტაციაზე ამ წიგნს სამართლიანად უწოდეს „სიყვარულის გზავნილი“.

კინ ქართული კულტურის ის ნაწილია, რომელმაც ყველა ეპოქაში, კომპრომისების პარალელურად შეძლო, არ ელალატა თავისი სულიერი მისისათვის. ბოლო ოცნებულის განმავლობაში ქართული კულტურის ამ სეგმენტმა ადეკვატურად განვლო ყველა ეტაპი, რომელმაც უზუსტესად აირეკლა სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებით გამოწვეული ტკივილი და სულიერი დეკადანსი. გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ არ არის ისტორიული ფილმი, მაგრამ ის იმ ისტორიულ მნიშვნელობებს ასახავს, რომელიც უახლოეს წარსულში ხდებოდა. წლების წინ მომხდარის კიდევ ერთხელ შეხსენება გარდაუვალია, რადგან თემა ამჟამადაც აქტუალურია; საქართველოსთვის აფხაზეთის რეგიონში არსებული კონფლიქტის ზონა დღესაც ყრუ პრობლემად რჩება. ფილმში არცერთი ეპიზოდი არაა პოლიტიკური ნიშნის მატარებელი, რეჟისორი არ მიმართავს არცერთი მხარის განსჯას. აქ არ არის გამართლება და გამტყუნება. ეს არის სურათი, სადაც ომის შემდგომ გამოწვეული ტრაგედიაა ნაჩვენები.

„ომის ნაკვალევი“ — ასე ჰქვია ფილმს, რომლის ჩვენება 2012 წელს გაიმართა. ეს პირველი ქართულ-ოსური ნამუშევარია 2008 წლის ომის შემდეგ. ფილმისთვის ოსმა ოპერატორმა სპეციალურად

გადაიღო ავნევი და ცხინვალი..

2015 წელს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელდა სტუდენტური პროექტი „გზავნილები მომავლიდან“. წიგნი, რომელიც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების თემას ეხება და რეალურ დოკუმენტურ მასალაზეა აგებული, ცხრა სტუდენტის პროზაულ ნაბუშევარს აერთიანებდა.

ორენოვან, ქართულ-რუსულ წიგნში ახალგაზრდების მთავარი გზავნილი სამშვიდობოა და სახალხო დიპლომატიის, კულტურული დიალოგის ფორმატს ეხმაურება. ავტორთა უმრავლესობამ წიგნში შესული ნაწარმოებები აფხაზეთში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად შექმნა. პროექტში გამოყენებულია დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტ თათია ზუხბაიას მიერ აფხაზეთში გადაღებული ფოტომასალა.

2018 წელს აფხაზურად ითარგმნა ნოდარ დუმბაძის მოთხოვები „ჰელადოს“ და „გული“. მთარგმნელი – ირმა ოსია. დღეს კონფერენციაზე წარმოდგენილია საყმანვილო უურნალ „იალქნის“ საგანგებო გამოცემა სახელწოდებით „ცა აფხაზური“, იგი ქართულ და აფხაზურ ენებზეა შესრულებული და ათვალისაჩინოებს ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობის იმ დეტალებს, რომლის არდავინყება რელევანტურია ჩვენი თანაცხოვრების იდეისა. უურნალის რედაქტორ – ნანა ჭანტურიას, „იალქნის“ სარედაქტორ გუნდის, ირმა ოსიას და სხვა აფხაზი მთარგმნელების თავდადებული შრომის შედეგი იმ პროცესს ჩაუდგება კვალში, რომელსაც კონფლიქტის ზონის შევიწროება და ერთმანეთამდე მისასვლელი გზების შემოკლება ჰქვია.

ამ ბოლო ხანებში აქტიურ მიმოქცევაში შემოვიდა ტერმინი „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ და მის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.


2014 წლის აპრილი-მაისის პერიოდში ქართველმა და ოსმა სტუდენტებმა 17 დღის განმავლობაში ერთად იმოგზაურეს ავტობუსით 5 ქვეყანაში (თურქეთი, საბერძნეთი, მაკედონია, სერბეთი და კოსოვო), სადაც შეხვდნენ ადგილობრივი უნივერსიტეტების სტუდენტებსა და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. პროექტში მონაწილეობდა 10 ქართველი და 10 ოსი ახალ-

გაზრდა. არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო ფორუმი მშვიდობისათვის“ პრესსამსახურის ცნობით, აღნიშნული პროექტი ამ ფორმატით პირველია მთელ მსოფლიოში და მას ანალოგი არა აქვს. მათვე ცნობით, აღსანიშნავია, რომ ქართველი და ოსი სტუდენტები დღემდე ერთმანეთს არ შეხვედრიან მსგავს პროექტში, არ ჰქონიათ ასეთი გრძელვადიანი კომუნიკაცია და არაფორმალური ურთიერთობა.

სამწევაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2017 წლის ანგარიშში განათლება, კულტურა და მედია თითო გვერდით არის წარმოდგენილი. ეს ცხადყოფს იმას, რომ ჩვენ არა მარტო სათანადოდ ვერ ვიყენებთ ამ ბერკეტებს, არა ამედ ბოლომდე ვერ გავიაზრებთ მის მნიშვნელობას კონფლიქტის მოვარების პროცესში. ქართულმა სახელმწიფომ უნდა შეძლოს და შეიძულოს ტერიტორიების მშვიდობიანი დაპრუნების ზუსტად განსაზღვრული, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა, სადაც მედიას, კულტურას და განათლებას განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ მშვიდობიანი ბრძოლის კონცეფციებზე და შევთანხმდეთ იმაზე, რომ გამარჯვებისათვის გვჭირდება დიდი მოთმინების უნარი, რაშიც მე არ ვგულისხმობ კაპიტულანტურ პოლიტიკას, არამედ მოვაზრებ გონივრულ, გეოპოლიტიკური რეალიზმით გაჯერებულ მიდგომებს. ვგულისხმობ ადამიანის ინტელექტზე, პროვოკაციების თავიდან აცილების, შენდობასა და მიმტევლობაზე დაფუძნებული რეაგირების პოლიტიკას. ერთ-ერთი საიმედო სამოქმედო სივრცე კი ამისათვის გახლავთ სწორედ მედია, კულტურა და განათლება. 21-ე საუკუნეში სამშვიდობო კომუნიკაციის ამ პრინციპებმა ქართულ პოლიტიკაშიც უკეთ უნდა წარმოაჩინოს თავი, რადგან ისტორიულად ჰუმანიზმი და ტოლერანტობა ყოველთვის იყო ჩვენი სულიერი ყოფის თანმდევი, განუყოფელი ნაწილი.

ოთარ ქორდანია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი



- შესუსტდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინფორმირების დონე და, ნებსით თუ უნებლიერ, გზა გაეხსნა უნდობლობასა და ნიპოლიზმს;
- ყოვლად გაუმართლებელია, რომ აფხაზეთის მოსახლეობა დღემდე რჩება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთისა და ტელემაუწყებლობის გარეშე. საჭიროდ მიმაჩნია ქართულ და რუსულ ენებზე ელექტრონული გაზეთის გამოცემა და მისი გავრცელება ელექტრონული მედიის საშუალებით;
- აფხაზეთში დაიწყო მეგრულენოვანი გაზეთის გამოცემა, შეიქმნა მეგრულენოვანი ვიკიპედია. ინტესიურად მიმდინარეობს პროპაგანდა ქართველი ერის გასახლეჩად, თითქოს მეგრულები არ არიან ქართველები და ა.შ;
- უნდა განახლდეს აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის მაუწყებლობა. მისი შენიშვნებით აფხაზეთის ქართული

მოსახლეობა კვლავ საინფორმაციო ვაკუუმში ექცევა და ობიექტურად ნოკიერი ნიადაგი იქმნება ანტიქართული პროპაგანდის გასაძლიერებლად აფხაზეთში;

- აფხაზეთის უურნალისტიკის განვითარება ბევრად არის და იქნება დამოკიდებული თანამედროვე დონის უურნალისტთა კადრების მომზადებაზე. ამიტომ სრულიად სამართლიანია აფხაზეთის საზოგადოების წინადადება, სოხუმის უნივერსიტეტში დაარსდეს უურნალისტიკის ფაკულტეტი.

აფხაზეთის უურნალისტიკა და თანამადროვე გამოცვები

მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა მივესალმო ქართველ უურნალისტებს, როგორც მკითხველი, მაყურებელი და რესპონდენტი. უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქართული უურნალისტიკის ყველა სფეროს წარმომადგენელს იმ დიდი შრომისათვის, რომელსაც ყოველდღიურად ეწევიან ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

მოკრძალებით მინდა მივესალმო იმ ქართველ უურნალისტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 1992-1993 წწ. აფხაზეთში მიმდინარე საომარ ოპერაციებში, 2008 წლის აგვისტოს ომში და შექმნეს ქართული სამხედრო უურნალისტიკის უახლესი ისტორია, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და ბედნიერება. ამასთან, ქედს ვიხრი იმ უურნალისტების ხსოვნისადმი, რომლებიც სამუდამოდ დარჩნენ ბრძოლის ველზე.

საქართველოს უურნალისტების თავდადება და ერთგულება ქვეყნისადმი არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

თქვენ, ქართველი უურნალისტები, როგორც მეოთხე ხელისუფლების შტო, ყოველდღიურად ჩართულნი ხართ თავისუფალი სიტყვის, დემოკრატიული ინსტიტუციების გაძლიერებისათვის ბრძოლაში, აქტიურად მონაწილეობთ, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, ასევე, საერთაშორისო სარბიელზე საქართ-

ველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯის შექმნაში. თქვენ მიერ შექმნილ პროდუქციას ყოველდღიურად ეცნობა საქართველოს ასიათასობით მოქალაქე, უცხოელი მკითხველი და მაყურებელი.

შურნალისტური საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული, როგორც ქვეყნის ანმყოსთან, ასევე, მის მომავალთან. შურნალისტების მიერ მოპოვებულ დოკუმენტურ მასალას და მათ ნაფიქრალს მომავალში დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა ექნება ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი საქმიანობის შესწავლის დროს.

დღეს ქართული შურნალისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, სხვა აქტუალურ გამოწვევებთან ერთად, არის ის, თუ როგორ ვხედავთ ჩვენს მომავალს აფხაზებთან ერთად, რას ვაკეთებთ და რამდენად სწორად ვაკეთებთ. მე ხელთ მაქვს აფხაზეთის შურნალისტების მიერ მომზადებული ქართულ-აფხაზური კრებული „ცა აფხაზური“, რომელშიც დაბეჭდილია წლების განმავლობაში საყნაწვილო შურნალ „იალქანში“ (რედაქტორი ნანა ჭანტურია) გამოქვეყნებული წერილები. ეს გამოცემა არის მაგალითი, თუ როგორ უნდა ვეძებოთ შერიგებისა და ურთიერთგაების გზები ქართველებსა და აფხაზებს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შურნალისტების მოწოდებები მიმართულია ახალი თაობისადმი, ქართველი და აფხაზი ყმაწვილებისადმი. ეს გზა სწორია და მჯერა, რომ ჩვენი ძალისმევა უშედეგოდ არ ჩაივლის.

დღეს დარიგდა რუსულენოვანი გაზეთი **«Абхазский меридиан»**, რომელშიც გამოქვეყნებულია გაზეთის რედაქტორ დევი ფუტკარაძის წერილი „კაპიტალიზმის მეორე შემოსვლა საქართველოში“. ეს წერილი ძალიან საინტერესოა, რადგან უკუკავშირშია დღევანდელობასთან. საქმე იმაშია, რომ დღევანდელი საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად არის განპირობებული იმით, რომ ვერ ჩამოყალიბდა ეროვნული ბურჟუაზია, როგორც კლასი, რომელიც გაუძლვებოდა და ხელს შეუწყობდა საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას. რბილად რომ ვთქვათ, დიდი დრო დაგვჭირდა „ველური კაპიტალიზმის“ სინდრომის დასაძლევად. სიმ-

დიდრის გადანაწილების დაუსრულებელი პროცესი ანგრევს სახელმწიფოს. რაც უფრო სწრაფად მოხდება ამ სინდრომის დაძლევა, მით უფრო სწრაფად განვითარდება ქართული სახელმწიფო და ლირსეულ ადგილს დაიმკიდრებს კონსტიტუციური დემოკრატიის ქვეყნების ოჯახში. ჩემი აზრით, საქართველოს ამ მხრივ დიდი მომავალი აქვს.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო აფხაზეთის ურნალისტიკის საკითხებს.

სოხუმის დაცემის შემდეგ, აფხაზეთის ურნალისტებმა შეძლეს თბილისში განეხლებინათ გაზეთების – „აფხაზეთის ხმა“, „ოჩამჩირის მოამბე“, „გალი“, „გუდაუთა“, „გაგრის კარიბჭე“ და სხვ. – გამოცემა. განსაკუთრებული კულტურული მნიშვნელობის მოვლენა იყო საბავშვო ურნალ „იალენისა“ და ლიტერატურულ- საზოგადოებრივი ურნალ „რინის“ (რედაქტორები: გივი ბერაია, ზაურ კალანდა) გამოცემა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 1995 წლიდან გამოიცემოდა საუნივერსიტეტო გაზეთი „სოხუმის სადროშო“ (რედაქტორები: გულნაზ ხუბუა, მერი გაბედავა), რომელიც იყო პირველი ქართული საუნივერსიტეტო გაზეთი აფხაზეთში. მისი დამატება „სოხუმის მერცხლები“, ასევე იყო პირველი ქართული სტუდენტური გაზეთი აფხაზეთის უნივერსიტეტების ისტორიაში. „სოხუმის სადროშო“ გამოიცემოდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. გაზეთი მკითხველის ურადღებას მიაპყობდა, როგორც საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე, ასევე, აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის, მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების აქტუალურ საკითხებზე.

რა თქმა უნდა, ურნალისტიკა უნდა ვითარდებოდეს საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული განსაკუთრებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, ამიტომ ვთვლი, რომ გაზეთების – „აფხაზეთის ხმის“, „ოჩამჩირის მოამბის“ და სხვათა დახურვა იყო არასწორი და საზიანო ჩვენი საზოგადოებისთვის. ფაქტობრივად, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოება მოკლებული აღმოჩნდა ინფორმაციას აფხაზეთის შესახებ, რადგან ეს საკითხები „ჩაიკარგა“ მრავალ-სიუჟეტიან საინფორმაციო ბადეში, დიდ საინფორმაციო ნაკადებში.

შესუსტდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და, ნებსით თუ უნებლიერ, გზა გაეხსნა უნდობლობასა და ნიჰილიზმს. მძიმე მატერიალურ და სოციალურ პირობებში აღმოჩენილმა აფხაზეთის უურნალისტებმა, მზარდი კონკურენციის პირობებში, ვერ შეძლეს თავიანთი დამოუკიდებელი ბეჭდვითი ორგანოს შექმნა. ისინი მიეკედლნენ სხვა დიდ გამოცემებს: „დილას“, „24 საათს“, „არჩევანს“ და ა.შ., მაგრამ აქაც არ გაუმართლათ – ამ გამოცემებმა ვერ გაუძლო კონკურენციას და ყველა დაიხურა.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ტელეურნალისტებმა მაუწყებლობა დაიწყეს 1993 წლიდან და ისინი პირდაპირ ფრონტის ხაზიდან აცნობებდნენ მსოფლიოს სიმართლეს აფხაზეთში მიმდინარე საომარი ოპერაციებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ. სოხუმის დაცემის შემდეგ მათ მაუწყებლობა განაახლეს საზოგადოებრივ არხზე, მაგრამ 2007 წლის 6 მარტს გაუქმდა აფხაზეთის მედია-ცენტრი, რაც, ასევე, დიდი შეცდომა იყო.

დიდი შრომითა და ძალისხმევით აფხაზეთის უურნალისტები ახერხებდნენ აფხაზეთის კულტურისა და განათლების პრობლემური საკითხების წინა პლანზე ნამოწევას, იპროდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. ამ მიმართულებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უურნალისტ ნატო კორსანტიას დამსახურება. მაგრამ ეს ძალისხევა არ აღმოჩნდა საკმარისი მაშინ და არ არის საკმარისი დღესაც. საჭიროა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების, აფხაზეთთან მიმართებაში არსებული პოლიტიკური ვითარების სრული და მრავალმხრივი ანალიზი და ამის შესახებ მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება.

ჩემი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია, რომ აფხაზური მხრიდან მზარდი ანტიქართული პროპაგანდის პირობებში, აფხაზეთის მოსახლეობა დღემდე რჩება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთისა და ტელემაუწყებლობის გარეშე. ბუნებრივია, ეს საკითხი მოითხოვს სპეციალურ მსჯელობას. საჭიროდ მიმაჩნია ქართულ და რუსულ ენებზე ელექტრონული გაზეთის გამოცემა და მათი გავრცელება ელექტრონული მედიის საშუალებით, რათა აფხაზეთში მცხოვრები

ქართული მოსახლეობა ინფორმირებული იყოს ჩვენი საქმიანობის შესახებ, ხოლო აფხაზებს სმა მივაწვდინოთ ერთიან სახელმწიფოში ჩვენი თანაცხოვრების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ. ეს საკითხი იპერატიულად უნდა გადაიჭრას და ამისათვის სათანადოდ უნდა მოვემზადოთ.

2015 წლიდან, აფხაზეთის საზოგადოების დიდი ძალისხმევით, მოხერხდა აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის მაუწყებლობის გახსნა. აფხაზეთიდან დევნილმა ტელეურნალისტებმა შეძლეს ფეხის მოკიდება სატელევიზო ინდუსტრიაში. გადაცემა „აფხაზეთს“ დიდი ინტერესით ელოდა, როგორც ქართველი, ასევე, აფხაზი მაყურებელი. ცენტრის მიერ მომზადებული გადაცემები იქმნებოდა მაღალი სატელევიზიო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელებმა (დირექტორი ავთანდილ დავითაია) უმოკლეს დროში შეძლეს ეთერში აფხაზურენოვანი საინფორმაციო გადაცემების გაშვება, რამაც ძლიან ააღელვა და დაბნია დე-ფაქტო აფხაზეთის მთავრობა.

როგორც უკვე აღვნიშნე, აფხაზური მხარე ინტესიურად ეწევა ანტიქართულ პროპაგანდას, აფხაზეთში დაიხურა ქართული სკოლები, დაიწყო მეგრულენოვანი გაზეთის გამოცემა, შეიქმნა მეგრულენოვანი ვიკიპედია. გადაიდგა ნაბიჯები მეგრულენოვანი ტელევიზიის შესაქმნელად, ინტესიურად მიმდინარეობს პროპაგანდა ქართველი ერის გასახლეჩად, თითქოს მეგრულები არ არიან ქართველები და ა.შ. ამ პროცესებში თავისი წვლილი შეაქვს ოკუპირებული აფხაზეთის აფხაზურ მასმედიას. ასეთ პირობებში, პოლიტიკური, ზნეობრივი თუ ეროვნული თვალსაზრისით, ყოვლად გაუმართლებელია აფხაზეთის მთავრობასთან არსებული აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის მაუწყებლობის შეწყვეტა, რადგან ამით ოკუპირებული აფხაზეთის ქართული მოსახლეობა კვლავ საინფორმაციო ვაკუუმში ექცევა და ობიექტურად ნოყიერი ნიადაგი იქმნება ანტიქართული პროპაგანდის გასაძლიერებლად.

ამგვარი ქმედებების გამო დღევანდელი აფხაზეთის საზოგადოება გამოიქვამს უკავიყოფილებას და მოითხოვს არა მარტო მაუწყებლობის აღდგენას, არამედ აფხაზეთის საინფორმაციო უზ-

რუნველყოფის ცენტრის დამოუკიდებელ ტელევიზიად გარდაქმნას, რომლის მაუწყებლობა დაფარავს მთელ აფხაზეთს. ის, ვინც ამ სამართლიან მოთხოვნას ეწინააღმდეგება, არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი ქვეყნის მეგობრად.

აფხაზეთის უურნალისტიკას განვითარება პევრად არის და იქნება დამოკიდებული თანამედროვე დონის უურნალისტთა კადრების მომზადებაზე. ამიტომ სრულიად სამართლიანია აფხაზეთის საზოგადოების წინადადება, სოხუმის უნივერსიტეტში დაარსდეს უურნალისტიკის ფაკულტეტი.

დასასრულს, ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებსაც. სამწუხაროდ, განხლდა მტკიცება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო. ეს აბსოლუტურად უპასუხისმგებლო განცხადებაა. ომი დაიწყო რუსეთის ფედერაციამ, რომელიც შეეკრა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობებს. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარის ნაწილები შეიჭრნენ დასავლეთ საქართველოში, სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობის შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს და დაიკავეს აფხაზეთის სვანეთი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაცია და აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა წლების მანძილზე მოითხოვდნენ, საქართველოს მთავრობას ხელი მოეწერა ცეცხლის განუახლებლობის შესახებ შეთანხმებისთვის.

ამ განცხადებას იმიტომ ვაკეთებ, რომ მოსალოდნელია, შემდგომშიც გაკეთდეს სხვა, ასეთი სახის განცხადებები საქართველოს წინააღმდეგ. ვფიქრობ, რომ მოწინავე ქართული საზოგადოება სათანადო პასუხს გასცემს საქართველოს უახლესი ისტორიის გამყალბებლებს, რომელთა პოლიტიკური მიზანი, ცალსახად, ნათელია.

„ომში პირველი მსხვერპლი სიმართლეა“.

ესქილე

თენგიზ პაჭულია

საქართველოს დამსახურებული ქურნალისტი, ნიკო ნიკოლაძის
სახელობის პრემიის ორგზის (1993, 2010წწ.) ლაურეატი



- 1992 წლის თებერვალში, რადიო „თავისუფლების“ რუსულ რედაქციას გადავიცი ვრცელი რეპორტაჟი იმის შესახებ, რომ გვიახლოვდება ომი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის „ლიანდაგების ომი“ სულ რამდენიმე თვეში შესაძლოა, გადაიზარდოს დიდ, ნამდვილ ომში თანმდევი უმძიმესი შედეგებით მოლიანად საქართველოსთვის;
- მე მივმართე არძინბას კითხვით/თხოვნით – „ამ დაძაბულ ვითარებაში უმჯობესი იქნებოდა თქვენი გადადგომა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, თქვენ ხომ მეცნიერი ხართ. კარგი იქნება, თუ დაუბრუნდებით მეცნიერებას და ამით პოლიტიკური სიტუაცია, გარკვეულწილად და ცოტა ხნით, განიმუხტება“;
- შეხვედრებიდან გამოსულ კონდიციებს ვკითხე „მალე, ალბათ, სოხუმის აღებასაც შეუცდებით. როგორ შეიძლება გავაჩეროთ ეს ომი?“;

- მე, როგორც კარგად ინფორმირებული სოხუმელი უურნალისტი, ვწერდი, ვაცხადებდი და პირად საუბრებშიც ვეუბნებოდი აქციების ორგანიზატორებსა და მოძრაობის ლიდერებს, აქტივისტებს, რომ უნდა ვიყოთ ფრთხილად, რათა თავიდან ავიცილოთ გართულებები – არ წაგვართვან აფხაზეთი და ცხინვალი;
- 1999 წელს, ცნობილმა აფხაზმა პოლიტიკოსმა ზურაბ აჩბამ საჯაროდ აღიარა, რომ მოსკოვმა 1990-წლების დასაწყისში ეფექტურად გამოიყენა «აფხაზური ხელკეტი», რათა თბილისზე მოეხდინა ზენოლა იმისათვის, რომ საქართველო დარჩენილიყო რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაში;
- ომის დროს და შემდგომ პერიოდში, რამდენიმე წელი, აფხაზურმა მოსახლეობამ, ან არ იცოდა ამ შეთანხმების შესახებ, ან არ სვარეოდა იმ ინფორმაციებისა, რომ ნამდვილად იყო ასეთი შეთანხმება;
- ასეთი სახის კონფერენციები, საჭიროა იმისათვის, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი აზრები, გამოცდილება და მომავალში ახალგაზრდა და მომავალი თაობის უურნალისტებმა არ დაუშვან შეცდომები კონფლიქტური თუ სხვადასხვა ექსტრემალური სიტუაციის გაშუქებისას.

მედიის როლი კონფლიქტების პრევენციასა და საქართველოს გაერთიანების პროცესში

35 წელზე მეტია, რაც პროფესიული უურნალისტიკის სფეროში ვმოღვაწეობ. აქედან 30 წელი – საქართველოსთვის ურთულეს პერიოდში, როცა, მთელი რიგი საგარეო და შიდა მიზეზებისა და ფაქტორების გამო, ჩვენი სამშობლო სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა... ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვაცხადებ, რომ, ჩემი აზრით, უურნალისტი არა მარტო უნდა აშუქებდეს მომხდარ, მიმდინარე და მოსალოდნელ მოვლენებს, არამედ, შეძლებისგვარად, უნდა ცდილობდეს თავისი მასალებით, მოღვაწეობით და პირადი კავშირებით მოახდინოს კონფლიქტებისა და მწვავე სიტუაციების პრევენცია. ამით ის ეხმარება კონკრეტულ ადამიანებს, ოჯახებს, სოფელს, ქალაქს და

მთლიანად ქვეყანას... მზა რეცეპტები ამ საკითხში არ არსებობს, მე უბრალოდ გაგიზიარებთ რამდენიმე ეპიზოდს ჩემი გამოცდილებიდან.

ცნობილია, რომ უახლეს ისტორიაში პირველი ომი საქართველოსა და რუსეთს შორის იყო 1992-1993 წლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუმცა, ვინც აფხაზეთში ცხოვრობდა და მოლვანეობდა, იცის, რომ ეს ომი, ფარულ ფორმებში, რამდენიმე ათეული წლით ადრე დაიწყო და სხვადასხვა დოზით იგრძნობოდა. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, გეტყვით, რომ ჯერ კიდევ 1960 წლის დასაწყისში, სკვპ ცკ-ის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი, ბიჭვინთაში ყოფნის დროს, ფარულად აქეზებდა აფხაზურ ინტელიგენციასა და პარტიული ელიტის ნაწილს იმისათვის, რომ მათ მოემზადებინათ დიდი წერილი მოსკოვში, მრავალათასიანი ხელმოწერით და თხოვნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კრასნიდარის მხარესთან შეერთების შესახებ, მაგრამ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მიხეილ ბლაჟბამ არ დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას, ბიჭვინთიდან დაუყოვნებლივ გაემგზავრა თბილისში და ხრუშჩოვის ამ იდეის შესახებ შესატყობინა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივან ვასილ მუავანაძეს, რომელმაც მოსკოვში ამ მუხანათური გეგმის ჩაშლა მოახერხა. 1967 წელს კი, როცა სკვპ ცკ გენერალური მდივანი ხრუშჩოვთან შედარებით საქართველოს მიმართ უფრო ლირიალურად განწყობილი ლეონიდ ბრეჟენევი იყო, სკვპ ცკ-ის პოლიტბიუროს რამდენიმე წევრის (კერძოდ მიხეილ სუსლოვის) მხარდაჭერითა და წაქეზებით, აფხაზი ჩინოვნიკებისა და ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სოხუმში მოაწყო აქციები, რომლის დროს საჯაროდ პირველად დაფიქსირდა ლოზუნგი ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოდან გამოყოფის შესახებ. 2007 წელს სოხუმში აღნიშნეს ამ აქციების 40 წლისთავი და ხაზი გაუსვეს იმას, რომ 1967 წელსაც ვასილ მუავანაძემ შესძლო ამ მზაკვრული გეგმის დაბლოკვა და ჩაშლა.

სკვპ ცკ-ის პოლიტბიუროს უდიდესი ნაწილი, ბრეჟენევის მეთაურობით, მხარს უჭერდა საქართველოს ერთიანობას, თუმცა, მოსკოვში იყვნენ გავლენიანი თანამდებობის პირები, რომლებიც, სხვადასხვა ფორმით 1960-1970-80 წლებში ცდილობდნენ აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფას საქართველოდან. ამ ისტორიას იმიტომ ვყვები, რომ, როცა 1988-1990 წლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობდა აქციები სსრკ-დან გამოყოფის მოთხოვნებით, მე, როგორც კარგად ინფორმირებული სოხუმელი უურნალისტი, ვწერდი, ვაცხადებდი და პირად საუბრებშიც ვეუბნებოდი ამ აქციების ორგანიზატორებსა და მოძრაობის ლიდერებს, აქტივისტებს, რომ უნდა ვიყოთ ფრთხილად, რათა ავიცილოთ გართულებები – არ წაგვართვან აფხაზეთი და ცხინვალი! ყველა დონეზე, სადაც შემეძლო და სადაც მიმინვდებოდა ხმა (იმ დროს ინტერნეტი არ იყო), მე, როგორც უურნალისტი და მოქალაქე, ვამბობდი, რომ თუ სსრკ-ს არსებობის დროს სკეპ ცკ-ის პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრი და ლიდერი ცდილობდა ჩამოეშორებინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოსგან, ასეთი ხასიათის და მიმართულების პოლიტიკას, ჩვენი დამოუკიდებლობის პერიოდში, რუსეთი უფრო გააძლიერებდა და ეს მოხდებოდა სხვა ქვეყნების პასიურობით ან ზოგიერთი სახელმწიფოს ფარული მხარდაჭერით. სამწუხაროდ, 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში ბევრმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ არ მოისმინა, ან არ გაითვალისწინა ამგვარი გაფრთხილება. თუმცა, იყვნენ ისეთები, ვისაც ეს საშიშროება კარგად ესმოდათ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ რეალური ბერკეტები, აეცილებინათ საქართველოსთვის ამგვარი საფრთხე. ყველას ვუყვებოდი ერთ საინტერესო ფაქტს: 1988 წლის ნოემბერში თბილისში გამართული მასშტაბური აქციების – შიმშილობის შემდეგ უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივან ჯუმბერ პატიაშვილთან. შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის კითხვაზე – თუ საქართველო სსრკ-დან სწრაფად გამოვა, როგორი იქნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბედი? ჯუმბერ პატიაშვილმა უპასუხა: „ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად, უნდა ვეცადოთ, რომ არ დავკარგოთ აფხაზეთი და ცხინვალი, რადგან ამის საშიშროება არის, თან – რეალური“. მიუხედავად იმისა, ვინ როგორ აფასებს ჯუმბერ პატიაშვილის მოღვაწეობას (დადებითად, უარყოფითად ან ნეიტრალურად), მე ვეუბნებოდი ყველას, რომ უნდა მივაქციოთ ყურ-

ადლება ამ გაფრთხილებას, გავმართოთ ძალიან პრაგმატული პოლიტიკა და მოსკოვს არ უნდა მივცეთ საბაბი და მომენტი იმისათვის, რომ საქართველო ჩაითრიონ კონფლიქტში, ომში, რომლის შედეგად მოსკოვი შეეცდებოდა საქართველოსგან ამ ორი რეგიონის ჩამოშორებას. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დროის ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში უფრო პოპულარული იყო ემოციური, რომანტიკული და არაპრაგმატული მიდგომა ბევრი საკითხისადმი.

1992 წლის დასაწყისში სიტუაცია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკიდურესად დაიძაბა, მოსკოვი ცდილობდა გაემყარებინა თავისი პოზიციები და აშკარად მხარს უჭერდა იმ ძალებს, რომლებიც ქადაგებდნენ ავტონომიის საქართველოსგან გამოყოფას. თუმცა, ყველა, მათ შორის აფხაზ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი, ხვდებოდა, რომ კრემლი ცდილობდა ამ ძალების გამოყენებას იმისათვის, რომ საქართველო კვლავ ყოფილიყო რუსეთის გავლენის ზონაში და პოლიტიკურ ორბიტაში. ამის ფონზე აშკარად ჩანდა, რომ მნიშვნელოვან სერიოზული კონფლიქტი ან ომი. ამიტომაც, 1992 წლის თებერვალში, რადიო „თავისუფლების“ რუსულ რედაქციას გადავეცი ვრცელი რეპორტაჟი იმის შესახებ, რომ გვიახლოვდება ომი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის „ლიანდაგების ომი“ სულ რამდენიმე თვეში შესაძლოა გადაიზარდოს დიდ, ნამდვილ ომში, თანმდევი უმძიმესი შედეგებით მთლიანად საქართველოსთვის. ეს იყო ჩემი გაფრთხილება და მიმართვა ყველასთვის (რადიო „თავისუფლებას“ იმ დროს მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირი და ნახევარი ევროპა უსმენდა), რომ აგვეცილებინა ომი. ამ რეპორტაჟმა დიდი აუიოტაჟი გამოიწვია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ერთ-ერთმა აფხაზმა დებუტატმა შეატყობინა კოლეგებს ჩემი რეპორტაჟის შესახებ და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რის საფუძველზე გააკეთა თენგიზ ბაჭყარიამ ეს გაანხცადება. მე, როგორც უურნალისტი, ვესწრებოდი სესიას, მიმდინარეობდა სხდომის ტელეტრანსლიაცია და ამ გამოსვლის უპასუხოდ დატოვება არ შეიძლებოდა. რეპლიკით ვუპასუხე – „თუ მომცეთ ნებართვას, გიპასუხებთ აქეე, სესიაზე“. სხდომა მიჰყავდა ვლადისლავ არძინბას. თავიდან მან თქვა, რომ რეგლა-

მენტი არ ითვალისწინებს სესიაზე უურნალისტების გამოსვლას, თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, ჰკითხა დარბაზს, მივცეთ თუ არა სიტყვა პაჭკორიასო. ორივე, ქართული და აფხაზური ფრაქციის დეპუტატების თანხმობით, მომცეს სესიაზე გამოსვლის ნებართვა. დაახლოებით 5-6 წელი ვისაუბრე, მოგახსენე ჩემი მოსაზრება და არგუმენტები, რომ ომი გვიახლოვდება და საჭიროა კონკრეტული ქმედებები მისი თავიდან ასაცილებლად. შესვენებაზე ჩემთან მოვიდა რამდენიმე გავლენიანი აფხაზი დეპუტატი, რომლებმაც მითხრეს – „არც ჩვენ გვინდა ომი, არ ინერვიულო, ომი არ იქნება, თუ საქართველო დათ -ში შევა, ყველაფერი დამშვიდდება“. მე ვკითხე, „თუ არ შევა საქართველო დათ-ში, მაშინ რა იქნება?...“ დუმილით მიპასუხეს. რამდენიმე დღის შემდეგ მე და ჩემმა ქართველმა კოლეგებმა (საშა ბერულავამ და იოსებ გობერჩამ) უმაღლესი საბჭოს შენობის დერეფანში ვნახეთ კარგ ხასიათზე მყოფი ვლადისლავ არძინბა. ჩემ კითხვაზე „კარგ ხასიათზე ხართ, რა მოხდა ასეთი საინტერესო და კარგი, ჩვენც გაგვიმზილეთ?“. მან ასე გვიპასუხა: „როგორ, არ იცით, რომ 7 მარტს შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში ბრუნდება და ის იქნება საქართველოს ხელმძღვანელი?“. „კი მაგრამ, თქვენ რა გიხარიათ, თქვენ ხომ სსრკ სახალხო დეპუტატების ყრილობებზე მას აკრიტიკებდით?..“ ამ კითხვაზე ვლადისლავ არძინბამ გვიპასუხა: „ის სხვა სიტუაცია იყო. ახლა კი შევარდნაძე ბრუნდება თბილისში. იმედია, რომ საქართველო მისი ხელმძღვანელობით შევა დასთ-ში. თუ ეს მოხდა, მე ვიღლი თბილისში, შევარდნაძე ჩამოვა სოხუმში, იქნება ნორმალური სიტუაცია“. დამატებით კითხვაზე „თუ საქართველო არ შევა დასთ-ში, მაშინ რა მოხდება?“, არძინბამ ასე გვიპასუხა: „ვერ გეტყვით ზუსტად, რა მოხდება, თუმცა, თქვენ ხომ იცით, მოსკოვს უნდა, რომ საქართველო გახდეს დასთ-ს წევრი, ჯობს, საქართველო დროზე შევიდეს დასთ-ში“. ეს იყო საუბარი დერეფანში სესიის დაწყებამდე. მე, რასაკვირველია, ამ საუბრის და არძინბას ამ პოზიციის შესახებ ვუთხარი ბევრ პოლიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს და კოლეგას, გამოვიყენე ეს ინფორმაცია საქართველოს, რუსეთისა და სხვა ქვეყნების მასმედიაში გამოქვეყნებულ მასალებში იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ მეთქვა – სიტუაცია მწვავდება და, თუ საქართ-

ველო დსთ-ში არ შევა, ომი გარდაუვალია და ამისათვის რუსეთი „აფხაზურ ფაქტორს“ გამოიყენებს.

აფხაზეთში ომის დაწყებამდე ათი დღით ადრე, 1992 წლის 4 აგვისტოს, სოხუმში გაიმართა ვ. არძინბას პრეს-კონფერენცია. ეს იყო მისი ბოლო შეხვედრა უურნალისტებთან ომის დაწყებამდე. მე მივმართე მას კითხვით/თხოვნით – „ამ დაძაბულ ვითარებაში უმჯობესი იქნებოდა თქვენი გადადგომა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან. თქვენ ხომ მეცნიერი ხართ, კარგი იქნება, თუ დაუბრუნდებით მეცნიერებას და ამით პოლიტიკური სიტუაცია, გარკვეულწილად და ცოტა ხნით მაინც ხომ განიმუხტება?“. მცირე პაუზის შემდეგ არძინბას პასუხი იყო – „მესმის, რომ თქვენ ძალან გინდათ მივატოვო პოლიტიკური მოღვაწეობა და დავუბრუნდე მეცნიერებას, მაგრამ ამის დრო ჯერ არ მოსულა, მე კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი პოლიტიკაში“.

რასაკვირველია, მე კარგად ვიცოდი, არძინბას ფაქტორი არ იყო გადამწვეტი ომის დაწყება-აცილების საკითხში, თუმცა, ბევრი ქართველი და ზოგიერთი აფხაზი და რუსი პოლიტიკოსი თვლიდა, რომ არძინბას გადადგომა 1992 წლის ზაფხულში და მისი ჩანაცვლება ზომიერი აფხაზი პოლიტიკოსით, გარკვეულწილად, შეარბილებდა ვითარებას და შექმნიდა უფრო კარგ ფონს მწვავე სიტუაციის განსამუხტად. მოგვიანებით, 1999 წელს, ცნობილმა აფხაზმა პოლიტიკოსმა ზურაბ აჩბაძ საჯაროდ აღიარა, რომ მოსკოვმა 1990-წლების დასაწყისში ეფექტურად გამოიყენა „აფხაზური ხელკეტი“, რათა თბილისზე მოეხდინა ზენოლა იმისათვის, რომ საქართველო დარჩენილიყო რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაში.

სამწუხაროდ, 1992 წელს, ბევრი თბიექტური და სუბიექტური ფაქტორის გამო, ვერ მოხერხდა ომის აცილება. რაც შეეხება 1992 წლის 14 აგვისტოს მოვლენებს, ორი დღით ადრე ჩემი წყაროებიდან შევიტყვე, რომ შედგა შევარდნაძისა და არძინბას სატელეფონო საუბარი, რომლის დროს იყო მიღწეული შეთანხმება – 14 აგვისტოს ავტონომიის ტერიტორიაზე შემოვიდოდნენ საქართველოს საჯარი-სო-საპოლიციო შენაერთები, რომლებიც, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებთან ერ-

თად, განახორციელებდნენ საკვანძო მაგისტრალების კონტროლს. გაგრაში ვიმყოფებოდი, როცა ამის შესახებ გავიგე. იქედან და-ვურეკე რამდენიმე ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსს და სახელმ-წოფო სტრუქტურებში მომუშავე მოხელეებს, ვუთხარი ჩემი აზრი – საჭიროა, ამ შეთანხმების შესახებ ორივემ ერთად – არძინბამ და შე-ვარდნაძემ – ტელევიზიით განაცხადონ, რომ მოსახლოებამ იცოდეს ამის შესახებ და ეს თემა არ გახდეს პოლიტიკური სპეცულაციის საგანი და სიტუაციის გამწვავების საბაბი-მეთქი. ამასთან, ვამბობდი – არ არის გამორიცხული, არძინბამ 14 აგვისტოს თქვას, რომ ასეთ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია.

ომის დროს და შემდგომ პერიოდში, რამდენიმე წელი აფხაზურმა მოსახლეობამ, ან არ იცოდა ამ შეთანხმების შესახებ, ან არ სჯეროდა იმ ინფორმაციებისა, რომ ნამდვილად იყო ასეთი შეთანხმება. 1992-1993 წლების ომის დასრულებიდან გასული იყო 7 წელი, როცა აფხაზეთის ე.ნ. პროკურორმა და შემდგომ არძინბას მთავრობის პრემიერ- მინ-ისტრმა ანრი ჯერგენიამ (ვ. არძინბას ნათესავი) სოხუმში, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ 1992 წელს, 14 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე, არძინბას დავალებით, დაურეკა შევარდ-ნაძეს და სთხოვა, გადაწინათ საჯარისო-საპოლიციო შენაერთების აფხაზეთში შეყვანის თარიღი – 14 აგვისტოდან ცოტა მოგვიანებით. ამ ინტერვიუს მოყვა დიდი აუიოტაჟი სოხუმში – ბევრმა აფხაზმა, საზოგადო მოღვაწემ და რიგითმა ადამიანმა თქვა – თუ შეთანხმება იყო, რას გვიმალვადით ამას 1992 წელს და ომი არ იქნებოდაო.. ძნელია იმის თქმა, იქნებოდა თუ არა ომი, ან რის ხარჯზე შეიძლე-ბოდა მისი აცილება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ვერ მოხერხდა. გარე და შიდა ძალებმა მოახერხეს საქართველოს ომში ჩათრევა. ეს იყო ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, რუსეთი ცდილობდა საქა-რთველოს დსტ-ში შეყვანას და ამისთვის იყენებდა აფხაზურ ფაქ-ტორს.

1992 წლის ოქტომბერში სოხუმში ჩამოვიდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი გიორგი კონ-დრატიევი. ეს იყო დრო, როდესაც საქართველომ დაკარგა კონტრო-ლი გაგრაზე, იქ ბევრი ადამიანი, მათ შორის, მშვიდობიანი მოქალაქე

დაიღუპა. სოხუმში, სახელმწიფო აგარაკზე კონდრატიევი შეხვდა შევარდნაძეს, იყო სხვა საუბრები და შეხვედრებიც. შეხვედრებიდან გამოსულ კონდრატიევს ვკითხე „მალე, ალბათ, სოხუმის აღებასაც შეეცდებით, როგორ შეიძლება გავაჩეროთ ეს ომი?“ მან გვიპასუხა - „თუ საქართველოს ხელისუფლება მიიღებს გადაწყვეტილებას დასთ-ში შესვლის შესახებ, ან გააკეთებს განცხადებს, რომ აპირებს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ ადვილი იქნება ომის შეჩერება და საქართველოს ერთიანობის შენარჩუნება“.

მისი ასეთი პასუხის შესახებ იქვე, სოხუმში, სახელმწიფო აგარა-კზე ვუთხარი რამდენიმე მაღალიჩნოასანს და ე. შევარდნაძეს. მათ მი-პასუხეს, რომ უკვე იცოდნენ ამის შესახებ და მირჩიეს დამშვიდება....

ბევრი გარე და შიდა ფაქტორის გამო, იმ დროს საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი არ იყო მზად, მიეღო დასთ-ში შესვლის გადაწყვეტილება. რა-საკვირველია, დასთ-ში შესვლა არ იყო ყველა პრობლემის გადაწყვე-ტის პანაცეა, მაგრამ ამით შეიძლებოდა ომის გაჩერება და რუსეთ-თან რთული ურთიერთობის გადაყვანა მოლაპარაკების ფორმატში.

ზოგი, ვინც საკითხის დეტალებში არ არის ჩახედული, ან ვისაც კონკრეტული თარიღები არ ახსოვს, იტყვის – ხომ შევიდა საქართ-ველო დასთ-ში და გამოსწორდა ამით რამე? კი, ბატონო, შევიდა, მაგრამ, როდის? – აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ! მას შემდეგ, რაც 1993 წლის სექტემბერში სოხუმში უდიდესი პოლიტიკური და ადამიანური ტრაგედია დატრიალდა და დავკარ-გეთ კონტროლი აფხაზეთის ავტონომიის ტერიტორიაზე (კოდო-რის ხეობის გარდა). გასული იყო ერთ თვეზე მეტი, სამოქალაქო შეარაღებულმა დაპირისპირებამ დასავლეთ საქართველოში (სამე-გრელო, იმერეთი, გურია) კულმინაციას მიაღწია და მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა საქართველოს ხელისუფლებამ, რომ მზად იყო შესულიყო დასთ-ში. იურიდიულად საქართველოს დასთ-ში შესვლის პროცესი 1994 წლის 1 მარტს დასრულდა. დასთ-ში შესვლა დაგვი-ანებით მოხდა. არსებობს აზრი – დასთ-ში 1992 წლის გაზაფხულზე ან ზაფხულში რომ შევსულიყვავით, შესაძლოა, 1992-93 წლების ომი აგვეცილებინა – გადაგვერჩინა 20 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე

და შეგვენარჩუნებინა საქართველოს ერთიანობა.

გავიდა 25 წელი 1993 წლის სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, მიუხედავად რთული გეოპოლიტიკური სიტუაციისა, მჯერა, საქართველო აუცილებლად გაერთიანდება მშვიდობიანი გზით. ამის რეალური შანსები იყო და არის. საქართველოს გაერთიანების პროცესში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ უურნალისტებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც სხვადასხვა ფორმით და დოზით ჩართულია მედიაში.



საუბრები და დებატები შესვენების საათებში

„სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული კონფლიქტების გამოვავების დროს მეღია მიმდევალოვან როლს თამაშობს მოსახლეობის მოგილიზაციის საქმეში. გაგრამ, ამავე დროს, აღსანიშვნა, რომ მეღიას არანაკლებ მიმდევალოვანი როლის შესრულების პოტენციალი გააჩნია კონფლიქტის არავეზიასა და გამოუხდივაში და, ასევე, მხარეებს შორის შერჩევების მიზნების საქმეში“.

2009 წლის ბრიუსელის უურნალისტთა საერთაშორისო კონფერენციის მასალებიდან

ავთანდილ დავითაია

აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორი



- აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან მიმართებაში ჩვენ ერთპარტიულები უნდა ვიყოთ;
- გადაცემა „აფხაზეთი“, რომელიც გადიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში, ერთი წელია, საეთერო დროის გარეშე დარჩენილი. ეს ძალზე სამნუხარო ფაქტია, ვინაიდან სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებელია ქვეყანაში პასუხისმგებელი სახელმწიფო პოლიტიკაზე და მან უნდა აჩვენოს მაგალითი სხვას, მით უფრო, როცა საკითხი ეხება აფხაზეთს, ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიას.
- ეს იყო ერთადერთი, ვიმეორებ, ერთადერთი და არა ერთ-ერთი აფხაზურენვანი, 45 წელიანი ანუმბილი გადაცემა და მას აუცილებლად უნდა ეარსება საზოგადოებრივი არხის სამაუწყებლო სივრცეში.
- ე.წ. „გალ ტივის“ შექმნა გალის საოკუპაციო რეჟიმმა გადაცემა „აფხაზეთის“ ეთერში გასვლის შემდეგ ჩათვალა საჭიროდ, როცა მიხვდა, რომ აგებდა საინფორმაციო ომს, როცა იგრძნო, რომ

ძლიერდებოდა საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ოკუპირებულ აფხაზეთში.

- ვინ უნდა მოინანიოს პირველმა – ჩვენ, თუ მათ? დავამთავროთ ამაზე საუბარი, მეგობრებო. უურნალისტები ხართ და დავიწყოთ ნინსვლა. მოვინანიებთ თუ არ მოვინანიებთ, ერთმანეთისკენ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რათა აფხაზეთი არ დაგვეკარგოს.

გადაცემა „აფხაზეთის“ როლი და ხელვა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განვითარებისათვის

ძალიან სასიამოვნოა, რომ დღეს აფხაზეთის თემაზე ვსაუბრობთ. იყო პერიოდი, როდესაც ეს საუბარი თითქმის შეწყვეტილი იყო.

აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის მიერ მომზადებული და მასთან დაკავშირებული თემებისა და განხორციელებული, თუ მომავალში განსახორციელებელი პროექტების გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ ეს გვჭირდება იმისათვის, რათა დავანახოთ ოკუპირებული აფხაზეთის მაცხოვრებლებს, მივიტანოთ მათ ცნობიერებამდე, რას აკეთებს ქართული სახელმწიფო ზოგადად და რა კეთდება მათვის კონკრეტულად.

ჩვენ აქ ბევრი მოვისმინეთ ნარსულზე, გავიხსენეთ კარგიც და ცუდიც, მაგრამ დღეს მეტი სიახლე გვჭირდება აფხაზეთის საკითხთან, კერძოდ კი, შერიგების პროცესთან მიმართებაში. ჩვენ კარგად უნდა გვქონდეს გააზრებული, რა შეიძლება მოყვეს ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, უნდა ვიცოდეთ, რა გზებით ვიაროთ, როგორ ავაშენოთ და დავალაგოთ თავიდან ჩვენი დანგრეული ურთიერთობები.

ჩვენ უნდა გვქონდეს მუდმივი, ყოველდღიური კონტაქტი ჩვენს ხალხთან, განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იქნება ეს სოციალური ქსელით, თუ სხვადასხვა გადაცემის საშუალებით. ამიტომ აბსოლუტურად სწორი და დროული იყო აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების, არასამთავრობო სექტორის, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ნარმომადგენელთა საინიციატივო ჯგუფის

ერთობლივი გადაწყვეტილება აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის შექმნის თაობაზე. ჩვენი გადაცემები აძლიერებდა სახალხო დიპლომატიას, ენგურის გაღმა დარჩენილი საზოგადოება ხვდებოდა, რომ საომარი რიტორიკა წარსულს ჩაბარდა, იცვლებოდა განწყობა მათი მხრიდანაც, სამკურნალოდ ჩამოსულები არ გაურბოდნენ ინტერვიუებს, არ ერიდებოდნენ ჩვენთან საუბარს. სატელევიზიო გადაცემებში არ ჩანდა ისე, თითქოს ვიღაცა ვიღაცას ეფერება, იყო საუბარი პრობლემებზეც, რომელიც მრავლად არის დღეს საქართველოს ოკუპირებულ ნაწილში – მკვლელობა, ნარკომანია, გაუპატიურების შემთხვევები, და ა.შ. ყოველივე ამის გამო აღშფოთებული იყო მთელი აფხაზეთი და ჩვენ ამას არ უნდა გამოვხმაურებოდით?

უფრო მეტსაც გეტყვით – ბევრ იქაურ პრობლემას, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გაჩინდა თითო-ოროლა პოზიციური საიტი, მაინც არ ახმაურებდა, პირდაპირ ბლოკავდა აფხაზურენოვანი მედია და ყოველივე ამას აფხაზი მაყურებელი ჩვენი გადაცემიდან იგებდა. არ უნდა მიგვეწოდებინა ეს ინფორმაცია? ერთი წუთით წარმოიდგინეთ იმ აფხაზის მდგომარეობა, რომლის შვილმაც არ იცის, ან ავინწყდება მშობლიური აფხაზური და მას თბილისი აფხაზურად ესალმება და ელაპარაკება. ის ხედავს, რომ აქ, თბილისში შემუშავებულია აფხაზური ენის გადარჩენის პროგრამა, გამოდის აფხაზური ენის შემსწავლელი ვიდეო და აუდიო დისკები, აფხაზურად ითარგმნება წიგნები, სახელმძღვანელოები, რომ ქართველი ბავშვები სკოლებში სწავლობენ აფხაზურს, რათა, თავის თანატოლს ოკუპირებულ აფხაზეთში მშობლიურ ენაზე დაელაპარაკოს. განა ეს შედეგი არ არის? აფხაზი ქალბატონების უშიშარი და თავისუფალი სიარული თბილი-სის ბაზრობებზე ბევრ რამზე არ მეტყველებს? ფეისბუქ გვერდებზე რომ წერენ – პატრონი არ მყავდა, ჩავედი თბილისში და მიმკურნალეს ქართველმა ექიმებმაო, წინგადადგმული ნაბიჯი არ არის?

ყოველივე ამას ვაშუქებდით ჩვენს გადაცემაში და, მე ვიტყოდი, საკმაოდ წარმატებული შედეგებითაც. საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე ჩვენს საეთერო დროს დიდი ინტერესით ელოდებოდა, არა მარტო დევნილი, მრავალათასიანი მოსახლეობა, არამედ ოკუპირებული ტერიტორიის ქართველი და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია,

აფხაზურენოვანი მაყურებელიც. დღეს ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი თითქმის ყველა სიუჟეტი გადაცემა „აფხაზეთს“ ეკუთვნის. განსაკუთრებული პოპულარობა ჰქონდა რუბრიკებს – „პორტრეტი“ და „მიამბე აფხაზეთზე“. ცნობილი ადამიანები – საზოგადო მოღვაწეები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები კეთილად იგონებდნენ აფხაზეთში გატარებულ უბედნიერეს წლებს, ტელეეთერიოთ მიმართავდნენ აფხაზ მეგობრებს, ახლობლებს.... ყველა ჩვენი გადაცემა საკუთარი ძალებით, უურნალისტ და მთარგმნელ, ეროვნებით აფხაზ ირმა ოსიას მეშვეობით ითარგმნებოდა აფხაზურად და შემდეგ მას ჩვენი ახალგაზრდა ქართველი დიქტორი გიორგი კინტურაშვილი სრულფასოვანი, უაქცენტო აფხაზურით წარუდგენდა ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოებას. თქვენ წარმოიდგინეთ, რამხელა გამოხმაურება ჰქონდა ყოველივე ამას. ეს იყო ერთადერთი, ვიმეორებ, ერთადერთი და არა ერთ-ერთი აფხაზურენოვანი, 45 წუთიანი აწყობილი გადაცემა და მას აუცილებლად უნდა ეარსება საზოგადოებრივი არხის სამაუწყებლო სივრცეში, არხისა, რომელიც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მოწოდებულია და ვალდებულიცაა ამგვარ საკითხებს სახელმწიფოებრივად მიუდგეს. ეს ჩვენი ახირება არ არის, მერწმუნეთ, ეს სწორი გზაა ქვეყნის პოლიტიკური, სტრატეგიული და პრიორიტეტული ინტერესების რეალიზებისათვის.

ყველა ჩვენი გადაცემა ჩვეულებრივი ანტენით შეეძლო ენახა ნებისმიერ მოქალაქეს გალსა და ოჩამჩირეში. გადაცემა „აფხაზეთი“ ძლიერი ბერკეტი იყო, რათა დაგვეცვა ოკუპირებული გალის მოსახლეობა, რომელსაც უკრძალავენ სწავლას მშობლიურ ენაზე და რუსი მასწავლებლები შეყავთ სკოლებში... ვაშუქებდით ყოველივე ამას და ჩვენი გადაცემის ეთერში გასვლიდან ზუსტად 1 დღეში ვლებულობდით გამოხმაურებას იქიდან. ისინი ცდილობდნენ, თავი ემართლებინათ. მაგალითად, ჩვენ რომ ვიტყოდით, გალის სკოლებში „დედა-ენა“ აკრძალულია, გამოწინდებოდა ოკუპირებული აფხაზეთის ეთერში ვიღაც და გვიჩვენებდა – აი, არის დედაენის წიგნი ამა და ამ სკოლაშიო. სწორედ ეს იყო ჩვენი მთავარი ფუნქცია, დაგვეცვა ჩვენი იქაური მოსახლეობა, რომლის უფლებასაც რუსები, თავიანთი ბაზებით და ქმედებებით, არღვევენ.

თანამედროვე გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მოგეხსენებათ, აქტიურად მუშაობენ რუსეთის სპეცსამსახურები, რომლებიც, ჯერ კიდევ ცარიზმის პერიოდიდან მოყოლებული, ცდილობენ განახორციელონ ზენოლა ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამდენად, დღეს ოკუპირებულ გალში „დედა ენის“ ნაცვლად „ჩქიმი წინას“ გამოცემა მეგრული სეპარატიზმის დათესვის სურვილითაა მოტივირებული. სწორედ ამ მიზნით, საგანგბოდ შეიქმნა ე.წ. „გალ ტივი“, რომელიც, რუსულ და აფხაზურ ენებთან ერთად, მეგრულზეც მაუწყებლობს. ე.წ. „გალ ტივის“ შექმნა გალის საოკუპაციო რეჟიმმა გადაცემა „აფხაზეთის“ ეთერში გასვლის შემდეგ ჩათვალა საჭიროდ, ანუ მაშინ, როცა მხვდა, რომ აგებდა საინფორმაციო ომს, როცა იგრძნო, რომ ძლიერდებოდა საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ოკუპირებულ აფხაზეთში. ამდენად, ე.წ. „გალ ტივი“ და ე.წ. „აფხაზეთის სახელმწიფო ტელევიზია“ ცდილობენ გამოეხმაურონ და უარყონ ის ინფორმაციები, რასაც გადაცემა „აფხაზეთი“ აწვდიდა იქაურ მაყურებელს.

როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი გაითიშა და ჩვენი გადაცემებიც შეწყდა, ზუგდიდიდან ჩამოვიდა ჩვენთვის უცნობი 5 ქალბატონი. ისინი საშიმშილოდ 1 არხის ტერიტორიაზე დასხდნენ ერთადერთი მოთხოვნით – დაბრუნებულიყო ეთერში გადაცემა „აფხაზეთი“. ამ ქალბატონებს მიაჩნდათ, რომ ეს გადაცემა მათი შვილების დაცვის საშუალებაა, ესაა საშუალება, რომ აფხაზმანახოს, როგორ ვითარდება საქართველო და როგორ უახლოვდება იგი ევროპას.

აფხაზებს უნდა ჰქონდეთ ჩვენთან წამოსვლის სურვილი და ამის ნიშნები უკვე არის. ახლა მთავარია, ჩვენ არ შევუშალოთ ხელი ამ ბუნებრივ პროცესს. სწორედ ამიტომაც ჩვენს გვერდით დგანან და საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციას წერილობითაც მიმართავენ ბატონები: გედევან ფოფხაძე, გიორგი ვოლსკი და პარლამენტის სხვა წევრებიც. მათთვის კი, ვინც არ იცის, აქვე დავტენ – აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი, რომელიც ამზადებდა გადაცემა „აფხაზეთს“, სრულად ფინანსდება აფხაზეთის მთავრობის მიერ და არ იყენებს საზოგადოებრივი მაუწყებლის რესურსებს.

მინდა მივმართო კოლეგებს, მეგობრებს, უფროსი და უმცროსი თაობის ჟურნალისტებს, დავანებოთ თავი იმაზე ფიქრს, რას იტყვიან იქ, აფხაზეთში, როგორ დებულობს ჩვენს პოზიტივებს იქაური ე. წ ხელისუფლება და აქცენტი გადავიტანოთ ხალხზე, ჩვეულებრივ, სტატისტიკურ მაყურებელზე, რომელიც მოწყურებულა სიმართლეს. გავიტანოთ და გავაგებინოთ ეს სიმართლე უცხოელებს, საერთაშორისო აუდიტორიას... როდესაც ჟენევაში, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელს ჩააქვს ჩვენს მიერ მომზადებული ფილმი ბათუმში მცხოვრები აფხაზების შესახებ და უცხოელები იგებენ, რომ 17 000 აფხაზი, ქართველებთან ერთად, ბრწყინვალედ ცხოვრობს ბათუმში, ეს მომგებიანი სიმართლეა. სწორედ ეს არის უმთავრესი და ყველაზე საიმედო ხიდი ჩვენსა და მათ შორის. ვფიქრობ, უმეტესწილად, ასეთი ნაბიჯებს უნდა გავუნიოთ პოტულარიზაცია და არა იმას, ვინ უნდა მოინანიოს პირველმა – ჩვენ, თუ მათ? დავამთავროთ ამაზე საუბარი, მეგობრებო. ჟურნალისტები ხართ და დავინიჭოთ წინსვლა. მოვინანიებთ თუ არ მოვინანიებთ, ერთმანეთისკენ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რომ აფხაზეთი არ დაგვეკარგოს.

დღეს ჯანდაცვის საყოველთაოდ ცნობილ და ეფექტურ პროგრამასთან ერთად, შემუშავებულია ახალი სამშვიდობო ინიციატივა – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ეს ნაბიჯი ზუსტადაა გათვლილი ერთობლივი ბიზნესის განვითარებისკენ. მართალია, ამ მიმართულებით საკითხი ნულოვანი წერტილიდან ჯერ არ დაძრულა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ძალიან მალე დაიწყება ბიზნესპროექტების, ერთობლივი ბიზნესინტერესების განვითარება და მაშინ ყველა მიხვდება, ვინ გვიშლის ხელს, ვინ არის ის ერთადერთი ძალა, ვისაც არ სურს ჩვენი გაერთიანება და ერთად ყოფნა. ყველამ ვიცით, ვინ არის ეს – რა თქმა უნდა, ჩვენი ჩრდილოელი, აგრესიული, ოკუპანტი მეზობელი. ამიტომ აქ ჩვენი გაყოფა არ შეიძლება. აქ არ შეიძლება არსებობდეს პოზიცია და ოპოზიცია – იმისტი, ამისტი... იმ პარტიის მომხრე, ამ პარტიის მომხრე...არაფერი ამგვარი არ

უნდა არსებობდეს, როდესაც საქმე ეხება ხალხის შემორიგებას და დაკარგულის აღდგენას. აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან მიმართებაში ჩვენ ერთპარტიელები უნდა ვიყოთ და ამ საკითხი სხვების აზრი არ უნდა გვაღელვებდეს.

იმედი მაქვს, არა ომით, არა გინება-შეურაცხყოფით, არამედ შერიგების და სიყვარულის ენით, ერთობლივი ძალისხმევით, სახალხო დიპლომატიით მივაღწევთ ჩვენს მთავარ საერთო მიზანს.

„ჩვენთვის, ურნალისფეხისათვის სიტყვები მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც შეგვიძლია თანხომის მისაღწევად გამოვიყენოთ და არა შიშის დასათვასად და მითების შესაქმნელად“

პანდელი პანი,
„კონფლიქტური სიტუაციების გაშუქების საფუძვლები“

გიორგი ჭავაძა

ბლოგერი



- სოციალურ ქსელებში ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებზე ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ქართველების მხრიდან კონტაქტის დამყარების სურვილი ბევრად მეტია, ვიდრე – აფხაზების მხრიდან;
- სოციალური მედიის მეშვეობით ქართველებმა და აფხაზებმა შეიძლება, როგორც ააწყონ და დაალაგონ, ასევე, გაამძაფრონ ურთიერთობები;
- საჭიროა მეტი მუშაობა მოზარდებთან, ახალგაზრდებთან და ეს როლი სკოლებმა და უმაღლეს სასწავლებლებმა უნდა იტვირთონ. ახალი თაობა უკეთ უნდა იცნობდეს შემოსარიგებელი ხალხის მენტალიტეტს, ტრადიციებს, ოკუპირებული ტერიტორიის ქალაქების, სოფლების ისტორიას... ეს აუცილებელია, რათა ინტერნეტურთიერთობებმა მეტი დადებითი შედეგი მოგვცეს;
- აფხაზეთი ოკუპირებულ პირობებში ვერ ვითარდება. რუსეთს არ ანყობს აფხაზეთის, როგორც კურორტის განვითარება, ვინაიდან თავისი კურორტები ისედაც ბევრი აქვს და თავს არიდებს

მოსალოდნელ რისკებს, ფულის გაფლანგვას და ა. შ. აფხაზები ამას, რა თქმა უნდა, ხედავენ და ცდილობენ, საქართველო გამოიყენონ ამ როლში. ვფიქრობ, საქართველომ ეს შანსი ხელი-დან არ უნდა გაუშვას და ახალი ეკონომიკური წინადაღებებით მოხიბლოს აფხაზეთის მოსახლეობა.

სოციალური გედია დეოპის აღდგენისა და შერიგების პროცესში

XXI საუკუნეს შეიძლება სოციალური მედიის საუკუნე ვუნდოთ. თუკი ადრე იგი მხოლოდ მაღალი ტექნოლოგიების მქონე ქვეყნებში იგი განვითარებული და პოპულარული, დღეს მისი გამოყენების არ-ეალი მოიცავს თითქმის მთელ მსოფლიოს და, რა თქმა უნდა, საქა-რთველოსაც.

სოციალური მედია უსწრაფესად ვითარდება. თუკი მედიის ტრადიციული საშუალებები, როგორიცაა – ტელევიზია, რადიო და გაზეთი მაყურებელთან, მსმენელთან და მკითხველთან (თუ არ ჩავთვლით მაყურებელთან და მსმენელთან კონტაქტს პირდაპირი ეთერის გზით) ცალმხრივი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა, სოციალური მედიის პირობებში ურთიერთობა ორმხრივია. უფრო მეტიც, იგი წუთიერი, ნამიერი კომუნიკაციაა, რომლის დროს ერთი და იგივე ადამიანი არის, როგორც მედია-პროდუქტის შექმნელი, ასევე, მისი მიმღებიც.

საქართველოში სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ძნელია, დღეს ჩვენში მოძებნო რეგიონი, ქალაქი თუ სოფელი, სადაც არ სარგებლობდნენ ისეთი პოპულარული სოციალური ქსელით, როგორც ფეისბუქია, რომელიც, ისევე, როგორც სხვა ქსელი, ინფორმაციის სწრაფი გადაცემისა და ორმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

სოციალური მედია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოხერხებული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იაფია, არცთუ ისე უსაფრთხოა ქვეყნისთვის. საქართველოს პირობებში, როდესაც ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია, სოციალურ მედიას შეუძლია, ითამაშოს, როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი როლი.

საქართველოს ოკუპაციის პირობებში, როდესაც მეზობელი რუ-სეთი ენგურს გაღმა ახალ ბერლინის კედელს აშენებს და ქართველებს არ გვაქვს უფლება, დავბრუნდეთ საკუთარ სახლებში, აფხაზეთში დარჩენილ მოსახლეობასთან ურთიერთობის ერთ-ერთ საშუალებას სწორედ სოციალური ქსელები წარმოადგენს.

პირადად მე 2005 წლიდან ვცდილობ ამ ხერხით გამოვნახო საერთო ენა აფხაზებთან. Livejournal-ის პლატფორმაზე შევქმენი ბლოგი, რომლის ძირითადი აზრი იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ომის მერე მიმოფანტული სოხუმელების პოვნა და მათი გაერთიანება. დავიწყე რუსულ ენაზე ჩემი მოგონებების წერა ომზე, ომამდელ სოხუმზე და სოხუმელთა ურთიერთობებზე. ნელ-ნელა გამოჩდნენ მკითხველები, რომელთა უმეტესობა იყვნენ აფხაზეთიდან დევნილები, მყავდა რამდენიმე აფხაზი კომენტატორი, მათ შორის, ცნობილი პიროვნებებიც. იმართებოდა საინტერესო დისკუსიები. მიუხედავად იმისა, რომ კომენტატორთა უმეტესობა არ ამხელდა საკუთარ ვინაობას, დისკუსიები, თუმცა რთულად, მაგრამ მაინც საინტერესოდ მიმდინარეობდა.

2008 წლამდე ოკუპირებული ტერიტორიის აფხაზ მოსახლებას ძალიან აინტერესებდა, როგორ ვითარდებოდა საქართველო, მისი ქალაქები და, პირველ რიგში, ბათუმი. რუსეთ-საქართველოს ომის და რუსეთის მხრიდან აფხაზეთის აღიარების შემდეგ ეს ინტერესი სრულად გაქრა და აფხაზები კონტაქტზე დიდხანს არ გამოდიოდნენ.

Facebook-ის პოპულარობის მოპოვების შემდეგ ქართულ-აფხაზური ვირტუალური დიალოგი უკვე ამ სოციალური ქსელის მეშვეობით გააქტიურდა. აქ დისკუსიები უფრო ადეკვატური გახდა, რადგან მონაცილეთა აპსოლუტური უმეტესობა დარეგისტრირებული იყო თავისი სახელით და კომენტატორებს შორის ლანდვა-გინება, ასე თუ ისე, შემცირდა... თან ორივე მხარის პროფილებში ჩანდა, რომ მათ ბევრი საერთო მეგობრები ჰყავდათ.

დღეს Facebook-ის პლატფორმაზე არსებობს რამდენიმე, ასე ვთქვათ, ადგილი, სადაც ქართველებს და აფხაზებს აპსოლუტურად აპოლიტიკური ურთიერთობები აქვთ. ასეთი ჯგუფებია – „სოხუმის გრიფონები“ და „სუხუმская беседка“. დანარჩენ ადგილებში მძაფრი

პოლიტიკური დისკუსიები მიმდინარეობს.

შედარებით იოლია ურთიერთობები ქველი თაობის ადამიანებს შორის. მათ ერთმანეთის ბევრი რამ ახსოვთ და, ამდენად, პირდაპირი საუბრები და დიალოგი უფრო კონსტრუქციულად მიმდინარეობს. ხშირ შემთხვევაში, შეიმჩნევა მკეთრ, პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობისგან თავის არიდება და უფრო მოგონებებით, ყოფითი ხასიათის საუბრებით იფარგლებიან. ურთიერთობები არ უჭირს ჩემს თაობასაც. ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ტრაგედიის დროს პატარები ვიყავით, მაინც გვახსოვს ერთმანეთი, გვყავს საერთო მეგობრები, კარგად ვიცნობთ ქალაქს – ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს სოხუმი – და, ამდენად, ჩვენი ურთიერთობები ძალდაუტანებელი და ბუნებრივია. თუმცა, აქაც შეიძლება ყველაფრის გაფუჭება თუნდაც ერთი, დაუფიქრებელი, ნებსით თუ უნებლიერ წამოსროლილი სიტყვით.

სოციალურ ქსელებში შედარებით რთულია ახალგაზრდების, ანუ იმ თაობის წარმომადგენელთა ურთიერთობა, რომლებსაც საერთოდ არ უნახავთ აფხაზი ან ქართველი. ამ შემთხვევაში მე, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ გალში მცხოვრებ ქართველებს, რომლებთანაც აფხაზებს ურთიერთობა არ უჭირთ. ვფიქრობ, საჭიროა მეტი მუშაობა მოზარდებთან, 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან და ეს როლი სკოლებში და უმაღლესმა სასწავლებლებში უნდა იტვირთონ, რათა ახალი თაობა უკეთ იცნობდეს შემოსარიგებელი ხალხის მენტალობას, ტრადიციებს, კუთხის, ქალაქის, სოფლის ისტორიას... ეს აუცილებელია, რათა ინტერნეტურთიერთობებმა მეტი დადებითი შედეგი მოგვცეს.

დღესაც, როგორც 11 წლის წინ, აფხაზებს აინტერესებთ მოვლენების განვითარება საქართველოში. აფხაზეთში უკვე მკვიდრდება აზრი, რომ აფხაზეთის „სახელმწიფო“ ვერ შედგა და რუსეთს არ აწყობს მისი განვითარება.

საქართველომ უნდა გამოიყენოს ეს შანსი და ახალი ეკონომიკური წინადადებებით მოხიბლოს აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობა.



როცა მოხსენება საინტერესოა



„თუ საჭეო ჰუმანიტარულ ცენტრ, შეიძლება ამან მშვიდობას შეუწყოს ხელი. კარგი ურნალისტიკა და ინტერნეტის კონკრეტული ასპექტების გამოყენება, სოციალური კსელის ჩართვით, მართლა სასარგებლო საქმეს ნარმალიზებას“

„ჰაფინგტონ პოსტი“

„ომის ურნალისტიკა თავისი სპორტის ურნალისტიკას, სა-
დაც ფოკუსირება ხდება გამარჯვებაზე.

კარგი იქნება, თუკი სამშვიდობო ურნალისტიკა დაემს-
გავსება ჰამერთელობის ურნალისტიკას, ისაუბრებს ამ დაა-
ვალების მიზანებზე და მოძრავის სასიცოცხლო, გაცურნების
გზებს, გენეტიკურ საფუძვლებს“.

იორდან გალტუნგი,
ნორვეგიელი კონფლიქტოლოგი

II ბლოკი

ომისა და მშვიდობის
გაკვეთილები

„პარგი ურნალისტიკა ორივე მხარეს უპიძგებს, რომ კონ-
ფლიქტი ახლიდან გაიაზრონ. პროგლემის სხვაგვარად აღნირამ
შესაძლოა, შეამციროს დაპატულობა და პიძგი მისცეს მოლაპარა-
კებების დაწყებას... აյ ვლინდება ურნალისტის ნამყვანი როლი
კონფლიქტის მოგვარების საქმეში“.

პანდელი პანი

„კონფლიქტური სიტუაციების გაშუქების საფუძვლები“

შორენა ლებანიძე

ურნალისტი და მწერალი

(დოკუმენტური რომანის - „მანანა ანუა, ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“ - ავტორი)



- დღევანდელი კონფერენციის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გამომსვლელები ვსაუბრობთ იმ თემებზე და ამბებზე, რომლებიც კი არ გვმიჯნავს აფხაზებისგან, არამედ, პირიქით, გვაახლოებს და გვაკავშირებს ერთმანეთთან;
- ადამიანებს, ნებისმიერ ვითარებაში, როგორი ექსტრემალურიც არ უნდა იყოს, შეუძლიათ ამაღლდნენ არასასურველ გარემოებებზე, გააკეთონ სწორი არჩევანი, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად;
- კომანის ისტორია არა მხოლოდ 90-იანი წლების ლოკალური კონფლიქტის შესახებ გვიქმნის შთაბეჭდილებას, არამედ საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ ეთნოკონფლიქტების არსებობას, გლობალურად შევხედოთ პრობლემას;
- 19 წლის აფხაზი ჯარისკაცის, ახალათონელი დაურ ზუხბას მსოფლმხედველობა, თავსმოხვეული კონფლიქტისადმი დამოკიდებულება მამა ანდრიას მკვლელობამ, კომანში დატრიალებულმა

ტრაგედიამ და ქართველი ტყვექალების ბედმა ძირფესვიანად შეცვალა;

- ადამიანის ბედის გააზრებამ აფხაზი ჯარისკაცები ქართველი ტყვექალების თანამოაზრებად აქცია, რასაც, საბოლოოდ, ომის აბსურდულობის აღიარება, მეომრების სულიერი გარდატეხა მოყვა; დაური, რაფიკი, ბათალი, ასტამური, ზაალი, ედგარტი მომხდარის გამო სინანულს გრძნობდნენ, მზად იყვნენ, ომზე უარი ეოქვათ;
- შესაძლოა, შორს აღარ არის დრო, როდესაც სწორად შერჩეული სიტყვა ორ ერს შორის შუამავლისა და შემრიგებლის მისიას შეა-სრულებს.

ადამიანების ომზე გამარჯვების ისტორია

კომანის ტრაგედიას ადამიანების ომზე გამარჯვების ისტორიას ვუწოდებ. შევეცდები, ავხსნა, რატომ.

ალბათ, გახსოვთ, რომ 1993 წლის ივლისის დამდეგს, სოხუმიდან თოთხმეტიოდე კილომეტრით დაშორებული გუმისთისპირა სვანური სოფლის, კომანის ტაძარს ცნობილი აფხაზი ქველმოქმედის, პოლი-ტიკურად გავლენიანი მაღალჩინოსნის, იური ანუას ოჯახი აფარებდა თავს. 5 ივლისს სოფელში შეჭრილმა სამხედრო დაჯგუფებებმა სალოცავი დაარბიეს, წინამძღვარი, მამა ანდრია ყურაძეილი დახვრიტეს, მოღალატედ შერაცხულ იური ანუას სასტიკად გაუსწორდნენ, მისი ცოლ-შვილი, ზოია ადამია და მანანა ანუა, დაატყვევეს. ტაძარში გამოკეტილ ქალებს მხსნელებად აფხაზი მეომრები – დაურზუხბა, რაფიკ აიბა, ბათალ ტარნავა – მოევლინნენ.

იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი ორი მტრული გარემოდან მოსული და ბედისწერით გადაჯაჭვული რამდენიმე ლირსეული პიროვნების თავშეყრის, დამეგობრების ადგილად იქცა. ჯარისკაცებმა და ტყვექალებმა მამა ანდრიასა და იური ანუას ტრაგიკული ხვედრის გაანალიზება სცადეს. მათი ყოველდღიური მსჯელობის საგანი ორი ერის ერთობის იდეას შენირული მოძღვრისა და ქველმოქმედის

ზნეობრივი არჩევანი იყო.

ცხადი გახდა, რომ იური ანუა კონფლიქტის მონაწილე სამხედრო-პოლიტიკური ძალებიდან ერთ-ერთის მხარეს კი არა, აფხაზებსა და ქართველებს შორის აღმოჩნდა, მიმდინარე მოვლენებზე შინაგანად ამაღლებული ადამიანის ურთულესი, სახიფათო მისია, შემრიგებლის როლი იტვირთა, რითაც, ფაქტობრივად, ორმხრივი ცილისწამების, უნდობლობის, ეჭვების, სასტიკი ანგარიშსწორებისთვის განირა თავი – ჯერ ქართველები უპირებდნენ დახვრეტას, მერე აფხაზებმა გამოუტანეს სასიკვდილო მსჯავრი. იური ანუა მშვიდობის სიმბოლოა. მისი ფიზიკური განადგურებით ურთიერთდაპირისპირებულმა მხარეებმა შერიგების იდეის დასამარება სცადეს.

27 წლის ბალდათელი მამა ანდრიას (ერისკაცობაში პაატა ყურაშვილის) გააზრებული სვლა მონამეობრივი აღსასრულისკენ მაშინ დაიწყო, როდესაც ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონმა უხილაო ადგილი, სხალთის მონასტერი დატოვა და აჭარიდან აფხაზეთის ფრონტისპირა სოფლის მიტოვებული ტაძრისკენ, დიდი ხნის განმავლობაში შეწყვეტილი საღმრთო ლიტურგიის აღსადგენად გაემართა.

ამ ორი ადამიანის ბედის გააზრებამ აფხაზი ჯარისკაცები ქართველი ტყვეექალების თანამოაზრებად აქცია, რასაც, საბოლოოდ, ომის აპსურდულობის აღიარება, მეომრების სულიერი გარდატეხა მოყვა. დაური, რაფიკი, ბათალი, ასტამური, ზალი, ედგარტი მომხდარის გამო სინანულს გრძნობდნენ, მზად იყვნენ, ომზე უარი ეთქვათ. თითოეულს სულიერ საყრდენად მამა ანდრია, ნამდვილ განსაწმენდელად კი ტაძარი მოევლინა.

19 წლის აფხაზი ჯარისკაცის, ახალათონელი დაურ ზუხბას მსოფლმხედველობა, თავსმოხვეული კონფლიქტისადმი დამოკიდებულება მამა ანდრიას მკვლელობამ, კომანში დატრიალებულმა ტრაგედიამ და ქართველი ტყვეექალების ბედმა ძირფესვიანად შეცვალა.

დუშმანად წილებული გუდაუთელი მუსულმანი, აფხაზური ჯარის კომენდანტი, რაფიკ აიბა მტრად შერაცხული იური ანუას ოჯახის წევრების, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი დედა-შვილის, გადასარჩენად სამხედრო ვალდებულების შესრულების გაჭიანურებას, ანუ სასიკვდილო თვითგანაჩენის გამოტანას, არ მოერიდა.

დაურ ზუხბა და რაფიკ აიბა მამა ანდრიასა და იური ანუას მსოფლიმშედველობის მატარებლები, ფაქტოპრივად, მათი საქმის გამგრძელებლები იყვნენ. მათ ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში, საკუთარი სიცოცხლის გარისკვის ფასად, მიღებული გადაწყვეტილებით არა მხოლოდ დაიცვეს, არამედ თავადვე დაამკიდრეს ზნეობრივი ლირებულებები, გაიმარჯვეს ომზე. საკუთარი საქციელით დაამტკიცეს, რომ ადამიანებს, ეროვნული კუთვნილების, რელიგიური აღმსარებლობისა თუ პოლიტიკური შეხედულებების განურჩევლად, ნაძალადევი, თავსმოხვეული მტრობა კი არ მიჯნავთ, არამედ, პირიქით, თვითნაბადი, ბუნებრივი მეგობრობა აკავშირებთ.

მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია მუსულმანი აფხაზი ჯარისკაცებისა და ქრისტიანი, ლრმად მორნმუნე ქართველი ტყვექალების ურთიერთობის სიფაქიზე, წრფელი გრძნობების დამკიდრება მტრულ გარემოში, სადაც კეთილშობილებისა და ჰუმანურობისთვის, წესით, ადგილი აღარ უნდა რჩებოდეს. ეს ხაზს უსვამს ზოგადადამიანური ლირსებებისა და საყოველთაო ფასეულობების უპირატესობას ვიწროეთნიკურ-რელიგიურ მისწრაფებებსა და კერძო ინტერესებზე.

საერთოდ კი, კომანში მომხდარი უპრეცენდენტო ამბავი ყველა მარადოულ თემას, ადამიანური ურთიერთობის უამრავ ასპექტს მოიცავს. ის საშუალებას გვაძლევს, დავფიქრდეთ სიცოცხლის საზრისსა და სიკვდილის შიშის დაძლევაზე, რწმენის ძალასა და ქრისტიანული ჭეშმარიტების განცდაზე, დანდობასა და მიტევებაზე, თვითშეწირვის ვნებასა და მეგობრობაზე, რომელიც მტრის ხატს ამსხვრევს და ნებისმიერ ადამიანს ათანაბრებს, ყოველგვარ ეთნო-რელიგიურ-პოლიტიკურ თუ სოციალურ მრამსზე მალლა მდგომი პიროვნებების ზნეობრივ არჩევანზე. ამიტომ ეს ისტორია არა მხოლოდ 90-იანი წლების ლოკალური კონფლიქტის შესახებ გვიქმნის შთაბეჭდილებას, არამედ საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ ეთნოკონფლიქტების არსა, გლობალურად შევხედოთ პრობლემას.

აი, რატომ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა კომანის ტრაგედიის წიგნად ქცევას.

წიგნი – „მანანა ანუა, ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“ – 2015

წლის მიწურულს გამოიცა და ერთ წელიწადში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, აფხაზურად ითარგმნა (მთარგმნელი – ირმა ოსია). თარგმანმა აფხაზ მკითხველში სერიოზული დაინტერესება უკვე გამოიწვია. განსაკუთრებით სასიხარულო იყო წიგნის ერთ-ერთი მთავარი გმირის, რაფიკ აიბას დადებითი გამოხმაურება. რაფიკ აიბა არა მხოლოდ მადლიერებით შეხვდა დოკუმენტური რომანის დაწერის ფაქტს, არამედ მან შემდგომ გამოცემაში თავისი გვარის აღდგენის სურვილიც გამოთქვა (პირველ-ორ გამოცემაში რამდენიმე გვარი, გასაგები მიზეზების გამო, შევცვალეთ).

ამ მოკრძალებულმა შენიშვნამ თუ თხოვნამ საბოლოოდ დაგვარნ-მუნა, რომ მანანა ანუას ტყვეობის დღეების აღწერა აუცილებელი და საჭირო იყო. რომ შესაძლოა, შორს აღარ არის დრო, როდესაც სწორად შერჩეული სიტყვა ორ ერს შორის შუამავლისა და შემრიგებლის მისიას შეასრულებს. რომ ორი ერის მეგობრობის ისტორიას წერტილი არ დასმია: რაც ნამდვილია, არასდროს სრულდება და რაღაც ფორმით მუდამ გრძელდება. კომანში დაწყებული მეგობრობის ამბავიც წიგნის სახით გრძელდება, წიგნი – ახალ-ახალი ამბების სახით. მთავარია, ეს ამბები უფრო და უფრო საიმედო იყოს.

„როგორ ფიქრობთ, არ ვანადგურებ ჩემს მორებს იმით, რომ მე გათ ვიხვდობრებ?“

აბრაამ ლინკოლნი

ნანა ქარდავა პუბლიცისტი და მწერალი



- არზაყან ემუხვარის სამოქმედო გეგმაში ენერა: „საჭიროა და აუცილებელია საქართველო-აფხაზეთის შედუღება და ყოველ-ნაირი მათი განცალკავების საბაბის ძირშივე მოსპობა“;
- რაც მოხდა, იყო ორივე მხარის პოლიტიკოსთა უგუნურობის, წინდაუხედაობისა და დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგი;
- ჩვენ რომ წინაპრებისათვის დაგვეჯერებინა, ტრადიცია შეგვენარჩუნებინა, 14 ავისტოს ერთად გავათენებდით სადმე, სამურზა-ყანოში, ცეკვა-სიმღერითა და ლოცვით, რომ ავსულს არ მოეღლო ბოროტება ჩვენზედ, რომ მაზაკვალს არ დავემარცხებინეთ;
- რუს მოგზაურს, უურნალისტსა და მნერალ ზინაიდა რიხტერს ადძიუბჟაში, აფრო-აფხაზური ოჯახის დიასახლისისთვის უკითხავს – აქ საიდან აღმოჩნდითო. შავკანიან ქალბატონს კი აფხაზურად უპასუხნია – ჩვენ კი არა, თქვენ, რუსები, საიდან გაჩნდით აქო.

ქართულ-აზერბაიჯანი გვარეპი, როგორც უმოკლესი გზა შერიგებისავე

ახლოვდება 27 სექტემბერი... ნება მომეცით, მოგისამძიმროთ ეს ყველაზე ტრაგიკული დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში, აფხაზებსაც და ქართველებსაც, ამ დარბაზშიც და მის გარეთაც. გისამძიმრებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომლისთვისაც მიუღებელია სეპარატიზმი, ფაშიზმი, ომი თუ ომის პროპაგანდა. ყველას გისამძიმრებთ, ვისაც გრტყივათ და ამ ტკივილის არ გეშინიათ, ვისაც აფხაზეთის ყოველ ხსენებაზე თვალები ცრემლებით გევსებათ...

რაც მოხდა, იყო ორივე მხარის პოლიტიკოსთა უგუნურობის, წინდაუხედაობისა და დანამაულებრივი პოლიტიკის შედეგი! არზაყან ემუხვარის სამოქმედო გეგმაში ეწერა: „საქართველოს მოლვაწეებმა უნდა დიდი სიფრთხილით მოეცყრან აფხაზეთს“. დიდი სიფრთხილით არც ერთი ხელისუფლება არ მოცყრობია აფხაზეთს! „მსოფლიო დონის პოლიტიკოსის“ მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგი კი მნარე ნაყოფად ვიგემეთ აფხაზეთის მკვიდრებმა! რუსთაველი კი გვეუბნება – „არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.

ჩემი ღრმა რწმენით, ლიტერატურა არის ის სფერო, რომელიც არა მხოლოდ გვანუგეშებს, არამედ გვასწავლის – რა და როგორ იყო წარსულში და რისი გაკეთება შეგვიძლია მომავალში. სწორედ ამ მიმართულებით ძალიან მეამაყება და მეიმედება ქართული ლიტერატურა, მისი კლასიკური და თანამედროვე შემადგენელი.

საქართველოს კულტურის სამინისტრო ახორციელებდა პროექტს „ცოცხალი წიგნები“, რომლის მუშაობაშიც აფხაზეთიდან დევნილი შვიდი მწერალი ვიღებდით მონაწილეობას. საქართველოს ყველა კუთხეში ვერეოდით ლიტერატურისა და კითხვის პროპაგანდას. პირადად მე ჩემს დროს აფხაზეთის თემატიკის წარმოსაჩენად ვიყენებდი. მინდა გულისტკივილით გაუწყოთ, რომ ახალგაზრდებისათვის ეს თემა უცხოა!!! არც მიკვირს. ქართულმა სკოლამ უფრო მეტი უნდა გააკეთოს ახალგაზრდებში პატრიოტული გრძნობების გასაღვიძებლად! აფხაზეთი მხოლოდ მარტო ზღვა და პალმები არ არის! აფხაზეთი გაერთიანებული საქართველოს აკვანია, მისი მე-

საძირკულე კუთხე!

იტალიელი მკვლევარისა და ეთნოგრაფის კარლა სერენას აფხაზეთში მოგზაურობის შედეგად დაიწერა მისი შესანიშნავი ნაშრომი „მოგზაურობა სამურზაყანოსა და აფხაზეთში“, რომლისთვისაც მეცნიერი 1881 წელს დაჯილდოვდა საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედლით. ამ ნაშრომს რუსულ ენაზე გავეცანი, გთავაზობთ ჩემეული თარგმანით ერთ მნიშვნელოვან პაზაცს: „მთელი ღამე 13-დან 14 აგვისტომდე, მოსახლეობა ფხიზლადა, მღერიან და ცეკვავენ, ყურადღება გამახვილებული აქვთ, რომ არავის ჩაეძინოს. ეშინიათ, მაზაკვალებმა არ იხელთონ დრო და არაფრთხილ ადამიანს გული არ მოსტაცონ!“ დაილოცოს უფლის განგება, რაღა 14 აგვისტოს მოელოდნენ ჩვენი წინაპრები მაზაკვალებს გულის წაგვრის მიზნით?! შეგახსენებთ, ეთნოგრაფი სერენა 1881 წელს წერს ამას და იქვე მიუთითებს, ეს ძველი ტრადიციააო! აი, ძალან მნიშვნელოვანი მინიშნება იმისა, თუ რატომ არ უნდა უარყოთ წინაპართა ადათი! ჩვენ რომ ჩვენი წინაპრებისათვის დაგვეჯერებინა, ტრადიცია შეგვენარჩუნებინა, 14 აგვისტოს ერთად გავათენებდით სადმე სამურზაყანოში, ცეკვა-სიმღერითა და ლოცვით, რომ ავსულს არ მოელო ბოროტება ჩვენზედ, რომ მაზაკვალს არ დავემარცხებინეთ!

ქართული ლიტერატურა ძნელია წარმოვიდგინოთ აფხაზეთის თემის გარეშე. ჯერ კიდევ 1779 წელს ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) პოემაში „რუხის ბრძოლა“ აფხაზების შესახებ წერდა: „მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუმცა შეესვათ გობითაო“. პოეტი ასევე საყვედლურობს აფხაზთა მთავარ ზურაბ შარვაშიძეს – ცვილებრ ნაზელი ზრდილობისა წესი გზასა უვიცაა ქვად უხმარად დაგიგდიაო. ამ ნაწარმოებში ნახსენები შარვაშიძეები, აფხაზურად ჩაჩები, მეგრულად შარაშიები – აფხაზეთის სამთავრო ოჯახს წარმოადგენდნენ. მასზე რუსული წყაროები გვიმტკიცებენ, შირვანელი ბენეშიდზადეები არიან, დავით ალმაშენებელმა ჩამოასახლა აფხაზეთშით. პირველი შარვაშიძე „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის მეფობისას გვხვდება – თორალო შარვაშიძე. ამ გვარს ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰყავს.

„სვანი ყანწით გადლეგრძელებს, მე- აფხაზი წრფელი გულით, ვით სჩვევიათ ჩვენსა ძველებს – ძმობითა და სიყვარულით“

– ასე წერდა აკაკი წერეთელს მისი მეგობარი გიორგი შარვაშიძე, რომლისთვისაც აფხაზეთი ლოკალური სამშობლო იყო... „ჩვენს სამშობლოს ივერიას“ – ასე განიხილავდა და შეიგრძნობდა ის თავის ქვეყანას, რომელსაც ეუბნებოდა: „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი, ჰოი მამულო, მომავალს გისპობს“.

შარვაშიძებმა ჩვენს დედაქალაქ თბილისისაც დააჩნიეს თავისი მოღვაწეობის კვალი. მხედველობაში მყავს გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე, რომელიც 14 წლის განმავლობაში მართავდა თბილის, როგორც ვიცე- გუბერნატორი და მერე, როგორც გუბერნატორი. ჩვენმა დედაქალაქმა მისი მმართველობის ნლებში (1883-1896) მრავალი კულტურული ნიშან-თვისება შეიძინა, რომლის ჩამოთვლასაც ახლა არ შევუდგები.

შარვაშიძებზე საუბრისას მინდა მოვიგონო ჭაბუა ამირეჯიბის წერილი, სადაც ბატონი ჭაბუა მწერდა: „აფხაზეთის მთავართა სახლ-ში თამამად შემესვლება. დიახ, შარვაშიძეთა შთამომავალი ვარ დედის მხრიდან“. მართლაც, ბატონი ჭაბუა იყო გიორგი მიხეილის ძის დის – თამარ შარვაშიძის შვილიშვილის – მაკა ნაკაშიძის შვილიშვილი. შარვაშიძეთა ჩამომავლად მიიჩნევდა თავს გალაკტიონიც: „ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზი მეფების შარვაშიძეთა გვარი-დან – ბების, ბერიძის ქალის დედა იყო შარვაშიძის ასული“. ეგებ ეს სისხლისმიერი ნათესაობა განაპირობებდა გალაკტიონის უსაზღვრო სიყვარულს აფხაზეთისადმი, სოხუმისადმი, სადაც მან ერთადერთი სახლი აიშენა, ნინოშვილის ქუჩაზე! გალაკტიონის ერთი ნაკლებად ცნობილი სტრიქონი მინდა წაგიკითხოთ:

„გახედე სივრცეს...მთელი ეს ზღვა ნეტავი ოდეს ერთ უზარმაზარ არყის ქვაბად გადიქცეოდეს.

გადაეშვება მასში ხარბი ხელმწიფე რუსი

შიგ ჩაიხრჩვება და გაქრება, როგორც ბურუსი“

როგორც ვხედავთ, გენიალურ ადამიანს, სარკასტული ხუმრობაც არ უჭირს. აკაკი წერეთლის დის – მატა წერეთლის ქალიშვილი ანა დადიანი გახლდათ ჯანსულ დადემქელიანის მეუღლე. დადემქელია-

ნის დედა ანჩაბაძის ქალი იყო. აფხაზური ანდაზა გვეუბნება – ჯერ ანჩაბაძე ახსენე და შარვაშიძე მერე თქვიო. ვახუშტი ბატონიშვილი მიიჩნევდა, რომ „მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდამ მოსვლას“. ცნობილი მწერალი ვახტანგ ჭელიძეც იზიარებს ამ შეხედულებას: „საისტორიო წყაროებში მაჩაბელთა გვარი მეთხუთ-მეტე საუკუნიდან მოიხსენიება, როგორც ჩანს, აფხაზეთიდან უნდა იყვნენ გადმოსულები“. ამ შეხედულებას იზიარებენ თბილისელი ან-ჩაბაძები, რომლებიც მიამბობდნენ – აღდგომას, ჩვენს გვარისმიერ ნათესავებს, მაჩაბლებს, ბაბუა ყოველთვის დიდი პატივით მოინახულებდათ. სხვათა შორის, ანჩაბაძეებს თავის ნათესავებად მიაჩნიათ კახელი აფხაზები (გვარი – აფხაზი).

წებელდის მფლობელი მარშანიები, ასევე, დიდი ფეოდალები იყვნენ და სრულიად სამართლიანად ამაყობდნენ თავიანთი ჩამომავლობით. სხვათა შორის, კონსტანტინე დადეშქელიანის დედა, როგორც გვაუწყებს გვანჯი ჩიქოვანი თავის მოგონებებში, მარშანიას გვარის ქალი ყოფილა. ბედნიერი ვარ, რომ ახლოს ვიცნობდი ამ გვარის წარმომადგენელს, ბატონ ლორიკ მარშანიას, რომელიც დიდი მეცნიერი, ამავე დროს, ძალიან საინტერესო პუბლიცისტი იყო და გარეგნულადაც ამართლებდა თავის შესანიშნავ ჩამომავლობას.

ემუსვარები ამილახვართა სისხლისმიერ ნათესავებად მიიჩნევენ თავს. საერთოდ, გვართა უცხოური წარმომავლობის თაობაზე ლეგენდებს ერთი მიზანი აქვთ, წარმოაჩინონ ამ გვართა განსაკუთრებულობა, გამორჩეული წარმოშობა. თუმცა, ვერც ერთი ლეგენდა ვერ განადიდებს ემუსვართა საამაყო გვარს ისე, როგორც ეს დიდისტატმა კონსტანტინემ შეძლო თავის გენიალურ „მთვარის მოტაცებაში“. „მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია“ – ამბობს თარაშ ემუსვარი და უჯუშ ემხაც გვარწმუნებს ამაში ლეო ქიაჩელის „ჰაკა აძპადან“. ემხა ქართული ემუსვარის აფხაზური ტრასკრიპციაა, გვარი ერთია, ხასიათიც ერთნაირი – ზნეობრივი, უკან დახევას არჩევეული! ასეთივეა „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები პირველი ემუსვარი, დიდი თამარი გმირობისა და თავდადების გამო რომ აჯილდოებს: „ებოძა ადგილი ეგრის წყლის დასავლეთით, ვიდრე კელასურამდე, ყოველი მზღვრითა მისითა...ყოვლითა სამარხითა და უხმარითა“.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს აფხაზს: „კაცნი მსგავსი მეგრელთა, უმეტეს ცქვიტნი, ტანოვანნი, წერწეტნი, მპარავნი...“ 1845 წელს დანერილ წერილში რუსი ეთნოგრაფი პუშკარიოვი წერს: „нравы простого народа грубы, невежливы, воровство и отсутствие малейшего наклонности к труду - отличавшая черта абхаза“ ამ რუსული შეფასების საპირნონედ მახსენდება, აკაკი წერეთელს „ცის და მინის შუამავლად“ რომ დაუგულებია აფხაზი კაცი. ერთ ასეთ რამეს დავაკვრდეთ – ბათუ აფხაზია, ნაზიპროლა – მეგრელი, ჰაჯი-უსუბ – ყაბარდოელი, მაგრამ აკაკი არსად მიგვანიშნებს საფარ-ბეგის ეროვნებას! მართალიცაა, უზნეობას ეროვნება არ აქვს! ამიტომაც გაუხდია აკაკის უარყოფითი პერსონაჟი უეროვნებოდ.

ეროვნებაზე გამახსენდა. ცნობილია, რომ მდინარე კოდორის მიმდებარე სოფლებში მერკულას, ჭლოუსა და ადძიუბჟაში ცხოვრობდნენ ე.წ. აფრო-აფხაზები, ანუ შავკანიანი, აბისინიური წარმომავლობის აფხაზები, მათ შესახებ თავის დროზე წერდნენ: სამსონ ჭანბა, მაქსიმ გორკი, დიმიტრი გულია, ფაზილ ისკანდერი, სვეტლანა ალილუევა და რუსი მოგზაური, უურნალისტი და მწერალი ზინაიდა რიხტერი. ამ უკანასკნელს 1930 წელს გამოუშვია წიგნი „მოგზაურობა აფხაზეთა და ხევსურეთში“. ზინაიდა რიხტერი ადძიუბჟაში (რომელსაც ის მოიხსენიებს, როგორც „ადძიუბისა“) შეხვედრია აფრო-აფხაზურ ოჯახს და უკითხავს მათთვის, აქ საიდან აღმოჩნდითო. შავკანიან ქალბატონს კი აფხაზურად უპასუხნია – ჩვენ კი არა, თქვენ, რუსები, საიდან განიდით აქ! შესანიშნავი პასუხი კი გაუცია, მაგრამ ჩვენი თანამედროვე აფრო-აფხაზთა შთამომავალი სრულია და სხვაგვარად აზროვნებს – ვინმე ბაბილოვას, სოხუმის მკვიდრს, წარმოშობით აფრო-აფხაზს, წერილით მიუმართავს აშშ-ის მაშინდელ პრეზიდენტ ბარაკ ობამასთვის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოუთხოვია... მართლაც ვერაფერს იტყვი! ფანტაზიასაც ხომ უნდა ჰქონდეს ზღვარი?!

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ჩემმა ნათესავმა ქირთბაიებმა ლიხნის ტაძრის ეზოში, ქირთბაიების საგვარეულო სასაფლაოზე უძველესი საფლავის ლოდი აღმოჩინეს ქართულენოვანი ეპიტაფიით, 1866 წლით დათარიღებული. საბედნიეროდ, დეიდაჩემმა ლ.

ქირთბაიამ ჩაინწერა და თაობებს შემოგვინახა მისი შინაარსი:

„საფლავსა ამას შინა ვარ მდებარე
ნუთუ იყოთ ვინმე ჩემი მცნობარე,
მზემან ჩემმან დღე ვერ ნახა მნთებარე
ცოლ-შვილისა ოხრად დამამთბობარე,
ტაგუ ბალბუსის ძე ვიყავ მხმობარე
გვარად ქირთბაია შარაშის ძის მხლებარე,
შობვილი ორმოცი წლისა და
ან ამ მინად მგებარე.
გევედრებით ღმერთს მავედროთ,
სამოთხე მკვიდრობარე“

ჩემი ბაბუის ბაბუის ბაბუას – ტაგუ ქირთბაიას, შარაშის ძის მხლებარეს, 1866 წელს, ორმოცი წლის ასაკში გარდაცვალება მაფიქრე-ბინებს, რომ ის აფხაზთა აჯანყების (რუსთა წინააღმდეგ) მონაწილე იქნებოდა. ამას მიუვადვენი ჩემი ბოლო წიგნი „გვართმოსაყდრე“. ქირთბაიები, როგორც ცნობილია, ქართველებიც არიან და აფხაზებიც. აფხაზ ქირთბაიებს დავინუებიათ ის ქართული, რომლითაც ჩვენი საერთო წინაპარი საფლავის ეპიტაფიას წერდა! ვთხოვ მათ, აფხაზურ ალამისს და ზნეობას მაინც ნუ დაივინუებენ, ნუ გადააგდებენ და უარყოფენ ამ საფლავის ლოდს – ნუ გადააპიჯებენ მას! მათი ქართველი გვართმოსაყდრე, ბაბუაჩემი შოთა ქირთბაია, 86 წლისა, დევნილობაში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ორი სიტყვის ამოთქმა შეძლო: „ჩემ ქიანაშა...“ მიუვადით და სამურზაყანოში, სოფელ ოტობაიაში დავკრძალეთ... მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რომ ამ სიტყვებით მხოლოდ დაკრძალვას არ ითხოვდა მშობლიურ მინაზე. მან ამ ორი სიტყვით გვიანდერდა, რომ აფხაზეთი ჩვენი წინაპრების საძვალეა, რომ აფხაზეთი ჩვენი ოდაბადეა, რომ დედის ძუძუს სხვაზე არ გაიცვლება, რომ აფხაზეთი ჩვენი ქვეყანაა!!! ამ რწმენით ვცხოვრობ და ვცდილობ, ასე ვასწავლო ჩემს შვილებსაც.

ამ იდეალებით მოხელმძღვანელე ყველა თანამემამულეს გეუბნებით ყველაზე მშობლიურ ენაზე – გომორძგვან ღორონთქ!



შესვენება ყავაზე



აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ნახატების გამოფენა
სასტუმრო „ბეტსის“ ფოიეში

ლია ტოკლიკიშვილი

უურნალისტი, გადაცემა „გამომძიებელი რეპორტიორის“
პროდიუსერი



- ჩვენ, უურნალისტებს უამრავი შეცდომა გვაქვს დაშვებული და თუ სიმართლეზე ვსაუბრობთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ომში ბევრი რამ დავაშავეთ;
- მე, როგორც ერთი უურნალისტი, რომელიც ვიყავი ამ ომის რეპორტიორი, მზად ვარ, ვაღიარო, რომ მთელი ომის განმავლობაში ვხედავდი მხოლოდ ომის ერთ მხარეს. ვხედავდი მხოლოდ ომას, რა ხდებოდა ქართულ მხარეს, როგორ ტანჯავდა და ანადგურებდა ომი ქართველებს, მაგრამ ერთხელაც არ მიფიქრია, რა ხდებოდა ომის მეორე მხარეს...
- მე დამჭირდა 25 წელი, რომ მეფიქრა – ნეტავ, რა გადაიტანეს ამ ომში აფხაზებმა? მე ნავიკითხე აფხაზ მწერალ ჯუმა ახუბას ტყვეობისდროინდელი ჩანაწერები, ნავიკითხე ქართველების მიერ ტყვედ აყვანილი და შემდეგ გაუჩინარებული ტაიფ აჯბას დღიურები, ჯურნალისტ ვიტალი შარიას დღიურები და მივხვდი,

რომ ომის იმ მხარესაც იგივე უბედურება, იგივე ტრაგედია ხდებოდა, რაც ხდებოდა ჩვენს მხარეს.

- მე მინდა აფხაზ უურნალისტ ირმა ოსიას სახით, რომელიც დღეს, აქ, ამ კონფერენციაზე ჩემ გვერდით ზის, ყველა აფხაზს მივმართო – მეც მაპატიეთ!

ჩემი გზა ომის ურნალისტიკიდან მჰვილობის ურნალისტიკამდე

მე ვხედავ, რომ ჩვენ ვართ 25 წლის წინანდელ მდგომარეობაში. ჩვენ ძველებურად ვართ ომის უურნალისტები და არ ვიცით, რა არის მშვიდობის უურნალისტიკა. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არ შეგვახსენებდნენ ამ ტრიბუნიდან, რომ სიმართლე ამ ომის შესახებ უნდა ითქვას და თან ის ფაქტები არ დასახელდებოდა მხოლოდ, რომლებიც აფხაზებმა, ან თუნდაც რუსებმა ჩაიდინეს ჩვენ წინააღმდეგ. ერთი ფაქტიც არ მომისმენია იმის შესახებ, ჩვენ რა ჩავიდინეთ. არ ვსაუბრობ იმაზე, რა ჩაიდინა ხელისუფლებამ, ამაზე კიდევ ბევრი დაინერება, მაგრამ მე, როგორც ერთი უურნალისტი, რომელიც ვიყავი ამ ომის რეპორტიორი, მზად ვარ, ვალიარო, რომ ამ ომის განმავლობაში მხოლოდ ომის ერთ მხარეს ვხედავდი. ვხედავდი მხოლოდ იმას, რა ხდებოდა ქართულ მხარეს, როგორ ტანვავდა და ანადგურებდა ომი ქართველებს, მაგრამ ერთხელაც არ მიფიქრია, რა ხდებოდა ომის მეორე მხარეს... მაშინ საკმაოდ პატარა ვიყავი და ომში საერთოდ გამოიცდელი წავედი... ალბათ ამიტომაც დამჭირდა 25 წელი, რომ მეფიქრა – ნეტა, რა გადაიტანეს ამ ომში აფხაზებმა? როდესაც მე დავიწყე ძებნა აფხაზური მხარის დოკუმენტური ჩანაწერების, მივაკვლიე საოცრებას – მე წავიკითხე აფხაზი მწერლის – ჯუმა ახუბას ტყვეობისდროინდელი ჩანაწერები, წავიკითხე ქართველების მიერ ტყვედ აყვანილი და შემდეგ გაუჩინარებული ტაიფ აჯბას დღიურები, ჯურნალისტ ვიტალი შარიას დღიურები და მივხვდი, რომ ომის იმ მხარესაც იგივე უბედურება, იგივე ტრაგედია ხდებოდა, რაც ხდებოდა ჩვენს მხარეს. ის ადამიანები ისევე თვლიდ-

ნენ, რომ იმ სამშობლოს იცავდნენ, რომელსაც ვიცავდით ჩვენ. ასეთ შემთხვევაში მე მიმართია, რომ დღეს აქ იმაზე საუბარს, როგორ დაიწყო ომი, ვინ გასცა ბრძანება იქ ჯარის შეყვანის და ა. შ. აღარ აქვს აზრი... თუ ჩვენ 25 წლის შემდეგ კიდევ იმაზე ვსაუბრობთ, რაზეც ვსაუბრობდით 25 წლის წინ, კიდევ ერთი 25 წელი, მეორე 25 წელი არ გვეყოფა, რომ დავამთავროთ ომი აფხაზებთან.

მე მაქვს ჩემი ფორმულა აფხაზებთან ომის დამთავრების: მე და ნანა ჯანელიძე, ცნობილი კანორეუსორი, ვიღებთ ფილმს, რომელსაც ასეთი პირობითი სათაური აქვს: „სად მიდის ლიზა?“ ლიზა ეს მე ვარ. ეს ჩემი თაობაა. ჩემი გმირი მიდის ომში, რომელშიც ხედავს დამცირებულ, განაწარმებ ქართველებს. იცით, ფილმი როგორ იწყება? უნდა გავამხილო ეს ნანა ჯანელიძეთან შეუთანხმებლად – ფილმი იწყება ტელეგადაცემით – ლიზა წარმატებული უურნალისტი ხდება და ომის შემდეგ თავის კარიერას აგრძელებს. ის გადაცემის წამყვანია და იმ გადაცემაში, რომლითაც იწყება ფილმი, მას აფხაზეთის თემაზე სასაუბროდ მოყვანილი ჰყავს თქვენნაირი ადამიანები, ამ თემასთან რაღაც კავშირში მყოფი. უურნალისტი ტელეეთერში, მისთვის სრულიად მოულოდნელად, აღმოჩნდება აბსოლუტურ უმცირესობაში, მას თავს ესხმიან იმის გამო, რომ ის ამბობს იმ სიტყვებს, რომლებიც მე თქვენ ახლა გითხარით... მე ვიცი, რომ ჩვენ, ასეთი უურნალისტები, ვიქნებით ყოველთვის უმცირესობაში.

ჩვენ დღეს აქ ვნახეთ გორელიშვილის ფილმი იმის შესახებ, როგორ ექცეოდნენ ქართველები ტყვედ ჩავარდნილ აფხაზ უურნალისტებს. ვნახე ეს ფილმი და დამაკლდა ძალიან ბევრი რამ – ჩვენ, უურნალისტები, მაშინ ბევრს ვცოდავდით და ვერ ვხედავდით ომის მთელ სურათს. ტყვეებს სინამდვილეში სულ სხვანაირად ექცეოდნენ. რა საჭოროა მუდამ ნახევარ სიმართლეში ცხოვრება. მე მყავს ნანაზი აფხაზი ტყვე, რომელსაც სთხოვეს, სიკვდილის წინ უკანასკნელ თხოვნას შეგისრულებთ. მან კი აიღო ქვა და ესროლა ქართველ ჯარისკაცს, რომელსაც რამდენიმე წამში ტყვია უნდა დაეხალა მისთვის. ის ტყვე, რა თქმა უნდა, დახვრიტეს... სხვათა შორის, ის მშვიდობიანი მოქალაქე იყო. ჩვენ, უურნალისტებს უამრავი შეცდომა გვაქვს დაშვებული და, თუ სიმართლეზე ვსაუბრობთ, ესეც უნდა

ვთქვათ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამ ომში ბევრი რამ დავაშავეთ. ისევე, როგორც მე, როგორც ერთი ადამიანი, ერთი ჟურნალისტი, ლია ტოკლიკიშვილი ვაღიარებ, რომ არ ვიყავი მართალი, რომ ვერ ვწერდი და ვერ ვაწოდებდი საზოგადოებას მთელ სიმართლეს, ისე უნდა ვაღიაროთ ყველაზ.

დავუბრუნდეთ ფილმს. მაინც სად მიდის ლიზა? ლიზა მიდის იქ, სადაც წავიდა მისი წინაპარი – ანუ მოყმის დედა მიდის ვეფხვის დედასთან ... შეიძლება იმ სიტყვების სათქმელად, რომლებიც, ალბათ, მოყმის დედამ უთხრა ვეფხვის დედას. მიდის თავისი მკვდრებისა და დაკარგული ქვეყნის გამო გლოვის მისატანად და იმის სათქმელადაც, რომ მათი გლოვაც მუდამ ჩაესმის ყურებში.

მე მინდა აფხაზ ჟურნალისტ ირმა ოსიას სახით, რომელიც დღეს, აქ, ამ კონფერენციაზე ჩემ გვერდით ზის, ყველა აფხაზს მივმართო – მეც მაპატიეთ! ეს არის პერიფრაზი ბატონი გურამ ოდიშარიას სიტყვებისა, რომელიც მან წაუწერა აფხაზ მწერალ დაურ წაჭყებიას და გაუგზავნა... ბატონი გურამი, როგორც ერთი ადამიანი, აფხაზებს შეურიგდა, მე მინდა ვიყო მეორე ან მესამე... თქვენ შემდეგნი იყავით.

„სიმართლეზე ორივეთირებული ურნალისტიკა აშუქებს ყველა მხარის ტყუილს. პროპაგანდაზე ორივეთირებული კი – „მათს“ ტყუილს“.

პანდელი პანი

„კონფლიქტური სიტუაციების გაშუქების საფუძვლები“

ია დანელია

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ურნალისტიკაში,
საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდიუსერი



- ზოგიერთს ეჩვენებოდა, რომ ყოველგვარი ჭორისა და საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა საინტერესო იქნებოდა მკითხველისა და მაყურებლისთვის. თუმცა, რად დაუჯდებოდა ეს ინფორმაცია ქართულ ჯარს, ამაზე არავინ ფიქრობდა. ერთ-ერთი ასეთი უზარმაზარი უურნალისტური შეცდომა იყო გია ყარყარაშვილისა და „თეთრი არწივის“ ტყეში პარტიზანულად გასვლის ეპიზოდის გაშუქება;
- უურნალისტები, რომლებიც წინა ხაზზე ვიყავით, ყველასთან შეუთანხმებლად გადაცემდით ინფორმაციებს დედაქალაქს, საკუთარ გამომცემლობებსა და ტელევიზიას. ჩვენს მუშაობაში არ იყო არავითარი სტრატეგია და კოორდინირებულობა;
- ომი ისე მოუმზადებლად დაიწყო და მის გასაშუქებლად ისე სპონტანურად წავედით, ამის შესახებ არც უშუალოდ ჩვენი ხელმძღვანელები ჩაგვიყენებია საქმის კურსში, არც მშობლები. მივიპარებოდით, ასე ვთქვათ, გმირობანას სათამაშოდ;

- შესაძლოა, ახლანდელ მკითხველს სასაცილოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტების დროს სამად სამი კამერა ქმნიდა საქართველოს უახლეს ისტორიას... აქედან ერთი – პირადად მე მეკუთვნოდა.

სამად სამი კამერით და ცელოვანი გამოცდილებით

საქორწინო მოგზაურობა შევწყვიტეთ, მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოვლინდით თბილისის აეროპორტში და ისე, რომ სახლშიც არ შეგვივლია და მეგობრებსაც არ შევხმიანებივართ, ვერტმფრენში გადავსხედით და ცხინვალში ჩავფრინდით. მე 20 წლის ტელეჟურნალისტი ვიყავი, ჩემი მეუღლე – გვარდიის ოფიცერი. სამაჩაბლოში პირველად ვნახეთ აქამდე წიგნებში წაკითხული ომის მთელი სისასტიკე და ისიც, რაც წიგნებში არ ენერა...

მაღვევე დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში. იმ დროისთვის სამხედრო უურნალისტიკაში რამდენიმეთვიანი გამოცდილების მქონე ტელეჟურნალისტი ვიყავი, თანაც მქონდა ვიდეოკამერა „მ-7“, რომელიც საქართველოში მხოლოდ 3 ცალი იყო: ერთი „მხედრობის“ საკუთრება, რომლითაც საშა იოსელიანი იღებდა, მეორე – საქართველოს ტელე-რადიო დეპარტამენტის, მესამე კი – ჩემი. ეს გარემოება დიდ უპირატესობას მაძლევდა კოლეგებთან შედარებით, რომლებსაც ასეთი ფუფუნების საშუალება არ ჰქონდათ და ომში კამერის გარეშე მიღიოდნენ... შესაძლოა, ახლანდელ მკითხველს სასაცილოდაც კი მოეჩვენოს მაშინდელი ვიდეოკამერის გადამწყვეტი მნიშვნელობა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტების დროს, მაგრამ ფაქტია – ამ სამმა კამერამ შექმნა საქართველოს უახლესი ისტორია, ფირზე აღბეჭდა დაუვიწყარი სახეები ქართველი გმირებისა, რომლებიც იმ ომებში კეტებით წავიდნენ ომობანას სათამაშოდ და გმირებად დაბრუნდნენ, ან სრულიადაც ვერ დაბრუნდნენ და ამ ქვეყნიდან მარადისობაში გადააბიჯეს...

ახლა ვნახოთ, როგორი იყო იმ წლების ეგრეთ წოდებული ქართული სამხედრო უურნალისტიკა და ვინ ვიყავით ჩვენ, ქართველი

სამხედრო უურნალისტები, ამ საქმეში სრულიად გამოუცდელი ახ-ალგაზრდები, რომლებსაც, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულებს, ვინ იცის, რამდენი საბედისწერო შეცდომა დაგვიშვია.

...ომი ისე მოუმზადებლად დაიწყო და მის გასაშუქებლად ტელევიზიიდან, რადიოდან, ძირითადად კი, პრესიდან ისე სპონტანურად წავედით, ამის შესახებ არც უშუალოდ ჩვენი ხელმძღვანელები ჩაგვიყენებია საქმის კურსში, არც მშობლები. მივიპარებოდით, ასე ვთქვათ, გმირობანას სათამაშოდ და რამდენიმე საათში ტყვიებსა და ჭურვების საშინელ კაკანში ვხვდებოდით. მაშინ მიგხვდი, რომ გმირობა სულ ერთ წამში წყდება, ადამიანი გმირი ხდება რამდენიმე-წამიანი გადაწყვეტილებით, რომელზეც არასდროს უფიქრია.

... ტამიშში სამდლიანი ბრძოლის შემდეგ ორივე მხარეს ილა-ჯგანწყვეტილმა მეომრებმა ღამით რამდენიმე საათით სროლა შეწყვიტეს. ვცდილობდი, მაქსიმალურად გადამეღო ყველა და ყველაფერი, რამდენის საშუალებასაც საომარი ვითარება და განათება მაძლევდა. ჩვენი ჯარისკაცები 2-სართულიანი სახლის ეზოში იყვნენ. ზოგი პირდაპირ ბალაზზე იყო მიწოლილი, ზოგიც სახლის პირველ და მეორე სართულზე ატყუებდა თვალს. ოცმეთაური იყო სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი, 22 წლის დავით ფანგანი, რომელიც მეორე სართულზე ავიდა, გულზე გადაკიდებული საპრძოლო ტყვიების ქამარი (ეგრეთ წოდებული „ლიფჩიკი“) მოიხსნა, რომელსაც ყუმბარის თავიც ამოპყავა... იდგა დაღლილ-დაქანცული ყმაწვილი, დაყურებდა ამოქმედებულ ყუმბარას, რომელიც 2 წამში აფეთქდებოდა და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა? ფანჯრიდან გადაეგდო ყუმბარა და მეგობრები აეფეთქებინა თუ... და ოცმეთაურმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო – ასაფეთქებლად გამზადებული ყუმბარა მუცელთნ მიიღო, ზედ მთელი ტანით დააწვა და...

აფეთქება გამაყუებელი იყო. ბევრმა მივიღეთ კანტუზია, თუმცა, ოცმეთაურის მეტი არავინ გარდაცვლილა. დათო ფინგანი 2 წამში გახდა გმირი და უკვდავებაშიც 2 წამში გადაპიჯა. აფეთქება, რასაკვირველია, ჩემმა კამერამ ვერ გადაიღო, თუმცა, დათო ფანგანის არაერთი კადრიც მქონდა და მისი მეგობრების კომენტარებიც... ერთი სიტყვით – ყველაფერი კარგი სიუჟეტის მოსამზადებლად.

თუმცა, სიუჟეტი მხოლოდ 3 თვის შემდეგ მოვამზადე. იქამდე ვერ შევძელი, იმდენად დიდი იყო ტეივილი...

როდესაც საომარ ხაზზე არ ვიყავი, მაშინ ტელევიზიაში დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „ალიონი“ მიმყავდა. პირდაპირ ეთერში შემოჰქონდათ ცხელ-ცხელი ამბები გარდაცვლილებისა და დაჭრილების შესახებ. ასე შემომიტანეს ინფორმაციაც საშა იოსელიანის გარდაცვალების შესახებ... კითხვის დროს, პირდაპირ ეთერში, კინაღამ გული გამიჩრდა. სანახევროდ წაკითხული ინფორმაციით და ცრემლიანი თვალებით, სრულიად აზრმიუცემლად მივაჩერდი კამერას, რომელიც ჩემზე მუშაობდა. რეჟისორი მიხვდა, ეთერი შეწყვიტა და საინფორმაციო განცხადება წაკითხა დიქტორს. რამდენი იყო ასეთი მწუხარე დღე, ღმერთო, დიდებულო, და რა ახალგაზრდები ვიყავით მაშინ..

შურნალისტები, რომლებიც წინა ხაზზე ვიყავით, ყველასთან შეუთანხმებლად გადავცემდით ინფორმაციებს დედაქალაქს, საკუთარ გამომცემლობებსა და ტელევიზიას. ჩვენს მუშაობაში არ იყო არავითარი სტრატეგია და კოორდინირებულობა. ზოგიერთს ეჩვენებოდა, რომ ყოველგვარი ჭორისა და საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა საინტერესო იქნებოდა მკითხველისთვის და მაყურებლისთვის. თუმცა, რად დაუჯდებოდა ეს ინფორმაცია ქართულ ჯარს, ამაზე არავინ ფიქრობდა. ერთ-ერთი ასეთი უზარმაზარი შურნალისტური შეცდომა იყო გია ყარყარაშვილისა და „თეთრი არწივის“ მეომართა ტყუში პარტიზანულად გასვლის ეპიზოდის გაშუქება. გია და მისი რაზმი გარდაცვლილი გოჩა ყარყარაშვილის საფლავის მიგნებას და მის გადმოსვენებას ცდილობდა თბილისში. ტელევიზიით კი 2 დღის განმავლობაში გადმოიცემოდა ინფორმაცია და ზუსტი კოორდინატები „თეთრი არწივის“ მდებარეობის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარემაც ამით ისარგებლა და ისეთი შეტევა მიიტანა ტყის იმ მონაკვეთზე, ლამის, მთლად გააადგურა საომარი შენაერთი...

ომში ყოველი დღე ერთი საუკუნის ტოლფასია. ჩვენც ყოველ-დღე ერთმანეთით და ერთმანეთთან ვიზრდებოდით და ისეთ გამოცდილებას ვიძენდით, რომელიც, 100 წელიც რომ გვეცოცხლა, ვერ მივიღებდით. უცებ ვისწავლეთ სიცოცხლის ფასი, სიტყვა „მეგობრის“

ცნება, თანამებრძოლობის ფასი... აქ ყველას ერთმანეთი ჩვეულებრივზე მეტად უყვარდა და ეძირფასებოდა. სიტყვებით ომში არავინ ლაპარაკობს, იქ მთავარი გრძნობები იყო, გაშიშვლებული ნერვები და ემოციები, რომელსაც ყველა ისე მაღავდა, როგორც შეეძლო...

სამხედრო კორესპონდენტი... ცეცხლის წინა ხაზზე მყოფი ურნალისტებისთვის ეს იყო ტიტული, რომელიც სხვა კოლეგებისგან განგვასხვავებდა და განსაკუთრებულობას გვანიჭებდა. ახლაც მგონია, რომ ამ ტიტულისთვის ღირდა ცხოვრება... მაშინაც, როდესაც 5 თვის ფეხმძიმე ტყვიების კაპანში სანგრიდან სანგარში გადავრბოდი, რატომდაც მეგონა, რომ ტყვია ვერ მომეკარებოდა, რადგან ახალ სიცოცხლეს ვატარებდი და სადაცაა, დედა უნდა გავმხდარიყავი.

თუ დაკვირვებულხართ, იმდღებგამოვლილი ბიჭები ყოველთვის თავს არიდებენ ომის ამბების გახსენებას. სიტყვაძვირები ხდებიან, გულში ნალოლავებ დარდებს სააშკარაოზე არ ფენენ. არც მე მიყვარ იმ დღების გახსენება, თუმცა, სამაჩბლოდან და აფხაზეთიდან დაბრუნების შემდეგ, 21 წლის გოგონა, გამორჩეულად მხიარული და ბედნიერი, ისეთი აღარ ვიყავი. ლიმილი გამიქრა სახიდან...

წლების გადმოსახედიდან მახსენდება ჩვენი იმ წლების შურნალისტური მოღვაწეობა და მეღიმება... თუმცა, ჩვენი კადრები ახლა უახლესი საქართველოს ისტორიის ფასდაუდებელი საგანძურია, რომელმაც მსოფლიო ტელევიზიები მოიარა.

ამ ამბებიდან 25 წელი გავიდა, ჩვენი შვილების თაობაც კი დაფრთიანდა, თაობა, რომელმაც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა თუ იცის აფხაზეთის შესახებ... ერთი ფრიადოსანი მოსწავლე მეკითხება:

– ია მასწ., აფხაზებს ხომ არ „ვევასებით?“

– არა, შვილო, არ „ვევასებით...“

– აბა, ჩვენ რა გვინდა, რას ვეჩრებით, რა გვინდა აფხაზეთში?

გული ჩამწყდა... აღმოჩნდა, რომ ჩვენი შვილებისთვისაც კი ვერ აგვისნია, რა გვინდა აფხაზეთში, რა იყო ის ომი აფხაზისთვის და რა ქართველისთვის. ეტყობა, რაღაც მთავარში ვუშვებთ შეცდომას აქეთაც და იქეთაც და თუ ახლავე არ დავიწყეთ შეცდომების გამოსწორება, ჩვენმა შვილებმა რა უნდა ასწავლონ თავიანთ შვილებს, რა გვინდა აფხაზეთში???

ნანა ჭანტურია

ურნალისტი, ურნალ „იალქნის“ რედაქტორი



- დევნილობაში დაარსებულ სრულიად აპოლიტიკურ „იალქანს“ თავისი მისია დაეკისრა – ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასთან ერთად აფხაზეთში დაბადებულ მოზარდთა მეხსიერებაში არგან-ელებულიყო მშობლიური კუთხისადმი სიყვარული; რაც ახსოვ-დათ, არ დაინიშებოდათ; რაც არ იცოდნენ, შეემეცნებინათ;
- „იალქანს“ ნინველურ ურნალსაც ვეძახით. სულხან-საბას განმარტებით, ნინველი იგივე თინერივერია. „იალქანი“ კი ნინველებთან დადგებული ხელშეკრულებაა;
- ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროპული სახელმწიფოების მეთაურთა და არასამთავრობო სექტორის მიერ სტრასბურგსა და უნევები, სხვაგან და სხვაგან შემუშავებული უამრავი რეზოლუციის მიუხედავად, ქართული საზოგადოება უკვე 25 წელიწადია, მოუგვარებელი ქართულ-აფხაზური პრობ-ლების წინაშეა. არადა, არ შეიძლება, იქ არ დავბრუნდეთ, საიდ-ანაც უნდა დაიწყოს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა;

ნინებულები – მათი დროითა და სათქმილით

ძნელია, საუბარი დაიწყო მაშინ, როცა უაფხაზეთოდ, უსამართლოდ ჩავლილი წლების შემდეგ ასე ერთად შეკრებილებმა ჩემს, შენს, ჩვენს სათქმელს, სამწუხაროდ, ისევ უვადო მომავალს ვანდობთ.

მაგრამ ჩემთვის, სოხუმში დაბადებული და არამარტო დევნილის საბუთით აფხაზეთის მკვიდრისთვის, ხვალინდელი დღე ის მოცემულობაა, რომლის უკან ყოველთვის დგას წარსული, ასეთი ძალისხმევითა და სიჯიუტით რომ ვეპოტინები; იქ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, ერთმანეთის თავგადასავლებით შეთხზულ მართალ ამბებში, წეს-ადათით საერთო-საუკუნოვან მატიანეში ვიქექები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რომ, რაც იყო, ასე ლამაზი და შეუნიბლავი, ვიდრე სხვას მოვუყვები, ჯერ ჩემთვისაც აღმოვაჩინო.

უურნალი „ცა აფხაზური“, რომელიც თქვენთან ერთად მეც დღეს ავიდე პირველად ხელში, ის პროექტია, რომლის შედგენა, თურმე, წლების წინ დაგვიწყოა.

მოდით, სათქმელს თანმიმდევრობით მივყვეთ:

1997 წლის 28 სექტემბრის ერთ-ერთი პერიოდული გამოცემა იუწყებოდა (ახლა ესეც ამონარიდია ჩემი უბის წიგნაკიდან):

„გუშინ თბილისში მოსახლეობას შორის მაინცდამაინც არავის მოგონებია, რომ 4 წლის წინათ დაეცა სოხუმი“.

მეორე გაზეთი, ასე ვთქვათ, „დავიწყებულ“ 27 სექტემბერს არავის ახსენებს, მაგრამ მსუბუქი ირონიით შენიშნავს:

„გუშინ მნიშვნელოვანი თითქოს არაფერი მომხდარა, ერთი ფაქტის გარდა: გუშინ, 27 სექტემბერს, სპორტის სასახლემ კრისტინა ორბაკატეს უმასპინძლა“.

ცხადია, ეს იყო რეალობაც და პოლიტიკაც. ამ დროს კი, სადღაც იქვე, ორ ბოძს შორის გაკრულ ფირნიშზე მიწერილი, რეკლამის დარი, ორსიტყვიანი ფრაზა ფრიალებდა: „გახსოვდეს აფხაზეთი!“

ომს მაშინ იწყებენ, როცა ბავშვების არსებობა ავიწყდებათ და როცა ომი მთავრდება, ყველაზე გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებენ მოზარდები.

სწორედ ამ დროს იწყებს გამოცემას აფხაზეთის მწერალთა კავ-

შირთან არსებული საყმანვილო ჟურნალი „იალქანი“.

დევნილობაში დაარსებულ სრულიად აპოლიტიკურ „იალქანს“ თავისი მისია დაეკისრა – ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასთან ერთად, აფხაზეთში დაბადებულ მოზარდთა მეხსიერებაში არ განელებულიყო მშობლური კუთხისადმი სიყვარული; რაც ახსოვდათ, არ დავიწყებოდათ; რაც არ იცოდნენ, შეემეცნებინათ და, რაც მთავარია, ამ საყმანვილო შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალით გამოგვეხატა პოზიცია: ის, რაც საუკუნეებით აგებულა და გამყარებულა, რისთვისაც თანაცხოვრებით მიგვიღწევია, საზღვრისპირა შლაგბაუმებით გამიჯნული სააფხაზეთო ისტორიის ფურცლები ისევ აგვეკინძა.

სოხუმის დაცემიდან უკვე მეოთხედი საუკუნე გავიდა. ამ დროის მანძილზე გაიზარდა არაერთი თაობა, რომელსაც არა გასახსენებელი, არამედ უკვე შესასწავლი ჰქონდა და აქვს აფხაზეთის წარსული, მათი შშობლებისა და ბებია-ბაბუების ქალაქების, დაბების, სალოცავების, ომამდე და ომის შემდეგ აფხაზეთში მცხოვრები ადამიანების ისტორიები, საუკუნოვანი ტრადიციები.

„ძვირფასო ბავშვებო! – ვალიარქ, ძალზე ძნელია, გიყვარდეს ის, რაც არასოდეს გინახავთ. თუმცა, თქვენ ხომ არც ქრისტეს საფლავი გინახავთ, მაგრამ გწამთ მისი. ვიდრე მის სიყვარულს არ ვისწავლით, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ლირსება საპოლოოდ არ აღდგება, საქართველო ვერ გაბრწყინდება. იმეგობრეთ „იალქანთან“. იმოგზაურეთ მასთან ერთად აფხაზეთში; ყური მიუგდეთ ლეგენდებს მასზე, თქვენი წინაპრების ძახილს ლიხნისა და ილორის ტაძრებიდან; მათ, ვინც ბედის ბარძიმს ჭედავდა თქვენთვის, ვინც მოქვისა და ბიჭვინთის სახარებებს წერდა“, – ასე შეეხმიანა თავის ნორჩ მკითხველს „იალქნის“ ფურცლებიდან მისი დამაარსებული და პირველი რედაქტორი, ქალბატონი სალომე კაპანაძე.

პასუხისმგებლობით ვაცხადებ: სრულიად აპოლიტიკური „იალქანი“, დღეს ერთადერთი საყმანვილო გამოცემა ქართულ მედია-სივრცეში ექსკლუზიური პუბლიკაციებით, რუბრიკების მრავალფეროვნებითა და საინტერესო ავტორებით და, რაც მთავარია, სულიერი ფასეულობების ერთგულებით, ჯანსაღი ეროვნული ტრადიციების გამომხატველია.

„ოდითგან სულით უპოვარი ერქვა თურმე იმ აფხაზს, ვინც „აგულრას“ დაკარგავდა.

„აგულრა“ აფხაზური სიტყვაა და იმედს ნიშნავს. მაშინ, როცა ვტოვებდით ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, როცა უიმედოებს იმედის გარდა ამქეყნად არაფერი გაგვაჩნდა, ისიც იქ დავტოვეთ – სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, გალში და დავტოვეთ იგი ეზოებში, ჩვენს ჭიშკრებს მიღმა – იქ, სადაც არ შეიძლება, არ დაბრუნდე, იმიტომ, რომ იქ არის შენი და შენი შვილების დასაწყისი, შენი მამა-პაპათა ადგილის დედა; სადაც ყველაზე ძლიერი, ყველაზე ამაყი ხარ და იცი, რომ მიწას ფესვებიცა აქვს და ხმაც. სადაც ქართულ „მრავალუამიერთან“ ერთად აფხაზური „შარდა ამათაც“ ისმოდა, სადაც არაფერი გვქონდა გასაყოფი, სიყვარულის მეტი.

ლხინშიც ერთი ქორწილის ხალხი გვერქვა ახლობლებსა და მორდუებს და ჭირშიც – ერთი კუბოს ჭირისუფლები.

მონაცრება მოურჩენელია და ამიტომაცაა ძლიერი. და როცა ერთმანეთს დავუბრუნდებით, მოდით, გავისენოთ მართალი ამშები ერთ ეზოდ, უბნად, ერთ ქალაქად შეყრილ მოკეთებზე და ასე გავაგრძელოთ დაუვიწყარი შეხვედრები ჩვენს ჭიშკრებს მიღმა“, – ამჯერად ჩემივე ჩანაწერს დავესესხე „იალქნის“ ერთ-ერთი ადრინდელი მინიატურიდან „ჩვენს ჭიშკრებს მიღმა“.

„იმისათვის, რომ მოზარდმა მოგისმინოს, მასთან ხელშეკრულებები ხშირ-ხშირად უნდა დადო“, – წერდა დიდი ფრანგი განმანათლებელი უან-უაკ-რუსო.

„იალქანს“ ნინველურ უურნალსაც ვეძახით. სულხან-საბას განმარტებით, ნინველი იგივე თონეიჯერია. „იალქანი“ კი ნინველებთან დადებული ხელშეკრულება.

პროექტით გათვალისწინებული „იალქნის“ სპეციალური, ორენოვანი გამოცემა, სადაც მხოლოდ აფხაზეთის თემატიკით გაჯერებული ნაწარმოებებია დაბეჭდილი, ერთხელაც შეახსენებს ნინველებს, ჩვენს მოზარდებს (და არამარტო მათ), რომ აფხაზი და ქართველი ერთი მცნება, საერთო ჰიპოსტატია, რომ ჩვენი ცნობიერება, მენტალობა იყო მხოლოდ ქართულ-აფხაზური, რომ თავსმოხვეული ომი

ჩვენი წარსულის გამოწვევაა მხოლოდ და, ისევ ფრაგმენტით გავაგრძელებ: „ჩვენ აუცილებლად გვემასსოვრება ჩვენს სახლში დაბრუნება. და ჩვენ აუცილებლად ვისწავლით ცურვას იმ ზღვისთვის, რომელიც ჩემია, რომელიც შენია, რომელიც ჩვენია“.

პროექტს დავარქვით „ცა აფხაზური“. ამ პოეტური სინტაგმის განმარტებას ვერსად აღმოაჩენთ. მაგრამ ჩვენი კრებულის სათაურიც და სათქმელიც ესაა: რომ დღეს აფხაზეთის ზეცა სამშობლოსავით და დედასავით საკრალური მოცემულობაა არამარტო აფხაზეთის ქართველებისათვის. და ზეცა ერთადერთი სივრცეა, არავის არასდროს საზღვრებად რომ არ გაუმიჯნავს.

„ერთხელ პირუტყვიც დაიბლავლებს, ბოსელს რომ მოაშორებენ და გაყიდიან. ჩვენ კი სამშობლო დავკარგეთ. ადამიანობა თუ არ შეგწევთ, პირუტყვობა მაინც შეძელით და ერთხელ მაინც დაიბლავლეთ“, – ეს კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ბრძანა.

დაიბადა კიდეც იდეა, წლიდან წლამდე კი არა, ნომრიდან ნომერში გამოქვეყნებული და, ამასთან, აფხაზურად თარგმნილი პუბლიკაციებით (და არა სახელდახელოდ შექმნილი გამოცემით) ხმა მიგვეწვდინა სოხუმამდე, გაგრამდე, გუდაუთამდე, ოჩამჩირემდე, თითოეულ კუთხემდე, სადაც მონაცრებას ჩავყავართ. ხმა მიგვეწვდინა გახსენებისთვის, არდავიწყებისთვის, მომავლისთვის, ქართველისთვისაც და აფხაზისთვისაც წართმეულის დასაბრუნებლად.

ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროპული სახელმწიფოების მეთაურთა და არასამთავრობო სექტორის მიერ, სტრასბურგსა და უენევაში, სხვაგან და სხვაგან შემუშავებული უამრავი რეზოლუციის მიუხედავად, ქართული საზოგადოება, უკვე 25 წლინადია, მოუგვარებელი ქართულ-აფხაზური პრობლემის წინაშეა. არადა, არ შეიძლება, იქ არ დავბრუნდეთ, საიდანაც უნდა დაიწყოს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

„ცა აფხაზური“ დასტურია იმისა, რომ ყველაზე მტკიცნეულ თემაზეც კი შეიძლება წერო სიყვარულით, ეძებო და სათქმელი წარმოაჩინო პოზიტიური კუთხით, აჩვენო და ასწავლო მოზარდებს, რომ სიკეთის დამარცხება შეუძლებელია, პრობლემა დაიძლევა მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთმიტევებითა და ცოდნით.

ორივე გამოცემამ გააერთიანა სახელოვან აფხაზ მოლვაწეთა პორტრეტები, მათ შესახებ მოთხრობილი შთამბეჭდავი ისტორიები მაშინდელი და ომისშემდგომი ქართულ-აფხაზური თავგადასავლები, მოგონებები...

„ცა აფხაზურს“ საინტერესო პერსონაჟები ჰყავს:

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ვაჟიშვილი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე – გიორგი შარვაშიძე; აფხაზეთის სახალხო პოეტი – დიმიტრი გულია; ნიჭითა და წარმომავლობით გამორჩეული თავადები, სოხუმში იღიას მასპინძლები – ალექსანდრე, ივანე და კონსტანტინე შარვაშიძეები; ბოლშევიკების-გან განწირული ნიკოლოზ ემუხვარი (ლეო ქაბელის – უჯუშ ემსას პროტოპი). 1832 წლის ცნობილი შეთქმულების ერთ-ერთი აფხაზი ემისარი – კონსტანტინე შარვაშიძე; ქართველ-ოსმალთა ომში ქართველებთან ერთად დალუბული ხუტუნია შარვაშიძე; ლევილში, ნოე ჟორდანიას გვერდით განსვენებული, აფხაზეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარე – არზაყან ემუხვარი; ერის მოჭირნახულე დავით ემუხვარი, ნაბაღში გახვეული ბედის ბარძიმი რომ გადაურჩინა ქართველობას; ცნობილი ჰერალდიკოსი – ლეო შარვაშიძე, თბილისი-დან სოხუმში რომ ნაასვენეს ამ რამდენიმე წლის წინათ; ხელოვანები – ეთერ კოლონია, ნურბერ კამკა, ნელი თარბა, გიორგი ტორჩუა...

„იალქის“ ერთ-ერთი ნომრის სტუმარი იყო ახალგაზრდა აფხაზი პოეტი ნიკა ბაბალუა, რომელმაც საქართველოს პატრიარქისგან, ილია II-ისგან კურთხევა მიიღო, აფხაზურად ეთარგმნა ქართველთა და აფხაზთა შერიგების ლოცვა-ტროპარი.

„განა ბევრ რამეს ვითხოვ? დამპატიუეთ და მადლობასაც მოგახსენებთ, მაგრამ იცით, როგორი სუფრის გარშემო მსურს, რომ ვიკრიბებოდეთ? სადაც გაგვიმასპინძლდებიან მეგრული ხაჭაპურითაც და იმერული მჭადითაც, ოსური ხაბაზგინითაც და სვანური კუბდარითაც; სადაც მაგიდას არ დააკლდება არც რაჭული ლორი და არც აფხაზური აჯიკა, არც კახური ღვინო, არც გურული ღვეზელი და არც ფშავური ხინკალი. ამიტომ ამ ჭიქით გაუმარჯვოს აფხაზეთსა და სამეგრელოს, გურიასა და იმერეთს, აჭარასა და სვანეთს, რაჭა-ლეჩებუმსა და მესხეთ-ჯავახეთს, ქართლსა და თრიალეთს, კახეთსა

და ფშავ-ხევსურეთს, სამაჩაბლოსა და ჰერეთს... მაგრამ, უპირვე-ლესად, ვინატროთ იმ საქართველოს დღეგრძელობა, რომელიც თითოეულ ამ მხარეს ერთნაირად მოეფერება. განა დედას შეუძლია შვილების ერთმანეთისგან გარჩევა?"

ასეთი სადღეგრძელო წარმოუთქვამს ნიკას გამოსამშვიდობებელ სუფრასთან, როცა თბილისს ტოვებდა.

ეს აპოლიტიკური, მაგრამ ჯანსაღი კონცეფცია, უენევისა თუ სტრასბურგის ორმხრივი თუ სამხრივი მოლაპარაკებების ვერც ერთი ფორმატი რომ „ვერ მოირგებს“, „გულთა ჩვენთა ჭეშმარიტი სინ-ანულია“, ხვალინდელი და ზეგინდელი მოცემულობის სტრატეგიული ორიენტირია.

„იალქნის“ სამხატვრო რედაქტორის ნუნუ ჯანელიძის მოთხრობილი ნამდვილი ამბავი გვიამბობს გასული საუკუნის 60-იან წლებში მოშხდარ ერთ შეულამაზებელ ისტორიას, ბიძამისის – ვალერი როსტობაიასა და მის თანაკურსელ აფხაზ სლავიკზე (აფხაზეთის ყოფილ პრეზიდენტზე, იგივე ვლადისლავ არძინბაზე). ძალიან მინდოდა, გამეგო, როდის და რამდენად შორდება ადამიანი საკუთარ თავს, როგორ ძერწავს სუფთა გრძნობებისგან მუდამ ასეთი ბინძური პოლიტიკა ცივსისხლიან ურთიერთობებს, რასაც მხოლოდ სასტიკი ტრაგედიები მოყვება“, – წერს ავტორი.

აფხაზეთის ომის გამოძახილია დოკუმენტური ფილმი „ინტერნატი“, რომლის იდეის ავტორი და რეჟისორია ახალგაზრდა იტალიელი რეჟისორი მაურიელი მანგანო და რომელმაც „იალქანს“ თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა.

„დღეს, როგორც არასდროს, ალბათ აუცილებელია ჰუმანიზმით გაჯერებული ის „გაველურება“, ის ადამიანური სტიმული, რომელსაც შევხვდი მხოლოდ საქართველოში და მხოლოდ ინტერნატში, კომპაქტურად დასახლებულ საცხოვრებელში.

იმედია, ჩვენი ფილმი შეძლებს, აჩვენოს, თუ როგორ მოახერხა ათასობით ადამიანმა, მსოფლიოს მიერ მივიწყებული ტრაგედიის ფონზე, დარჩენილიყო ადამიანად. შესაძლოა, ინტერნატმა და ქართველმა დევნილებმა ასწავლონ სამყაროს რაღაც ახალი, კეთილი, ის, რაც ჩვენ, დასავლეთელებს, ჩაძირულებს საკუთარ „მე-ში“, მშვიდო-

ბიანი ყოფით დამშვიდებულებს, დიდი ხანია, დავიწყებული გვაქვს“.

„წარსულთან დიდი ომის შემდეგაც შეიძლება, რაღაც გადარჩეს, თუ გიყვარდა, ცოტა სიყვარულიც, თუ გტკიოდა, ცოტა ტკივილიც“. ასე იწყება ჩემი ღია ბარათი, რომლის ადრესატია ქალბატონი მარინა შონია-ბაღაფში, მაშინ აფხაზეთის პირველი დე-ფაქტო პირველი ლედი.

სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა სოხუმის მე-11 ქართული საშუალო სკოლის, მაშინ მე-8 კლასელი მარინა შონიას სასკოლო დღიური კითხვა-პასუხებით.

ბუნებრივია, ღია ბარათი მონოლოგის რეჟიმში გაგრძელდა:

„ქალბატონო მარინა, ვინ თხზავს განშორებებს, სულს რომ ამძიმებს, გულს რომ ასნეულებს, რა გვქვია ჩვენ, ჩემიდან შენამდე და შენიდან ჩემამდე სავას სამყაროში დაკარგულებს?

დღეს რა ნიშნავს ბედნიერება თქვენთვის, როცა პირველი ლედი ბრძანდებით და როცა ყოფილი მშობლიური სკოლის აღსაზრდელებ-მა საქართველოზე მხოლოდ ის იციან, რომ ქართველი აფხაზი ერის მოსულეა. გენეტიკურ მეცნიერებას შლიინ გაკვეთილებით, სადაც მოსწავლებს მსგავს იმპერიულ ფრაზებს აზუთხებინებენ.

გაიხსენეთ თქვენი საყვარელი პედაგოგი, ქართულის მასწავლებელი ვალია იმნაიშვილი. ალბათ, გეტყოდათ, რომ თქვენი მშობლიური სკოლა დიდი ილიას თაოსნობით ფუძეჩაყრილი ქართული განათლებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა იყო აფხაზეთში.

მართალია თქვენი მუსლინი, ბატონი სერგეი ბაღაფში, დიახაც, მაღალია თითოეულ ქართველში „ნაციონალიზმის გრადუსი“, მაგრამ თქვენც ხომ იცით (თუ გინდათ, არ გახსოვდეთ?), რომ დიდგორში, მარტყოფში, შამქორში, მარაბდასა და ასპინძაში ნაომარი ქართველი არასოდეს ყოფილა დამპყრობელი.

დამიჯერეთ, ამ ბარათს მხოლოდ გულისტკივილი მაწერინებს. ენგურთან მოზიდული უცხოური აგურით აშენებული კედელი ვერ ჩადგება საუკუნეებს შორის. სამურზაყანო ვერასოდეს იქნება საქართველოს გამყოფი.

კრემლის ექსპანსიური მისწრაფება ცხადია – აფხაზეთში აფხაზეთი მოგანატრონ და წეს-ადათზე გათქმევინონ უარი! ცნობი-

ლი ფილმის გამორჩეული პერსონაჟისა არ იყოს, რა საჭიროა გზა, რომელსაც ტაძრამდე არ მოვყავართ. მანქურთიზმი სხვა არაფერია, თუ არა წარსულთან, ფესვებთან განყვეტილი კავშირი“.

ახალგაზრდა ავტორები ოკუპირებული ტერიტორიიდან თავიანთ თავს დაკარგულ, მოწყვეტილ სამყაროსთან შუამავალთ უნიდებენ. ახალგაზრდები გვარნმუნებენ, რომ მათ, ენგურგალმა მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს, თავადვე შეუძლიათ, შეცვალონ საერთო მომავალი, გულით უნდათ, რომ გაბევრდეს ყველა განცდაზე აღმატებული „დავბრუნდებით“ და თითოეული ქართველისთვის მომავალი იქ დაიწყოს.

„სოხუმი ყოველთვის ერთი გუნდი იყო“, – ამბობს დაჩი და თავისი საუცხოო მოთხრობის სათაურადაც ეს ფრაზა გამოაქვს.

ეპილოგის ნაცვლად:

ერთხელ მონაფეებმა ჰკითხეს იქსოს: „ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?“

უფალმა იქვე მყოფი ბავშვები იხმო, ჩააყენა მონაფეებს შორის და თქვა: ვინც ამ ბავშვებივით სუფთა და მორჩილია, ის არის უდიდესი ცათა სასუფეველში.

მოზარდები აფხაზეთიდან ის თაობაა, რომელიც ომის შემდეგ დაიბადა. თაობა, რომელმაც არ იცის ომი და არც აფხაზეთი. არც მონატრება იცის მისი. მას მ

ხოლოდ უყვარს. ეს უდიდესი სიკეთე, ძალა და რწმენაა.

ვიყოთ ამ იმედით. ვინამოთ თაობა, რომელსაც მხოლოდ უყვარს და მაშინ აფხაზეთიც არ იქნება შორს.

ირმა ოსია

ურნალისტი, მთარგმნელი



- მე აფხაზი ვარ და ყოველწლიურად ჩავდივარ ჩემს მშობლიურ გუდაუთაში. კონფლიქტის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ერთი წელიც არ „ჩამიგდია“ და ვხედავ სხვაობას – თუკი ადრე ერთი სიტყვის თქმაც არ შეიძლებოდა ქართულად, დღეს იქ ჩაყვანილ ჩემს ქართველ შვილიშვილს, რომელიც თავისუფლად ჭყუმპალაობს ზღვაში, სულ ქართულად ვესაუბრები;
- ნუგზარ ანთელავას ენციკლოპედიური ნაშრომის – „აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები“ – აფხაზურენვან თარგმანს, რომელიც აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა, ნარმატებით იყენებენ ოკუპირებული ტერიტორიის აფხაზი სტუდენტები საკურსო თემების დამუშავებისას;
- მნერალ შორენა ლებანიძის რომანმა – „მანანა ანუა – ტყვეობის 52 დღე“ – ნამდვილი „ბუმი“ გამოიწვია აფხაზეთში, განსაკუთრებით კი ნაწარმოების აფხაზი გმირების მხრიდან. ერთერთმა ფეისბუქებერდზე კომანში გადაღებული სურათიც კი

დადო. განა ეს შედეგი არ არის?

- ჩვენს გადაცემას, მე მხედველობაში მაქვს გადაცემა „აფხაზეთი“, სადაც მეც ვმონაწილეობდი, ძალიან დიდი ინტერესი ჰქონდა აფხაზეთში. ახლა რომ ჩავდივარ, მეკითხებიან – რა იყო, რა დაგემართათ, რატომ არ ულერს თბილისში აფხაზური ენა? პასუხად ტექნიკურ მიზეზებს ვიმველიებ, რადგანაც იმედი მაქვს, კვლავ განახლდება საზოგადოებრივ მაუნტებელზე აფხაზურ-ენოვანი გადაცემები;
- ჩვენ აქ სულ ერთ წრეში ვტრიალებთ – იყო გენოციდი თუ არ იყო? ვინ ისროლა პირველი? ვინ ააფრიალა დროშა?
- იქაც ახსოვთ ყარყარაშვილის ცნობილი სიტყვები, რომ მზად იყო 100 ათასი ქართველი გაეზირა აფხაზური მოსახლეობის სრული განადგურებისათვის;
- მონანიება სპექტაკლი არ არის, რომ დადგა და სხვას უჩვენო, აი ნახე, როგორ ვინანიებო. იგი გულიდან უნდა მოდიოდეს.

აფხაზებს ყარყარაშვილის სიტყვებიც კარგად ახსოვთ

მივესალმები ნებისმიერ შეკრებას, რომელიც მშვიდობას, თანხ-მობას და ურთიერთგაებას მოუტანს ქართველ და აფხაზ ხალხს, სადაც არ იქნება ერთმანეთის მიმართ ბრალდებები, ურთიერთდამ-ცირება, ურთიერთლანძლვა... სადაც თითოეული ჩვენი სიტყვა იქნება მოზომილი და შერიგებისკენ მიმართული, სადაც ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ რა გავაკეთოთ, რას ვაკეთებთ და რას ვგეგმავთ მომავალში დაკარგული ურთიერთობების აღსადგენად.

დღეს კი მაინც ვერ აცდით ომის თემას და შეიძლება ეს გასაგებიც იყოს, რადგანაც დიდია ორივე მხარის ტკივილი და ამის დავინ-ყება ასე ადვილად არ ხდება, მაგრამ ოდესლაც წერტილი ხომ უნდა დავსვათ და წინ ხომ უნდა წავინიოთ. მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და როცა ვთხოვდი, მოეყოლა რამე ომის შესახებ, სიტყვას ყოველთვის ბანზე მიგდებდა – არ უყვარდა იმ საშინელი ამბების გახსენება. თუ აფხაზეთის ეს საშინელი ომიც ისტორიას არ ჩავაპარეთ, ომის მდგომარეობიდან ვერასდროს გამოვალთ. ჩვენ

კი ასეთ შეხვედრებზე სულ ერთ წრეში ვტრიალებთ – იყო გენოციდი თუ არ იყო? ვინ ისროლა პირველი? ვინ ააფრიალა დროშა? ვინ უნდა მოინანიოს და ა. შ. მონანიება ხომ სპექტაკული არ არის, რომ დადგა და სხვას უჩვენო, აი ნახე, როგორ ვინანიებო. მე რომ გითხრათ ახლა, ვინანიებ-მეთქი, დამიჯერებთ? იგი გულიდან უნდა მოდი-ოდეს და საქმით მტკიცდებოდეს. ამას გვასწავლის ღმერთი, ამას გვასწავლის ჩვენი ეკლესია, ჩვენი ძვირფასი პატრიარქი, რომელიც შესანიშნავად იცნობს აფხაზეთს და აფხაზებს, იცის მათი წესები, ადათ-ჩვევები. სხვათა შორის, პატრიარქის სოხუმში მოღვაწეობის დროს ვარ მონათლული პირადად მის მიერ. ეს ძალიან მეამაყება და ბევრ რამეს მავალდებულებს. რა თქმა უნდა კარგია, თუკი სინაული ორმხრივია, მაგრამ რა ვენათ, თუ ჯერ საამისოდ არ არის მზად ან ერთი, ან მეორე მხარე? ხელი ავილოთ იმ სამშვიდობო ინიციატივები-სგან, რომელშიც დღეს ასე აქტიურად ვართ ჩართულები? მარტო აფხაზეთის მთავრობა რამდენს აკეთებს აფხაზური ენის დაცვისა და განვითარებისათვის, რამდენი რამ კეთდება ჯანმრთელობის დაცვის კუთხითაც და ამას, სხვათა შორის, იქაც ალნიშნავენ. მათ იციან, რომ ქართული ჯანდაცვა დღეს მყარად დგას ფეხზე და ლირსეულ კონკურენციას უწევს სხვა მეზობელ სახელმწიფოებს.

აფხაზები დღეს თბილისში მარტო ავადმყოფობის, ანუ უკი-დურესი საჭიროების გამო როდი ჩამოდიან, სხვათა შორის, ბევრი კოსმეტიკურ ოპერაციებსაც იკეთებს... ამით იმის თქმა მინდა, რომ ისინი ნელა, მაგრამ მაინც დღითიდლე უთამამდებიან თბილისს, ესხ-ნებათ შიში, უნდობლობა და ეს ცოტას როდი ნიშნავს.

არის წინსვლები განათლების მიმართულებითაც. ითარგმნება წიგნები, რომელიც სხვადასხვა გზებით შედის აფხაზეთში. მარტო ის რად ლირს, რომ წუგზარ ანთელავას ენციკლოპედიური ნაშრომის – „აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები“ – აფხაზურენოვან თარგმანს, რომელიც აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით განხორ-ციელდა, წარმატებით იყენებენ ოკუპირებული ტერიტორიის აფხაზი სტუდენტები საკურსო თემების დამუშავებისას.

არაფერს ვამბობ მწერალ შორენა ლებანიძის წიგნზე „მანანა ანუა – ტყვეობის 52 დღე“, რომელიც მე ვთარგმნე აფხაზურად და

რომელმაც ნამდვილი „ბუმი“ გამოიწვია აფხაზეთში. რომანით განსაკუთრებული აღფრთოვანება ნანარმოების აფხაზმა გმირებმა გამოხატეს და სწორედ ეს არის მთავარი. ერთ-ერთმა ფეისბუქგვერდზე კომანში გადაღებული სურათიც კი დადო. შორენას ეს გმირი თავისი ქცევით, ომისშემდგომი ცხოვრების წესით ამტკიცებს, რომ მას აქვს სინანულის გრძნობა ყოველივე მომხდარის გამო. განა ეს შედეგი არ არის, რომელიც ერთი კონკრეტული ამბის შესანიშნავი მწერლური გააზრებითა და გადმოცემით მივიღეთ?

მე, როგორც აფხაზი, ყოველწლიურად ჩავდივარ ჩემს მშობლიურ გუდაუთაში. კონფლიქტის მერე, შეიძლება ითქვას, ერთი წელიც კი არ „ჩამიგდია“ და მე ვხედავ სხვაობას – თუკა ადრე ერთი სიტყვის თქმაც არ შეიძლებოდა ქართულად, დღეს იქ ჩაყვანილ ჩემს ქართველ შვილიშვილს, რომელიც თავისუფლად ჭყუმბალაობს ზღვაში, სულ ქართულად ვესაუბრები. ეს ხომ ცოტას არ ნიშნავს, ხალხნო... და ამიტომ მოვრჩეთ გენოციდზე, სისხლზე და სხვა უბედურებებზე საუბარს. იქაც ახსოვთ, ყარყარამშვილის ცნობილი სიტყვები, რომ მზად იყო 100 ათასი ქართველი გაენირა აფხაზური მოსახლეობის სრული განადგურებისათვის. ეს ღოკუმენტებია, რომელიც არავის ავინყდება, მაგრამ თუ მშვიდობის მიღწევა გვინდა, ყოველ შეხვედრაზე, იქნება ეს აქ, თბილისში, თუ იქ, სოხუმში, ამის ხაზგასმა და გამეორება, მერწმუნეთ, საჭირო არ არის.

ჩემს აფხაზ ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს, ყველას ვეუბნები, რომ აქ, თბილისი იქნება ეს, თუ სხვა ნებისმიერი ქალაქი, თქვენთვის ყველა კარი ღიაა, ჩამოდით, ჩაგიხუტებენ ქართველები-მეთქი. ვიცი, ბევრს აღიზიანებს ჩემი ხშირი ჩასვლა აფხაზეთში – შენ გაქვს ჩასვლის უფლება, ჩვენ კი არ გვაქვსო. აპა, რა ვქნა, ხალხნო, არ ჩავიდე? მე ხომ თქვენგან განსხვავებით, ორმაგად მტკიცა ეს ყველაფერი – როგორც აფხაზს, იქ დაბადებულს და გაზრდილს და, როგორც სტუდენტობის შემდეგ აქ, თბილისში მცხოვრებს, როგორც ქართველის მეუღლეს და ქართველი შვილების დედას.

ბოდიშს გიხდით ჩემი ესოდენ ემოციური გამოსვლისათვის, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია, როცა ვხედავ, რომ ისევ წარსულისკენ ვიყურებით.

დღევანდელი კონფერენცია ბევრი რამით არის მნიშვნელოვანი. პირველ რიგში კი იგი იმაზე გვაფიქრებს, თუ რაოდენ დიდი დატვირთვა აქვს სიტყვას. თუ იგი მშვიდობიანია, წინ წაგვწევს, ხოლო თუკი ხისტი და დაუფიქრებლად წამოსროლილი – ისევ წარსულში დაგვაბრუნებს.

ვიფიქროთ ამაზე და ავირჩიოთ, რომელი გვინდა.



მწერალი და პუბლიცისტი ნანა ქარდავა საკონფერენციო დებატებში

„გავუფრთხილდეთ სიტყვებს. სიტყვაა ის, რითაც გული კვდება და ფეხიავს. სწორედ ის სიტყვა არ დაპრუდება, რომ მილიც, ალგათ არ უძღა გვეთქვა“.

ნოდარ დუმბაძე

ზაირა მიქატაძე

ურნალისტი, ურნალ „მეციხოვნის“ რედაქტორი



- ტამიშში, საღაც რუსული დესანტის წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, აფხაზ მეომართა ფოტოებით გადაჭედილი მემორიალური დაფაა აღმართული... ვითვლი ფოტოებს და მინდა, რაც შეიძლება ნაკლები იყოს;
- გუდაუთაში აფხაზი ოჯახი გვმასპინძლობს. სახლში შესვლისთანავე ანსამბლ „ერისონის“ ცნობილი კლიპი იქცევს ყურადღებას. მთიულურის ცეცხლოვანი მუსიკით ინგრევა აქაურობა;
- დილით სკოლაში მიმავალ აფხაზ ბავშვებს ვხვდები – ერთმანეთში რუსულად მოსაუბრებებს. ვუსმენ და ვფიქრობ, აფხაზური ენა იკარგება;
- გუდაუთაში ჩემს მასპინძელ აფხაზებს ინტერნეტით მათი ქართველი მეზობლის ძებნაში ვეხმარები... ცოტა ხანში მესმის – „პრიეზუაი, კ ნამ, ბრატ, მოი...“;
- როგორც მშობელი შვილის დაკარგვას, აქამდე ისე განვიცდიდი აფხაზეთთან სიშორეს. ახლა კი იმ ადამიანებთან სიშორესაც

განვიცდი, რომელთა მიმართაც სულ სხვა გრძნობით განვიმ-
სჭვალე ენგურს გაღმა საქართველოში.

მითი და რეალობა: აფხაზი ოჯახი „ერისიონის“ ცენტრი კლიპით შემოგვეგვა

ომის შემდეგ აფხაზეთის მონახულება არა თუ ოცნებად, სიზმ-
რადაც მქონდა გადაქცეული. გარდა იმისა, რომ ძალიან მენატრე-
ბოდა კუთხე, რომელსაც 13 თვე თავგანწირვით ვიცავდით, მინდოდა
გამეგო, როგორ ცხოვრობდნენ აფხაზები უქართველებოდ. სურვილი
ამიხდა და 2014 წლის 20 დეკემბერს აფხაზეთის გზას დავადექი.

ვფიქრობდი, როგორ, რა ფორმით მომეყოლა თქვენთვის ხუთი
დღის განმავლობაში ნანახი და განცდილა, ამიტომ მეტი სიცადისთ-
ვის გადავწყვიტე, აფხაზეთში მოგზაურობისას შექმნილი „ქართველი
უურნალისატის აფხაზური დღიურების“ შემოკლებული ვერსია გამეც-
ნო თქვენთვის. მე მას „ენგურს გაღმა საქართველო“ ვუწოდე.

...ენგურის ხიდზე ვარ. ვშიშობ ჩემი პროფესიის გამო. იმის გა-
მოც, რომ აფხაზეთის ომში ჩენი ბიჭების გვერდით ვიდექი. ვდელავ
იმ ემოციის გამო, რაც აფხაზეთში მელოდება. ვაი, თუ საერთოდ
არ გადამიშვან? ამის გაფიქრება უფრო მეტად მძაბავს და მაფორი-
აქებს. ფეხს ვადგამ ქართულ მიწას აფხაზეთში და მაშინვე მუფლე-
ბა შეზღუდული თავისუფლების შეგრძნება, შიშიც, რადგანაც მაინც
„მტრის“ ბანაკში ვარ. თუმცა, ძალიან მინდა, ხალხს, რომელთანაც
ცასა და მიწას ერთნაირად ვიყოფდით, მტრად არ აღვიქვამდე.

ეს სოფელი ოტობაიაა. ჩნდება პირველი შთაბეჭდილება ნაომარ
აფხაზეთზე. ხიდიდან დაახლოებით ორ კილომეტრში რუსული ბაზა
მდებარეობს, სამხედრო დანიშნულების, ახალაშენებული შენობები-
თა და სიცოცხლედაკარგული გარემოთი. გალის ცენტრში რუსების
კიდევ ერთი სამხედრო ბაზაა. ბაზის ტერიტორიაზე ოკუპანტებს რუ-
სული ეკლესია აუგიათ. გალიდან გეზს სოხუმისკენ ვიღებთ. მატარე-
ბლის სადგურთან ვჩერდები. გადამწვარ შენობას ჩამოშლილი ასოები
საწყლად ჩამოჰკიდებია, მაგრამ კაცი მაინც ადვილად წაიკითხავს
წარწერას: „რკინიგზის ვაგზალი გალი“. სადგურის გარდა ქალაქ

გალში უამრავი საცხოვრებელი სახლია დამწვარი. ძნელია, აქაურობას მშვიდად უყურო ადამიანმა. ღმერთს გამძლეობას ვთხოვ და აფხაზეთის დათვალიერებას ვაგრძელებ.

შეშელეთში ვართ და გეზის სოფლის სასაფლაოსკენ ვიღებთ, სადაც სანაიების ოჯახის ექვსი წევრი განისვენებს. გზად ცარიელი სკოლის შენობა გვხვდება, არაფერია იმაზე შემზარავი, როდესაც სკოლის ეზოში მოსწავლეების ურიამული აღარ ისმის და ფანჯრებიდან ბავშვური სიფაქიზით გაბრწყინებული თვალები არ იცქირებიან.

ჯოჯოხეთს ჰგავს აქაურობა. ოდესლაც კოხტა და ხალხმრავალი აფხაზეთი უკაცრიელ, შემზარავ ადგილად გადაქცეულა. წვიმს. აწვის პანია მხრებზე ზურგში ჩანთამოკიდებულ პატარა ბიჭაც, რომელმაც სკოლამდე რამდენიმე კილომეტრი უნდა გაიაროს. იგი აფხაზურ სკოლაში დადის, სადაც მშობლიურ ენას არ ასწავლიან. აწვის სიცივისგან გალურჯებულ ხელებზე, რომელსაც ხანდახან სველ ჯიბეებს აფარებს. მიუხედავად დაუნდობელი ამინდისა, მაინც ჯიუტად მიდის და ვაკუაცურ ნაბიჯებს ტალახებში მიატყაცუნებს. ეს ბიჭუნა აქაურობის ერთადერთი დამცველია. სწორედ მისი ბაგებიდან წამოსულმა ქართულმა სიტყვამ უნდა გაათბოს ეს ძირძველი მიწა. მისმა ონავრულმა თამაშმა უნდა აახმაუროს და ააურიამულოს დაპერებული აფხაზეთი.

ვინოვალაპოტიან წყალთან ვჩერდებით. საცალფეხო ხიდს გადავდივართ და ფერდობს მივუყვებით, სადაც სოფლის სასაფლაო შეფენილი. შუადღის სამი საათია. მამალმა დაპყივლა და სიცოცხლის არსებობაც ვიგრძენი. ახლა ეს მამლის ყივილი ყველაზე მეტად მახარებს, რადგან ამ ჩონჩხადქცეულ ადგილებში ნასიცოცხლარის ჩუმი მისტიკა იღნავ მაინც ირლვევა.

სასაფლაოს ჭიშკარს ვაღებთ და საფლავზე შევდივართ. წლების წინ ოჯახის ექვსი წევრი: 20 და 21 წლის ძმები – მამუკა და მანუჩარ სანაიები, მათი მამა, ბებია-ბაბუა და სანაიებთან სტუმრად მყოფი ნათესავები სეპარატისტებმა ერთ ღამეში ამოხცეს. მხოლოდ ოჯახის დიასახლისი გადაურჩა მათ სისასტიკეს და ისიც იმით, რომ სახლიდან წამლისთვის იყო გასული. ავადმყოფი ძმები და მათი ბებია-ბაბუა აფხაზებმა პირდაპირ ლოგინში ჩაცხრილეს. „ტრაგიკუ-

ლად დაღუპულ შვილებს დედისაგან“, – ვკითხულობ ქვაზე წაწერილ იღუმალებით მოცულ ეპიტაფიას, რომელიც სანაიების დაღუპვის ნამდვილ მიზეზს ერთადერთი მიზეზით მალავს – ასეთ ფაქტებზე აფხაზეთში ქართველები ხმამაღლა ვერ საუბრობენ. გზადაგზა მიტოვებულ სასაფლაოებსაც ვხვდებით. უფრო სწორად, ეკლებსა და გამხმარ ბალახებში ჩამაღულ რამდენიმე საფლავს, რომელიც ოდესლაც აქ სასაფლაოს არსებობაზე მეტყველებს. უპატრონო საფლავებზე სანთლებს ვანთებთ და აოხრებულ ადგილებში მიმავალ გზას მორიგი შემზარავი კადრის სანახავად მივყავართ.

მთლიანად განადგურებულია სოფელი პირველი აჩიგვარაც. სოფელ ილორთან, ტყვარჩელის გადასახვევებში, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალური დაფაა აღმართული, სადაც ამ ადგილას დაღუპულ აფხაზ მეომართა ფოტოებია გამოფენილი. აფხაზეთში სულ ასეთი 18 მემორიალი დავთვალე, შეიძლება, მეტიც არის.

„ტამიში“ – ლამის გული გამიჩერდეს ტრაფარეტის დანახვაზე. სოფელში შევდივართ და ენით აღუნერელი ემოცია მეუფლება. ეს მინა ჩვენი ბიჭების სისხლითაა მორწყული. ამ მიღამოებში ჩვენმა მეომრებმა დიდი ბრძოლები გადაიტანეს – ბრძოლები აფხაზეთისთვის, საქართველოს ერთიანობისთვის.

დღეს აქ, ტამიშში, სადაც რუსული დესანტის წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, აფხაზ მეომართა ფოტოებით გადაჭედილი კიდევ ერთი მემორიალური დაფაა აღმართული. ვითვლი ფოტოებს და მინდა, რაც შეიძლება ნაკლები იყოს, მაგრამ... დაფაზე აფხაზი მეომრების 53 სურათი ჰკიდია. ვათვალიერებ ფოტოებს, რომლებზეც 20-23 წლის ბიჭების სახეებია აღბეჭდილი. ზუსტად ისეთივე ლამაზები, ისეთივე ვაჟუაცურები, როგორებიც – ქართველი ბიჭები აფხაზეთის ომში.

და აი, მონატრებული სოხუმი. სიმშვიდეა წვიმიან ქალაქში, ადამიანებიც კანტიკუნტად დადიან.

მინისტრთა საბჭოს წინ ვდგავარ და დამწვარ შენობას შევყურებ. სულ ბოლოს ამ შენობაში 1993 წლის 4 მაისს ვიყავი. მაშინაც წვიმა იყო, სოხუმი კი – დღეგანდელივით მოწყენილი. მაშინ სოხუმის თავზე ბომბები ცვიოდა. ახლა კი ქალაქს იმ ბომბების კვალი სამუ-

დამო იარად ამჩნევია. ფეხს ვადგამ მიწას და სისხლი მეყინება – აქ ქართველ მეომრებს სასტიკად მოექცნენ. მიწისკენ ვიხრები, ხელით ვეხები ჩვენი ბიჭების ნასისხლარს და უკან ვპრუნდები, მინისტრთა საბჭოს წინ მდებარე სკვერში მუშმალისა და მაგნოლიის ფოთლებს ვკრეფ და სამახსოვროდ მომაქვს.

სოხუმის დათვალიერებამდე ვფიქრობდი – მინისტრთა საბჭოს შენობას მუზეუმად ხომ არ ინახავენ, როგორც გამარჯვების სიმბოლოს-მეთქი, მაგრამ მას შემდეგ, რაც დამწვარ სასტუმრო „აფხაზეთსა“ და სოხუმის რკინიგზის ვაგზალს იგივე მდგომარეობაში ვნახულობ, ვხვდები, რომ რუსები აფხაზებს ისეთ ინფრასტრუქტურას არ უქმნიან, რაც მათ კომფორტს მოუტანს. სოხუმში მატარებელი დადის, მაგრამ ვაგზალი არ ფუნქციონის. ომის დროს ეს შენობა გამურული და გადამწვარი იყო, მის თავზე კი დაფლეთილი ქართული დროშა ფრიალებდა. შენობა ისევ დამწვარი და გაპარტახებული დგას, მხოლოდ შავი მური ჩამოურეცხავს წიმის დროთა განმავლობაში და მის თავზე აღარც ქართული დროშა ფრიალებს.

„ვის უნდოდა ეს ომი? – კარგად ვიყავით, როცა ერთად ვცხოვრობდით“. „ამ ომში ყველანი წაგებულები ვართ – აფხაზებიც და ქართველებიც“, – ეს ის ფრაზებია, რომელთაც აფხაზეთში აფხაზებისგან ვისმენ. „ვამაყობ იმით, რომ ჩემში ქართული სისხლი სჩექეფს“, – ეს სიტყვები გალის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გვითხრა. სამხედრო ფორმაში, წელზე რევოლვერმიმაგრებული, მოწინებით გვართმევს ხელს და ხმაში ის სინანული ეტყობა, რაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაფუჭებამ აღგვიძრა ორივე მხარეს.

სხვა აფხაზებიც, ჯერ შორიდან, მოკრძალებულად გვიკრავენ თავს და როდესაც იგებენ, რომ ქართველი ვარ და თბილისიდან, ხვევნა-კოცნით მხვდებიან. აფხაზი ოჯახი გვმასპინძლობს გუდაუთაში. სახლში შესვლისთანავე ანსამბლ „ერისონის“ ცნობილი კლიპი იქცევს ყურადღებას. მთიულურის ცეცხლოვანი მუსიკით აქაურობა ინგრევა. პატარა შიში მაინც მაქვს, მაგრამ აფხაზების სითბო და გულუხვი მასპინძლობა მას სრულიად მიქარწყლებს. ვფიქრობ, შურისძიების გრძნობა რომ გააჩნდეთ, მათ ხელში არა ვარ? ან ქა-

როველების მიმართ ზიზღი და სიძულვივლი რომ ამოძრავებდეთ, სახლში საერთოდ არ შემიშვებდნენ-მეთქი.

სოხუმში ფაჩულისა აღმართს მივუყვებით, სადაც ლეგენდა-რული ქართველი გმირის, გენო ადამიას სახლი დგას. იგი სხვებს მიუსაკუთრებიათ. ამ ვიწრო და პატარა ქუჩას ომის კვალი დღემდე ატყვია. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ აჩადარაშიც. მდინარე გუ-მისთაზე კიდევ ერთ მემორიალს ვაწყდებით, პირდაპირ ზედ კლდეზე მიმაგრებული ფოტოებით.

თვალს ვავლებ მემორიალურ კლდეს და ქართული ხალხური ლე-ქსი მახსენდება: „იქნება ვეფეხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა...“

თვალს ვავლებ მემორიალურ კლდეს და როგორც ქართველს, სინდისი მქეჯნის, რადგან აფხაზეთის ომის თავიდან აცილება ვერ მოვახერხეთ. ალბათ, ასევე ქეჯნის სინდისი ბევრ აფხაზსაც, რომელთაც ქართველების გარეშე ცხოვრება არაფრად ულირთ, რომელთაც ქართველი მეზობელი ენატრებათ. გუდაუთისკენ აფხა-ზების მანქანით მივდივართ. ჩვენი თანხმლები ქალბატონი ტელე-ფონის ნომერს კრეფს, *Нана, послушай твой родной язык*, – ეუბნე-ბა მეზობელს და ტელეფონს მანვდის. ყურმილის მეორე მხრიდან აქვითინებული ქართველი ქალის ხმა ისმის. ომის დროს იგი აფ-ხაზ მეზობლებს დაუმაღავთ და შეუკედლებიათ. გუდაუთაში ჩემს მასპინძელ აფხაზებს ინტერნეტით მათი ქართველი მეზობლის მოძე-ბნაში ვეხმარები. არაჩვეულებრივი, მონატრებით სავსე და ემოციით დატვირთული საუბარი აქვთ. „პრიეზუაი, კ ნამ, ბრატ, მოი“, – ეუბ-ნება ოჯახის დიასახლისი, ცრემლიანი თვალებით შესცეკრის ცოლს ოჯახის თავეკაცი.

დილით სკოლაში მიმავალ აფხაზ ბავშვებს ვხვდები, ერთმა-ნეთში რუსულად მოსაუბრებას. ვუსმენ და ვფიქრობ, აფხაზური ენა იკარგება, იკარგება ქართულ-აფხაზური ძმობაც. ამ ბავშვების მშო-ბლები ახლო წარსულში, ქართველ თანაკლასელებთან ერთად, ერთ მერხზე ისხდნენ. „სად არის აფხაზეთის სახელმწიფო? 100 კილო-მეტრიდა ვართ დარჩენილი, რუსები დღითა-დღე სწევენ საზღვარს“, – ეს 23 წლის ბიჭის სიტყვებია. მან გუდაუთიდან მძიმე ავადმყოფი,

20 წლის და უნდა ჩამოიყვანოს თბილისში. იცის, რომ ქართველები არაფერს დაუშავებენ, მაგრამ ცოტაოდენი შიში მაინც აქვს.

სოხუმის ბაზარში მშობლიურ ენაზე საუბარს არ ვერიდებით. ქართული სიტყვები ესმით და ხვდებიან, რომ ქართველები ვართ. მიუხედავად ამისა, ჩვენს კითხვებს ზრდილობიანად და თბილად პასუხობენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველების მიმართ აგრესია გამქრალი აქვთ. იგივე დამოკიდებულებაა ქართველებშიც. როცა აფხაზეთში მივდიოდი, აფხაზეთის ომის ვეტერანებმა დამაბარეს, გადაეცი, დაბრუნებას არ ვთხოვთ, მაგრამ იქნებ ჩვენიდან დაინტენდათბობა, ვინც ერთმანეთის პირისპირ ვიდექით და ვისროდითო... ვუყურებ ამ ადამიანებს და ვფიქრობ, ალბათ, ჯერ ძალიან ადრეა აფხაზეთის საქართველოში დაბრუნება, მაგრამ აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

აფხაზური ვოიაჟი სრულდება. ხვალ აფხაზეთი უნდა დავტოვო. ვემშვიდობები მხარეს, რომელსაც, ვინ იცის, კიდევ როდის ვნახავ. უკანასკნელ საათებს ვითვლი და წვიმისაგან განუწული აფხაზეთის მინას ვერაფები. ტყვარჩელში, ბებესიდის ტბებამდე მიუვალ გზას მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ სარეველა ბალახებში ჩაფლულა ტბები, აქაურობა მაინც ძალზე მიმზიდველია. ამბობენ, 200-კილოგრამიანი თევზები ბინადრობენ ბებესიდის ტბებში. იმასაც ამბობენ, სოხუმის დაცემის შემდეგ, დახოცილების დამარხვას რომ ვერ აუდიოდნენ, მოპქონდათ და გვამებს პირდაპირ ტბაში ყრიდნენ. თევზებიც ამიტომ გაიზარდნენ თურმე ასე უზარმაზარი. არ ვიცი, ეს თქმულება სინამდვილეს რამდენად შეეფერება, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ეს ულამაზესი ადგილი მოუვლელი და გაველურებულია.

ლამეა, ჩემგან 50 მეტრში რუსული ბაზაა. ქვეცნობიერად მე ამ ბაზის შიშიც მაქვს ახლა. მაფიქრებს, ხვალ ე.წ. „საზღვარზე“ როგორ გადავალ, უკვე მენატრება აფხაზეთი და ვფიქრობ, ნეტავ, კიდევ შემომატარა ის ადგილები, რომელიც ამ დღეებში მოვინახულე. მაფიქრებს ქართველების მდგომარეობა, ასე უუფლებონი, ეროვნებანართმეულები როგორ ან როდემდე გაძლებენ?! მეფიქრებიან აფხაზებიც, ქართველებზე არანაკლებ თვითმყოფადობადაკარგულები. ვფიქრობ იმ ქართველ და აფხაზ ბიჭებზეც, რომელთა მემორიალები

ენგურს გაღმა-გამოლმა, საერთო მიწაზე, მოგებული და წაგებული ომის სახელითაა აღმართული. ვფიქრობ კუთხეზე, რომელსაც გამარჯვების არაფერი ეტყობა. ისე კი დროშებით, ფოტოებიანი მემორიალებითა და ომისკადრებიანი ბანერებითაა გადაჭედილი აფხაზეთი, სადაც ხშირად შეხვდებით წარწერას: „Победа – 1992-93“.

მიუხედავად ამისა, ამბობენ და ჩვენც ვეთანაბეჭით – ამ ომში ორივე მხარემ წავაგეთ, აფხაზებმაც და ქართველებმაც და ეს რომ წამდვილად ასეა, დრომ კარგა ხანია, აჩვენა – აფხაზებმა საკუთარი ძალებით ვერ შეძლეს თუნდაც ეკონომიკური მიმართულებით წინ წაწევა. მათი „პატრონი“ კი ამაზე თავს დიდად არ იწუხებს, ამასთანავე, აშკარად გარუსების გზასაც ადგანან. „СтояТЬ“ – გაპყვირის ინსპექტორი სოხუმში და მანაქანას აჩერებს. სარეკლამო ბანერები და განცხადებებიც, მეტწილად, რუსულ ენაზეა დაბეჭდილი. მოსახლეობასაც ბავშვები რუსულ სკოლებში დაჰყავს.

როგორც იქნა გამოიდარა. აფხაზეთი თბილად მემშვიდობება. მოწმენდილ აფხიარ ცაზე მზე ოქროსფერ სხივებს აფრქვევს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელი, სასტიკი წარსულით გადაშლილ წიგნსა ჰგავს აფხაზეთი, მაინც სასწაულად ლამაზი და ვერდასათმობია იგი. ვერც მე ვთმობ ასე ადვილად, მაგრამ სტუმრობის ვადები იწურება და აქაურ კანონებს ვემორჩილები. უკვე ენგურის ხიდთან ვდგავარ და ქართველების კონტროლირებად ტერიტორიას რამდენიმე ნაბიჯილა მაშორებს. გამშვებ პუნქტს ვუახლოვდები. თვალში ჯიხურის მიწაზე მიკრული წმინდა წინოსა და წმინდა გიორგის ტროპარი მხვდება, არადა, საგუშაგო აფხაზებისაა. პასპორტის შემოწმებამდე ლოცვის რამდენჯერმე წაკითხვას ვახერხებ და მოვდივარ, ანუ მშვიდობიანად გადმოვდივარ. უკან მალი-მალ ვიხედები. აფხაზური დროშა კვლავ ამაყად ფრიალებს. სულ მალე მე ამ დროშის ფრიალიც მომენატრება, ალბათ.

ვტოვებ აფხაზეთს ასე უბრალოდ და მარტივად. ვტოვებ აფხაზეთს და მომაქვს მძიმე შთაბეჭდილებები. საგუშაგოზე ქართველ სამხედროებთან ვჩერდები.

– თქვენ ყველაზე მაგრები ხართ, ბიჭებო, – ვეუბნები და გზას ვაგრძელებ.

— კი, ჩვენებისთვის — ჩამესმის ზურგიდან. თბილისში ჩამოსვ-ლამდე ქართველი ჯარისკაცის ნათქვაშს ვუღრმავდები. ნეტავ, რისი თქმა უნდოდა, ნეტავ, რა იგულისხმა? ნეტავ, არ არსებობდეს ქა-რთველებსა და აფხაზებს შორის „ჩვენები“, „თქვენები“, „იმათიანე-ბი“... ნეტავ, ყველანი ერთ ჯარში მსახურობდნენ საქართველოს მთლიანობისა და ძლიერების დასაცავად.

როგორც მშობელი შვილის დაკარგვას, აქამდე ისე განვიცდიდი აფხაზეთთან სიშორეს. ახლა კი იმ ადამიანებთან სიშორესაც განვიც-დი, რომელთა მიმართაც სულ სხვა გრძნობით განვიმსჭვალე ენგურს გაღმა საქართველოში. არც მე ვყოფილვარ მტრულად განწყობილ აფხაზეთში და არც თვითონ მოხვდებიან მტრულად განწყობილ ენ-გურს გამოლმა საქართველოში, ოღონდაც ზღურბლს გადმოაპიჯონ და გადმოვიდნენ. ოღონდაც გაბედონ მონატრებულ მეგობრებთან ჩამოსვლა. „Приезжай, к нам, брат мой“, — ყურში ჩამესმის აფხაზი ქა-ლის სიტყვები, თბილისში მყოფ ყოფილ მეზობელს ტელეფონით რომ ეუბნებოდა. მეც იგივეს ვუპარებ მათ: აფხაზებისთვის ქართველების კარი ღიაა.

„მოგეპულია რმი, გაგრამ არა მშვიდობა“.

ალბერტ აინშტაინი

გულიადა ჭკადუა,

საქართველოს ურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის
აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე



მედია-ცენტრის ვითარებაში აფხაზურ მედია-საშუალებებში ეთნიკურ ქართველებზე და მათ საჭიროებებზე, ასევე, წარსულში არსებულ ნათესაურ, მეგობრულ ურთიერთობებსა და კავშირებზე ყურადღება არ მახვილდება, მაგრამ არის ცალკეული შემთხვევები, როცა ამ თემების მიჩქმალვა ვერ ხერხდება და ისინი მედია-საშუალებების ფურცლებზე ხვდება.

- „საქართველოში სამკურნალოდ წავედი, რადგანაც ქალური პრობლემები მქონდა. დამანვინეს კერძო საავადმყოფოში. ეს კარგი საავადმყოფოა და იქ ექიმებიც კარგები არიან. იქ ასეა – თუ შენ აფხაზეთიდან ხარ, ავტომატურად მოგათავსებენ საუკეთესო საავადმყოფოში. ჩემთვის იქ არავის არ მოუთხოვია საქართველოს მოქალაქეობის მიღება, ეს სისულელეა!“

(ოკუპირებული აფხაზეთის პრესის მასალებიდან)

- „ჩვენ ვცხოვრობთ ადამიანური კაპიტალის ზღვრული მობილობის ეპოქაში. ადამიანებს გააჩინიათ შესაძლებელობა, აირჩიონ ბინადრობის უფრო მისაღები გარემო. წავიდნენ იქ, სადაც უკეთესი კვების პროდუქტებია, სადაც უფრო ხარისხიანი მედიცინაა“

(ოკუპირებული აფხაზეთის პრესის მასალებიდან).

- „ახლა ყველაფერი მარტივადაა. კონკრეტული პაციენტისთვის საქართველოს კლინიკებში მკურნალობა არსებითად პირადი და არა „პოლიტიკური პროექტია“. არავინ არ გახვევს თავზე მოქალაქეობას, თუმცა, უნინდებურად უფასოდ და საუკეთესო კლინიკებში გლებულობენ. ამასთან, ეს თემა არ პიარდება“.

(ოკუპირებული აფხაზეთის პრესის მასალებიდან).

აოსტაოცლიქური ურთიერთობების ასახვა ოკუპირებული აფხაზეთის საინიციატივო საშუალებები

ოკუპირებული აფხაზეთის მედია-საშუალებებში პოსტკონფლიქტური ურთიერთობის თემაზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში მოქმედი უურნალ-გაზეთები, ინტერნეტ-გამოცემები, რადიო და ტელევიზია საოკუპაციო და სეპარატისტული რეჟიმების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება და, ხშირ შემთხვევაში, მათი დაკვეთების შემსრულებლებად გვევლინება. უურნალისტებს მკაცრი ცენზურისა და თვითცენზურის ვითარებაში უხდებათ მუშაობა, ამიტომ ისინი სათანადოდ ვერ აშუქებენ აფხაზურ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს, იმ ადამიანურ ურთიერთობებს, რომლებიც იქ მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს შორის პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში ჩამოყალიბდა.

ცხადია, მკაცრი ცენზურის ვითარებაში აფხაზურ მედია-საშუალებები ეთნიკურ ქართველებზე და მათ საჭიროებებზე, ასევე, წარსულში არსებულ ნათესაურ, მეგობრულ ურთიერთოებებსა და კავშირებზე ყურადღება არ მახვილდება, მაგრამ არის ცალკეული

შემთხვევები, როცა ამ თემების მიჩქმალვა ვერ ხერხდება და ისინი მედია-საშუალებების ფურცლებზე ხვდება.

აფხაზურმა ინტერნეტ-გამოცემა „სპუტნიკ აბხაზიამ“ 2017 წლის აპრილში მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ილია ვეკუასადმი მიძღვნილი სტატია გამოაქვეყნა, სადაც საუბარია დიდი მათემატიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

პუბლიკაციის შესავალში ხაზგასმულია, რომ „მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, თანამედროვე მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებისა და კვლევების ავტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა 1907 წელს დაიბადა აფხაზეთში, გალის რაიონში.

„ილია ვეკუას იდეები სიცოცხლეს აგრძელებენ, მთელი ინსტიტუტები მუშაობენ იმ პრობლემებზე, რომლებიც მან თავის დროზე წამოჭრა, ბევრი მათგანი კი თავის მოსწავლეებთან ერთად გადაჭრა“- აღნიშნავს „სპუტნიკის“ კორესპონდენტთან საუბარში აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორი ალექს გვარამია, რომელიც დიდ მეცნიერთან ურთიერთობის დეტალებს იხსენებს:

„ილია ნესტორის ძე, რა თქმა უნდა, გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსი გახლდათ, ის თავის დროზე ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი იყო. მე მონაწილეობას ვიღებდი საკავშირო ოლიმპიადაში „სტუდენტები და ტექნიკური პროგრესი“ და სწორედ იქ გავიცანი ილია ვეკუა. მან სახლშიც კი მიმიპატიუა“- იგონებს ა. გვარამია და აღნიშნავს, რომ როცა ილია ვეკუა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გახდა, მან ახალგაზრდა მეცნიერი ამ უმაღლეს სასწავლებელში მიიწვია სამუშაოდ. „მშენებლი სოხუმში და ორ კვირაში ერთხელ ჩავდიოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად“.- აღნიშნავს აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორი.

ალექს გვარამია, ასევე, მიუთითებს, რომ ილია ვეკუა ყოველ-გვარ ნაციონალურ განწყობებზე მაღლა იდგა. „მას ერებს შორის მეგობრობა აუცილებლად მიაჩნდა . აფხაზებსაც და ქართველებსაც შეუძლიათ იამაყონ ისეთი დიდებული პიროვნებით, როგორიც ილია

ვეკუა იყო. მან უზარმაზარი კვალი დატოვა მეცნიერებაში. მახსოვეს, მისი ერთ-ერთი იუბილე ჩვენ აქ, აფხაზეთშიც ძალიან ფართოდ აღვნიშნეთ,- აღნიშნავს გვარამია.

პუბლიკაციაში აფხაზი ისტორიკოსი სოსლან სალაყაია მიუთითებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის დროს ილია ვეკუამ უმაღლეს სასწავლებელში აფხაზეთის ისტორიისა და აფხაზეთის ლიტერატურის ისტორიის კურსები შემოიტანა. „ამბობენ, ვეკუა ხშირად იხსენებდა, რომ ის სასწავლებლად ლაკობამ გააგზავნა“. - ამბობს ისტორიკოსი.

სტატიაში, ასევე, მითითებულია, რომ დიდი მეცნიერის ძეგლი ქ. გალში, კულტურის სახლის შენობის ახლოს არის აღმართული“.

ომის შემდეგ პირველ წლებში გალის კულტურის სახლის გვერდით გაშენებულ სკვერში მდგარი ილია ვეკუას ძეგლი ეკალბარდებით იყო დაფარული, მას ყურადღებას არავინ არ აქცევდა, იმ დროს ადამიანებს ძეგლებისთვის ნაკლებად ეცალათ. მაგრამ ბოლო წლებში აფხაზურმა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია ქალაქის გარეგნულ იერს, ზოგიერთი ადგილი კეთილმოაწყო და, მათ შორის, ის სკვერიც, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის მათემატიკოსის ძეგლი დგას. დღეს აფხაზურმა მხარემ დაიწყო იმის გაცნობიერება, რომ ილია ვეკუა აფხაზეთის შვილია და ის ისეთივე საამაყოა აფხაზისთვის, როგორც – ქართველისთვის.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აფხაზური მხარისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და ამ საკითხში აფხაზ და ქართველ სპეციალისტებს შორის სრული თანხმობა სუფევს. ეს არის ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის აფხაზეთისთვის მიწოდების საკითხი. კომპანია „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელობა ხშირად უსვამს ხაზს, რომ ზამთრის პერიოდში ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 100% აფხაზეთს მიწოდება. ზამთრის პერიოდში წყალსაცავში წყლის დონის დაწევის გამო პრობლემები იქმნება და აფხაზეთს ელექტროენერგია გარკვეულ პერიოდში გრაფიკით მიერიდება. ამ ორიოდე წლის წინ აღნიშნულ გრაფიკს აფხაზური საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილება მოყვა. გამოითქვა ეჭვები, რომ ქართული მხარე მათ ატყუებს და აფხა-

ზეთის წილი ელექტროენერგია დანარჩენ საქართველოს ხმარდება, რაც „ჩერნომორნერგოს“ ხელმძღვანელმა ასლან ბასარიამ კატეგო-რიულად უარყო. მისი გამოსვლის ტექსტები ადგილობრივ გაზეთებ-შიც დაიბეჭდა, სადაც ბასარია აცხადებს, რომ ქართული მხარის დამსახურებაა სწორედ ის, რომ აფხაზეთს, რომელიც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, დენი შეუფერხებლად მიეწოდება. ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკ-თან დაკავშირებით ეჭვების გასაქარნებლად ენგურპესის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ აფხაზური მედიის წარმომადგენლები-სთვის პრეს-ტური მოეწყო და კაშხალი, გვირაბები, წყალსაცავი და სხვა აგრეგატები დაეთვალიერებინა. 2016 წლის მარტში უურ-ნალისტთა ჯგუფი ოკუპირებული აფხაზეთიდან ჯვარში ჩავიდა და კაშხალი დაათვალიერა. ისინი დარწუნდნენ, რომ ქართული მხარე არ ტყუოდა: წყალსაცავში წყალი კრიტიკულ დონემდე იყო დასული, რაც ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების საშუალებას არ იძლეოდა. ეს აფხაზი უურნალისტების პუბლიკაციებშიც აისახა.

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული მედია-საშუალებები მკაცრად კონტროლდება, მათში ზოგჯერ მაინც „გაიპარება“ ადგილობრივი ე.ნ. ხელისუფლებისთვის არასასურველი ინფორმაცია. ამის მაგალითია ქვემოთ მოყვანილი პუბლიკაცია.

აფხაზურ საიტ Abkhaz-auto-ზე დაიბეჭდა უურნალისტ ს. ადლეი-ბას სტატია „12 миллиардов, это много или мало?“, სადაც ავტორი აანალიზებს რა აფხაზურ ბიუჯეტს, ადარებს მას რუსეთის ზოგი-ერთი რეგიონის, ასევე, „მეზობელი“ საქართველოსა და სომხეთის ბიუჯეტებს. (sukhum-moscow, 16.12.15.)

შედარებისას ავტორი აღნიშნავს, რომ „სურათი არც თუ ისე შთამბეჭდავია“

და მიუთითებს, რომ „აფხაზეთის ბიუჯეტი დეფიციტურია, რადგანაც შემოსავლის ნაწილში გათვალისწინებულია 11 757 მილი-არდი, ხოლო ხარჯვით ნაწილში – 11 998 მილიარდი რუბლი, ამ თანხ-იდან 8,3 მლნ – რუსული ფინანსური დახმარებაა. ამ წლის ბიუჯეტი კვლავ სოციალურად ორიენტირებულია, რამდენადაც მისი ძირითა-დი ნაწილი მიმართული იქნება საბიუჯეტო სფეროს მუშაკების ხელ-

ფასების მომატებისაკენ. ეს უნდა გაკეთებულიყო ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, მაგრამ ბიუჯეტი დაგვიანებით იქნა მიღებული და მისი დეფიციტი შეადგენს 240,5 მლნ რუბლს, რომლის დაფარვაც ნაციონალური ბანკის კრედიტების ან სხვა წყაროების ხარჯზე იგეგმება“.

ავტორის თქმით, 2014 წელს აფხაზეთის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი 5 156 554 ათასი რუბლი იყო, ხოლო ხარჯვითი ნაწილი – 5 519 419 ათასი რუბლი. ამგვარად, შემოსავლების ნაწილში განსხვავება გასული წლისა და ახლანდელ ბიუჯეტებს შორის 6,5 მლრდ რუბლია.

უურნალისტი აფხაზეთის ბიუჯეტს ადარებს რუსეთის ფედერაციის კურგანსკის ოლქის ბიუჯეტს, სადაც, მისი თქმით, 870 ათასი ადამიანი ცხოვრობს . აფხაზეთში კი -242 826 ათასი.

„კურგანსკის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 36 მლრდ რუბლს. რა გამოდის აქედან? კურგანსკის ოლქში სამჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე აფხაზეთში, შესაბამისად, მისი ბიუჯეტი სამჯერ მეტია, ვიდრე აფხაზეთისა. „ამგვარად, აფხაზეთსაც ისე-თივე შესაძლებლობები აქვს, როგორიც დოტაციურ კურგანსკის ოლქს“.- წერს ავტორი.

შემდეგ უურნალისტი ერთმანეთს ადარებს აფხაზეთის და საქართველოს ბიუჯეტებს და წერს, რომ „საქართველოს ბიუჯეტი დეფიციტის გარეშეა, მისი მოცულობა 8 მლრდ ლარია, თუ რუბლზე გადავიყვანთ, ის დაახლოებით 280 მლრდ რუბლს უდრის“. მისი თქმით, „საქართველოში ცხოვრობს 4,5 მილიონზე ნაკლები ადამიანი, ანუ, უხეშად თუ ვიტყვით, 15-ჯერ მეტი, ვიდრე აფხაზეთში. მაგრამ ქართული ბიუჯეტი უფრო მეტია, ვიდრე 20 აფხაზური ბიუჯეტი. ამგვარად საქართველო დღეს რამდენადმე უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე აფხაზეთი“. - ასკვნის ავტორი.

ცალკე თემაა აფხაზი პაციენტების საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში მკურნალობის თემა, რომლის გაშუქებაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამომავალ მედია-საშუალებებში ტაბუ-დადებულია. თუმცა, აქა-იქ მაინც გაიელვებს სტრიქონები იმის თაობაზე, რომ საქართველოში ბევრი აფხაზის სიცოცხლე გადაარჩინეს. და ეს ნამდვილად კარგი უესტია, ეს საკითხი რომ პოლიტიზებული

არ იყოს და საქართველო აფხაზეთს არა თავის ნაწილად, არამედ მეზობელ ქვეყნად აღიქვამდეს.

ახალგაზრდა უურნალისტმა სტელა ადლეიბამ ორიოდე წლის წინ ტაბუ დაარღვია და საქართველოში ეთნიკურად აფხაზი პაციენტების მკურნალობის თემას სტატია მიუძღვნა, სადაც შეეცადა გაერკვია, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოაქვს აფხაზებისთვის საქართველოში მკურნალობას (სტელა ადლეიბა, „აფხაზების მკურნალობა საქართველოში- პოლიტიკა თუ გულმოწყალება“):

„საქართველოში აფხაზეთის მოქალაქეების მკურნალობის თემა, რაღაც კუთხით, ტაბუდადებულია ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ დღეს სავსებით სარწმუნოა, რომ იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც ქართული სამედიცინო დახმარებით ისარგებლეს, ასობითაა.

ამ დღეებში სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული იყო პოსტი, სადაც აფხაზეთის მოქალაქე მადლობას უხდის ქართველ ექიმებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც კი მას ნათესავის გადარჩენაში დაეხმარა. „იშვიათია, როცა ქართული მედიცინით მოსარგებლე ადამიანები, მზად არიან ლიად და საჯაროდ გამოხატონ თავიანთი მადლიერება ამისთვის, რამდენადაც, ჩვენს ქვეყანაში კოლექტიური საზოგადოებრივი აზრი ასეთ ადამიანებს კიცხავს. მაგრამ რეალობაა ის, რომ დიდი რაოდენობით ადამიანები მიმართავენ სამედიცინო დახმარებისთვის საქართველოს. პრობლემას ორი განზომილება აქვს: ჰუმანიტარული და პოლიტიკური. მისი საფუძველია ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური მედიცინის კრიტიკულად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

აფხაზი ექიმების თქმით, ჩვენს ჯანდაცვას არ შეუძლია ბევრი ისეთი მომსახურების განევა, რაც დღეისათვის საქართველოშია.“ - აღნიშნავს უურნალისტი.

„აფხაზეთის მოქალაქეების მხრიდან საქართველოს მედიცინისათვის დახმარების თხოვნით მიმართავა გამოწვეულია ჩვენი ჯანდაცვის მიმართ საზოგადოებაში არსებული უნდობლობით. მეორეც, ამის მიზეზია ჩვენთან ძვირადლირებული სამედიცინო აღჭურვილობის არარსებობა, რაც, თავისათვად, ჩვენს მასშტაბებს და შესაძლებლობებს აღემატება. შესაბამისად, ადამიანი დგება არჩევანის წინაშე

– სად წავიდეს, რუსეთში თუ საქართველოში? საქართველო ქმნის პირობებს იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეები იქ ჩავიდნენ და უფასოდ იმკურნალონ. აფხაზეთში არიან კვალიფიციური ექიმები, მაგრამ აյ მხოლოდ კვალიფიკაციის დონეში არ არის საქმე. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზ ექიმებს არ შეუძლიათ ავადმყოფის განკურნება, ისინი მათ ვერც რუსეთში გააგზავნიან, რადგანაც არ არსებობს შესაბამისი შეთანხმება. ადამიანები მიღიან იქ, სადაც მათი დახმარება შეუძლიათ.“ – წერს ადლეიბა და იქვე მოჰყავს აფხაზი პაციენტის სიტყვები:

„საქართველოში სამკურნალოდ წავედი, რადგანაც ქალური პრობლემები მქონდა. აფხაზეთში არ არიან ისეთი გინეკოლოგები, რომლებიც შეძლებდნენ ჩემთვის ოპერაციის გაკეთებას. საქართველოში ნათესავები მყავს და მათი მეშვეობით მე ამ პროგრამაში მოვხვდი. დამაწვინეს კერძო საავადმყოფოში. ეს კარგი საავადმყოფოა და იქ ექიმებიც კარგები არიან. იქ ასეა – თუ შენ აფხაზეთიდან ხარ, ავტომატურად მოგათავსებენ საუკეთესო საავადმყოფოში. ჩემთვის იქ არავის არ მოუთხოვია საქართველოს მოქალაქეობის მიღება, ეს ისულელე! ერთადერთი, რასაც ექიმები აღნიშნავდნენ, ეს ისაა, რომ ბევრი აფხაზი ჩადის მათთან სამკურნალოდ. მე არ ვნანობ იმას, რომ იქ წავედი. წარმატებით გამიკეთეს ოპერაცია და ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ამით სამშობლო გავყიდე.“ – ამბობს პაციენტი, რომელმაც გვთხოვა, მისი გვარი არ დაგვესახელებინა.

ადლეიბა მიუთითებს, რომ წინა წლებში საქართველოში აფხაზების მკურნალობა პოლიტიზებული იყო. პროგრამის მონაწილეებს არც ისე იშვიათად უხდებოდათ საქართველოს მოქალაქეობის მიღება, უკიდურეს შემთხვევაში, ამა თუ იმ დოკუმენტის მიღება, მაგალითად, დაზღვევის გამო.

„ახლა ყველაფერი მარტივადაა. კონკრეტული პაციენტისთვის საქართველოს კლინიკებში მკურნალობა არსებითად პირადი და არა „პოლიტიკური პროექტია“. არავინ არ გახვევს თავზე მოქალაქეობას, თუმცა, უზინდებურად უფასოდ და საუკეთესო კლინიკებში გღებულობენ. ამასთან, ეს თემა არ პიარდება. მაგრამ, რასაცირველია, ამ პროგრამიდან პოლიტიკა არსად წასულა.“ – წერს ადლეიბა.

ამასთან უურნალისტი აღნიშნავს, რომ „ადამიანების წრე, რომლებიც საქართველოში გადაარჩინეს, ფართოვდება. მათი ნათესავების, ახლობლების ხარჯზე ყალიბდება ამ ქვეყნის მიმართ საკმაოდ ლოიალურად განწყობილ ადამიანთა ფართო ბაზა. ამაში, თავისთავად, არაფერი ცუდი არ იქნებოდა, თუ საქართველოში აფხაზეთს აღიქვამდნენ, როგორც მეზობელ ქვეყანას, რომელთანაც აუცილებელია ნორმალური ურთიერთობების აწყობა“.

ცხადია, ახალგაზრდა უურნალისტს ვერ დავვეთანხმებით იმაში, რომ საქართველო და აფხაზეთი „მეზობელი ქვეყნებია“ და ვერც იმაში, რომ აფხაზი პაციენტების საქართველოში მკურნალობის თემა, გარკვეულწლილად, პოლიტიზებულია. გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ აფხაზეთი ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და საქართველოსთვის, მსოფლიო თანამეგობრობისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ის დღემდე დროებით ოკუპირებული რეგიონად აღიქმება, რომლის მოსახლოების, და, მათ შორის, ეთნიკურად აფხაზების ჯანმრთელობაზე ზრუნვას საქართველოს სახელმწიფო თავისთავზე იღებს. ასეთია დღევანდელი რეალობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტელა ადლეიბას სტატია, უპირველეს ყოვლისა, თავისი გაბეჭდულებით იქცევს ყურადღებას. ის შეეხო აქამდე ტაბუდადებულ თემას და შეეცადა გაერკვია, სამედიცინო დახმარება, რომელსაც ქართული მხარე აფხაზებს უფასოდ სთავაზობს, პოლიტიკურად ანგაუირებულია თუ არა, რამდენად გულწრფელია ეს ქმედება, რა ქვეტექსტები გააჩნია საქართველოში აფხაზების უფასოდ მკურნალობას და სხვ.

სტელა ადლეიბა და მისი რესპონდენტები, მათ შორის, რიგითი ადამიანები, ექიმები მიიჩნევენ, რომ ქართულ სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ აფხაზების წასვლა გამოწვეულია განსაკუთრებული აუცილებლობით, სიცოცხლის გადარჩენისთვის ზრუნვით. ადგილზე სათანადო კვალიფიკაციის ექიმებისა და თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობის უქონლობით, უსახსრობით და იმ მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებით, რასაც ქართული მხარე უსასყიდლოდ სთავაზობს ეთნიკურად აფხაზებს.

ამასთან, ავტორს მოყვანილი აქვს საქართველოს სამკურნალო დაწესებულებების ყოფილი პაციენტების მონათხრობები, სადაც ისინი აღიარებენ, რომ მკურნალობის სანაცვლოდ მათგან არავინ არ მოითხოვს საქართველოს მოქალაქეობის მიღებას და „სამშობლოს ღალატს“.

ადლება, ასევე, მიუთითებს, რომ აფხაზებისთვის მიმზიდველი ხდება საქართველო, თუნდაც მედიცინის, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის, მკურნალობის დონით, რაშიც მისთვის კონკურენციის გაწევა ძნელი იქნება.

„ჩვენ ვცხოვრობთ ადამიანური კაპიტალის ზღვრული მობილობის ეპოქაში. ადამიანებს გააჩნიათ შესაძლებელობა, აირჩიონ ბინადრობის უფრო მისაღები გარემო. წავიდნენ იქ, სადაც უკეთესი კვების პროდუქტებია, სადაც უფრო ხარისხიანი მედიცინაა და სადაც მეტი გამომუშავება შეიძლება. ქვეყნები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ადამიანური კაპიტალისთვის და დღეს ჩვენს გვერდით არსებობს ქვეყანა, რომელსაც სურს მიმზიდველი იყოს აფხაზეთისათვის. საქართველოში არ არსებობს ისეთი ეკონომიკა, რომელსაც შეუძლია განვითარების ცენტრების შექმნა, აფხაზეთიდან შრომითი რესურსების მიზიდვა. ამ ქვეყანას არ შეუძლია აფხაზებისთვის მიმზიდველი ცხოვრების პირობების შექმნა, მაგრამ იქ, სადაც ქართველებს შესაძლებლობები გააჩნიათ, ამ ბრძოლას იგებენ“.

წერს ადლებია და ის ამაში მართალია.

ეს სტატია მიგვანიშნებს, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის პროცესი უკვე დაწყებულია. ასეთი სტატია პირველად დაიწერა ოკუპირებულ სივრცეში და, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება პუბლიკაციის ავტორს ზოგ რამეში არ ვეთანხმებოდეთ, ვთვლით, რომ პრეცენდენტი უკვე არსებობს, ტაბუ მოხსნილია – იმ თემებზე საუბარი უკვე დაწყებულია, რომლებზეც ოკუპირებულ სივრცეში არსებულ მედია-საშუალებებში ადრე არ საუბრობდნენ. ეს კი, თავისი არსით, ძალიან მნიშვნელოვანია და იმედის მომცემიც.

ვიდეოჩანაწერი ლიეტუვიდან

ირენა განაგაიტიტე

ქურნალისტი

ქ.ვილნიუსი

სუპიექტურობა ხელს უძლის შერიგების პროცესს



...გაგრაში ვცხოვრობდი 1981-1992 წლებში. გაცნობის პირველი დღეებიდანვე შევიყვარე ეს მყუდრო და ლამაზი ქალაქი მეგობრული და გულწრფელი ხალხით, ქართულ-აფხაზური უნიკალური სამზარეულოთი. აქ დაიბადნენ ჩემი შვილები, ვილნიუსის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აქ, გაგრის საქალაქო გაზეთის რედაქციაში დაიწყო ჩემი ქურნალისტური მოღვაწეობა. თავიდან მეუცხოებოდა, რომ გაზეთი გამოდიოდა ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებზე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ასეთი მრავალფეროვანი კულტურის მქონე

მხარეში სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა. ამიტომაც, როდესაც მე და ჩემმა ქართველმა მეგობარმა და კოლეგამ ვენერა რურუამ დამოუკიდებელი გაზეთი „მე-9 ტალღა“ დავაფუძნეთ, ისიც ორ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოვეცით. გვინდოდა მოგვეწვია აფხაზურენოვანი ჟურნალისტიც, მაგრამ არ დაგვცალდა – ომი დაიწყო... ამ საშინელი ტრაგედიის შესახებ ვილნიუსში გავიგე, სადაც ბავშვებთან ერთად ვიმყოფებოდი... ორი თვის განმავლობაში ვერ ვუკავშირდებოდი ახლობლებსა და მეგობრებს, რათა გამეგო, რა ხდებოდა გაგრაში და, საერთოდ, აფხაზეთში... როგორც კი ტელევიზიის მეშვეობით სიტუაციის სტაპილიზაციის შესახებ პირველივე ინფორმაცია მოვისმინე, მაშინვე თვითმფრინავის ბილეთი ავიღე და სახლში დავპრუნდი....

...დიახ, ეს იყო ჩემი სახლი, ჩემი ოჯახი, ულამაზესი მხარე, რომლის შეყვარებაც მოვასწარი და რომლის დაკარგვა არ მინდოდა... სამწუხაროდ, ტელევიზიით მოსმენილი ინფორმაცია არაზუსტი აღმოჩნდა და მე, ორ პატარა ბავშვთან ერთად, საომარი მოქმედებების შუაგულში აღმოვჩნდდი...

ირგვლივ საშინელება ხდებოდა, აფხაზური ნაწილები, ჩრდილოკავკასიელი დაქირვებულები და მოხალისები მთელი ძალით უტევდნენ ქალაქს...

...არ შევუდგები იმ მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას... თავს შევიყვავ მოსაზრებისგანაც, ვინ იყო მართალი და ვინ – დამნაშავე, ვინაიდან ვფიქრობ, რომ მანც სუბიექტური ვიქნები ... სუბიექტურობა კი არამც და არამც არ შეუწუობს ხელს შერიგების მოსალოდნელ პროცესს...

...ომის დროს მე არ ვმუშაობდი ჟურნალისტად...უბრალოდ, როგორც ქალი და დედა, ვცდილობდი, დამეცვა ოჯახი და ჩემი შვილები, გადამერჩინა თავი და დავხმარებოდი მათ, ვისაც ეს სჭირდებოდა...

...დღეს კი მინდა გავიხსენი ის ადამიანები, რომლებმაც, ცხოვრების ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს არ დაკარგეს ადამიანურობა და, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მოქცეულები, ეხმარებოდნენ ერთმანეთს.., რაოდენ საკირველი და საოცარი არ უნდა იყოს, სწორედ ამ საშინელმა ომმა მომცა მეგობრობის ფასდაუდებელი

გაკვეთილები, რომლებსაც სიცოცხლის ბოლომდე ვერ დავივიწყებ...

...იმ საბედისნერო 2 ოქტომბერს,, როდესაც გაგრა ცეცხლის ალში იყო გახვეული, თავდაცვის მიზნით, ქალაქის საავადმყოფოს შევეხიზნეთ. ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი მეგობარი ვენერა და მისი ოჯახის წევრები, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილის აშეარა საფრთხის წინაშე იდგნენ, არ დამტოვეს და არ გამოიყენეს საშუალება, გასულიყვნენ სამშვიდობოს...

...სწორედ იქ, საავადმყოფოში მოგვაგნო ჩვენმა კოლეგამ, აფხაზმა ჟურნალისტმა ... ის რომ არა, ჩვენ, ალბათ, ცოცხლები ვერც გადავრჩებოდით...

იქ, ომის იმ გაგანია ქარცეცხლში, ჩვენი კოლეგა არ იყო ის ერთადერთი აფხაზი, რომელიც ქართულ ოჯახებს ეხმარებოდა... ურთიერთთანადომის მსგავსი მაგალითები, საბეჭნიეროდ, ორივე მხარეს მრავლად მოიპოვება...

... ლიეტუვაში დაბრუნების შემდეგ, ასე მეგონა, ვერასოდეს შევძლებდი გაღიმებას, მშვიდ, ჩვეულებრივ ცხოვრებას, იმ საშინელი დღეების დავიწყებას... თან მსდევდა დალუპული ახლობლებისა და მეგობრების სახეები... საბეჭნიეროდ, ადამიანის მეხსიერებას ძალუძს დაივიწყოს წყენა, ბოროტებაც და ასე – დროთა განმავლობაში, წლების შემდეგ, თანდათან მიყუჩებულმა ტკივილმა თითქოს ადგილი გამოუწავისუფლა ნათელ მოგონებებს იმ ჭეშმარიტად ადამიანური ურთიერთობებიდან. მერე უკვე მხოლოდ იმ ქართველებსა და აფხაზებს ვისსენებდი, რომლებმაც ყველაზე მძიმე წუთებში შეინარჩუნეს მაღალადამიანური ღირსება და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ეხმარებოდნენ მეგობრებს, მეზობლებს, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს.

მჯერა, ბევრმა, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია და გადაიტანა ამ ორი ხალხის, ქართველებისა და აფხაზების საშინელი ტრაგედია, ჩემს მსგავსად შეძლო მოქექნა თავის თავში ძალა და ტკივილთან ერთად, წლების მანძილზე ეტარებინა იმ ადამიანების ხსოვნა, რომლებმაც განსაცდელში არ მიატოვეს, რომლებმაც საუკუნეებით განმტკიცებული მეგობრული და მეზობლური ურთიერთდამოკიდებულება ყველაფერზე მაღლა დააყენეს...

... შესაძლოა, ასეთი მაგალითების, ამგვარი ადამიანების ხშირი გახსენება დაგვემარებოდა, სხვა თვალით შეგვეხედა იმ პერიოდის დრამატიზმით სავსე ცხოვრებისათვის და გულით გვეტარებინა არა ის, რაც კიდევ უფრო გვაშორებს და გვაცალკევებს, არამედ, რაც გვაახლოებს, ერთმანეთისკენ სავალ მანძილს გვიმოკლებს. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის დაწყების ის პატარა ბილიკი, რომელმაც ეს ორი ხალხი ურთიერთპატიების დიდ გზამდე უნდა მიიყვანოს.

„კოცელიძეს დროს მიუკარძოებელი ურნალისტიკა ურნალისტს მნიშვნელოვან იცავს. ურნალისტები, რომლებიც რომელიმე მხარის მხარდამშერები არ არიან, აატივისცემას იმსახურებენ“.

პანდელი პანი

„კონფლიქტური სიტუაციების გაშუქების საფუძვლები“

**ვიდეოჩანაწერი ქუთაისიდან
დათო ლიკლიკაძე
„ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი, ურნალისტი**



**ჩვენი კოცელიპიტი ოჯახურია და ტკივილი
აუცილებლად მოჟუმდება**

მე მიწვეული გახლდით ამ კონფერენციაზე და ძალიან გული მწყდება, რომ ვერ ვესწრები სერიოზული მიზეზების გამო, მაგრამ დიდი სურვილი მქონდა მიმემართა თქვენთვის, კონფერენციის მონაწილეებისათვის, ასევე, ჩემი აფხაზი და ოსი ძმებისა და კოლეგებისათვის და ამიტომაც ვაგზავნი ჩემი გამოსვლის ტექსტს.

მადლობა მინდა გადავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებს, ვინაიდან ეს სამშვიდობო პროცესის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. თითოეულმა მომხსენებელმა, თითოეულმა მონაწილემ ძალიან კარგად ვიცით, რომ აუცილებლად უნდა დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და უნდა ვისაუბროთ ერთმანეთთან, უნდა გავაანალიზოთ ის შეცდომები, ის ტკივილები, რომელიც გამოვი-

არეთ და ერთად დავსახოთ მომავალი. თუ მშვიდობა გვინდა, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მშვიდობის მშენელობა ძალიან რთული პროცესია, ძალიან რთულია ერთმანეთისადმი ნდობის აღდგენა, მაგრამ ეს შესაძლებელია. მე ვარ ის მეოცნებე ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ მშვიდობა ჩვენ შორის აუცილებლად დამყარდება, მით უფრო, როცა გვაქვს დიდი ისტორია, მშვიდობიანი თანაცხოვრების დიდი წარსული.

ჩემდა, საბედნიეროდ, ხშირად ვარ მიწვეული ქართულ-აფხ-აზურ და ქართულ ოსურ შეხვედრებზე, მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ ამგვარი შეხვედრები დღემდე მესამე ქვეყნის ორგანიზებით იმართება და ჩვენ არ გვაქვს საშუალება, უფრო სწორედ, მზაობა, რომ ასეთი ხასიათის შეხვედრები თბილისში, სოხუმში ან ცხინვალში გავმართოთ.

უკანასკნელი წლების მანილზე თურქეთში, ეგვიპტეში, მოლდოვაში, უკრაინაში, სომხეთში რამდენჯერმე შევხვდი ჩვენს კოლეგებს, უურნალისატებს ოკუპირებული აფხაზეთიდან. თითოეულმა ამ შეხვედრამ ჩემზე უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა და მე, როგორც უურნალისატი, დავრჩმუნდი, რომ მედიას აქვს უდიდესი ბერკეტი, იყოს სამშვიდობო პროცესების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფლაგ-მანი. მედიას შეუძლია, ეს პროცესები ეფექტურად მართოს, გაყინული გაალლოს, განავითაროს და, პირიქით – დაამუხრუჭოს, ან, უფრო უარესი – საბოლოოდ ჩაკლას.

აფხაზ კოლეგებთან შეხვედრებმა დაამარწმუნა, რომ ისინიც, როგორც ჩვენ, დაინტერესებულნი არიან მშვიდობით, ისინიც გრძნობენ, რომ ჩვენ არ ვართ მტრები ერთმანეთისთვის. ხშირად მსმენია ბევრი ჩვენი არაკეთილისმოსურნისგან – თუ ძმები იყავით, რატომ მოხდა თქვენს შორის კონფლიქტიო. მიუხედავად იმისა, რომ, რაც აფხაზეთში ხდებოდა და მოხდა, მესამე ძალის მიერ იყო ინსპირირებული, მათ გასაგონად მაინც მინდა ვთქვა – კონფლიქტი სწორედ ძმებს შორის ხდება, ოჯახში ხდება კონფლიქტი – მამა-შვილს შორის, დედა-შვილს შორის, და-ძმებს შორის... ჩვენ ერთ ოჯახში, ერთი ქვეყნის სივრცეში ვცხოვრობდით და ვერ გვექნებოდა კონფლიქტი ზიმბაბვეში, პერუში... ოჯახური კონფლიქტის არსი კი ასეთია – რაღაც პერიოდის

შემდეგ კონფლიქტური სიტუაცია უკან იხევს, ტკივილები შუშდება და, რაღაც პერიოდის შემდეგ, კვლავ ერთად არიან. ასე უნდა ვიყოთ ჩვენც, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ გვაქვს – ომი არც ჩვენ გვინდა და არც აფხაზებს... ჩვენ გვჭირდება შინაგანი მზაობა ყოველივე ამის გასააზრებლად და მეტი გაბედულობა ერთმანეთისკენ ნაბიჯების გა-დასადგმელად, ერთმანეთთან კავშირების დასამყარებლად. ამ ტიპის ლონისძიებებს სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს, თორემ თითო-ოროლა შეხვედრები არაფერს მოგვიტანს.

...მიხარია, აფხაზ უურნალისტებს, როცა მათთვის უკითხავთ, ვისთან გინდათ შეგახვედროთო, ჩემი გვარი დაუსახელებიათ. მე ეს ძალიან მეამაყება – ამაზე მაგარი რა უნდა იყოს, როცა შენს აფ-ხაზ კოლეგას აქვს შენთან შეხვედრის, შენთან საუბრის სურვილი. ცხადია, ასეთი რამ, ხატოვნად რომ ვთქვათ, არა შენი ლამაზი თვა-ლების, წარმატებების, ან სხვა ამგვარი დამსახურებების, არამედ, შენი სამშვიდობო ენის გამო ხდება.

ნურავინ ნუ იტყვის, რომ ჩვენ ურთიერთობას ვერ შევძლებთ. ყველას გვახსოვს დიდი სამამულო ომი, სადაც, ალბათ, დღევანდე-ლი ჩვენი კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობის ბაბუა მონაწ-ილეობდა, მაგრამ აბა, დღეს თუ ფიქრობს ვინმე, რომ გერმანელი ჩვენი მტერია? დრომ ტკივილი გაანელა. ჩვენს შემთხვევაშიც ასე იქნება, თუკი, რა თქმა უნდა, მოვინდომებთ ორივე მხრიდან. ურთ-იერთობები კი ჯერ სიტყვით უნდა გავალლოთ, შემდეგ – საქმითაც. კონფერენციის სათაურიც, რომელიც სახარების სიტყვებიდანაა აღე-ბული, ხომ ამაზე მიგვითითებს. დიახ, სიტყვაა უპირველესი, უზენ-აესი, მისგან შეიქმნა, მას მოსდევს და მას შეუძლია ყველაფერი, მათ შორის, ჩვენ შორის მშვიდობის დამყარებაც.

ქ. ქუთაისი,
2018 წლის 21 სექტემბერი.

ვიდეოჩანაწერი საფრანგეთიდან

ბონდო ქურდაძე

ქურნალისტი, პირველი დამოუკიდებელი გაზეთ „შანსის“

დამაარსებელი და რედაქტორი

ქ. პარიზი



ქართველსაც და აზხაზსაც ერთი მხარე აქვთებდა

მოგესალმებით მსოფლიოს ყველაზე ლამაზი და დემოკრატიული ქალაქიდან, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარიზი თავისი ბუნებრივი მდგომარეობით თბილისზე, ან სოხუმზე ლამაზი იყოს. პარიზს, თავის განუმეორებელ არქიტექტურასთან ერთად, ალამაზებს თავისუფლებისა და თანასწორობის უმაღლესი ხარისხი. სწორედ ამაშია მისი განსაკუთრებული ხიბლი. ერთი ადამიანის თავისუფლება არ ზღუდავს მეორე ადამიანის თავისუფლებას. ჩემს შვილს, ეროვნებით ქართველს, ისევე შეუძლია ისარგებლოს ამ ქვეყნის ყველა სიკეთით, როგორც ფრანგს, იტალიელს, აფრიკელსა თუ ლათინელ ამერიკელს.

ნაპოლეონი ამბობდა, რომ ყველაზე მეტად ორი გაზეთის ეშინოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში 200 წლის წინათაც დიდი ძალა ჰქონდა სიტყვას. ძნელია, მართო ქვეყანა და ის ადამიანები,

რომელსაც მარტო 366 დასახელებისა და განსხვავებული გემოვნების ყველი აქვს... „მე მივდივარ“ – თქვა დე-გოლმა და გადადგა. ამით არ დაქცეულა საფრანგეთი. მან პატივის სცა ხალხის ნებას და კიდევ უფრო განამტკიცა დემოკრატია.

„შანსი“ ფრონტის ხაზზე – რედაქცია მთელი შემადგენლობით თბილისიდან სოხუმში გადადის. ჩვენ ძალიან ბევრს ვწერდით იმაზე, თუ როგორ გადაარჩინა აფხაზმა ქართველი და პირიქით: ქართველმა – აფხაზი. ვწერდით, რომ ძმათამკველელ ოში ქართველსაც და აფხაზსაც ერთი მხარე აქეზებდა და აიარალებდა. ვწერდით დაქირავებულ ბოევიკებზე, ვწერდით, რომ ეს ჩვენი ომი არ იყო და ვეძებდით სამშვიდობო გზებს.

ყველამ იცის სოხუმში დაფლული კონიაკის ისტორია. ამაზე ბატონმა გურამ ოდიშარიამ, ძირძველმა სოხუმელმა შესანიშნავად დაწერა თავის რომანში. ომის შემდეგ „შანსის“ რედაქციაში ხშირად ვსაუბრობდით, რომ აუცილებლად გავხსნიდით იმ კონიაკს და აფხაზ ძმებთან ერთად შევსვამდით ერთმანეთის სადლეგრძელოს. ძალიან შეგვეგვიანდა, ბევრი ცოცხალიც აღარ არის. ბოთლი, რომელიც სოხუმში ჩავმარხეთ, ამას წინათ პარიზში, სენის ნაპირებთან სიმბოლურად ამოვთხარე ჩემს ახალშეძენილ აფხაზ მეგობრებთან ერთად... მთელი ღამე გავტეხეთ... როგორ მოგვნატრებია და გვაკლია, თურმე, ერთმანეთი. საბედნიეროდ, ჩვენმა 11 წლის შვილებმა – ბარბარებ და თამარ თარბამ არაფერი იციან ამ საზიზღარი ომის შესახებ. მათ არც თბილისი იციან კარგად და არც სოხუმი, მაგრამ ერთმი ღრმად ვარ დარწმუნებული – მოვა დრო და ისინი ერთად გაფრინდებიან იბერიის კურთხეულ მიწაზე პარიზი-სოხუმი-თბილისის რეისით.

მეგობრები, ძვირფასო კონფერენციის მონაწილეები, დამშვიდობებისას პატარა ადამიანურ ნატვრას გაგანდობთ – ვერ წარმოიდგენთ, როგორი გულით და სულით მინდა, რომ დღევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში აფხაზეთიდან, აფხაზი ეროვნების კანდიდატიც იყრიდეს კენჭს და არა აქვს მნიშვნელობა რა გვარის კაცი იქნება ის – თარბა თუ შერვაშიძე... მთავარია, რომ იყოს!

ღრმად მჯერა, რომ ეს დროც ძალიან მაღვა და დადგება.



კონფერენციის მსვლელობისას



თემურ ჟღენტი

ჟურნალისტი



- აფხაზეთის ომში ბარიკადების ორივე მხარეს სამშობლოსათვის გულანთებული მამულიშვილები იდგნები;
- სოხუმში, მაშინდელი „მვო-ს“ ერთ-ერთ კორპუსში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, განთავსებულნი იყვნენ გაეროს მისიისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ნარმომადგენლები. მათ შორის იმ რუსული სამხედრო ბატალიონის მეთაურიც, რომელსაც „მვო-ს“ დაცვა ევალებოდა... დღესაც მახსოვს, რა დიდი სიამაყით წინასწარმეტყველებდა იგი ამ ომში ქართველების დამარცხებას – როგორ თუ გავძედეთ და მოვინდომეთ დამოუკიდებლობა;
- შინაგანად იმედგაცრუებულები ვიყავით იქ არსებული ქაოსის, უწესრიგობის, სამხედრო შენაერთების უდისციპლინობის გამო და ვგრძნობდით, რომ სოხუმის დაცემა გარდაუვალი იყო.
- „ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ არძინბასთან კი არა, აფხაზებთან უნდა გამოვნახოთ საერთო ენა... აქამდეც მათთან უნდა

გველაპარაკა და მომავალშიც მათთან უნდა ვიღლაპარაკოთ. ჩვენ ერთი ძირიდან ამოსული ხალხი ვართ. მომავალშიც ამ ძირის გარშემო უნდა გავერთიანდეთ და გავერთიანდებით კიდეც. კაცებთან ჩხუბიც შეიძლება და შერიგებაც... გაგვიწყებიან? ჩვენც გავუწყებით, ბოდიშსაც მოვიხდით. აბა, როგორ? ემოციურად რომ დაგვიგრილდება, აი სწორედ მაშინ დაიწყება მთავარი ომი, ომი მრგვალ მაგიდასთან...“

(ამონარიდი უიული შარტავასთან 1993 წლის ზაფხულში ჩაწერილი ინტერვიუდან)

გაზეთი „შანსი“ ფრონტის ხაზზე და უიული შარტავას შერიგების ტრაქტატი

მე, როგორც უურნალისტი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ვაშუქებდი იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გამყარებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ხაზი ესმებოდა იმ გარემოებას, რომ ქართველებისა და აფხაზების ძმური კავშირი და მეგობრობა „ჩვენი უფროსი ძმის“ – რუსეთის დამსახურებაა და რომ, თუ არა ის, ქვა ქვაზე არ დარჩებოდა. ამას ჩაგვძახოდნენ მთელი ორასი წლის მანძილზე ჩვენც და აფხაზებსაც. სხვათა შორის, იმხანად სწორედ ასეთი პათოსით ინერებოდა მეცნიერული ნაშრომებიც, როგორც თბილისში, ასევე, სოხუმში და, რა თქმა უნდა, მოსკოვშიც. საქვეყნოდ ცნობილია, რომ პირველად სწორედ „ჩვენმა უფროსმა ძმამ“ განაცხადა საჯაროდ – აფხაზეთი არაა საქართველო. მასენდება ერთ-ერთ მაშინდელ ოფიციალურ ბანკეტზე გაჟღერებული ფრაზაც – ძმები ერთმანეთს ძმობას ასე გაუთავებლად არ ეფიცებიან. ერთი სიტყვით, ჩვენი საერთო მტერი, გონივრულად, მიზანმიმართულად აღვივებდა აფხაზებში სეპარატიზმს, ჩვენში კი – შურისძიებისკენ მიმართულ ნაციონალიზმს. შედეგად კი ის მივიღეთ, რაც მოხდა და რაც წლების მანძილზე ასე საგულდაგულოდ მზადდებოდა ჩვენი ავის მოსურნეთა მხრიდან და რასაც, ნებსით თუ უნდებლიერ, ჩვენც ვუწყებდით ხელს.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ეიფორიამ ქართველებსა და აფხაზებში პატრიოტიზმის ისეთი მანკიერი სახე მიიღო, რომელ-მაც ხელში იარაღი აგვალებინა. ამას თან დაერთო ახალი დროე-ბისათვის დამახასიათებელი ქაოსი, გაურკვევლობა და წყალიც ისე აიმღვრა, რომ ძნელი გასარჩევი გახდა – ვინ იყო მართალი და ვინ – დამნაშავე. ერთი რამ კი ცხადზე ცხადი იყო – ბარიკადების ორივე მხარეს გულანთებული მამულიშვილები იდგნენ, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით იმ მესამე ძალას, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ომის დაწყებასა და მისი ასეთი, ორივე მხარისათვის გამანადგურებელი შედეგით დამთავრებაში.

ერთი სიტყვით, აფხაზეთში ომი დაიწყო და გაზეთი „შანსის“ მთელი რედაქცია სამუშაოდ ალმოდებულ სოხუმში გადავიდა სამუშ-აოდ. გვინდოდა ადგილზე, საკუთარი თვალით გვენახა ყველაფერი, სილრმისეულად განგვეცადა ამ საზარელი ომის უსამართლობა და, თუკი შევძლებდით, ხელი წაგვეშველებინა მისი სასიკეთო დასასრუ-ლისთვის.

თუკი შეიძლება ომს სიხარული ახლდეს, ერთ-ერთი ასეთი სიხა-რული სამშობლოსათვის იმ თავგანწირვის შეგრძნება და გათავისე-ბაა, რომელსაც ომში მიმავალი საკუთარ თავში, მეგობარში, ან სრუ-ლიად უცხო ადამიანში ალმოაჩენ – ეს გაძლევს ძალას, გამნენევებს და რაღაცნაირად გაკაუებს, მით უფრო, თუ ამგვარ თავგანწირვაზე, კაცებთან ერთად, ქალებიც მოდიან ...

სოხუმისკენ, ანუ ომისკენ გეზალებულ თვითმფრინავში ვსხედვართ შანსელები და თბილისის აეროპორტში დარჩენილ ჩვენს მეგობარ დეა ცუცქირიძეზე ვფიქრობთ... როგორ უნდოდა წამოს-ვლა, მაგრამ მშობლებმა არ გამოუშვეს და მანაც, გულდაწყვეტილმა, მხოლოდ ის შეძლო, რომ აეროპორტამდე გამოგვაცილა. ერთი სიტყ-ვით, მივფრინავთ... ვიღაცამ „შავლეგო“ წამოიწყო, სხვებიც ავყევით და ჰო, საოცრებავ – თვითმფრინავის წინა სალონის რიგებიდან ჩვენკენ, არც მეტი, არც ნაკლები, დეა ცუცქირიძე მოემართება, ჩვენი დეა. თვალებს არ ვუჯერებდით, ავურიამულდით, ჩვენმა სიხა-რულმა მთელი თვითმფრინავი მოიცვა. დეას, თურმე, ბოლო წამს მაინც გადაუწყვეტია წამოსვლა და საკუთარი ავტომანქანა, რომლი-

თაც გამოგვაცილა, აეროპორტში ერთი ჩვენი თანამშრომლისთვის დაუტოვებია.

აი, უინი, აი, თავგანწირვა...

ეს, რაც შეეხება ომში მიმღვალ უურნალისტთა სულისკვეთებასა და სიხარულს, რომელიც სოხუმში ჩაფრენისთანავე გაგვიქარნყლდა – „შანსის“ მთავარ რედაქტორ ბონდო ქურდაძის ჩემოდანი თვითმფრინავშივე გააქრო რომელიდაც ვაი-მეომარმა...

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ კიდევ ერთხელ გადავავ-ლოთ თვალი იმ შექ-ჩრდილებს, რომლებიც თან ახლდა ამ ზემო-დან ინსპირირებულ და ქართველებისა და აფხაზების დამარცხებით დამთავრებულ ომს, რომელშიც ძალიან ბევრმა ვაი-მამულიშვილმა მოითბო ხელი.

სოხუმში ბატონმა გენო ადამიამ მიგვიღო, დაგვაბინავა და ყველანაირად შეგვიწყო ხელი ჩვენი პროფესიული მოვალეობის შეს-რულებაში. მაშინდელი „მვო-ს“ ერთ-ერთ კორპუსში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, განთავსებულნი იყვნენ გაეროს მისისა და სხ-ვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მათ შორის იმ რუსული სამხედრო ბატალიონის მეთაურიც, რომელსაც „მვო-ს“ დაცვა ევალებოდა და რომლისგანაც ყველაზე უტყუარ ინ-ფორმაციას ვლებულობდით მიმდინარე მოვლენების შესახებ. დღე-საც მახსოვს ის უტიფარი კაცი, დიდი სიამაყით რომ წინასწარმ-ეტყველებდა ამ ომში ქართველების დამარცხებას – როგორ თუ გავტედეთ და მოვინდომეთ დამოუკიდებლობა!

... გამოვუშვით პირველი, ასე ვთქვათ, „რბილი“ ნომერი, მაგრამ როგორც კი ლრმად ჩავწვდით მწვავე რეალობას, მომდევნო ნომრე-ბიც, შესაბამისად, გავამწვავეთ, რაც ბევრს არ მოეწონა და რამდენ-იმე ნომრის მერე გაგვაჩერეს. თუმცა, ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი სტამბამდე მაინც ვერ მიგვქონდა, კომპიუტერში მაინც ვაკ-აბადონებდით „შანსის“ ახალ-ახალ ნომრებს, ვხვდებოდით მეომრებს, მეთაურებს, სამოქალაქო პირებს, რიგით მოქალაქეებს, ვამხნევებ-დით მათ, თუმცა, შინაგანად იმედგაცრუებულები ვიყავით იქ არსებ-ული ქაოსის, უნგარი გოგობის, სამხედრო შენაერთების უდისცილინო-ბის გამო – ვგრძნობდით, რომ სოხუმის დაცემა გარდაუვალი იყო.

თბილისში გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ბატონ ჟიული შარტავასთან ინტერვიუ ჩავიწერე, რომელიც, მართალია, „შანსის“ ფურცლებიდან ვერა, მაგრამ ომისდროინდელი აფხაზეთის შესახებ დაწერილი ჩემი წიგნიდან ..ტრაქტატი“ გავაცანი მკითხველს. ყველაფერს, რაც ვნახე, განვიცადე და რითაც დამამახსოვრდა ის საშინელი დღეები, ამ წიგნში მოვუყარე თავი...

აფხაზეთის ომის ამბები და დასავლეთ საქართველოში იმ პერიოდში განვითარებული მოვლენები ასახა თავის წიგნში „ჯარისკაცი“ „შანსის“ გაბედულმა „ჯარისკაციმაც“ დეა ცუცქირიძემაც, რომელიც დღეს უკვე „კვირის პალიტრიდან“ ეხმიანება იმ საშინელ ომს და ომგამოვლილ ადამიანთა დღემდე მოუშუშებელ ჭრილობებს...

ჩემი დღევანდელი გამოსვლა კი მინდა დავასრულო ბატონ ჟიული შარტავასთან სოხუმში ჩაწერილი იმ ბოლო ინტერვიუთი, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ. ვფიქრობ, დღეს უკვე საქართველოს ეროვნულმა გმირმა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ომი ყველაზე აქტიურ ფაზაში იყო შესული და მოწინააღმდეგე ყოველი მხრიდან გვიტევდა, როდესაც ყველაზე ძნელი წარმოსადგენი იყო აფხაზებთან ჩვენი მომავალი თანაცხოვრება, ამ ინტერვიუში მისთვის ჩვეული გულწრფელობით, ყოველგვარი შელამაზებისა და პოლიტიკური კაპლუცობის გარეშე, ჩამოაყალიბა თავისი გულისნადები და თვალნათლივ დამიხატა შერიგების ერთგვარი ტრაქტატი, რომლის შესასრულებლად, რომ დასცლოდა, დარწმუნებული ვარ, სიკვდილამდე იბრძოლებდა.

აი ეს ინტერვიუც:

„– ბატონო ჟიული, რა იქნება ხვალ?

– ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ არძინბასთან კი არა, აფხაზებთან უნდა გამოვნახოთ საერთო ენა... აქამდეც მათთან უნდა გველაპარაკა და მომავალშიც მათთან უნდა ვილაპარაკოთ.

– რომ არ გვაძლევენ ამის საშუალებას?

– უნდა შევძლოთ! ძნელი იქნება, მაგრამ სხვა გზა არ არის. ჩვენ ერთი ძირიდან ამოსული ხალხი ვართ. მომავალშიც ამ ძირის გარშემო უნდა გავერთიანდეთ და გავერთიანდებით კიდეც. ვინ დამარწმუნებს, რომ არ მომისმენენ ჩემი გაზრდილი ბიჭები? შენც ხომ

იცნობ იმათ. კომკავშირი ახლაა სალანძლავი, თორემ უწინ მეგობრობის ნამდვილი აკადემია იყო...ისინი ნამდვილი კაცები იყვნენ. კაცებთან კი ჩხუბიც შეიძლება და შერიგებაც... ჰოდა, გვერდში ამოგიყენებთ შენც, სხვებსაც, მთელ საქართველოს... დავჯდებით ერთად და ვილაპარაკებთ, რაზეც გული შეგვტკივა, გაგვინერებიან? ჩვენც გავუნყრებით, ბოდიშსაც მოვიხდით. აბა, როგორ? ემოციურად რომ დაგვიგრილდება, აი სწორედ მაშინ დაიწყება მთავარი ომი, ომი მრგვალ მაგიდასთან, „ჩვენმა წინაპრებმა რომ იცოდნენ ჩხუმზე უკეთესად“... გულს ნუ გავიტეხთ. გული ყოველთვის მთელი უნდა იყოს, ნამდვილად მთელი უნდა იყოს“.



ჟურნალისტი კობა ბენდელიანი საკონფერენციო დებატებში

III ბლოკი

**ახალგაზრდები -
ნდობის აღმდენისა და
მშვიდობისათვის**

„ჩვენი პრამლის მთავარი იარაღი გაიცე სიტყვაა. ჩვენ უდეა ვიპრამლოთ სიტყვით, ოღონდ ჯერ სიტყვაზე ვიზრულოთ“.

ოტია იოსელიანი

დაჩი ახვლედიანი

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის კონფლიქტების მართვისა და ანალიზის
მიმართულების მაგისტრანტი



ჩვენ ისევ ერთი გუნდის წევრები უნდა გავხდეთ

ქართულ-აფხაზურ ახალგაზრდულ შეხვედრებზე ხშირად უკითხავთ ჩემთვის აფხაზ თანატოლებს: რატომ უნდა გვჯეროდეს ქართველების კეთილგანწყობის? რატომ უნდა გვჯეროდეს, რომ თქვენ არ უმიზნებთ მხოლოდ სამოთხედ წოდებულ ტერიტორიას? რატომ უნდა გვჯეროდეს, რომ თქვენ გაინტერესებთ აფხაზი ხალხიც? პასუხი ამ, ერთი შეხედვით, ბანალურ კითხვებზე ყოველთვის მზად მაქვს და მასზე ფიქრიც არ მჭირდება: იმიტომ უნდა გჯეროდეთ, რომ ჩვენ ვიცავთ თქვენს კულტურას, თქვენს ენას, რომელიც აფხაზეთმი გაქრობის პირასაა. იმიტომ უნდა გჯეროდეთ, რომ ენგურს გამოღმა სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებობს აფხაზური ენის კათედრები, აფხაზურ ენაზე ითარგმნება ლიტერატურა და სამეცნიერო ნაშრომები, იმიტომ უნდა გჯეროდეთ, რომ აფხაზურ ენას

სწავლობენ ბავშვები საჯარო სკოლებში, აფხაზ პაციენტებს უფასოდ მკურნალობენ ქართველი ექიმები... მიუხედავად ჩემი ესოდენ მყარი არგუმენტებისა, ჩვენ იმდენად შორს ვართ ერთმანეთისგან და იმდენად ვართ გაუცხოებული, ძნელია, ერთმანეთის გულწრფელობაში ეჭვი არ შეგვეპაროს. ჩემთან საუბარში ერთ-ერთ აფხაზს ხუმრობით ისიც კი წამოსცდა, რომ მას ცოცხალი ქართველი არას-დროს ჰყავდა ნანახი და ვერც კი წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მასთან შეხვედრა.

ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ნეგატიური ფონის ჩახშობას ჩვენ საზოგადოებაში. ომმა ძალიან ბევრი ნარჩენი დაუტოვა ჩვენს თაობას. როცა ბევრს ენგურს გამოღმა შედარებით ნათელ ფერებში წარმოედგინათ ცხოვრება, ჩვენ იქ, აფხაზეთში, ბავშობას ადრეული ასაკიდან ვემშვიდობებოდით, გვიწევდა იმ ნარჩენებთან ჭიდილი, რაც ომმა გვაანდერძა. დღესაც გვიწევს ამასთან ბრძოლა. სწორედ ამიტომ ჩვენ მეტი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ ჩვენს თავზე და ვეცადოთ გაუგოთ მათაც.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ძალიან ბევრი მუშაობს აფხაზეთში იმისათვის, რომ ჩვენ ერთმანეთში მხოლოდ მტრებს ვხედავდეთ. სამწესაროდ, მსგავსი ძალების ნაკლებობა არც ენგურს გამოღმა შეინიშნება.

როდესაც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ვეხებით, ჩემი აზრით, ყურადღების გამახვილება საჭიროა იმაზე, რაც ჩვენ, ახალგაზრდებს არ გვახსოვს. იმ დროზე და ეპოქაზე, სადაც ქართველები და აფხაზები ერთ მთლიან საზოგადოების ნაწილად მიიჩნევდნენ თავს.

არ ვიცი, რა და როგორ გამომივა, მაგრამ ამჟამად ვმუშაობ ნანარმოებზე, სადაც ვცდილობ, კარგად იყოს ალწერილი ქართველებისა და აფხაზების ერთად ყოფინის პერიოდი, სადაც ადამიანური ურთიერთობებია უპირატესი... ადამიანებს, რომლებმაც გამოიარეს ომის ქარცეცხლი, ბოლოს მაინც სიყვარულმა მოუშება იარები. განაცოტაა ჩვენს ახლო თუ შორეულ წარსულში ამის მაგალითები?

რამდენიმე წლის წინ სოხუმში გავიცანი აფხაზი, რომელიც სოხუმის საფეხბურთო გუნდში თამაშობდა ქართველებთან ერთად. მასთან საუბარი ძალიან საინტერესო იყო და მთლიანად რომ მოვყვე,

ბევრ საინტერესოს დაგვანახებს, მაგრამ მე მოგიყვებით ერთ ეპი-ზოდს მისი მონაყოლიდან.

მე მთელი ბავშობა, – მითხვა მან, – მთელი ჩემი წარსული ქართველებთან ერთად გავატარე, ძალიან ბევრი ქართველი მეგობარი მყავდა და, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც ვესროლეთ ერთ-მანეთს.

მერე წამიყვანა მაიაკში, სოხუმის ერთ-ერთ უბანში, სადაც დანგრეული კორპუსის სადარბაზოში მიწერილი იყო გვარები – გაბლაია, ცინცაძე, აგრბა, არძინბა და ასე შემდეგ. დიდხანს უყურა ამ წარწერებს და ბოლოს მითხვა: ეს ბიჭები, ვის გვარებსაც ახლა კითხულობთ, ერთი გუნდის წევრები ვიყავით, სოხუმის გუნდის... ეხლა კი მათგან მხოლოდ ეს წარწერები დამრჩა, არა მარტო მათგან, არამედ, მთელი ჩემი წარსულიდან მხოლოდ ეს წარწერებიღა შემომრჩა და ესაა ჩემი ტკივილი და გამარჯვებაც.

ჩემი აზრით, უურნალისტების დიდი როლი აკისრია კონფლიქტის მოგვარებაში. მე საწინააღმდეგოსაც ვიტყოდი – შეიძლება კონფლიქტი სულაც უურნალისტების მეშვეობითაც დაიწყოს და, მათ შორის, არა მარტო ინფორმაციული კონფლიქტი. ნებისმიერ კონფლიქტს აქვს თავისი სპეციფიკა. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ძალან დიდი როლის თამაში შეუძლია სწორად მიმართულ საინფორმაციო პოლიტიკას და კონფლიქტში ჩახედულ ნებისმიერ უურნალისტსა და პუბლიცისტს. ჩვენს თაობას, რომელთაც არც ცუდ და არც კარგ კონტექსტში პქონიათ ერთმანეთთან შეხება, ეს ძალიან სჭირდება. უმეტესწილად, ეს მათი ურთიერთდაახლოების ერთადერთი წყაროა. გულწრფელობა და დაჯერების, ნდობის ეფექტი უმთავრესია ურთიერთობების ალსაღებნად. ჩაკეტილ საზოგადოებაში კი ინფორმაციის გამჭირვალეობა დიდ პრობლემას წარმოადგენს. ხშირად ხდება სხვადასხვა ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია, რომელიც ემსახურება იმ ნეგატიური ფონის გაღვივებას, რომელიც ჩვენს შორის არსებობს.

მე ვარ არა მარტო ქართული, არამედ აფხაზური საზოგადოების ნაწილიც და ვიცი მათი შეხედულება ბევრ საკითხთან მიმართებაში. პირველი, რაც მნიშვნელოვანია დაკარგული ურთიერთობების

ალსადგენად, ჩემი აზრით, არის ის, რომ ჩვენ არ უნდა დავუწყოთ ძიება მტყუან-მართალს, რადგან ნებისმიერ მოვლენას, თუ ფაქტს ყოველთვის აქვს ორი მხარე. ჩვენ სიმართლის ძიება კი არა, პასუხ-ისმგებლობის აღების მაგალითი უნდა მივცეთ აფხაზებს და დავანა-ხოთ მათ, რომ 21-ე საუკუნე არის პრაგმატული აზროვნების ეპოქა.

სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდანაც ხშირად ხდება ამა თუ იმ ფაქტის, ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია. სენსაციებზე, ან თუნდაც რეიტინგულ ინფორმაციებზე გამოკიდება ხშირად წეგატიურ ფონს უქმნის სხვადასხვა დონის მოლაპარაკებებს, ან სრულიად უბრალო, ადამიანურ ურთიერთობებს, თუნდაც სოციალურ ქსელებში.

მგონია, რომ აფხაზურმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის ჩვენი საზოგადოების მიდგომა მათ მიმართ. ალბათ, ესეც არას-წორია, როცა აფხაზებს და ქართველებს ცალკე საზოგადოებებად ვყოფთ, მაგრამ ეს ჩვენი სამწუხარო რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ.

მიუხედავად ჩვენს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, ქართველების და, ზოგადად, დანარჩენი საქართველოს მიმართ ინტერესი აფხაზურ საზოგადოებაში მაინც არის. სწორედ ამიტომ ჩემი თაობის უურნალისტებს, მომავალ კონფლიქტოლოგებს და, მათ შორის, საკუთარ თავსაც მინდა ვურჩიო – სანამ გავალთ სიუჟეტის გასაკეთებლად, სანამ დიალოგს დავიწყებდეთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს სიტყვაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, თუნდაც ეს ერთი აფხაზის გონის მოყვანა და შემორიგება იყოს. მხოლოდ ასე თუ შევებრძოლებით იმ მესამე ძალას, რომელიც საუკუნეებია იბრძვის ჩვენს დასაშორიშორებლად. დრო კი მიდის და იგი ჯერჯერობით ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

დავით დოლიძე

საინფორმაციო სააგენტო „ჯეო მედია ჯის“ ქურნალისტი,
აფხაზეთის მთავრობის მიერ დაწესებული ჟიული შარტავას
სახელობის სტიპენდიანტი



მტრობა პოროფერა და ამიტომაცა მარტივი

როდესაც პატარა ვიყავი, დაახლოებით 4-5 წლის, თბილისიდან დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე, ერთ-ერთ საფეხმავლო ხიდის ქვეშ ყოველი გასვლისას, მექანიკურად, დამარცვლით ვკითხულობდი ამავე ხიდზე წანერილ ფრაზას: „აფხაზეთი – ჩვენი ტკივილი“.. მაშინ არც აფხაზეთი ვიცოდი, რა იყო და, ბუნებრივია, არც – ტკივილი.

დღეს უკვე ვიცი!

დღეს ისიც ვიცი, რომ ეს საშინელი ომი ერთ დღეში არ დაწყებულა, არც ერთ თვეში, კონფლიქტი ნელ-ნელა ღვივდებოდა, უბრალოდ ამას დანახვა, სწორად აღქმა და შეფასება სჭირდებოდა, მაგრამ სამაჩაბლოს კონფლიქტიდან ჯერაც გამოუსვლელ საქართველოს, როგორც ჩანს, არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა.

მე არასდროს მინახავს აფხაზეთი, თუმცა, მრავალი ღამე „გამოტარებია“ სოხუმში. დამითვალიერებია ის ქუჩები, სახლები და სანა-

პირო, რომელიც ფოტოებიდან და ოჯახის წევრების გადმოცემით ვიცი. დედაჩემიც დევნილია, მანაც დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში და საკუთარი ძმა დატოვა აფხაზეთის მინაზე – ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც თავი განირა საკუთარი კუთხისა და ქვეყნის დასაცავად.

ომი დაუნდობელია და ეს ყველამ კარგად ვიცით. მტრობა ბოროტებაა და ამიტომაცაა მარტივი, შერიგება და მიტევება კი – რთული. თუმცა, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით შერიგებისა და მიტევებისთვის არცერთი მხარე არ ვართ მზად. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქამდეც გადავდგამდით ერთმანეთისკენ ნაბიჯებს. გადმომტერებულებს მხოლოდ ზედაპირული მცდელობებით ვერ შემოვირიგებთ.

მიმაჩნია, რომ შერიგების პროცესში დიდი, ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მისა გვაკისრია ახალგაზრდებს. ჩემი თაობის უურნალისტებმა, ექიმებმა, იურისტებმა, მასწავლებლებმა ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ვიგრძნოთ და საერთო ძალებით დავიწყოთ წინა თაობების დროს ჩატეხილი ხიდის აღდგენა-გამთლიანება.

ამისათვის კი აუცილებელია საჭირო გზების გამონახვა და დაახლოება იქ მცხოვრებ ახალგაზრდობასთან. სოციალური ქსელი დღეს გვაძლევს ბრწყინვალე შანსს, გავიცნოთ და დავუახლოვდეთ აფხაზეთში მცხოვრებ თანატოლებს. გულწრფელად ვანახოთ მათ, რომ ჩვენ მზად ვართ ურთიერთმიტევებისთვის, შერიგებისთვის და თავადვე მიხვდებიან, რომ ამას ალტერნატივა არ გააჩნია. დარწმუნებული ვარ, თუ გულიანად დავპატიუებთ მათ ენგურს აქეთ, ჩავიკრავთ გულებში, როგორც თანასწორებს, ჩვენს დებსა და ძმებს, საპასუხო ნაბიჯებიც არ დააყოვნებს.

იქ, სადაც პოლიტიკოსები და დიპლომატები უძლურნი არიან, თავისი სიტყვა უნდა თქვას სახალხო დიპლომატიამ. უბრალო ადამიანთა შორის ურთიერთობებს შეუძლია გაყინული გულების გალლობა და ყველაფრის ახალი ფურცლიდან დაწყება. შეუძლებელია, მომავალი თაობის მიერ დამყარებულმა ურთიერთობებმა და გაცემულმა სითბომ შედეგი არ გამოიღოს.

სულ ცოტა ხნის წინ ჩვენს უნივერსიტეტში ჩავატარეთ კონფერენცია სახელმძღვანელობით „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“. კონფერენციის ორგანიზატორი მე ვიყავი, მომხსენებლები და მონაწილეები – ჩემი თანატოლები.. ისინი საკუთარი სურვილით ჩაერთვნენ ამ საქმეში და თითოეულმა მათგანმა, რომ იტყვიან, მთელი გული ჩადო საკუთარი სიტყვის მომზადებაში. არადა, არცერთ მათგანს თვალით არ უნახავს აფხაზეთი. ამ კონფერენციისა და აფხაზეთზე დაწერილი მრავალი სტატიის საფუძველზე შარშან მომენტა საქართველოს ეროვნული გმირის, უიული შარტავას სახელობითი სტიპენდია, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი აფხაზეთის მთავრობას, რომელმაც ეს სტიპენდია დააწესა. ეს ჩემთვის ძალიან საამაყო და მომავალი ახალი იდეებისა და საქმიანობის ბიძგის მომცემია.

დღევანდელ კონფერენციაზე მრავლად ვართ სხვადასხვა თაობის უურნალისტები და მჯერა, რომ ყოველი ჩვენგანი უანგაროდ ემსახურება ჩვენს პროფესიას. ჰოდა, სწორედ სამშობლოსა და საქმისადმი სიყვარული მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი ვწეროთ და მეტი ვისაუბროთ აფხაზეთზე, ნუ მივცემთ მომავალ თაობებს ამ უმშვენიერები კუთხის დავიწყების საშუალებას და ნურც სიყვარულს გავუნელებთ. ვწეროთ ისე, რომ ჩვენი ნაწერი იკითხონ აფხაზეთშიც. იქნებ მათზე ამანაც იმოქმედოს და მიხვდნენ, რომ ჩვენ მათ არ ვივიწყებთ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით.

ჩემი დღევანდელი სიტყვა მინდა მურმანიძის ლექსის ერთი სტროფით დავსარულო, რომელიც სწორედ იმათ ეხება, ვინც ქართველებსა და აფხაზებს შორის სიძულვილის თესვას ცდილობს, მაგრამ ადრე თუ გამოსდიოდა და მიზანსაც მიაღწია, მომავალში, დარჩმუნებული ვარ, ხელმოცარული დარჩება:

აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს –

ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის...

და მე ვყვირი: –

ჩემს სისხლს დალევს უნინამც!

და მე ვმდერი:

– აფხაზეთი ჩემი

გიორგი გაბედავა

არასამთავრობო ორგანიზაციაცია- ჯგუფი

„აზალი ხედვის“ ხელმძღვანელი



ახალგაზრდული სახალხო დიალოგიათია: ურთიერთობა სუვთა ფურცლიდან

უკვე 4 წელზე მეტია, აქტიური ურთიერთობა მაქვს აფხაზ ახალგაზრდებთან. ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი, რომლებთან ერთად არაერთი სამშვიდობო პროექტი განვახორციელება.

1992 წლის კონფლიქტის შემდეგ ქართველებსა და აფხაზების შორის კომუნიკაციის უფლესერულმა ჩვენი ურთიერთობა უფრო გაართულა და ჩიხში შეიყვანა. როგორც სხვა 300 000 ქართველი, საკუთარ ქვეყანაში მეც იძულებით გადაადგილებული პირი გავხდი და იმაზე ფიქრით, რომ სახლში დავბრუნდე, გადავწყვიტე საკუთარი წვლილი შემეტანა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გამოსწორებაში. ამიტომაც ავირჩიე სახალხო დიპლომატიის მიმართულება, რაც

გახლეჩილი საზოგადოებების ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის უმნიშვნელოვანესი სივრცეა.

აფხაზ ახალგაზრდებთან ერთად ჩატარებული მრავალი დისკუსიიდან და შეხვედრიდან გამომდინარე, მოგახსენებთ იმ ძირითად პრობლემებს, რომლებზეც ისინი ხშირად საუბრობენ:

1. აფხაზური საზოგადოება, ომს ვერ ივიწყებს და ისევ წარსულისკენ იყურება. თითქმის ყოველი დღე ომის განხილვით იწყება, რაც, ბუნებრივია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გამოსწორებას ხელს უმლის;

2. რუსული პროპაგანდა, რომელიც ომამდე ძალიან დიდი ხნით ადრე დაიწყო, დღემდე მუშაობს და ამკვიდრებს ქართული მტრის ხატს;

3. საქართველოს მიერ შეთავაზებულ სამშვიდობო პოლიტიკას, ვიზალიბერალიზაციით და ნეიტრალური დოკუმენტებით სარგებლობის შესაძლებლობით, აფხაზი ახალგაზრდები საქართველოს ხელისუფლების რბილი ძალის ნაწილად აღიქვამენ;

4. ბევრი აფხაზი ახალგაზრდა აღნიშნავს, რომ ისინი „იზოლირებულები“ არიან და უცხოეთში სწავლის სირთულეები მათთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს;

5. მნიშვნელოვანი საკითხია აფხაზი ახალგაზრდების დამოკიდებულება გალის რაიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის და მათი ცხოვრების მონური პირობების მიმართ (მათ შორის, ქართული სკოლების დახურვა, ქართულ ენის ელემენტისკენ სწრაფვა და ა.შ.)

ამ საკითხთან მიმართებაში აფხაზ ახალგაზრდებს ორი პოზიცია აქვთ. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველები აფხაზების მტრები არიან და რომ ეს სწორი პოლიტიკაა. ხოლო მეორე ნაწილი მსგავს ქმედებებს აფხაზეთის ე.წ. განათლების სისტემის ხარვეზიად თვლის (მაგალითად ქართული სკოლების დახურვა).

გამოწვევების გარდა, აფხაზებთან ურთიერთობებში, ბუნებრივია, იკვეთება პოზიტიური ასპექტებიც;

1. ქართველი და აფხაზი ყველგან ძალიან მარტივად პოლობს საერთო ენას, რაც წარსულში მათი თანაცხოვრების ნათელი გამოხატულებაა;

2. არიან ისეთი ახალგაზრდებიც, რომელებიც ამბობენ; „გვეყოფა წარსულზე და ომზე საუბარი, დროა განვვითარდეთ, დროა წინ წავიწიოთ“ ამგვარად მოაზროვნე ახალგაზრდებთან უფრო ნაყოფიერია მუშაობა, ვიდრე იმათთან, ვინც სულ წარსულზე ახდენს აპელირებას;

3. ისინი ხშირად დიდი ინტერესით უყურებენ ქართველების მიღწევებს და ხაზს უსვამენ იმას, თუ რამდენად წინ არიან ქართველები აფხაზებთან შედარებით. ასეთ აფხაზებთან საუბრისას ხშირად იკვეთება თბილისში ჩამოსვლის სურვილი, ქართველებთან ურთიერთობისკენ სწრაფვა და იმ სიკეთებით სარგებლობის ინტერესი, რითაც საქართველოს მოქალაქეები არიან უზრუნველყოფილნი.

მიუხედავად პოზიტიური გამონათებებისა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ მთავარი ტაბუდადებული თემა აფხაზური საზოგადოებისათვის: აფხაზ ახალგაზრდებს საკუთარი საზოგადოების შიშით არ შეუძლიათ თამამად და ღიად განაცხადონ, რომ ქართველი მეგობრები ჰყავთ, რომ ქართველებთან ურთიერთობა მოსწონთ და კარგი დამოკიდებულება აქვთ მათთან.

რა უნდა გავაკეთოთ?!

პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ურთიერთობების გამოსწორების პოლიტიკა. ურთიერთობების გამოსწორება კი თავის თავში იმ ქმედებების ერთობლიობას გულისხმობს, რომლითაც, საპოლოო ჯამში, შეიძლება პოზიტიური შედეგების მიღწევა. ჩემთვის ურთიერთობის გამოსწორების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სახალხო დიპლომატია, რომელიც ადამიანებს შორის პირდაპირ ურთიერთობებს გულისხმობს.

იმისათვის რომ კონფლიქტის ტრანსფორმაცია მოხდეს, პირველ რიგში, საჭიროა მათთან შეხვედრა. მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ რას ფიქრობენ აფხაზები, რა აწუხებთ, რატომ ვძულვართ, მოვისმინოთ მათი ვერსია კონფლიქტის შესახებ, მათთან კოლაბორაციით, საუბრით და დიალოგით, ხალხებს შორის პირდაპირი ურთიერთობებით ნამდვილად შეიძლება პოზიტიური ცვლილებების განხორციელება.

მეორე ეტაპზე, შეხვედრის და მათი პოზიციის მოსმენის შემდეგ, საჭიროა ნდობის მოპოვება, ნდობა კი ურთიერთობის გარეშე არ მოდის. რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი, მოიპოვო ისეთი ადამიანის ნდობა, რომელსაც 25 წელი უჩიჩინებდნენ, რომ ქართველები მოსისხლე მტრები არიან. ამ პროცესებში მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკა ვერ იქნება საკმარისი. პირველი იმიტომ, რომ, რუსული პროპაგანდის გამო, აფხაზი ახალგაზრდები არ ენდობიან საქართველოს ხელისუფლებას.

სწორედ ამიტომაც ქართული საზოგადოების როლი მნიშვნელოვანია ამ ნაპრალის შესავსებად. ხალხებს შორის კომუნიკაციით, ნდობის მოპოვებით, საზოგადოებებს შორის კოლაბორაციით მოწესრიგებული ურთიერთობები, გრძელვადიან პერსპექტივაში ნამდვილად მოახდენს პოზიტიურ გავლენას ქართველებისა და აფხაზების საერთო მომავალზე.

„დიალოგათის არღადებებს ომი ეწოდება“.

კარლ გუსტავ იუნგი
ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი

თამარ ჩითინაშვილი

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. აფხაზეთის მთავრობის მიერ დაწესებული დიმიტრი (არზაყან) ემუსტვარის სახელობის სტიბენდიანტი



სოციოლოგიური კვლევა: სტუდენტი-ახალგაზრდები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ

პოსტგრადუალი საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყნამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფინქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უნესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოს-გან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგა-მოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. როგორც თვით აფხაზები

აცხადებენ, რეგიონი რუსეთის ფედერაციის „დე ფაქტო პროტექტორატია“.

არსებული საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით მივმართე კვლევის თვისებრივ მეთოდს, დოკუმენტების ანალიზს (შეთანხმებებს, მოლაპარაკებებს ქვეყნის ცენტრალურსა და აფხაზეთიდან დევნილ მთავრობებს შორის, საქართველოს სტრატეგიას რუსეთისა და აფხაზეთის მიმართ, მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებს). ასევე, გამოვიკითხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების სტუდენტები. კვლევის შედეგები დაგვეხმარება, განვსაზღვროთ, როგორ შეიძლება სიტუაციის ორივე მხარისათვის სასიკეთოდ შემობრუნება.

გამოვიკითხე, ასევე პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტები, დავსვი კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველო.

ძირითადად დასახელდა ისეთი სოციალური, ეკონომიკური პრობლემები, როგორიცაა: უზუშევრობა, ვალუტის გაუფასურება, სილარიბის მაღალი დონე, განათლების დაბალი დონე. პოლიტიკური პრობლემებიდან გამოიყო ტერიტორიული კონფლიქტები (აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტი), სტუდენტებმა, ასევე, ალისტერები, რომ ხელისუფლების შტოები, განსაკუთრებით კი აღმასრულებელი ხელისუფლება, არ არის ჩართული არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხში. საკანონმდებლო ორგანიზიც, მათი თქმით, არ მიღის დიალოგი აღნიშნულ საკითხზე და მისი მოგვარების გზებზე. ძირითადი აქცენტი გადატანილია საქართველოსა და ევროპის კავშირზე, ამ მხრივ ურთიერთობების დარეგულირებაზე, არ მიღის მსჯელობა საქართველოსათვის მნიშვნელოვან პრობლემებზე.

ფაქტობრივი კითხვების დასმის საშუალებით შევამოწმე სტუდენტების ცოდნა აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ. სტუდენტები, ასე თუ ისე, ინფორმირებულნი იყვნენ. თუმცა, სილრმისეული ცოდნა ამ საკითხის შესახებ არ ჰქონდათ. პირველივე კითხვა, რაც ფაქტობრივ ცოდნას მოითხოვდა, ასეთი იყო – რომელ წლებში მიმდინარეობდა აღნიშნული ომი? კითხვაზე მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტმა გვი-

პასუხა სწორად. რამდენიმე პასუხში ძალიან დიდი დროითი განსხვავება იყო რეალურ თარიღთან შედარებით, რასაც არ მოველოდი. კითხვაზე, რომელიც კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს ეხებოდა, სტუდენტების ერთმა ნაწილმა დაასახელა აფხაზების სურვილი და მიზანი, ჰქონდათ ავტონომია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სურდათ უმრავლესობით ყოფილიყვნენ ნარდენილნი პარლამენტში, ითხოვდნენ აფხაზურ ტელევიზიას. ერთმა სტუდენტმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აფხაზებს რეალურად ჰქონდათ საეთერო დროის განაკვეთი, თუმცა, მოითხოვდნენ სრულ დამოუკიდებლობას. მეორე ნაწილმა დაასახელა გარე ძალების, კერძოდ, რუსეთის ჩარევის ტენდენცია, რომელიც სამხედრო ძალითა და აღჭურვილობით ეხმარებოდა აფხაზებს. აღნიშნა სომები მოსახლეობის როლიც, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა, ასევე, ერევნიდან გადმოსული მოხალისებისა. აღნიშნა, რომ იყვნენ კაზაკები და ჩეჩენებიც.

რაც შეეხება, კონფლიქტის შედეგებს, ამ საკითხზე სტუდენტებს, ასე თუ ისე ჰქონდათ ინფორმაცია. მითხრეს, რომ უამრავი ადამიანი დაიღუპა, უფრო მეტი იქცა ლტოლვილად. ციფრები, რაც მათ დაასახელეს, ახლოს არ იყო რეალურთან (გაცილებით ნაკლები). სტუდენტების აპსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მოუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე.

კითხვაზე, თუ რომელი მხარე მიაჩნდათ მათ უფრო მეტად დამნაშავედ, აპსოლუტურმა უმრავლესობამ ბრალი დასდო რუსეთის მთავრობას და, ზოგადად, რუსეთის პოლიტიკას საქართველოს ტერიტორიებთან მიმართებაში.

საინტერესო იყო სტუდენტების პოზიციის მოსმენა კონფლიქტის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით. აღნიშნულ კითხვაზე სტუდენტთა კონსენსუსური გადაწყვეტილება ეხებოდა დიპლომატიური ურთიერთობების ნარმოებას, როგორც ოკუპირებულ აფხაზეთთან, ისე რუსეთის მთავრობასთან. ზოგმა კი დააფიქსირა საკმაოდ თამამი მოსაზრება, რომ ომით დაკარგული ომითვე უნდა დავიპრუნოთ.

• ამ საკითხთან დაკავშირებით, მინდა გაგიზიაროთ საკუთარი

მოსაზრებებიც: ჩემი აზრით, აუცილებელია, საქართველომ აირჩიოს სახალხო დიპლომატიური კურსი რუსეთთან მიმართებაში. ხაზს ვუსვამ, სახალხო დიპლომატია და არა ტერიტორიული, პოლიტიკური დიპლომატია. საჭიროა, ვაწარმოოთ მოლაპარაკებები ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. საქართველო არის პატარა ქვეყანა, რუსეთი კი მასზე ბევრად ძლიერი, შესაბამისად, არ ღირს ურთიერთობის გამწვავება;

- საქართველომ კონფლიქტურ რეგიონებთან ახლოს უნდა ააშენოს დიდი სავაჭრო ზონები. დღეს ცხინვალის რეგიონზეც და აფხაზეთზეც მსოფლიოს ემბარგო აქვს გამოცხადებული და მათ მხოლოდ რუსეთთან აქვთ სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები. შესაბამისად, ამ სავაჭრო ზონებში საქართველომ უნდა უზრუნველყოს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან პროდუქციის მიზიდვა და განბაზების გარეშე პირდაპირ ამ ზონებში შეტანა, შედეგად თავისუფლად ივაჭრებს საქართველოს მოსახლეობა. ამ ზონებში მოსახლეობას უნდა შეეძლოს საკუთარი მოსავლის რეალიზაცია;

- ასევე, ამ ზონებში უნდა მოეწყოს ახალგაზრდობისათვის გასართობი ცენტრები, (კინო-თეატრის მსგავსი), კაფე ბარები და სხვა. მაღაზიის მფლობელები უნდა იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები. რომელიმე სხვა ქვეყნის წარმომადგენელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ამ ზონებში მაღაზია. მაქსიმალურად უნდა მოხდეს ამ სავაჭრო ზონის პოპულარიზაცია.

- აუცილებლად მიმაჩინია, რომ აფხაზ სტუდენტებს ჰქონდეთ სხვა რეგიონებში კვლევების ჩატარების შესაძლებლობა. საქართველოს მთავრობამ უნდა წაახალისოს აღნიშნული კვლევები. ასევე, საჭიროა, ქართველ სტუდენტებს თავისუფლად შეეძლოთ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კვლევის ჩატარება – ეს დააახლოებს აღნიშნული რეგიონების სტუდენტებს და უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდის ერთმანეთის შესახებ;

- აფხაზ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისწავლონ სხვა რეგიონის უნივერსიტეტებში;

- უნდა მოეწყოს ერთობლივი კულტურული ღონისძიებები, სა-

დაც მოხდება ქართველი და აფხაზი სტუდენტების დაახლოება და კულტურული ინტეგრაცია;

• საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებმა ახალგაზრდებს უნდა მიაწოდონ სწორი ინფორმაცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ. ასევე, დადებითი შედეგის მომტანი იქნება, თუ ორივე მხარის ნარმომადგენელი საჯარო პირები სწორ ინტერპრეტაციას გაუკეთებენ არსებულ სიტუაციას და სწორად შეაფასებენ მას. ღრმად მწამს, რომ თუ ჩვენი მხრიდან რუსეთისა და ე. წ. აფხაზეთის მთავრობასთან მიმართებაში სწორი ნაბიჯები იქნება გადადგმული, საპასუხო რეაქციაც იქნება შესაბამისი – ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, მოგვიტანს სიტუაციის სტაბილიზაციას.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სახალხო დიპლომატიის, მათ შორის, ახალგაზრდული სახალხო დიპლომატიის გზით უნდა მომზადდეს ნიადაგი, რათა კონფლიქტის პოლიტიკური მხარე მოგვარებადი გახდეს. პირველ რიგში კი საჭიროა ნდობის აღდგენა. აფხაზ ხალხს უნდა დავანახოთ, რომ მართლა შერიგება და მეგობრობა გვინდა. ჯერ ადამიანებმა უნდა დავიბრუნოთ ერთმანეთი და შემდგომ უნდა დავილაპარაკოთ პოლიტიკურ საკითხებზე. საქართველომ ჯერ უნდა დაიბრუნოს ის კულტურა, ენა, მოსახლეობა – არა მარტო აფხაზი, არამედ ყველა ის ხალხი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობს და მხოლოდ ამის შემდეგ – მიწა და ტერიტორია. პოლიტიკური მოწყობის საკითხებზე, ვფიქრობ, ჯერ არ უნდა იყოს საუბარი. იგი მათი მხრიდან ნდობის მოპოვების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ყველაფერი მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს. უნდა გამოსწორდეს განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები, რათა მეტი ახალგაზრდა ჩამოვიდეს სასწავლებლად ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩვენთან. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო სექტორი გახდეს პრიორიტეტი, რადგან, პირველ რიგში, სწორედ მას ენიჭება უდიდესი როლი ნდობის აღდგენასა და ენგურის ორივე მხარეს მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ვფიქრობ, ყველა პრობლემიდან არსებობს გამოსავალი და საქა-

რთველოს კონფლიქტების მოგვარების საკითხი არ წარმოადგენს გადაუჭრელ პრობლემას. მისი მოგვარება შესაძლებელია სწორი პოლიტიკის პირობებში, რადგანაც ქართველ, აფხაზ და ოს ხალხს უამრავი საერთო გვაქვს, მათ შორის, ზიარი წარსული და საერთო ისტორიული ბედი, ჩამოყალიბებული კავკასიური ცნობიერება და გენეტიკურად შემორჩენილი სოლიდარობისა და ტოლერანტობის გრძნობა. ცხადია, ეს კონფლიქტი ახლო მომავალში არ გადაიჭრება და მის მოსაგვარებლად ქართულმა მხარემ ბევრი უნდა იშრომოს.

„მშვიდობა ათასობით კილომეტრის სავალი გზაა, ოღონდაც თითო ჯარზე მხოლოდ ერთი ნაპიჯი უდია გადაიღეს.“

ლინდონ ჯონსონი

ქრისტინე პახომოვა

კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის კურსდამთავრებული



ომი რომ არ ყოფილიყო...

პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო დღევანდელი დღის ორგანიზატორებს და მინდა ვუთხრა მათ, რომ ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. როდესაც ნაშრომზე მუშაობა დავიწყე, ვერაფრით მოვაქ-ციე იგი აკადემიურ ჩარჩოში. მერე გადავწყვიტე, სურვილს დავნებე-ბოდი და ამგვარად მომეთხრო. დაკვირვებიხართ როგორ აცვიათ ან როგორი მაკიაჟი აქვთ აფხაზეთიდან დევნილ ქალბატონებს? ზუს-ტად ისეთი, როგორიც ჩემი ოჯახის დიდ საოჯახო ფოტო-ალბომშია. თითქოს დროში გაყინულებივით, ბეჭდიერ წარსულში ცხოვრობენ დღემდე. სიმართლე გითხრათ, დიდად ვერ იხდენს თბილისი მათი ჩაცმის სტილს, რომელიც მეტად მზიან და ზღვიან ადგილთან შეს-ამებაა. დღეს ვეცადე ისე ჩამეცვა, როგორც ფოტოებში აცვიათ ქა-ლებს სოხუმში (სხვათა შორის დედას ძალიან უყვარს ჩემი ასეთი კაბები), წამეცხო მათი ფავორიტი ტონალობის პომადა. მხოლოდ მარგალიტის მძივი ვერ მოვიხდინე და ბოდიშს გიხდით.

ომი რომ არ ყოფილიყო? ვფიქრობ, რომ ომი აუცილებლად იქნებოდა. ვფიქრობ იმიტომ, დროთა განმავლობაში ჩვენ მიერვე, ნებსით თუ უნებლიერ შექმნილმა გარემოებებმაც ჩაგვითრია კონფლიქტში. არასადროს მიფიქრია ამ ომში დამწაშვე მხოლოდ ერთ მხარეზე. ეს იღუზია და თავის მოტყუება. ჩვენ გვაქვს ძალიან ფრთხილი, ზომიერი, პრაქტიკული ნაბიჯები გადასადგმელი და ვფიქრობ, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდების გასავლელი გზაა, ახალი თაობის ასაშენებელი ენგურის ხიდი და ვხედავ, რომ ეს გზა არა მხოლოდ ენგურს იქეთ, ენგურს აქეთაც საკმაოდ ფრთხილად გვაქვს გასავლელი, რადგან ენგურს აქეთაც კრიტიკული სიმწვავის არაჯანსაღ დამოკიდებულებას ვხვდებით საკითხის მიმართ. მათ შორის, ხშირად მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ამბავის „ომი რომ არ ყოფილიყო“ ჩემებურად წარმოჩენა გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე – აკადემიურად. მაგრამ ვფიქრობ, რომ რეალობის სიმწვავეს, ტრაგიზმს ზუსტად ასეთი მიკროსკოპული ამბები ასახავს. ის, რომ მიწა დავკარგეთ, ის, რომ ლირსება შეგველახა, გაცილებით უფრო ღრმაა და მტკიცნეული, ვიდრე ერთი შესედვით ჩანს. ომმა გახლიჩა ოჯახები და ჯერაც დაუბადებელი პიროვნებები განსაზღვრა.

...

ქალაქში დაბრუნებამდე ორი დღით ადრე დაუსრულებელი წვიმები შეწყდა და მზემ გამოანათა. საშუალება მომეცა ჩემი იდეა სისრულეში მომეუვანა. გამოვაცხადე, რომ სახლიდან ყველაფერი გარეთ უნდა გამეტანა და გამერეცხა. დედამ და ჩემმა ძმამ ერთმანეთს შეწყებულებმა გადახედეს და „დავალების შესრულებას“ შეუდგნენ. ჩემი ახირებული გადაწყვეტილება, რომ რაღაც ავს მოასწავებდა, ამას შინაგანად გრძნობდნენ. მინდოდა სახლიდან ყველა ძველი ნივთი მომეშორებინა. მომეშორებინა წარსული, რომელიც სადღაც, მარილიან სანაპიროზე ტოვებდა დედაჩემს და არ აცხოვრებდა. მინდოდა მისი ჩვევები მომეშალა. მინდოდა აგრესიულად გამეწყვიტა ყველა შეხების და დანახვის შესაძლებლობა, რომელიც სიზმარში ჩაჰყებოდა, შუაღამეს აღვიძებდა და გათენებამდე არ აძინებდა. ეს უსამართლობა იყო.

ჭურჭლით დავიწყე. პედანტურად დავალაგე თევზები, ჭიქები, დანები, ჩანგლები, კოვზები... ზომის და ფერების მიხედვით. უმეტე-სობა არასდროს გამოგიყენებია. ვუყურებდი და მახსენდებოდა, როგორ ჩამოყვა შუადღის ავტობუსს ის კაცი და ტომრებში შეფუ-თული ჭურჭელი, საბნები, თეთრეული, პირსახოცები, ცხვირსახო-ცები, თავსაბურავები, სათამაშოები და სხვა ნივთები ჩამოიტანა. შორიდან ვუყურე, როგორ შლილნენ და ახარისხებდნენ. მხოლოდ მაშინ შევძელი მისვლა, როცა ოთახი ყველამ დატოვა. გაკვირვე-ბული ვუყურებდი ყველაფერს და თავი ფილმში მეგონა. ეს ნივთები არ ჰგავდა იმ ნივთებს, რომელთა ირგვლივაც მანამდე ვცხოვობდი, რომლებსაც ვიყენებდი. ეს ნივთები ტელევიზორიდან გადმოსულ კადრებს ჰგავდა, რომლებთანაც არაფერი მაკავშირებდა: ჩუქურთ-მიანი კოვზები, სამარილეები, საფერფლები, საყვავილე და სახილე ვაზები, ულამაზესი თევზები, ატლასის საბნები, პრინციანი საბავშვო ცხვირსახოცები, მედიდურ ფეხებზე შემდგარი ბროლის ჭიქები, ფუმ-ფულა სათამაშოები... ერთ დღეში ეს ოთახი სხვა სამყაროდ იქცა, რომელშიც დაკარგული ბავშვივით ვიდეები – საკუთარ ეიფორიაში დაკარგულივით. ვხედავდი ამ ნივთებს ჩემი და-ძმის, დედაჩემის და იმ კაცის სახლში, ვხედავდი იმ სახლს და ვგრძნობდი, რომ მე არ ვიყავი. ის სახლი გაცილებით ძლიერი, მყარი და ლამაზი იყო. ხოლო მე ამ ორ რეალობას შორის საგზაო ნიშანივით დავიბადე, დავეყუდე, როგორც წერტილი და აბზაცი, რომელიც უკეთესს არ იწყებდა. ამ ნივთებიდან მე არაფერი მეკუთვნოდა. ფუმფულა სათამაშოებიდან-აც ყვითელი, თვალებდათხრილი დათვი მერგო, დანარჩენი ჩემმა დამ წაილო – სახსოვარი საკუთარი ტკბილი და უდარდელი ბავშვობიდან, რომელიც სიზმრებში მაინც უნდა დაეპრუნებინა.

...

გაბზარულია. გატეხილია. ფერი აქვს შეცვლილი. რაში გჭირდება, სახლში ადგილი არ გაქვს. კოროზია. ბზარი. კოროზია. ბზარი. კოროზია. ბზარი... – ვამბობდი მშვიდად და მიწაზე ვყრიდი ჭურ-ჭელს. თავიდან დედის წინააღმდეგობა უფრო ძლიერი იყო, თან-დათან კი შესუსტდა და ბოლოს მხოლოდ მშრალ სევდას ყლაპავ-და და და ოდნავ მიღიმოდა. მე ვსპობდი მის მატერიალურ წარსულს.

ერთბაშად ვასრულებდი წლების წინ ნელ-ნელა დაწყებულ საქმეს, როცა უნდა დამტკრევდი აფხაზეთიდან გადმოტანილ ჭურჭელს და უდიერი მოპყრობით ვცვეთდი. ვყრიდი და „შემთხვევით“ მიტყდებოდა რეცხვისას დაუზიანებელი ჭურჭელი. საოცარი ძალით ვივსებოდი, როცა წარმოვიდგენდი, რომ ახალ სახლში წარსულიდან არცერთ მოგონებას არ გადავიტანდით. რომ ამ სახლსაც მალე ის-ეთივე მშვიდი აგრესით დავანგრევდი, როგორც ახლა ვანგრევდი მატერიალურად ჩემი ოჯახის უჩემო წარსულს.

ჩევნი პირველი შეხვედრა ძალიან ტკბილი იყო. ყველგან ამას ვყვები. ლურჯი კომბინიზონი და წითელი ბათინკები მეცვა. კიკინები მეკეთა და ლოდინისგან ვცქმუტავდი. მაშინ მიყვარდა ზღაპრები, რომლებსაც ძილის წინ მიყვებოდნენ და მჯეროდა, რომ ერთხელაც ამ ზღაპრების სამშობლოში დაგბრუნდებოდით. ის კაცი, ძალიან მაღალი იყო. როცა ხელში ამიყვანა, ვიფიქრე, რომ ცაში, ჩიტებთან თამაში შემეძლო. ტალღოვანი, ჭაღარა თმები ჰქონდა. მერე დედას მოეხვია. დედა ისეთი ლამაზი იყო მაშინ, როგორიც არასდროს მენახა და არც არასდროს მინახავს მას შემდეგ. როცა ჩავეხუტე, მისი გულისცემის ხმა ნიუარაში მოსმენილ ზღვის ხმაურს ჰგავდა და მეც არასდროს ნანას ზღვას ვხედავდი.

შემდეგში სახლში ჩამოვიდა. დიდი ხნით. რაც დრო გადიოდა, სახე უფრო და უფრო უსევდიანდებოდა და დილაობით დაღლილი იღვიძებდა. სადღაც დარჩენასა და წასვლას შორის ბრძოლით დაღლილი. ვხედავდი, როგორ უყურებდა ნივთებს, ადამიანებს – ყელში ადამის ვაშლგაჩრილი.

სახლს უნდა მივხედოო და დილის რეისს გაყვა. არ დამინახავს, როგორ წავიდა, ბნელოდა. არც მოსული მინახავს მას შემდეგ. მაგრამ ყოველთვის, როცა ყვითელი ავტობუსი გზაზე გამოჩნდებოდა, სუნთქვა მიჩერდებოდა და მანამ ვიყავი დაგუბებული, სანამ თვალს არ მიეფარებოდა.

ათი წლის ვიყავი, როცა შევიძულე. 13-ის, როცა მასზე ლაპარაკი ავერძალე. 17-ის, როცა სახლში მისულს კედელზე მისი და დედას ფოტო დამხვდა და ჩამოვახსნევინე. 22-ის, როცა გავიგე, რომ მოკვდა და ჩემი ცხოვრება რატომღაც აირია. 25-ის, როცა გავიგე,

რომ ცოცხალი იყო.

იმ კაცმა ჩემი ხასიათი მოქსოვა. გამუდმებით რაღაცას ვაშენებ ან რაღაცის დასაკუთრებას ვცდილობ, თუმცა, ვერცერთის ნაწილად ვერ ვგრძნობ თავს. იმ კაცმა გადაწყვიტა, რომ ყოველთვის ვითვლებოდე რაღაც მოცემულობს განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილად, თუმცა, ყოველთვის განზე მდგომი ვიყო. იმ კაცმა გადაწყვიტა, რომ უნდა მძულდეს, უნდა მესიზმრებოდეს, როგორ მძულს, როგორ მძულს ყველა, ვინც მას ჰგავს და ყოველთვის, როცა მასზე ვილაპარაკებ, სიძულვილით ვიტირო. იმ კაცმა ყველაფერი წამართვა – დედა, და, ძმა, ჩემი თავი და სანახევროდ თავისთან წაიღო.

ის კაცი მამაჩემია.

ომი რომ არ ყოფილიყო, მამა მეყვარებოდა.

„ჩემი მტრები ჩემი მასნავლებლებიც ყოფილან ხალახან, რაღან ეს მათთან პრემილაში ჩემს სისუსტესა და ზაღს გამოვიდი ხოლმე“.

კონსტანტინე გამსახურდია

სამშვიდობო მედია-პროდუქტი

ამონარიდები კონფერენციაზე წარმოდგენილი
ვიდეოსიუჟეტებიდან, დოკუმენტური ფილმებიდან
და ჟურნალიდან „ცა აფხაზური“

„ერთ ურნალისტს ომის შეჩერება არ შეუძლია. მეღიას შეუძლია ომის შეჩერება. საკამაოდ პევრი ცესი არსებობს, როგორ არ უძღა აღმოჩენა ურნალისტები კოცელიქტის გაჩაღების უნებებით ცელშეამყობი. რამდენიმე მათგანს გავუსვამ ხაზს: ყოველთვის ომყვავი ისტორია ფაქტებით, იყავი ზესტი, მოერიდე დასკვნებს და გამორიცხე ემოციები. შეასრულე ხილის როლი კოცელიქტიში მონაცილე მხარეებს შორის. გაავრცელე მხოლოდ ის იცვორმაცია, რომელიც დადასტურებულია მინიმუმ რის ცეკვოს მიერ. არ გამოიყენო ზეღსართავი სახელები. განსაკუთრებით ის-ეთი სიტყვები, რომელიც ეთნიკურ ჯგუფებს ახასიათება.“

ნენად პეჯიჩი,
RFL/RL-ის ვიცე პრეზიდენტი

აფხაზ კოლეგათან ჩართვები ურნალისტის შეხედრის ამსახველი ვიზეოსიუზები

(1993 წ)

სიუჟეტის ავტორები: ტელეჟურნალისტი გურამ გორელიშვილი,
ოპერატორი ჯანო ინაძე.

კონფერენციაზე სიუჟეტმა დიდი მოწონება დაიმსახურა და იგი,
როგორც კონფლიქტის მიმართ სენსიტური ჟურნალისტური ნაშ-
რომი, რომელიც ჟურნალისტური ეთიკისა და პროფესიონალიზმის
მაღალ სტანდარტებს ეყრდნობა, წარდგენილ იქნა ევროკავშირის
პრიზზე ჟურნალისტიკაში.



წარმოდგენილი ვიდეოსიუჟეტი გადმოგვცემს 1992-1993 წლებში
აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს დაპირისპირებულ მხა-
რეებს შორის მომუშავე ქართველ და აფხაზ ჟურნალისტთა შეხვე-
დრისა და მათი პროფესიული სოლიდარობის ამსახველ ეპიზოდებს.

სიუჟეტის დასაწყისში ავტორი ყვება, რომ ქართველების მიერ
ზემო აფხაზეთის სოფელ საკენში დაკავებულ იქნა გუდაუთა-ტყვარ-
ჩელის საფრენ ბილიკზე უნებართვოდ მოძრავი ვერტმფრენის ეკიპა-
ჟი, რომელთა შორის აღმოჩნდა ორი აფხაზი ჟურნალისტი.

სიუჟეტიდან ჩანს, როგორი კეთილგანწყობით, ჰუმანურობით და პროფესიული სოლიდარობით მოქმედნენ აფხაზ კოლეგებს ქართველი უურნალისტები. ყურადსალებია აფხაზი უურნალისტების პოზიცია. ისინი საუბრობენ იმაზე, რომ ალსადგენია მშვიდობა, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ისევ ერთად უნდა იცხოვრონ, რომ უურნალისტები მიუკერძოებლად, ობიექტურად უნდა აშუქებდნენ მოვლენებს და ხელს უწყობდნენ საზოგადოებაში სამართლიანი აზრის დამკვიდრებას, ცრუ ინფორმაციების გაქარნებას.

სიუჟეტიდან ვიგებთ, როგორ უმასპინძლეს აფხაზ უურნალისტებს ქართველმა კოლეგებმა და რამდენად დიდია მათი სურვილი ომის შეჩერებასა და მშვიდობის აღდგენაში. აფხაზ გლეხს, რომელმაც მასპინძლობა გაუნია უურნალისტებს, ჰყავს ქართველი მეუღლე და თავისუფლად საუბრობს ორივე ენაზე.

კადრში ქართველები და აფხაზები არ ლალატობენ მამაპაპურ ტრადიციას და ერთად, ფეხზე დგომით სვამენ მშვიდობის სადღე-გრძელოს.

განსაკუთრებით ალსანიშნავია სიუჟეტის ის კადრი, საიდანაც ჩანს, გლეხის ოჯახში გაშლილ სუფრასთან როგორ ბუნებრივად ატირდა აფხაზი უურნალისტი მის მიმართ ადამიანური, ჰუმანური და კოლეგიალური დამოკიდებულების გამო.

სიუჟეტი ვიგებთ, რომ აფხაზ უურნალისტთა სიცოცხლეს არა-ნაირი საფრთხე არ შექმნია და ისინი მშვიდობიანად დაუბრუნდნენ საკუთარ საქმეს და ოჯახებს.



გურამ გორელიშვილი და აფხაზი გლეხი, რომელმაც ქართველ და აფხაზ ჟურნალისტებს უმასპინძლა



აფხაზი ჟურნალისტი: „ჩვენ გვინდა აღდგეს მშვიდობა და ვიცხოვროთ ისე, როგორც ადრე ვცხოვრობდით... გვინდა, ყველაფერი ადრინდელივით იყოს“



შშვიდობის სადლეგრძელო



ომით გამოწვეული უბედურებით ატირებული აფხაზი ჟურნალისტი და კოლეგის განცდებთან თანაზიარი გურამ გორელიშვილი.

p.s. სიუჟეტის სიძველის გამო ვიდეო-ფოტოები დაბალი ხარისხისაა.

აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი

გადაცემა „აფხაზეთი“

„მიამბე აფხაზეთზე“ – ვლადიმერ გუცაევი

ავტორები: ელისო ხუტიუბია, ვაჟა აქიაშვილი, გიორგი სამუშია



- აფხაზეთიჩემი ცხოვრების ნაწილია. მთელიჩემი ახალგაზრდობა იქ გავატარე, შევიძინე ძალიან ბევრი მეგობარი... ვიტალი დარა-სელია განსაკუთრებულად გამორჩეული პიროვნება იყო ჩვენს გუნდში...მარტო იმიტომ კი არა, რომ ძალიან ძლიერი ფეხბურთელი იყო, ადამიანური თვისებებითაც გამოირჩეოდა. მახსოვს, ცოლი რომ მოჰყავდა, მოვიდა ჩემთან – ვოვაო, მითხრა, შეგიძლია 5 ათასი მანეთი მასესხო, ქორწილს ჩავატარებ და, ჩვენი წესის მიხედვით, ფული რომ შემოვა, ეგრევე დაგიბრუნებო. ნავიყვანე სახლში, მივეცი ფული, მაგარი ქორწილი გადაიხადა აფხაზეთში და ზუსტად 3 დღეში ფული უკან დამიბრუნა. აი ასეთი ახლო და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა;
- დაუვინარია 1981 წლის 13 მაისი, როდესაც მთელი საქართველო ზეიმობდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებას. ამ ისტორიულ მატჩში ვიტალი დარასელიამ დაუსვა წერტილი იმ საქმეს,

რომელსაც ჩვენ წლების მანძილზე ვაკეთებდით. ეს ის პერიოდია, საერთოდ რომ არ ვარჩევდით, ვინ აფხაზია და ვინ – ოსი...

- ჩემი და დათო ყიფუანის მოყვანილია თბილისის დინამოში ახრიც ცვეიბა, რომელთანაც დღესაც ვმეგობრობთ. რუსეთში რომ ჩავდივარ, ვურეკავ... გახარებული შემომებმიანება ხოლმე – „ო, გავრილოვიჩ, ჩამოხვედი? ნავიდეთ სადმე, ყავა დავლიოთ. ერთი ორჯერ ვიღაცის დაბადების დღეზე მოვხვდით მოსკოვში, ქორწილშიც, სადაც აფხაზმა ბიჭმა იქორწინა ქართველ გოგოზე... უყვარს ახრიკს ჩვენი ბიჭები.“
- მეც ქართველი გოგო მყავს ცოლად და ჩემი შვილები ქართველებთან და ოსებთან გაიზარდნენ.



აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის უურნალისტი ელისო ხუტკუბია კონფერენციის მსვლელობისას: „კამერა, დიქტოფონი და მიკროფონი, რა თქმა უნდა, მიყვარს, მაგრამ მუშაობისას ტრადიციულ ბლოკნოტსა და კალმისტარს მაინც ვერაფერი შემიცვლის“.

აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი

გადაცემა „აფხაზეთი“

„მიამბე აფხაზეთზე“ – მაია ჯაბუა

ავტორები: ელისო ხუტკუბია, ნიკა შონია



- ძალიან ხშირად ჩემი შვილები მეკითხებიან – რა არის ეს აფხაზეთი ისეთი, მის გაგონებაზე რომ ყველანი გიუდებით და ასე მძაფრად გამოხატავთ თქვენს ემოციას? ზუსტად ვიცი, რაც არ უნდა ვეცადო, სიტყვებით გადმოვცე აფხაზეთის შესახებ, ამას მაინც ვერ შევძლებ... იმიტომ, რომ უნდა იყო იქ ნამყოფი;
- მახსოვს გასაოცარი სტუმართმოყვარეობა ჩემი აფხაზი ბიცოლების მხრიდან, მათი საოცარი პატივისცემა მამაჩემისა და დედაჩემისადმი;
- მინდა, ყველა იქაურს, ვინც გვიყურებს, ვუთხრა – ვიცი, თქვენც რომ ძალიან მოგენატრეთ, ჩვენც ძალიან გვენატრებით... ძალიან მიყვარხართ, მახსოვხართ... ჩვენს ხელშია ყველაფერი... ყოველმა ქართველმა, ყოველმა აფხაზმა სათითაოდ უნდა მოვინდომოთ ერთმანეთთან მისვლა, უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს და აუცილებლად უნდა გავაგრძელოთ ის შენყვეტილი სიმღერა, რომელსაც ჩვენ – ქართველებიც და აფხაზებიც არაჩვეულებრივად ვმღეროდით მრავალ ხმაში.

აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი

გადაცემა „აფხაზეთი“

„მიამბე აფხაზეთზე“ – ზურაბ სოტკილავა

ავტორები: ელისო ხუტკუბია, ზურაბ კობახიძე,
ავთანდილ დავითაია, გიორგი სამუშია



- ...ბოლო კონცერტის დროს, რომელიც სოხუმში, ფილარმონიის დარბაზში ჩავატარე, უკვე დაძაბული იყო ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის, ხიბლაც¹ თან მახლდა... ვიმდერეთ ქართულად, აფხაზურად, მეგრულად – დაუკინებარი სალამო იყო... დავუჩიქე მაყურებელს – ქართველებმა და აფხაზებმა კარგად და მეგობრულად იცხოვრეთ-მეთქი... ეს იყო 1992 წლის ივნისი...
- რუსები, განსაკუთრებით კი მათი ინტელიგენცია – მიხალკოვი და სხვები, ხშირად მეკითხებიან – რაო, თქვენ, ქართველები, რატომ აჭირვებთო საქმეს. მე საპასუხოდ ვეუბნები – ჩვენთან რა გინდათ, როდესაც გალიდან 25 კილომეტრში დგას თქვენი ჯარი-მეთქი... თუმცა, ესაუბრე, რამდენიც გინდა, აზრზე არ არიან არაფრის... ისე კი არც ამოიღებენ ხმას, ყველას ეშინია...

¹ ხიბლა გერზმავა – აფხაზი სოპრანო, რუსეთის სახალხო არტისტი.

აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი გადაცემა „აფხაზეთი“

„მიამბე აფხაზეთზე“ – გივი სიხარულიძე
ავტორები: ელისო ხუტკუბია, ვაჟა აქიაშვილი




ფოტო-კადრი სიუჟეტიდან

- ჩემს მეგობარს, გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორსა და კონსერვატორის რექტორს, ან გარდაცვლილ სულხან ცინცაძეს 15 წლის განმავლობაში დაბადების დღეს გუდაუთაში უხდიდნენ თავისი აფხაზი მეგობრები. მე ასეთი მეგობრობა და სიყვარული იშვიათად მინახავს. სულხანსაც მზე და მთვარე ამოსდიოდა აფხაზი მეგობრების მშობლებზე – ავდიოდიო რინის ტყეში და იქ, დიდი ჩანჩქერის ქვეშ იშლებოდა უშველებელი სუფრა;
- მე მომწონს, როცა აფხაზი კაცის ცოლი სუფრასთან არ ჯდება და გემსახურება მოკრძალებულად... მომწონს, როცა ოჯახის ბაბუა არის უმაღლეს დონეზე აყვანილი;
- მე ასე მნამს – აფხაზი და ქართველი, ეს არის პროვოკაციას შენირული ხალხი... მოგვატყუეს და ჩაგვითრიეს მორევში;
- თუ ასე გაგრძელდა, 15 წელიწადში აფხაზები აითქვიფებიან რუსებთან და მოხდება ძალიან ცუდი რამ – ეს თავმოყვარე, ძალიან ფაქიზი გრძობების, კაცური თვისებების მატარებელი აფხაზი ხალხი, სიტყვის ხალხი, რომელსაც ტყუილი არ უყვარს, ეზიზლება ტყუილი, შეიძლება, საერთოდ გაქრეს;

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“

დოკუმენტური ფილმი „იმედის წილი“

ავტორები: მართა კასრაძე, სოფო წულაია, ნონა შონია



ქართული სკოლა XIX საუკუნის სამურზაყანოში. ვიდეო-კადრი სიუჟეტიდან

- ძირძველ სამურზაყანოს ტერიტორიაზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში და შემდგომ გახსნილი სკოლები მთელს აფხაზეთში პირველ საგანმანათლებლო კერებადაა აღიარებული. მეცის რუსეთი ცდილობდა, ეს სკოლები თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკის განსახორციელებლად გამოეყენებინა, მშობლიური ქართული ამოეძირკვა, მაგრამ სამურზაყანოს მოსახლეობამ შეძლო შეენარჩუნებინა მშობლიური ენა, გაეძლიერებინა ქართული სკოლა და ეზრუნა შვილების განათლებისათვის;
- აფხაზეთის ომის შემდეგაც მნიშვნელოვან სიტყვას ამბობს გალის რაიონი. მიუხედავად დიდი დაბრკოლებისა, აქ, სადაც „ქართულითა ენითაც ლოცვა არ აღესრულების და უამი არ შეინირვის“, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ძალ-ლონეს არ იშურებენ ქართული ენის, ქართული სულისკვეთების შესანარჩუნებლად;
- ისტორია სათანადოდ შეაფასებს გალელი მოსწავლეებისა და მასწავლებლების გმირობას და სულიერ სიმტკიცეს;
- „გალის მოსახლეობას ჩვენი მხრიდან სჭირდება დიდი მოფერება და სიყვარული. ეს არის ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის. გალში

- დარჩენილ მოსახლეობას, მე პირადად, საქართველოს გმირებს ვუ-
ნიდებდი /ლია ახალაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი/“;
- „ნებისმიერი აქცია, ჩვენსკენ მომართული, აქ, ოკუპირებულ
ტერიტორიაზე აღიქმება, როგორც დიდი ბედნიერება და სიხა-
რული, რომელსაც ძალუძს იდნავ მაინც შეანელოს სამშობლოს-
გან მოწყვეტით გამოწვეული სულიერი ტკივილი. თქვენი ყურ-
ადლება და თანადგომა იმედს გვისახავს, რომ ჩვენში არასოდეს
ჩაკვდება ქართული სული. ძირძველ სამურზაყანოში დიდი
რწმენაა ქვეყნის გამოთლიანების, ოღონდაც ზურგი გაგვიმაგრეთ
და ჩვენ, უიარალო ჯარისკაცები სიცოცხლის ბოლომდე ვიბრ-
ძოლებთ ქართველთა და აფხაზთა მეგობრული ურთიერთობის
აღდგენისათვის“ – გვნერენ გალის მუნიციპალიტეტის პედაგო-
გები, მოსწავლეები და მათი მშობლები“.



„ჩვენში არასდროს ჩაკვდება ქართული სული“ –
მოსწავლე ოკუპირებული გალიდან.
ვიდეო-კადრი სიუჟეტიდან

2018-2019 სასწავლო წელს გალის „კვება ზონის“ სკოლების I-VII კლასები მთლიანად რუსულენვანი გახდა. ამ კლასებში ჩა-
რთული ინა ისახავლება, როგორც უცხო ინა – კვირაში – 1 საათი,
ლიტერატურა – 2 საათი. ყველა დანარჩენ საგანს მოსწავლეები
რუსეთის ფედერაციის სახელმძღვანელოებით ეუფლებან.

თუ ასე გაგრძელდა, 3-4 წელიცადში გალის რაიონის ომამდელ
საზღვრებში არა თუ ძართული სკოლა, ძართული კლასიც კი არ
იარსებებს.

გალის საგანმანათლებლო რესურცენტრის მასალებიდან

საბატონიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“

დოკუმენტური ფილმი „კომანი“

ავტორები: მართა კასრაძე, კობა ბროლიაშვილი,
რევაზ ახვლედიანი



მეუფე დანიელი (დოკუმენტური ფილმი „კომანი“)

- დოკუმენტური ფილმი მოგვითხრობს, XX საუკუნის მიწურულს, როგორ ახლებურად გამოწყინდა სოხუმიდან 15 კილომეტრით დაშორებული სოფელი კომანი, რომელსაც სამი უდიდესი წმინდანის – იოანე ნათლისმცემლის, იოანე ოქროპირისა და წმინდა ვასილისკოს მადლი მოსავს. ამ სიწმინდეებს წლების მანძილზე ემსახურებოდა ჭეშმარიტ აფხაზთა, ანუების კეთილმორნებუნე ოჯახი, რომლის სახელსაც უკავშირდება კომანის სავანის აღმშენებლობა;
- კომანის ალყის დროს მონამეობრივად აღესრულენ ქართველი მღვდელმონაზონი მამა ანდრია (ყურაშვილი) და აფხაზი იური (გიორგი) ანუა.

საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი (დათუ-აშვილი): „ერთმა აფხაზმა იური ანუას ცხედარს უპატრონა, დაიტი-

რა, დაასაფლავა... ძალიან სიმბოლური იყო, თუ როგორ განიცდიდა აფხაზი ადამიანი ამ ბოროტებას. მას ჰქონდა განცდა, რომ უს-ამართლობაა, რაც ხდება და რომ ეს არ შეიძლება. ეს არის სწორედ სინანული აფხაზი ერისა ამ ახალგაზრდის სახით. რამდენიმე დღის შემდეგ ეს პიჭი დაიღუპა და აფხაზები ამბობდნენ, რაკი ცველაზე საუკეთესო წაიყვანა ჩვენგან, ღმერთმა დაგვსაჯა, ღვთისმსახურის სიცოცხლე რომ შევიწირეთო... ჩვენი პატრიარქი ამბობს, რომ ეს არ იყო ბრძოლა ქართველთა და აფხაზთა შორის, არამედ, ეს იყო ბრძოლა ქართველთა და აფხაზთა წინააღმდეგ. ეს რომ წამდვილად ასე იყო, მაშინ გამოჩნდა, როცა ერთად მოკლეს ქართველი და აფხაზი – ქართველი მამა ანდრია, 27 წლის მღვდელმონაზონი და ასაკოვანი აფხაზი იური (გიორგი) ანუა.“



კონფერენციაზე წარმოდგენილი დევნილ პავშვთა ნახატების გამოფენილან

უურნალი „ცა აფხაზური“

აფხაზეთის კულტურისა და სელოვნების ცენტრი

პროექტის ავტორი და უურნალის რედაქტორი: ნანა ჭანტურია.

შემოქმედებითი ჯგუფი: ნუნუ ჯანელიძე, ვახტანგ ზაქარაია,
დალი მუხაძე, ნანა ქარდავა, თათული რუხაძე, ქეთი შენგელია.

მთარგმნელი: ირმა ოსია



„ცა აფხაზური“ – უპრეცედენტო სამშვიდობო პროექტი ქარ-
თულ-აფხაზური საყმაწვილო პრესის ისტორიაში.

უურნალი ქართულ და აფხაზურ ენებზე საგანგებოდ უურნალ-
ისტორია კონფერენციისთვის მომზადდა.

მასში თავმოყრილია საყმაწვილო უურნალ „იალქანში“ 1996 წლი-
დან, ანუ მისი დაარსების დღიდან გამოქვეყნებული პუბლიცისტური

სტატიები, მხატვრულ-დოკუმენტური მოთხოვები, ესეები, მინიატურები, ლექსები, მოგონებები, ინტერვიუები სამშვიდობო თემაზე.

„ცა აფხაზური“, თავის აფხაზურ ვერსიასთან ერთად, კონფერენციის მთავარ სათქმელს – აფხაზეთს და ქართველთა და აფხაზთა დაკარგული ერთობის აღდგენას ორგანულად გადაეჯაჭვა და ისიც თქვა, რაც კონფერენციაზე, მისი ფორმატიდან გამომდინარე, ვერ შევძლით. რაკი კრებული ამის საშუალებას გვაძლევს, გთავაზობთ ვრცელ ამონარიდს „ცა აფხაზურის“ ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც თბილისში მცხოვრებმა სოხუმელმა, 14 წლის ერეკლე მსხილაძემ ჯერ კიდევ 2004 წელს დაუწერა თავის აფხაზ თანატოლს.

რატომ მაინცდამაინც ეს წერილი „ცა აფხაზურის“ საუკეთესო მასალებიდან? იმიტომ, რომ მუდამ გვახსოვდეს:

ჟურნალისტებსაც ძალიან ბევრის გაკეთება შეგვიძლია იმისათვის, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ბავშვები, ერეკლე მსხილაძის მსგავსად, არ ხატავდნენ შეშინებულ დედამინას!

„რაც მასესოვს... ანუ ცერილი ჩემს აფხაზ თანატოლს

- ამ წერილით შენ ბევრს გაიგებ ჩემს შესახებ: იმაზეც, თუ რატომ შეიძლება, ჩვენს ასაკში ფიქრობდე დიდივით, რატომ მგონია, რომ ომი, რამელიც ჩვენს მეხსიერებამდე იყო, შენც გახსოვს. იცი, რამდენის ვიყავი, სოხუმი რომ დავტოვვე? ორი წლის... ამიტომ, ძალიანაც რომ ვეცადო, ვერაფრით ვერ გაგიხსენებ: თუნდაც ასე იყოს, ვერ მოგატყუებ, ვერ გეტყვი, რომ სადღაც მაინც მინახისარ.
- და მაინც: ამ პატარა ბარათით მე მოგიყვები ყველაზე მართალ ამბავს ჩვენზე. ჩვენ – ეს მე და შენ ვართ. ჩვენ, ვისთვისაც დედამიწა, რა ხანია, ვაშლის მსგავსი მრგვალი სამყარო არ არის მხოლოდ. იცი, რამდენჯერ დამიხატავს შეშინებული დედამიწა? მე მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. დღეს, როცა ამ ნახატებს ვუყურებ, ვფიქრობ: ომს მაშინ იწყებენ, როცა ამქვეყნად ბავშვების

არსებობა ავინტენდებათ.

- გაინტერესებს როგორი იყო ჩემი დედამიწა? დიდთვალებიან, მრგვალ ბურთებს ვხატავდი. ერთხელაც დადუდასთვის (დედას ასე ვეძახი) მიკითხავს – როცა ეშინათ, ხომ ვერ ლაკარაკობენ. ჰოდა, არც ერთ ჩემს „მუნჯ დედამიწას“ პირი არ ჰქონდა.
- ყველაზე მთავარი ჯერაც არ მითქამს შენთვის: რომ თორნიკეს, ჩემს ძმას და მე მამა არ გვახსოვს. იცი, როგორ გავრბოდით კარებისკენ, როცა ზარის ხმას, ან კაკუნს გავიგონებდით?! მაგრამ მამა არცერთხელ არ იდგა ზღურბლთან. ლტოლვილობის პირველი ნლები ახლო ნათესავის ბინაში გავატარეთ. ჩვენი ფანჯრიდან რკინიგზის ლიანდაგები ძალიან კარგად მოჩანდა. ფანჯარასთან დგომა ჩვევადაც კი გვექცა. ბაქანზე შემოსულ თითოეულ მატარებელს ველოდებოდით, მაგრამ განბილებული ვრჩებოდით ხოლმე – უამრავ მამაკაცს შორის არცერთი იყო ჩვენი მამა. იგი მხოლოდ სიზმარში ნანახი მატარებლიდან, ან ტრაპიდან ჩამოდიოდა.
- იქნებ, ბავშვობაში შენც გეუბნებოდნენ, მამა დაბრუნდებაო? იქნებ, ბავშვობიდან შენც ხარ ჩემსავით ობოლი და მოტყუებული? იქნებ უკვე შენც ჩემსავით დედის იმედი და სახლიკაცი გქვია?
- ხოხუმი, რა თქმა უნდა, არ მახსოვს... თუ იცნობ ვინმეს „მონტეკარლოდან? ან იქნებ შენ ცხოვრობ იქვე, საღმე ახლოს? მამა, თურმე, ძალიან ამაყობდა თავისი უბნითა და უბნელებით. იქნებ ამიტომაც მინდა, ისევ და ისევ დავიჩემო ჯიუტი ბავშვივით, რომ ჩემი მისამართია: წითელფლოტელის ჩიხი №13.“

„იალქანი“ №17. 2004 წ.

სტუმრების ტრიბუნა

„მშვიდობა ცივილიზაციის სიკეთია, რომ კი – მისი ძალაშაული“.

ვიქტორ პიუგო

დოდო შონავა

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდიუსერი



„აფხაზეთი“ საეთარო დროის გარეშე დიდი შეცდომაა

ძალიან საჭირო და დროული კონფერენციაა.

„გვახსოვდეს აფხაზეთი“ ეს უნდა იყოს ყოველი ჩვენგანის უმ-თავრესი დევიზი, ვიდრე არ დაუბრუნდებით ჩვენი სამშობლოს ძირძველ ნაწილს, ვიდრე თავის სახლ-კარს მოშორებული ყველა ადა-მიანი არ დაუბრუნდება თავის კერას.

ძალიან მნიშვნელოვნელოვანია კონფერენცია იმ თვალსაზრისი-თაც, რომ აქ მხოლოდ მშვიდობაზე ვსაუბრობთ, მშვიდობაზე, რო-გორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე, უურნალისტიკაში.

მედია, უურნალისტიკა, ყოველთვის უნდა იყოს იმ ინფორმაციის მომძიებელი, რომელიც მუდამ გვამყოფებს დღის აქტუალურ ინ-ფორმაციულ ველში არა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რა ხდება აქ, აფხაზებთან მიმართებაში, არამედ – რა ხდება იქ, ჩვენთან, ქა-რთველებთან მიმართებაშიც.

ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი იყო გადაცემა „აფხაზეთი“, რომელიც მეორე არხზე გადიოდა. ზუსტად ვიცი, რომ ამ გადაცემას მაყურებელი აფხაზეთშიც ჰყავდა და ამიტომაც მისთვის საეთერო დროის არმიცემა არის დიდი შეცდომა, რომელიც აუცილებლად გამოსასწორებელია. სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებელია პრი-ორიტეტულად იმის მოვალე, რომ ასეთი ტიპის გადაცემები საკუთარ ეთერში ჰქონდეს.

კონფერენციაზე ყველა გამოსვლა იყო ძალიან საინტერესო, ინფორმატიული, ძალიან ბევრი ახალი გავიგე. მადლობა მინდა გა-დავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებს, ყველა მონაწილეს, რადგან მე ვხედავ, რომ ის პრობლემები, რომელსაც ვხვდებით დღეს ამ თემის გაშუქებაში, ამ ადამიანებისათვის აქტუალური და უმ-თავრესია.

კონფერენციაზე ითქვა, რომ დღეს მიმდინარე საინფორმაციო ომი არის იმდენად მნიშვნელოვანი და მძაფრი, რომ მას ვერ უმ-კლავდება ისეთი ზესახელმწიფოც კი, როგორიც ამერიკის შეერთებუ-ლი შტატებია. ამიტომ ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ამ საინფორ-მაციო ომში გამარჯვება იქნება აფხაზეთში მცხოვრები თითოეული ადამიანის დაბრუნება... დიახ, უნდა დავიბრუნოთ ის ადამიანები და დავარწმუნოთ, რომ მათ დღემდე ჩვენს მეგობრებად, ნათესავებად, თანამოქალაქეებად მოვიაზრებთ.

ბექა ბაჯელიძე

საერთაშორისო ორგანიზაცია „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ (IWPR) კავკასიის რეგიონული დირექტორი



ბექა ბაჯელიძე (შუაში) კონფერენციაზე

კონფერენციის თემა IWPR-ის საქმიანობას ეხმიანება

კონფერენცია – „სიტყვა პირველია. ომისა და მშვიდობის უურნალისტიკა“, ძალიან რელევანტური იყო ჩვენს საქმიანობასთან, რამეთუ მშვიდობის უურნალისტიკა ჩვენი ორგანიზაციის საკვანძო მიმართულებაა.

კონფერენციაზე გავიცანი ადამიანები, რომლებსაც უშუალო შეხება ჰქონდათ აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტთან. ასეთი შეხვედრები აუცილებელი პლატფორმაა აზრის, წუხილის გამოსახატავად. ვფიქრობ, უფრო მეტი ადამიანი და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა უნდა ჩაერთოს ასეთ შეხვედრებში. რაც უფრო მრავალუროვანი იქნება ასაკობრივი, გენდერული, პროფესიული და სხვადასხვა მოსაზრების მქონე ადამიანების მონაწილეობა ასეთ

კონსტრუქციულ სივრცეში, მით უფრო გაიზრდება შესაძლებლობები ნაყოფიერ აზრთა გაცვლისათვის, შერიგებისა და ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევისათვის.

IWPR საერთაშორისო ორგანიზაციია, რომელიც კონფლიქტებით და კრიზისით დაზარალებულ 30-ამდე ქვეყნაში მუშაობს. საქართველოში ჩვენ 1999 წლიდან ვსაქმიანობთ და მე ამ ორგანიზაციას კავკასიაში 2004 წლიდან წარმოვადგენ.

როგორც მოგახსენეთ, მშვიდობის უურნალისტიკა ჩვენი საქმიანობის საკვანძო მიმართულებაა. უურნალისტებისათვის შემუშავებული გვაქვს სახელმძღვანელო წესებიც, რომელსაც მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჰქვია. პირველი წესის მოთხოვნაა, გაერკვე კონფლიქტში. უურნალისტები ვალდებული არიან გამოიკვლიონ, გაიგონ კონფლიქტის მოგვარების არსი მანამ, სანამ დაიწყებენ მის გაშუქებას. უნდა გაარკვიონ, თუ როგორ განვითარდა კონფლიქტი და მისი მოგვარების რა გზები შეიძლება არსებობდეს. ამასთან ერთად, საჭიროა წარმოდგენა გვქონდეს „ომის კანონების“, კონფლიქტოლოგიისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესების შესახებ.

უურნალისტისათვის ვალდებულებაა, კონფლიქტის სამართლიანი გაშუქება და ბალანსის დაცვა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კონფლიქტის დროს მოხდეს ყველა მნიშვნელოვანი კომპლექსური საკითხის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების შეხედულებების გაშუქება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს ვანიჭებთ უპირატესობას, ჩვენ, როგორც უურნალისტები, ვალდებული ვართ ამის შესახებ ნათლად გავაგებინოთ მკითხველს.

უურნალისტის ვალდებულებაა, გააშუქოს კონფლიქტის წინაპირობა და მიზეზი. საჭიროა ზუსტად წარმოვაჩინოთ ყველა მხარის ლეგიტიმური და მცდარი უკამყოფილება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უკამყოფილება, თუნდაც მცდარი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც კონფლიქტის გახანგრძლივების, ისე მისი მოგვარების თვალსაზრისით. ამასთან ერთად, უნდა წარმოვაჩინოთ კონფლიქტის ნებისმიერ მხარეს მყოფი ადამიანების ტრამგა და პირადი ისტორიები დაბალანსებულად, მაღალი პროფესიონალიზმით,

ძალდატანების გარეშე. ეს ვალდებულება უურნალისტს აქვს არა მარტო იმ ხალხის მიმართ, ვის ამბავსაც აშუქებს, არამედ მკითხველის მიმართაც.

ყოველივე ამასთან ერთად, უურნალისტი ვალდებულია გააშუქოს მშვიდობის დამყარებისა და მხარეების შერიგებისკენ გადადგმული ყველა ნაბიჯი იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც ვაშუქებთ კონფლიქტის მცდელობებს.

გარდა ამისა, უურნალისტს უნდა ახსოვდეს, რომ რასაც ის აშუქებს, ყოველთვის ახდენს გავლენას არა მხოლოდ კონფლიქტის მსვლელობაზე, არამედ, ადამიანთა ცხოვრებაზეც. უურნალისტი უნდა იყოს ფხიზლად, რათა არ მოხდეს მისი ბოროტად გამოყენება ერთი, ან მეორე მხარის მიერ ომის, ან ძალადობის წასაქეზებლად. მსგავსი შემთხვევის არსებობისას უნდა მოხდეს მისი გამოაშპარავება, როგორც მედიით მანიპულირების მცდელობა.



კონფერენციაზე წარმოდგენილი დევნილ ბავშვთა ნახატების გამოფენიდან

იოსებ არჩვაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი



ჩემი ცება რომ იყოს...

მინდა უურნალისტებს, კონფერენციის მონაწილეებს ჩემი იდეა
გავუზიარო:

როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვართან დავით გარეჯის მსგავსი დიდი საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსი უნდა აშენდეს, რათა საქართველო დაიცვას არა მარტო მესაზღვრემ და მებაჟემ, არამედ სულიერებამაც, რადგან ის, რაც დაგვემართა აფხაზეთში, სულიერების დეფიციტის ბრალიც იყო. სწორედ იქ, სადაც ჰაერ-იც კი მაცდუნებელია და ამა ქვეყნის სიამეებს მოჭარბებულად გვთავაზობს, გვჭირდება სულიერების ისეთი ბურჯი, რომელიც ჩვენს მართლმადიდებლობას, ღირსებას, ქართველობას, სიმშვიდეს დაიცავს.

უნდა გადავარჩინოთ ჩვენი რწმენა, იმედი, სურვილი აფხაზეთ-

ში დაბრუნებისა და ყოველივე ეს ქართული სახელმწიფოებრიო-ბისათვის იმაზე ნაკლებმნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე დევნილი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენა. ასეთი გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული არა მარტო დევნილი მოსახლეობა, არამედ, ისინიც, ვინც ასეთ ოჯახებში დაიბადნენ და იზრდებიან უკვე აფხაზეთის დატოვების შემდეგ. აფხაზეთი არ არის მხოლოდ მინა, წყალი, ჰაერი, არამედ, ეს არის თითოეული ჩვენგანის – დევნილის, არადევნილის – სულიერი მდგომარეობა, ჩვენი სისხლის ყივილი და მჩქეფარება და არა აქვს მნიშვნელობა, უცხოვრია თითოეულ ჩვენგანს ოდესმე აფხაზეთში თუ არა...

ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოძრაობა უნდა იყოს არა მარტო აფხაზეთისთვის და აფხაზეთისკენ, არამედ, აფხაზებისთვისაც. სეპარატისტული რეჟიმის წყალობით აფხაზი ხალხი დადგა არა მარტო თვითმყოფადობის დაკარგვის, არამედ, ფიზიკური გადაშენების საფრთხის წინაშეც.

სოხუმი და ცხინვალი დასაბრუნებელია. სახელმწიფოებრიობა ნელ-ნელა კარგავს თავის ფუნქციებს, სამურზაყანოში ბავშვებს უკვე უჭირთ ქართულად წერა და მეტყველება...

...ჩემი ნება რომ იყოს, ყველა გასართობ, გამახალისებელ, დასასვენებელ ღონისძიებაზე შესასვლელ ბილეთის, მოსაწვევს, ქვითარს დავბეჭდავდი წარწერით, რომ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია და სახელმწიფოებრიობა – დასაცავი. ჩემი ნება რომ იყოს, ნებისმიერ საქონელსა და მომსახურებას, რომლის ღირებულება საარსებო მინიმუმზე მეტია, დავბეგრავდი დარღვეული სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის გადასახადით, ვინდლო, ჯიბეზე მეტად ეროვნულ და პიროვნულ თავმოყვარეობაზე ემოქმედა.

მალაქია (მამუკა) ჭანუყვაძე

ააიპ „შეიარაღებული ძალების შხარდაჭერისთვის“ გამგეობის
თავმჯდომარე, აფხაზეთის ომის ვეტერანი



შერიგებაზე ზიზღით ვერ ისაუბრაბ

არა მხოლოდ აფხაზეთია საქართველოს განუყოფელი ნაწილი, აფხაზებიც ჩვენი ერის განუყოფელი ნაწილი არიან. ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ჩვენს შორის შეიარაღებული კონფლიქტი მესამე ძალის ჩარევით მოხდა, მაგრამ შეცდომას, რომელიც ორივე მხარემ დავუშვით, გამოსწორება სჭირდება. რა მოხდა 25 წლის წინ, როგორ და რატომ, ამაზე საუბარი ვერანაირ შედეგს ვერ მოგვიტანს. საძიებელია ახალი გზები, რა თქმა უნდა – მშვიდობიანი. აღსადგენია ურთიერთობები და ეს უნდა მოხდეს იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელიც აფხაზსა და ქართველს შორის რეალურად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ხდება. კონფერენციაზე ჩვენ მოვისმინეთ იმ ურნალისტთა მოხსენებები, რომელთაც ომის დროს და ომის შემდეგ ჰქონდათ შეხება აფხაზეთთან და აფხაზებთან. მათ გაგვაცნეს

იმ ხალხის განწყობა და მოსაზრება, მიდგომების მოძებნა კი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. უფრო ხშირად უნდა შევიკრიბოთ, რაც შეიძლება მეტი უნდა ვისაუბროთ შერიგების თემაზე.

ეს საშვილიშვილოდ საჭირბოროტო საკითხი მხოლოდ ხელისუ-ფლების გადასაჭრელი არ არის. მასში ჩვენ, საზოგადოების აქტი-ურმა ნაწილმაც ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ. მე ხშირად ვხვდები აფხაზეთიდან სამქურნალოდ გადმოსულ აფხაზებს, მათაც, რომლებიც ქართულ პირადობის მოწმობებს იღებენ, რადგანაც თვლიან, რომ საქართველოს მოქალაქეობის მიღებით მეტი კეთილდღეობის მოპოვება შეუძლიათ. გარდა იმისა, რომ უნდა დავანახოთ მათ, როგორ ვითარდება ქართული სახელმწიფო, დიდი ძალისხმევა ნდობის ალდგენისკენაც უნდა ნარვმართოთ. ენგურს გაღმა და გამოლმა საქართველოს შორის შედარება კი თვითონ უნდა გააკეთონ და სხვაობაც თვითონ უნდა დაინახონ.

შერიგების თემაზე, ოკუპირებული ტერიტორიებისა და იქ მცხოვრები ხალხის მშვიდობიანად დაბრუნებაზე მეტი უნდა ვისაუბროთ მოსწავლეახალგაზრდობასთან. ამასთან დაკავშირებით მეტი ლიტერატურა უნდა მიეწოდოს სკოლებს და, რაც მთავარია, სახელმწიფოსგან მეტი ხელშეწყობა უნდა ჰქონდეს იმ უურნალისტთა ნაშრომების გამოცემას, რომლებიც უდიდესი რისკის ფასად მოიპოვებენ მასალებს და რომელთა სამზეოზე გამოტანა არსებული კონფლიქტის მოგვარებაში დიდ როლს ითამაშებს.

შეუძლებელია, ზიზღი გვექნდეს აფხაზების მიმათ და თან შერიგებაზეც ვისაუბროთ. მათ ჩვენთან დაბრუნების გულწრფელი სურვილი უნდა დავანახოთ და არა პოლიტიკა. ამიტომაც დიდი დატვირთვა აქვს სახალხო დიპლომატიას და ამ მხრივ, რაც შეიძლება, მეტად უნდა ვიაქტიუროთ.

მანონ ბულისკერია, პოეტი და მხატვარი



მანონ ბულისკერია (მარცხნიდან), ნაირა მახაშვილი და ნანა ჭანტურია კონფერენციაზე

დალექილი უფრო მეტია, ვიდრე ჩანს

კონფერენცია საინტერესო და საგულისხმო იყო თავისი მნიშვნელობითა და აქტუალურობით.

ომი (კოშმარი) კვალს ყოველთვის ტოვებს ადამიანის ცნობიერებაში. ომგამოვლილები სხვა ცხოვრებით ცხოვრობენ, განსხვავებულია მათი წარმოსახვებიც. ბუნებრივია, დროდადრო აუცილებელი ხდება საკუთარი ემოციების გაზიარება, რომელსაც მეხსიერება ამოატივტივებს. ძნელია, მარტომ ატარო იმ „დიდი ღრმულების“ სევდა, თვალების ნაცვლად რომ შემოგრჩა, მაგრამ ტრაგედიის ემოციისგან გამოხსნა, ალბათ, ჟურნალისტიკის უალტერნატივო მონაპოვარია და ეს აუცილებლად იძლევა ცივი გონებით განსჯის საშუალებას. პრობლემა კი, რაც არ უნდა ხანგრძლივი იყოს ის, ყოველთვის დასასრულისკენაა მიმართული...

ყველა უნარი უნარად, მაგრამ მკაცრი სინამდვილის ასახვა და, ამავდროულად, გარე სამყაროსთან საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა ყველაზე საინტერესო შესაძლებლობაა. ცნობიერი განცდების გადმოცემაც არ არის, ალბათ, ძნელი, როდესაც ინფორმაცია წლების მანძილზე მუშავდება გონებაში. მითუმეტეს, თუ შთაბეჭდილებების ალდგენის უნარი მოქარბებულად გაქვს... უფრო რთულია, ალბათ, როდესაც მეხსიერების გამოცდას გადაწყვეტ, რადგან ამ შემთხვევაში სხვა უნარიც უნდა გაგაჩნდეს და ზომიერების განცდა აქაც მნიშვნელოვანია (რაც არანაირად არ გულისხმობს ნორმას).

თემამ, გარკვეულნილად, განსაზღვრა კონფერენციის აქტუალურობა.

რუსეთ-საქართველოს ომი ჩვენ თვალწინ განვითარდა და, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად ყველას შეგვეხო. ამიტომაც ინტერესი მსგავსი თავმეურის მიმართ განსაკუთრებულია და არ მოვერიდები ვთქვა, რომ ეს კონფერენცია ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი დამოკიდებულების გამოვლინება იყო იმ ტრაგედიის მიმართ, რაც აფხაზეთში დატრიალდა. ასევე, მიმაჩნია, რომ საგულისხმო გახლდათ ის თავისებური დინამიკა, როგორც განვითარდა ეს შეხვედრა. ემოციისგან გამოხსნილი ტრაგედიის მსგავსი ნარმოჩენა თემისადმი კულტურული დამოკიდებულების ერთ-ერთი საუკეთესო შემთხვევა იყო.

გამომსვლელები გვიყვებოდნენ ომზე (მიზეზ-შედეგზე), ომის მონაწილეებზე, საკუთრ თავზე... მქონდა შესაძლებლობა, გამევლო პარალელებიც, მაგრამ დისტანციის აუცილებლობაც ხაზგასმული იყო თითქოს, არ მეძლეოდა ინტერპრეტაციის საშუალება, რადგან ყოველი ეპიზოდის დასასრულში იგრძნობოდა გარკვეული პოზიცია, რომელსაც თანაბრად, ბუნებრივია, ვერ ვინაწილებდი ავტორებთან ... ფაქტების თუ შთაბეჭდილებების გულწრფელი ამოფრქვევა მეხსიერების სილრმიდან ყოველი გამომსვლელის ქვეტექსტს ადვილად ამოსაცნობს ხდიდა და ამდენად, არც იმის ალქმა იყო ძნელი, რომ დალექილი უფრო მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეს ფაქტი კი თავისთავად გულისხმობს თემის განვირცობას და, ბუნებრივია, ადამიანები არ ვწყვეტთ ფიქრს და ძიებას ამ მიმართულებით.

კონფლიქტს გამორიდება სულაც არ ნიშნავს წამოსვლას და ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული. ეს აზრი გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ გამიმყარეს... მათი ლოგიკური პროტესტის განცდა გადამდები იყო... პროტესტის გრძნობა კი აუცილებლად მაშინ ვლინდება, როდესაც რაღაც ნიშნით გამოგარჩებს ბედისწერა, უფრო საინტერესო გაგრძელებისკენ გიბიძებს და ამ ყველაფერს შემთხვევითობას ვერ დაარქმევ. უფრო მეტიც, გამოწვევა ერთგვარი ინერცია ხდება და ყველა გარეშე ძალა გაუვნებლებულია ამ დროს.

როდესაც მეხსიერება ყველაზე დრამატულს გადასწვდება, თვითონ განვაზღვრავთ ტრაგედიის ხარისხს და სიმძიმეს, თვითონვე ვწყვეტთ, რა დოზით მივიტანოთ ყოველივე მსმენელამდე (მკითხველამდე). ალბათ ამიტომაც, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გამომსვლელები თანაგრძნობას არ საჭიროებდნენ თითქოს, თითოეულს სხვადასხვა გზა, მაგრამ ერთი მიზანი ჰქონდა და ამ მიზნის გამულავნების ყოველი მცდელობა თამაშისთვის მზადებას ჰგავდა. ნებისმიერ თამაშში კი, ხშირად, შედეგზე უფრო საინტერესოა მისი განვითარება და, ალბათ, ამიტომაც, ღრმავდებოდა ინტერესი კონფერენციის მსვლელობისას...

შეუძლებელია განვსაზღვროთ საკუთარი რეაქციები, რომლებიც ვითარდება მოულოდნელი კონტაქტებით სულიერ თუ უსულო სამყაროსთან, გნებავთ – საკუთარ წარსულთან... თუმცა, პასუხისმგებელი ვართ ჩვენს საქციელზე, გადაწყვეტილებზე... ამ პასუხისმგებლობას კი სხვადასხვა დოზით ვიღებთ ადამიანები და რაც უფრო დიდია ეს „დოზა“, მით უფრო გულწრფელია თითოეული ჩვენგანი...

ნაირა მახაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის
მართვის უფროსი სპეციალისტი

უსიტყვოდ ნათევამი

აფხაზეთთან მთელი ჩემი ახალგაზრდობა მაკავშირებს. განსაკუთრებით კი – სტუდენტური ზაფხულის სახალისო დღეები. თუმცა, კონფერენციისადმი ჩემი ინტერესი, რა თქმა უნდა, მარტო ამით არ იყო გამოწვეული – დღეს საქართველოში ძნელად წარმომიდგენია ისეთი ადამიანი, რომელმაც აფხაზეთის საკითხზე გამართულ ნებისმიერ მსჯელობას და საუბარს შეგნებულად აარიდოს თავი. ინტერესს კიდევ უფრო მიმძაფრებდა ის, რომ კონფერენციაზე ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებსაც უნდა წარმოედგინათ მოხსენებები, ყველაზე მეტად კი იმ სტუდენტთა მოსაზრება და ნაფიქრალი მაინტერესებდა, რომლებმაც საშუალო სკოლა ენგურის იმ მხარეს დაამთავრეს და რომელთა ახლო სანათესაო დღემდე იქ ცხოვრობს – ოკუპირებული გალის ტერიტორიაზე. ბევრ მათგანს მე თვითონ ვუბიძგე – მიდით, სათქვენო თემაა-მეთქი.

სამწესაროდ, იმედი გამიცრუვდა!

საერთოდ არ მოვიდნენ. უფრო სწორედ, ვერ მოვიდნენ!

არადა, ვიცოდი, რომ თემებზე მუშაობდნენ, კონფერენციის ორგანიზატორთან თანხმდებოდნენ, მიმოწერაც ჰქონდათ, მაგრამ...

ვერ გარისკეს!

საჯარო გამოსვლას, ტელეკამერებს, თავის წარმოჩნებას და გალში დარჩენილი მშობლებისა და ახლობლების აწიოკებას მოერიდნენ – ასე ახნა კონფერენციის წამყვანმა მათი მოუსვლელობა.

არა მგონია, სტუდენტებს, რარიგ საინტერესო მოხსენებაც უნდა ჰქონდათ, აფხაზეთზე იმაზე მეტი ეთქვათ, რაც მათი გამოუცხადებლობით, ანუ უსიტყვოდ ითქვა.

ალუ გამახარია

ასოციაცია „მშენებლობისა და საქმიანი კავკასიის“
დამფუძნებელი და ხელმძღვანელი



კონფერენციაზე პოზიტიური ცვლილებები გამოჩდა

ყურადღებით ვუსმენდი ყველა გამომსვლელ უურნალისტს, რომელსაც 25 წლის წინ პირდაპირი შეხება ჰქონდა აფხაზეთის ომთან. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მენახა, მეგრძნო, რა შეიცვალა თვითონ უურნალისტებში ამ ხნის განმავლობაში, როგორ აფასებენ ისინი ამ ომს და რას ფიქრობენ აწმყოსა და მომავალზე. მოგხეს-სენებათ, უურნალისტების სიტყვა, მათი მოსაზრებები ყოველთვის ანარეკლია საზოგადოების განწყობისა, ამდენად, ამ ცვლილებების დანახვა ჩემთვის, კონფლიქტის ტრანსფორმაციის, ნდობისა და მშვიდობის მშენებლობის საქმეში თავიდან ბოლომდე ჩართული ადამიანისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია. ბედნიერი ვარ, რომ ამ კონფერენციაზე ნამდვილად გამოჩენდა ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებები. ეს იყო ჩემთვის განსაკუთრებით საგულისხმო.

ორი აზრი არ არის – კონფლიქტი უნდა მოგვარდეს, ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, როგორც ამ კონფერენციაზე ძალიან სწორად ითქვა, „ერთმანეთი უნდა დავიპრუნოთ“... მაგრამ ცხადია, რომ ეს თავისით: „ციდან ჩამოვარდნილივით“ ან „ქარის მოტანილივით“ არ მოხდება. ამისათვის, მართლაც და „სიტყვა პირველია...“ ახლა მნიშვნელოვანია, რომ ეს პირველი, პისტკონფლიქტური სიტყვა იყოს გონივრული, მალამოსავით იმ ტკივილების მომშუბებელი და დამაყუჩებელი, რაც ამ ძმათამკვლელმა ომია გამოიწვია. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ერთი რამ ცხადია – ეს ომი იყო რუსეთან... დიახ, ეს ასეა, მაგრამ ერთმანეთთასაც ხომ ვესროლეთ, ერთმანეთის სისხლი ხომ დავღვარეთ... ამ რეალობას ვერ გავექცევით... სწორედ ესაა, დღესაც რომ აფერებს აფხაზების და ქართველების შერიგებას! დღეს ერთმანეთისათვის ბოდიშის მოხდას ან „მშიბზიაქუა“-ს თქმას კი არა, აფხაზები ჩვენგან სინანულს უფრო ელოდებიან. ამ კონფერენციაზე, ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა და ეს უკვე იმედის მომცემია. ადრე თუ გვიან, იგივე მოხდება აფხაზური მხრიდანაც და ასე დაიძრება ყინული...

მჯერა, რომ ეს მალე დიდ მასშტაბებს შეიძენს. დიდი ხანი არ არის, რაც ქუთაისში სამედიცინო პროექტის შემაჯამებელი ფორუმი ჩავატარეთ. ამ ფორუმს ოკუპირებული ტერიტორიიდან სპეციალურად ჩამოსული თხუთმეტი აფხაზი ბენეფიციარი დაესწრო. ისინი სიტყვით-აც გამოვიდნენ, აფხაზეთში წარმოებული პროდუქციის მცირე გამოფენა მოაწყვეს, ქართველებთან თანამშრომლობის სურვილი გამოხატეს... შერიგებისკენ პირველი ნაბიჯები გადადგეს – თხუთმეტივე აფხაზი სპონტანურად წამოდგა და დარბაზში მსხდომთ გადაეხვია...

მოგვიანებით, თბილისში COBERM-ის კონფერენციაზე დასასწრებად ისევ ჩამოვიდა ოთხი აფხაზი, მათგან სამი სიტყვითაც გამოვიდა... განა ეს შედეგი არ არის? 2-3 წლის წინ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. დღეს ეს რეალობაა. ხვალ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები გველის... ჭეშმარიტად ასეა – სიტყვა ყოველთვის პირველია.



მომავალ შეხვედრამდე!

საქითხები

| | |
|---|----|
| რედაქტორისგან | 4 |
| | |
| ვახტანგ ყოლბაია – მისასალმებელი სიტყვა..... | 8 |
| ელგუჯა (გია) გვაზავა – მისასალმებელი სიტყვა | 11 |
| ნუკრი მილორავა – მისასალმებელი სიტყვა | 13 |
| | |
| ვენერა რურუა – შესავალი სიტყვა | 16 |

I ბლოკი. მედია და კონფლიქტი

| | |
|--|----|
| აკაკი სიხარულიძე – XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი და მედია | 25 |
| | |
| ირაკლი ალადაშვილი – სამხედრო-ექსტრემალური ჟურნალისტიკის სპეციფიკა, როგორც ომში ჟურნალისტთა შეცდომების შემცირების საშუალება | 35 |
| | |
| ზაზა ცოტნიაშვილი – მედია და საინფორმაციო ომის ახალი გამოწვევები | 43 |
| | |
| სალომე კაპანაძე – მედია, კულტურა და განათლება, როგორც სამშვიდობო კომუნიკაციის ინსტრუმენტი | 53 |
| | |
| ოთარ ჟორდანია – აფხაზეთის ჟურნალისტიკა და თანამედროვე გამოწვევები | 63 |
| | |
| თენგიზ პაჭკორია – მედიის როლი კონფლიქტის პრევენციასა და საქართველოს გაერთიანების პროცესში | 70 |

| | |
|---|----|
| ავთანდილ დავითაია – გადაცემა „აფხაზეთის“ როლი და ხედვა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის განმტკიცებისათვის | 80 |
| გიორგი ჯახაია – სოციალური მედია ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესში | 87 |

II ბლოკი. ომისა და მშვიდობის გაკვეთილები

| | |
|--|-----|
| შორენა ლებანიძე – ადამიანების ომზე გამარჯვების ისტორია | 95 |
| ნანა ქარდავა – ქართულ-აფხაზური გვარები, როგორც უმოკლესი გზა შერიგებისკენ | 100 |
| ლია ტოკლიკიშვილი – ჩემი გზა ომის უურნალისტიკიდან მშვიდობის უურნალისტიკამდე | 108 |
| ია დანელია – სამად სამი კამერით და ნულოვანი გამოცდილებით | 112 |
| ნანა ჭანტურია – ნინველები მათი დროითა და სათქმელით..... | 117 |
| ირმა ოსია – ხისტი და დაუფიქრებელი სიტყვა წარსულში გვაბრუნებს | 126 |
| ზაირა მიქატაძე – კონფლიქტის ზონა: მითი და რეალობა..... | 131 |
| გულიადა ჭკადუა – პოსტკონფლიქტური ურთიერთობების ასახვა ოკუპირებული აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებებში | 140 |

| | |
|---|-----|
| ირენა ვანაგაიტიტე – სუბიექტურობა ხელს უშლის შერიგების პროცესს (ვიდეოჩანანერი ლიეტუიდან) | 150 |
| დათო ლიკლიკაძე – ჩვენი კონფლიქტი ოჯახურია და ტკივილი აუცილებლად მოშუშდება (ვიდეოჩანანერი ქუთაისიდან) | 154 |
| ბონდო ქურდაძე – ქართველებსაც და აფხაზებსაც ერთი მხარე აქეზებდა (ვიდეოჩანანერი საფრანგეთიდან)..... | 157 |

თემურ ქლენტი – გაზეთი „შანსი“ ფრონტის ხაზზე 160

III ბლოკი. ახალგაზრდები – ნდობის აღდგენისა და მშვიდობისათვის

| |
|---|
| დაჩი ახვლედიანი – ჩვენ ისევ ერთი გუნდის წევრები უნდა გაგზდეთ 169 |
| დავით დოლიძე – მე არასდროს მინახავს აფხაზეთი 173 |
| გიორგი გაბედავა – ახალგაზრდული სახალხო დიპლომატია: ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან 176 |
| თამარ ჩითინაშვილი – სოციოლოგიური კვლევა: სტუდენტი- ახალგაზრდები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ 180 |
| ქრისტინე პახომოვა – ომი რომ არ ყოფილიყო 186 |

სამშვიდობო მედია-პროდუქტი

| |
|---|
| აფხაზ კოლეგებთან ქართველი უურნალისტის შეხვედრის ამსახველი ვიდეოსიუჟეტი 193 |
| გადაცემა „აფხაზეთი“, „მიამბე აფხაზეთზე“ – ვლადიმერ გუცავი 197 |
| გადაცემა „აფხაზეთი“, „მიამბე აფხაზეთზე“ – მაია ჯვაბუა 199 |
| გადაცემა „აფხაზეთი“, „მიამბე აფხაზეთზე“ – გივი სიხარულიძე. 201 |
| საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, დოკუმენტური ფილმი „იმედის ხილი“ 202 |
| საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, დოკუმენტური ფილმი „კომანი“ 204 |
| უურნალი „ცა აფხაზური“ 206 |

სტუმრების ტრიბუნა

| | |
|--|-----|
| დოდო შონავა – „აფხაზეთი“ საეთერო დროის გარეშე დიდი შეცდომაა | 211 |
| ბექა ბაჯელიძე – კონფერენციის თემა IWPR -ის საქმიანობას ეხმიანება..... | 213 |
| იოსებ არჩვაძე – ჩემი ნება რომ იყოს | 216 |
| მალაქია (მამუკა) ჭანუყვაძე – შერიგებაზე ზიზლით ვერ ისაუბრებ... 218 | |
| მანონ ბულისკერია – დალექილი უფრო მეტია, ვიდრე ჩანს | 220 |
| ნაირა მახაშვილი – უსიტყვოდ ნათქვამი | 223 |
| ალუ გამახარია – კონფერენციაზე პოზიტიური ცვლილებები გამოჩნდა | 224 |

აფხაზეთის მთავრობა მადლობას უძღის:
საქველმოქმედო ფონდ „აფხაზეთს“ კონფერენციის
ჩატარებაში აღმოჩენილი თანადგომისთვის,
ტელეკომპანია „იმედს“, საპატიო რეკლამის ტელევიზია
„ერთსულოვნებას“ და აფხაზეთის საინიციატივო
უზრუნველყოფის ცენტრს კონფერენციის
საინიციატივო მნარღაჭერისთვის.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,

ალ. ყაზბეგის გამზ. №47

E – mail: meridiani777@gmail.com

 239-15-22

Անհաջ մի պատճ

Մեր Խառնություն

Խելս խկութ ձեզ կուծանին:
Միամա սլիք և սպարցու,
Օւ ազգաց, չհա ուղարի խոտ,
Ոի օդոս բարին սեղախու...

օրա օղա օ-Խօկս իշխ պարու
Խառնություն տուական լուակա
Խօս օ-Եօս լի բախա ժ

ակից սլիք ըդազարտ,
Վախճախոյ վելիսարի,

միուս սաստակեա լան սլիք ա,
Բախմա կուսայու օջա լի սլիք ա,

Անո, օ Անո, օ Անսօս, ժ
յիկաս սազդա ասամո,
առաջ պարս Շոմ, սկասար,
պարս օդա զնա օձ.

օդա օդա օ-Ան վեր ալ յակոր,
Անսօս սամ սպա մի առա սլիք ա,
օդեմ օ Ան օդեմ օ Ան, օ Անսօս,
օդա Շոմ-պարս օդա լ ակա!

